

ისინდი

ლიტერატურული ჟურნალი

№6

2019

რედაქტორი

იკა ქადაგიძე

სარედაქციო კოლეგია:

ლერი ალიმონაკი

რეზო ემელიანე ადამია

ბონდო არველაძე

ნინო ბაქანიძე

აკაკი ბრეგაძე

მარინა თექთუმანიძე

დალი კახიანი

ერეკლე სალლიანი

თეიმურაზ ნადარეიშვილი

ბადრი პატაშური

მარსიანი

გიორგი შიშნიაშვილი

კობა ცხაკაია

გიგი ხორნაული

რუსუდან ჭანტურიშვილი

მხატვარი:

მარსიანი:

ნინა ყდა – ილუსტრაცია იკა ქადაგიძის ლექსისა
„უედემო ბაღებს“.

უკანა ყდა – ელენე დარიანის პორტრეტი

კომპიუტერული უზრუნველყოფა

თამარ სტეფნაძე

შინაარსი

რედაქტორის წინათქმა	5
კრიტიკა	
იკა ქადაგიძე – თბილისიდან ქუთაისში მიმავალი ქარო	7
პოეზია	
მიხეილ ლანიშაშვილი – ლექსები	19
პროზა	
გიო კილაძე – ნაწყვეტი რომანიდან.....	21
ინტერვიუ	
ლელა ხორნაული – ინტერვიუ შვეიცარიელ გამომცემელთან	23
ინტერნეტსპექტრი	
ურა ღონღაძე – ლექსები	27
პროზა	
ლალი მიქაძე – ფეხზე დამდგარი მკვდარი.....	29
ერთი ლექსის გაელვება	
იკა ქადაგიძე – უედემო ბაღებს	31
კრიტიკა	
მარსიანი – ორსახოვნება ელენე დარიანისა.....	32
თარგმანი-რეცენზია	
რუსუდან ჭანტურიშვილი – ალ. პუშკინისა და მიტროპოლიტი ფილარეტის პოეტური მიმოწერა ქართულ თარგმანებში	43
ღირსსახსოვარნი	
თორნიკე ერისთავი – ***	47
გიორგი შიშნიაშვილი – ზურა ჯაფარიძეს.....	47

ესეისტიკა	
თეიმურაზ ნადარეიშვილი – შექსპირისეული ჩანახატები	48
ნომრის სტუმარი	
გიორგი ნატროშვილი – პოეზია	53
დრამატურგია	
კობა ცხაკაია – ქვიშის ფილოსოფია	55
პროზა	
ნინო ბაქანიძე – ყავრიანი წყარო.....	58
თარგმანი	
დალი კახიანი – ქართველი პოეტები რუსულად.....	64
ემიგრანტული ჩანაწერები	
ბადრი პატაშური – პორტუგალიური დღიური.....	66

რედაქტორის წინათქმა

ეროვნული მწერლობა ერის მავჯისცემას ზუსტად და მრავალნახნაგონად განსაზღვრავს. სწორი სახელმწიფოებრივი აზროვნების ქვაკუთხედი მართებული იდეოლოგიის გარეშე ოდენ მავნე პროპაგანდის სახიფათო გამოძახილია. აქედან გამომდინარე, ერის თვითმყოფადობის შენარჩუნებას ოდითგანვე გადაწყვეტი მიმდინარე მოვლენების გამოძახილსაც მოიცავს, მწერლის მსოფლხედველობა მოძალებული გლობალიზაციის ფონზე ერთგვარი საჯილდაო ქვის დანიშნულებას ითავსებს; რამდენადად მაღალია ეროვნული თვითშეგნება, კულტურის ხარისხი და მედეგობა უპირველესად სწორედ ამ მაჩვენებლით დგინდება და იზომება. გასული საუკუნის დასაწყისში დიდი ქართველი მწერალი და თავდადებული მამულიშვილი მიხეილ ჯავახიშვილი ეროვნული კულტურის არსს სწორედ ქართული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების ხედვრითი წონის მიხედვით აფასებდა და განიხილავდა. ცალკე თემა, საშიში სტატისტიკით შემოფოთებული სახელოვანი კალმოსანი თანამემამულეებს ეროვნული ენერჯის აღსადგენად მუხლჩაუხრელი ბრძოლისკენ რომ მოუწოდებდა; ეს მოძრაობა პირველ რიგში სასწავლო დაწესებულებებში უნდა გაჩაღებულიყო. საკითხავია, დროთა განმავლობაში ყბადაღებულ დილემას რამდენად მოვერჩით, რადგან არაეფექტური რეფორმების წნეხში გამობრძმედილმა ახალთაობელებმა, რაც ღირებულება, სხვათა წამხედურობით აშკარად დათმეს, დაივიწყეს და მეტი ხალისითა და ინტერესით უცხოურ ლიტერატურას დაენაფნენ, რასაც სხვადასხვა საექვო ხარისხისა და დანიშნულების გამომცემლობები გამიზნულად ხელს უწყობენ. ამის საილუსტრაციოდ არასახარბიელო მაგალითის დასახელებაც კმარა. სკოლებიდან იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ გამოძევაბამ ცხადყო, მოზარდების ცნობიერება რამდენად დაზიანდა. ახლა, როდესაც სწორუპოვარი მეცნიერისა და მამულიშვილის უნივერსალური სახელმძღვანელო ერის გულშემატკივართა ძალისხმევით სკოლას კვლავ დაუბრუნდა, უმაღ წიგნის მოდერნიზაციის თემა წამოიჭრა, რაც პროფესიონალებისგან ძალზე სათუთ და მართებულ დამოკიდებულებას მოითხოვს. ამდენად, მტკივნეული საკითხი: რითი ვზრდით შთამომავლებს, მუდამ დღის წესრიგშია;

ამ მხრივ ჩვენთან სასიამოვნო სიახლეა. საცაა „ისინდის“ ისტორიაში ახალი ფურცელი ჩაინერება. სახელდობრ, ჩვენი ჟურნალი პროექტის ავტორებს ლიტერატურის მრავალმხრივი შესწავლის მიზნით მანამდე უცნობ რუბრიკას „მივიწყებულნი“ სთავაზობს (ჩვენ უკვე შევთავაზეთ თანამშრომლობა საქართველოს პარლამენტის გენერალურ დირექტორს, ბატონ გიორგი კეკელიძეს რუბრიკის ციფრული, მათ შორის აუდიო ვერსიების ბიბლიოთეკის შესაბამის პროგრამებში განსათავსებლად), რომელიც ჩრდილშეფარულ ღირსეულ შემოქმედთა ხელახალ წარმოჩენასა და პოპულარიზაციას გეგმავს, რაც ახალგაზრდების სწორი მსოფლმხედველობის გამოსამუშავებლად აუცილებელი ფაქტორია. ჩვენ ამ სერიოზულ პროცესში ენერგიულად ვერთვებით. ყველაზე მკაფიო და მეტძოლი პროფილის ჟურნალი წიგნიერ საზოგადოებას დაარსებისთანავე უსამართლოდ მივიწყებულ თვალსაჩინო მწერალთა შემოქმედების ნიმუშებს უწყვეტად აწვდის. ჟურნალის საგანგებო რუბრიკა ღირსსახსოვარნი ამის ნათელი დასტურია. უპრიანია, ერთობლივი ძალისხმევით სამოქმედო ასპარეზი გავაფართოვოთ; ეროვნული ბიბლიოთეკის ზემოთხსენებული პროექტი, რომელსაც კეთილ ჩინოვნიკად სახელდებული გიორგი კილაძე ენერგიულად და კეთილსინდისიერად მოთავებობს; (მის

სახელს არაერთი ღირებული პროექტის განხორციელება უკავშირდება; აქვე აღსანიშნავია, რომ მას ჩვენი ჟურნალის გამოცემაში სათანადო წვლილი მიუძღვის;) ამგვარ ხედვას სავსებით ითვალისწინებს. ფაქტია, წინსვლა გარანტირებულია, როდესაც ორმხრივი ინტერესი გეგმაზომიერად ხორციელდება. ვიმედოვნებ, ესოდენ საშურ საქმეს თავს წარმატებით გავართმევთ, რაც ჯანსაღი თაობის აღზრდას სასიკეთოდ წაადგება.

ეროვნულ ჟურნალთა რედაქტორებთან თანამშრომლობა კვლავ მნიშვნელოვანი საკითხია, “ამერიკერის” გარდა მოკავშირედ ჟურნალ „ხორნაბუჯის“ რედაქტორი, გიორგი ნატროშვილი შემოგვემატა, რომელიც დედოფისწყაროს მწერალთა გაერთიანებას ხელმძღვანელობს და რეგიონული მასშტაბით კახეთს წარმოადგენს. ჯანსაღი თანამშრომლობა მწერლური სოლიდარობის საწინდარია, რაც გლობალიზაციის იერიშის საპირწონედ ჰაერივით აუცილებელია.

ეროვნული კულტურის გადასარჩენად გამართულ ფრონტზე ბიბლიოთეკების აქტიურობა ცალკე თემაა. ძალზე მისასალმებელია, რომ „ისინდს“ რეგიონული ბიბლიოთეკები აქტიურად და დადებითად გამოეხმაურნენ. ვიმედოვნებ, კეთილმოსურნედ დაწყებული თანამშრომლობა გაღრმავდება და დროთა განმავლობაში სასურველ ნაყოფს გამოიღებს.

ორმაგი რეკლამირების საკითხი ადრეც გავაშუქე, თუმცა ახალ ნომერში ესოდენ საჭირობოროტო თემას წამყვანი ადგილი უჭირავს; რედაქტორის ვრცელი სტატიის შინაარსი ცხადყოფს, ეროვნული მწერლობის გადასარჩენად ვინ როგორ წარმოჩნდება და მოქმედებისას რა ტაქტიკას ეყრდნობა. ჟურნალის მონინავე წერილი ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მწერლისა და მეცნიერის, როსტომ ჩხეიძის სატელევიზიო გამოსვლას ფაქტებით ასახავს და ეხმაურება; მკითხველს თავად ეძლევა საშუალება გამსაზღვროს უახლესი სამწერლო პროცესი რას მოიცავს და რამდენმაც გამოწვევას რა ასპექტით პასუხობს.

სასიხარულოა, ჩვენს მეზობელ ჟურნალს ცნობილი კრიტიკოსები დადებითად რომ ეხმაურებიან. ამ მხრივ ბ-ნ ლევან ბრეგაძის შინაარსიანი გამოსვლა ჟურნალის მესამე ნომრის წარდგენაზე, გამორჩეულია; მან საჯაროდ განაცხადა, რომ „ისინდი“ თავისი მკვეთრი და სასარგებლო კრიტიკული მიმართულებით სალიტერატურო საზოგადოებისთვის ძვირფასი ჟურნალია, რაც გვაიმედებს, რომ აღიარებული ლიტერატურათმცოდნე და მთარგმნელ ჩვენთან ითანამშრომლებს და აქტუალურ და ღრმაშინაარსიან პუბლიკაციებს მის მიერ უშურველად შექმნილ ბეჭდვით ორგანოში შეპირებისამებრ გამოაქვეყნებს.

და ბოლოს, ჩვენი უწყვეტი აქტიურობა და შემართება, რაც ჟურნალის გარდა „ისინდის“ ვირტუალურ გვერდზე სათანადოდ აისახება(გვერდის დამაარსებელი და მმართველი, პოეტი გიორგი შიშნიაშვილი გახლავთ), საზოგადოების მხრიდან ინტერესის განუხრელ ზრდას განაპირობებს; მკითხველებისა და კოლეგების დადებითი გამოხმაურებები სწორედ იმის დასტურია, რომ ჩვენ მოლოდინი გავამართლეთ და უცვლელი დევიზი: წინ ისინდი! ეროვნული ღირებულებების დასაცავად გამართულ უშელავათო ომში მონინავე პოზიციას კვლავ მყარად ინარჩუნებს! ¹

13.02.2019.

1 ჟურნალის წინა ნომერში დაშვებული შეცდომის გასწორება: ნოდარ ჯვალალონიას გაზეთის სათაურია „ლაშარის გორი“.

იკა ქადაგიძე

თბილისიდან ქუთაისში მიმავალ ქარო...

რეკლამის ზეობის ეპოქაში ადამიანებს ურყევად სწამთ, რომ მთავარია ვინმემ შეგნიშნოს, გახსენოს, წყალობის თვალთ გადამოგხედოს; არსებული მოცემულობის ნათელსაყოფად უფრო პროზაულად თუ ვიმსჯელებთ, რეკლამის ან ანტირეკლამის ქარბუქი იმდენად მაცდურია, მის მტვერს თუნდაც შემთხვევით თუ ჩაყლაპავ, შენს ბედს ძალი არ დაჰყეფს. არადა, მე თუ მკითხავთ, ერთი შეხედვით შეუმჩნეველ „დეტალს“ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება – ვინ რა მიზნით გაჰიარებს; სახელზე დახარბებულ მეგალომანთა გასაგონად: რეკლამა ყველაზე საშიში იარაღია, თუკი სიმართლის გაყალბებას ისახავს მიზნად და ამა თუ იმ პიროვნებისა და მოვლენის საგანგებო დისკრედიტაციას ემსახურება, თუმცა დილეტანტებისა და იოლი პოპულარობის მაძიებლებისთვის მოტივს მეორეხარისხოვანი დატვირთვა გააჩნია და რადგან მოყვარულთა გასანათლებლად არ ვირჯები, უპრიანია იმ სარეკლამო გადაცემის შიგთავსი მიმოვიხილო, აქედან „ისინდს“ უშუალოდ რომ უკავშირდებო.

უკვე არაერთგზის აღვნიშნე, რომ სამწერლო სივრცეში ყველაზე მეტძობილი აქვს ურნალის გამოჩენას მოკავშირეებზე ოპერატიულად და კეთილმოსურნედ მონინალმდეგეები გამოეხმაურნენ; ამგვარი პარადოქსის განმაპირობებელი ფაქტორებიც სათანადოდ განვმარტე, ამიტომ მკითხველის დროის დასაზოგად კონკრეტულ სათქმელს მივუბრუნდები.

ჩვევად შემოვიღე, აქედან ურნალის წინათქმაში იმ პროცესებზე გავამახვილო ყურადღება, რაც მორიგი ნომრის გამოცემაზე მიმდინარეობს; ამდენად, რედაქტორის გვერდი უახლესი ამბების შიგთავსის მიმოხილვასა და გათვალისწინებული თუ გაუთვალისწინებელი ცვლილებების ანალიზს ეთმობა;

„ისინდს“ მესამე ნომერში ცნობილი მწერლისა და მეცნიერის, როსტომ ჩხეიძის მიერ იატაკქვეშ წარმოებული ცივი ომი ფაქტების მეშვეობით გამოვამკარავე. სახელდობრ, ბ-ნი ჩხეიძის საგანგებოდ გამიზნული უპირობა გამოვამზეურე, რომელიც ათი თვის განმავლობაში უცვლელი ღიმილით მარწმუნებდა, რომ ჩვენი ურნალის გასაპიარებლად და მხარდასაჭერად ზოგადი რეკლამით კი არ შემოიფარგლებოდა, არამედ ახალგამოცემულ ურნალის ბირთვის წევრებსა და საპატიო სტუმრებს თავის საავტორო გადაცემაში „პოსტ ფაქტუმ“ საგანგებოდ მიიწვევდა. უშედეგო ლოდინით გაბურბებულმა (ათი თვე საკმარისი დროა იმის გასაგებად, რომ სიტყვის გატეხვა სახეზეა!) დიდი ხნის მოკავშირეს პირობა შევასხენე, დროის გაჭიანურების მიუხედავად ხელოვნურად დაძაბული ვითარების ფონზე სამჯერ ვთხოვე ჩვენს ურნალთან ეთანამშრომლა (ცნობისთვის, მე მის ურნალს ყოველთვის უმწეველი სტატიებით ვამარაგებდი!), რადგან მიმაჩნია, რომ ნამდვილი მწერლობის გადასარჩენად ეროვნულად მოაზროვნე თანამოკალმეები ურიცხვი გამოწვევის დასაძლევად ერთმანეთს მხარში უნდა ედგნენ და ურღვევ სოლიდარობას გამოხატავდნენ. რაც თავი მახსოვს, ყოველთვის ამ პრინციპით ვხელმძღვანელობ და ბუნებრივია, როცა დიდი ხნის მოკავშირე მხარდაჭერას გთავაზობს, მისგანაც საპასუხო ქმედებას ელი; საქვეყნო საქმის ხათრით მეხსიერებას განგებ აჩუმებ, უწინდელი უპირობის სერია რომ დიპლომატიურად მივიწყო და დაწვრილმანების სენს გარიდებულმა საერთო საქმის საკეთილდღეოდ არაერთ უსიამო მოგონებას თვალი მოუხუჭო, რაც სანახევრო მხარდაჭერის თანმდევი სიმყიფის უშუალო გამოძახილია. ბ-ნი როსტომ ჩხეიძის სტილი – საკუთარი გავლენის ხაზგასასმელად კოლეგებთან დაუსრულებელი კატათაგოვანას თამაში სამწერლო კულუარებში დაუცხრომელი ვნებათაღელვის საგანია, თუმცა ცოდვა გამხელილი სჯობს, ღიად ამაზე მხოლოდ რამდენიმე მწერალმა გაბედა „დაჩივლება“; სხვებმა თავისი სათქმელი თავად ბრძანონ, (უმადურების გასაპიარებლად თავს აღარ შევიწუხებ!), აი, თქვენმა მონა-მორჩილმა კი ზუსტად ათი წლის წინ დისიდენტი პოეტისა და თვალსაჩინო მამულიშვილის, შალვა მჭედლიშვილის ნეკროლოგის უვადოდ გაყინვა ვრცელი სტატიით გააპროტესტა; ესოდენ აუხსნელ და გაუგონარ ფაქტთან შეჯახებამ მაიძულა უშედეგო ლოდინით გაოგნებულს ღია წერილით მიმემართა „ჩვენი მწერლობის“ რედაქტორისთვის რათა დამედგინა, გარდაცვლილი დისიდენტის ოჯახის წევრებისადმი მიცემული პირობა რატომ დაარღვია, მიცვალებულის სსოვნას ბოლშევიკებისდროინდელი მანერით ტაბუ ხელახლა რისთვის დაუნესა ან მისდამი კეთილ-



ელთვის უმწეველი სტატიებით ვამარაგებდი!), რადგან მიმაჩნია, რომ ნამდვილი მწერლობის გადასარჩენად ეროვნულად მოაზროვნე თანამოკალმეები ურიცხვი გამოწვევის დასაძლევად ერთმანეთს მხარში უნდა ედგნენ და ურღვევ სოლიდარობას გამოხატავდნენ. რაც თავი მახსოვს, ყოველთვის ამ პრინციპით ვხელმძღვანელობ და ბუნებრივია, როცა დიდი ხნის მოკავშირე მხარდაჭერას გთავაზობს, მისგანაც საპასუხო ქმედებას ელი; საქვეყნო საქმის ხათრით მეხსიერებას განგებ აჩუმებ, უწინდელი უპირობის სერია რომ დიპლომატიურად მივიწყო და დაწვრილმანების სენს გარიდებულმა საერთო საქმის საკეთილდღეოდ არაერთ უსიამო მოგონებას თვალი მოუხუჭო, რაც სანახევრო მხარდაჭერის თანმდევი სიმყიფის უშუალო გამოძახილია. ბ-ნი როსტომ ჩხეიძის სტილი – საკუთარი გავლენის ხაზგასასმელად კოლეგებთან დაუსრულებელი კატათაგოვანას თამაში სამწერლო კულუარებში დაუცხრომელი ვნებათაღელვის საგანია, თუმცა ცოდვა გამხელილი სჯობს, ღიად ამაზე მხოლოდ რამდენიმე მწერალმა გაბედა „დაჩივლება“; სხვებმა თავისი სათქმელი თავად ბრძანონ, (უმადურების გასაპიარებლად თავს აღარ შევიწუხებ!), აი, თქვენმა მონა-მორჩილმა კი ზუსტად ათი წლის წინ დისიდენტი პოეტისა და თვალსაჩინო მამულიშვილის, შალვა მჭედლიშვილის ნეკროლოგის უვადოდ გაყინვა ვრცელი სტატიით გააპროტესტა; ესოდენ აუხსნელ და გაუგონარ ფაქტთან შეჯახებამ მაიძულა უშედეგო ლოდინით გაოგნებულს ღია წერილით მიმემართა „ჩვენი მწერლობის“ რედაქტორისთვის რათა დამედგინა, გარდაცვლილი დისიდენტის ოჯახის წევრებისადმი მიცემული პირობა რატომ დაარღვია, მიცვალებულის სსოვნას ბოლშევიკებისდროინდელი მანერით ტაბუ ხელახლა რისთვის დაუნესა ან მისდამი კეთილ-

განწყობილი უპატიოსნესი, მრავალტანჯული მწერლის სული რა მიზეზით შერისხა. ამ წერილის ირგვლივ განვითარებულ მძაფრ პერიპეტეებს აქ აღარ გავიხსენებ; აკრძალული სტატიის თავბრუდამხვევი თავგადასავალი ჩემს პირველ კრიტიკულ წიგნშია ასახული, რომლის გამოცემაც ამ გაუგონარმა ქმედებამ განსაზღვრა. ღია წერილის საყოველთაო აკრძალვამ (რადიოგადაცემაშიც დამბლოკეს, ცხადია!) დამარწმუნა, თანამედროვე ქართული მწერლობის ატმოსფერო რაოდენ დაბინძურებული და ჩამყაყებული იყო. გაირკვა, რომ ავტორიტეტული უფროსთაობელი თანამოკალმეები სინამდვილეში მხოლოდ იმას აკეთებდნენ, რაც პირად რეკლამასა და გამორჩენას მოუტანდათ და სხვა არაფერი ანაღვლებდათ; რომ პრივატული პრივილეგიების შესანარჩუნებლად, გავლენიანი კლანის მეთაურის თუნდაც ყველაზე გულმხეც გადაწყვეტილებას (მიცვალებული პოეტის ნეკროლოგის ვერაგული აკრძალვა სწორედ ამის დასტურია!) წინ არასდროს ალუდებოდნენ; ამგვარ უსამართლობასთან შეჯახებამ გადამაწყვეტინა კრიტიკოსის ბასრი კალამი ხელში ამელო და კლანურ ჩაგვრას თანმიმდევრულად, მხოლოდ საკუთარი თავის იმედად დავპირისპირებოდი. „ვის მივყიდით ქართულ მწერლობას?!“ სწორედ ამ საბრძოლო ქარცეცხლში იშვა. ერთს დავძენ, აღმფოთებული მწერლების რეაქციით შემკრთალმა როსტომ ჩხეიძემ ჩემი პუბლიცისტურ-კრიტიკული კრებულის: „ვის მივყიდით ქართულ მწერლობას?!“ (2009) წარდგინებაზე თავისსავე მოედანზე (წიგნის განხილვა ალ.ორბელიანის სახელობის სალონში გაიმართა) ზავი ითხოვა, რადგან გაბედული და წესიერი მწერლების დამუნათებამ მიახვედრა, რომ ჩემი საპროტესტო ცეცხლი დანარჩენებმა აიტაცეს და ბრძოლა კლანური გავლენის წინააღმდეგ სწორედ ამ წერილის ირგვლივ გაჩაღებულმა პოლემიკამ გამოიწვია და განამტკიცა.

შესაბამისად, 2010 წელს თანამედროვე კრიტიკის ისტორიაში ახალი ეტაპი – დამოუკიდებელი მწერლების შეკავშირების წყალობით საკმაოდ ნაგვიანევი, თუმცა მძაფრი სოლიდარობის გამოვლენით მაინც დაინყო. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა; შესაბამისად, ჩვენი მოკავშირეობის მრავალწინააღმდეგობრივ ისტორიაზე სიტყვას აქ არ დავასვლებ; ვისაც ეს თემა აინტერესებს, ჩემი პუბლიცისტურ-კრიტიკული წიგნების გაცნობით მიმდინარე სამწერლო პროცესებს ქრონოლოგიური სიზუსტისა და ფაქტების დახმარებით დაუბრკოლებლად დააგეგმოვნებს. ის ფაქტი, რომ როსტომ ჩხეიძე 16 წლის მანძილზე ყველაზე ღირებულ და პრესტიჟულ ჟურნალს „ჩვენს მწერლობას“ რედაქტორობდა, ეროვნულ სატვივარს მასშტაბურად განიხილავდა და ლიბერალისტებისა თუ ათასი ჯურის ბნელი ძალების ურცხვი პარპაშის საპირწონედ ეროვნული ლიტერატურის სადარაჯოზე მტკიცედ იდგა, მავალდებულებდა მის მხარდამხარ ქართული

მწერლობის შესანარჩუნებლად უყოყმანოდ მებრძოლა; საერთო გასაჭირის დროს სამარცხვინოა პირად გამორჩენაზე ორიენტირებული განზე ინევედე; უზნეობაა, მტრებით გარშემორტყმულ მოკეთეს პირადი ანგარიშსწორებისთვის დრო საგანგებოდ შეურჩიო, რაც სხვათა შორის მისგან პატივდებულმა და განებივრებულმა მწერლებმა არაერთგზის დიდი ხალხით მოიმოქმედეს. საბედნიეროდ, ბინძური ინტრიგების ქსელვითა და პოპულარიზაციის მანიაკალური წადილით თავი არასდროს შემირცხვენია, არადა, საერთო ფონი იმგვარი სისასტიკის, ღალატისა და გაუტანლობის, აგრეთვე ანგარებაზე დაფუძნებული მახინჯი ურთიერთობების დაუსრულებელ ასპარეზს წარმოადგენდა, და სამწუხაროდ ახლაც წარმოადგენს, ჭკუათამყოფელ კაცსაც ჩაუკლავს ბრძოლის სურვილს! თუ იმასაც დავძენთ, რომ მრავალწლიანი ერთგულების მიუხედავად როსტომ ჩხეიძის ფავორიტების რიცხვში არასდროს ვენერებოდი (ჩემი მებრძოლი ბუნება ბრმა მორჩილებას გამოორიცხავს; ვინ ვინ და ჩემი მოურჯულებლობა მან არაერთგზის გამოსცადა!), რაც ხშირად ჩემი უმწვავესი წერილების დაუბეჭდაობას განაპირობებდა; ცალკე თემაა, როსტომ ჩხეიძის მხარდაჭერის გამო ბობოლა თანამოკალმეებმა მწერლობიდან რომ მომიკვეთეს; ბედის ირონიის წყალობით როცა თვითონ სიძლიერის ზენიტს მიაღწია, თავის მოწინააღმდეგეებს უმაღლეს მიზანს და მის გამო „მგლის ბილეთით“ ხელდამშვენებულს დაფასებისა და მადლიერების ნაცვლად ზურგი არხეინად მატყუა! თავის ჟურნალსა და სალონში პირფერ ავანტიურისტებსა და გავლენიან, ფრიად საეჭვო ჯურის მწერლებს თავს ევლებოდა მაშინ, როდესაც თქვენი მონა-მორჩილის ლექსები მრავალჯერადი დაპირების მიუხედავად ერთხელაც არ დაბეჭდა; ფსიქოლოგიური დეტალი: მრავალწლიანმა მოკავშირემ ფეხმძიმობისას იმდენხანს მატარა თავის რედაქციაში, (ფუჭი დაპირებით განზილებულმა ლექსების უკან წამოღება განვიზრახე და ბოლოს როგორც იქნა, სადღაც ჩამარხული ნაწერები მაინც გამოვტაცე „ჩვენი მწერლობის“ უფსკერო არქივს!) რომ მოგვიანებით პოეზიის განყოფილების ხელმძღვანელმა, ცნობილმა მწერალმა მაკა ჯოხაძემ, ჩემს პუბლიცისტურ აღმასვლას უშურველად რომ გულშემატკივრობდა და გულთბილად ჩვენს ჟანა დარკს მეძახდა, (სხვათა შორის ამ ჩემს „ტიტულს“ „ჩვენი მწერლობა“ ოფიციალურად აქვეყნებდა ჩემი ხსენებისას! ცალკე თემაა, კონფორმისტებს რა ელეთ-მელეთი მოსდიოდათ ამის გამო!) ერთ-ერთი შეხვედრის დროს გულწრფელი წუხილით აღიარა, რომ ჩემი ვალი ემართა. მსგავსი მაგალითების დასახელება მსჯელობის თემას აგვაცდენს და მეც კვლავ კონკრეტულ სათქმელს მივუბრუნდები. და მაინც, დაუსრულებელი წინააღმდეგობის მიუხედავად საქვეყნო საქმის საკეთილდღეოდ „ჩვენი მწერლობის“

როლის შეფასებისას პირადი გამორჩენის ფაქტორით არასდროს მიხელმძღვანელია, აქაოდა, ვისაც უფრო ხშირად სწყალობენ, თავიც იმან გამოდიოს და რედაქტორს საქმე გაუიოლოსო, ამ პრიციპით სარგებლობა არასდროს მიკადრია, ამიტომ როსტომ ჩხეიძის მნიშვნელოვან ნაწარმოებებს არაერთი წერილი მივუძღვენი და სადაც ხელი მიმინვდებოდა, დროულად გამოვაქვეყნე კიდეც. პარალელურად ჩემს საავტორო გადაცემებში არც თუ იშვიათად სტუმრად ვინვევდი, მაშინ როდესაც თვითონ მხოლოდ იმ დროს მომმართავდა, როდესაც დაუძინებელი ოპონენტების თავდასხმებით შევიწროვებულს ჩემი გაბედული მხარდაჭერა (მისი მხდალი და ანგარებიანი ფავორიტებივით არც ბურჟუაზიაში ვიმალებოდი და არც ხელგანვდილი ველოდი „კუთვინილ“ გასამრჯელოს!) პირადად ესაჭიროებოდა; კონფომისტების გაჯეჯილების ფონზე ჩემს მრავალწლიან უანგარობას ყველა ამჩნევდა; კეთილმოსურნე კოლეგებმა არაერთხელ გამაგონეს, სამოქმედო ტაქტიკა შემეცვალა და იმპერატორთან (ზურგსუკან მას ასე უწოდებდნენ) თავი დამეძვირებინა; ისე მოვეცეულიყავი, როგორც ამას ძველი ალექსის უნივერსალური კანონი მოითხოვს: კბილი კბილის წილ, თვალი თვალის წილ, რაც ჩემთვის მიუღებელი აღმოჩნდა; მსუყე ჰონორარებზე დახარბებულების მსგავსად როსტომ ჩხეიძის სალონურ შეკრებებს მხოლოდ მაშინ არ ვესწრებოდი, როცა მქუხარე აღიარებას ველოდი. თუ ასე დავეცემოდი, კონფორმისტების გაკრიტიკების მორალურ უფლებას ულაპარაკოდ უნდა გამოვთხოვებოდი. საბედნიეროდ, ვინც სალიტერატურო პროცესებში სათანადოდ ერკვევა, ჩემი ნათქვამის გადამონმება ნებისმიერ დროს თავისუფლად შეუძლია, რამეთუ დასამალი არაფერია; მე ყოველთვის ეროვნული მწერლობის სადარაჯოზე ვიდექი და ახლაც ისევე შეურყევლად ვდგავარ, როგორც ოცი წლის წინ და ძალიან მეამაყება, ჩემი საქმიანობა უკადრის ინტრიგებით რომ არასდროს დამილაქავებია და არც შემობლაღავს; ურთულეს გზას თავიდანვე განუხრელად მივყვები, ღირსეული წინაპრები რომ ადგნენ და ბინძური კულუარული ომების ნაცვლად ღირსეულ საქმეს შეჭიდებული მუხლჩაუხრელად ვშრომობ; აგერ ბატონო ჩემო, ჩემი ნაზრევი, რომელსაც კომპეტენტური და სოლიდური ლიტერატურათმცოდნეები და მწერლები სათანადოდ აფასებენ; ცხადია, სამომავლოდ ეს ტენდენცია ერთიორად გაიზრდება, ვინაიდან მედროვეებისგან განსხვავებით მუდამ იმას ვაკეთებ, რაც ჩვენს მწერლობას სისხლხორცეულად ესაჭიროება და მრავალთათვის ყველა ასპექტში შეუძლებელი და მიუღწეველია! ურცხვად გაფუყულ მედროვეთა გულის გასახეთქად სასტიკ ანგარიშსწორებაზე ვერ მოვცდები, ეს ჩემი სტილი არ არის, რასაც სხვათა შორის, ფაქტების შეჯერების საფუძველზე დაუძინებელ მტრებიც უყოყანოდ აღიარებენ. ამდენად, ნამდვილად

არ მესწავლება ეროვნული მწერლობის საკეთილდღეოდ ვის როდის ამოვუდგე მხარში; ცალკე თემაა, რომ ამ მხრივ მწერლების უმეტესობა წარბმუხრელად სცოდავს და ყველაზე სახიფათო მოცემულობა იმაში მდგომარეობს, რომ ამ სამიმ ტენდენციას კლანის გავლენიანი მეთაურები ამკვიდრებენ. „გათიშე და იბატონეს“ უნივერსალური ხერხი მწერლობაშიც საკმაოდ აპრობირებული მეთოდია და უფროსობასა და წვრილფეხობას შორის გაფორმებულ უსიტყვო ხელშეკრულებას ომერტას მნიშვნელობას სძენს, რის წინააღმდეგაც ყოველთვის დაულაღავად ვილაშქრებ.

აქედან გამომდინარე, „ისინდის“ დაარსებისთანავე თანამშრომლობა ყველა თვალსაჩინო კოლეგას ალაღად შევთავაზე და ვინ რა მოიმოქმედა საპასუხოდ, ეს ისინდის ციკლზე შექმნილ წერილებში ქრონოლოგიური სიზუსტითა და ფაქტების თანმიმდევრობითაა გადმოცემული. წინამდებარე პუბლიკაცია ამავე მიზანს ემსახურება, სამომავლოდ ჟურნალის ისტორიის გაყალბება რომ ვერავინ გაბედოს, რაგინდარა გავლენიანი მწერლის ტიტულს ფლობდეს და მძლეთამძლე რეკლამის სათანადო ბერკეტებს თვითნებურად განაგებდეს.

მოკლედ, ისინდის წინააღმდეგ ყველაზე გავლენიანი ეროვნული მწერლის როსტომ ჩხეიძის მიერ ფარულად გამოცხადებულ ცივ ომს რომ არ შევეგუე და ჩვენი ჟურნალის მესამე ნომრის წინათქვამში ეს ამბავი გავახმაურე, საპასუხო დარტყმისთვის შინაგანად მოვემზადე; ჩემგან განსხვავებით ბ-ნ ჩხეიძეს პირდაპირი საბრძოლო ტაქტიკა არ იზიდავს; ჩვენში დარჩეს, როცა ვერაგული ჩანაფიქრის გასამართლებლად საფუძვლიან არგუმენტს ვერ წარმოადგენ, ისლა დაგრჩენია ფარული ხრიკებისა და ირიბი ინტრიგების ხლართებს მიმართო. წინარე გამოცდილებიდან გამომდინარე, ჩემს სამართლიან კრიტიკას ცნობილი მწერალი არსებით საბუთს ვერასდროს უხვედრებს; ამიტომ ჯერ თავისი მომხრე მომისია, რომელიც ამ ხელოვნურ დაპირისპირებაში ძალისძალად ჩაითრია, თორემ „მწვანეყვავილას“ რედაქტორ გიზო თავაძეს გულწრფელ პატივს ვცემდი კეთილგანწყობისა და სოლიდარობის გამოვლენისთვის. ორი წლის წინ მან თავისი მრავალფეროვანი ჟურნალის ფურცლებზე ცამდე მართალი მწერალი მინოდა და ჩემი ჯერჯერობით ბოლო პუბლიცისტურ-კრიტიკული კრებული „ძირს ომერთა!“ (2014) ერთობ დადებითად შეაფასა. და უცებ, ყველაფერი „დაუდგენელი მიზეზის“ გამო პირუკუ შეტრიალდა; ახლახანს გავლენიანი კოლეგისგან ნაქეზებულმა თანამოკალმემ ჩემი უმძაფრესი წერილის დაბეჭდვა საჯაროდ წამომაცხედრა, რომელიც სხვათა შორის როსტომ ჩხეიძის დასაცავად დაფენერე და „მწვანეყვავილაში“ იმავე როსტომმა საკუთარი სურვილით მიიტანა. შესაბამისად, ერთი წლის შემდეგ იმ სტატიის გამოქვეყნების დამადლება, რომლის

დაბეჭდვაც ჟურნალის რედაქტორისთვის არასდროს მითხოვია, თვალნათლივ მოწმობს, მოვლენების განვითარების არაჯანსაღი დინამიკა რამ განაპირობა. ამდენი ინტრიგით გულშელონებული მკითხველის რეაქცია: კი მაგრამ, ეროვნულად მოაზროვნე მწერლები სოლიდარობის ნაცვლად ერთმანეთს რატომ უპირისპირდებიან და ასე გააფთრებით რატომ ებრძვიან? რიტორიკული კითხვის ფონზე დაუსრულებელი ქართლის ჭირის აღმოუფხვრელ და ყველაზე სახიფათო სატკივარს ააშკარავებს, ჩვენს უიღბლო ქვეყანას ნელში გამართვის საშუალებას რომ უსპობს და ათასი ჯურის მტრის საჯიჯგნად წარბმუხრელად იმეტებს. „უჩემოდ ვით იმღერეთას“ კომპლექსი თვით უძლეველი კლანის მეთაურებსაც მოუშორებლად ღრღნით, რის გამოც საღად აზროვნების უნარს მოკლებულნი ახალი ეროვნული ჟურნალის გამოცემას სასიხარულო მოვლენად კი არა, სახიფათო კონკურენციად აღიქვამენ და სოლიდარობისა და თამნამშრომლობის ნაცვლად სამწერლო სივრციდან მის ორგანიზებულ გაძევებას უყოყმანოდ ხელს აწერენ! ცივი ომის ათთვიანი ფარული პერიპეტები სწორედ ამ უკადრისი მეთოდების გამოყენების მკაფიო ილუსტრაციაა, რაც სამზეოზე მაშინ ამოტივტივდა და ღიად გაცხადდა, როდესაც „ისინდის“ ჩასაძირად გამიზნული ბ-ნი ჩხეიძის დაუსრულებელი ხრიკები ჟურნალის წინაქმეში ფაქტებით ვამხილე და კულუარული ინტრიგების ხლართვის დიდოსტატი ვაიძულე მინიქვეშეთიდან ზევით ამოენაცვლა. ფაქტია, ამ გაუმართლებელი ცივი ომის გამომწვევ მიზეზთა წვდომას თავად როსტომ ჩხეიძის სატელევიზიო გადაცემა „ნიგნის თარო“ აადვილებს, რომელიც ახლახანს (29 აპრილს) იბერიის ეთერში გავიდა და საბოლოოდ ახადა ფარდა იმ უკადრის ჩანაფიქრს, რომელიც მანამდე საზოგადოებისთვის გაუმჟღავნებელი რჩებოდა და მხოლოდ ჩრდილიდან ქმნიდა არასასურველ დაძაბულობას. ამდენად ამ გადაცემის მიმოხილვა სავსებით უპრიანია, უხერხულ კითხვებს ამომწურავი პასუხი რომ გაეცეს. გადაცემის ავტორი თავად მოგვითხრობს ძალის თავი სად მარხია. მაშასადამე, ვისაც ყურნი აქუს, ისმინოს! ეს წერილი ბ-ნი ჩხეიძის გეზმომართულ სიყალბეთა სერიას დაწვრილებით წარმოაჩენს, რაც მკითხველსა და პატიოსან პუბლიკას საშუალებას მისცემს სრული სურათი მიუკერძოებლად, ფაქტების დახმარებით შეიცნოს და გაიაზროს.

ცოდვა გამხელილი სჯობს, რთულწაწნაგოვანი ურთიერთობისა და ტკბილ-მწარე გამოცდილების მიუხედავად ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, დიდი ხნის მოკავშირისთვის, რომლის ჟურნალსაც აქტიურად ვანვდიდი მძაფრ წერილებს და ერთგულად ვგულშემატკივრობდი, „ისინდის“ დაარსება ასეთი მომაკვდინებელი შეურაცხყოფა თუ გამოდგებოდა! 2016 წელს, „ჩვენი მწერლობის“ დახურვის შემდეგ

სამწერლო სივრცე პრაქტიკულად პარალიზების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, ვინაიდან სამთავრობო დაკვეთით დაფინანსებული „ახალი საუნჯე“ და „არილი“ კვლავ ეროვნული მწერლობის დისკრედიტაციას განაგრძობენ, რისთვისად დიდ თანხას იჯიბავენ. აქვე დავძენ: „ჩვენი მწერლობის“ პარალელურად დაფინანსების შეწყვეტის საბაბით გაჩერდა ჟურნალი „ლიტერატურული პალიტრა“ (რედაქტორი ზაალ ჩხეიძე); „ცისკარი“ იმდენად იშვიათად ფინანსდება, სალიტერატურო პროცესებში მონაწილეობას პრაქტიკულად მოკლებულია. „კავკასიური სახლის“ ბაზაზე ჰოლანდიელი ქველმოქმედის ეგიდით გამოცემული ჟურნალი „აფრა“ მაღალი დონის მიუხედავად ეროვნულ პროფილს არ ითავსებს (თანაც ნელინადში ერთხელ გამოდის), „ანეულს“ პუბლიცისტურ-კრიტიკული მიმართულება არ გააჩნია, „ამერიმერი“ ამ მხრივ ყველაზე აქტიურია, თუმცა საერთო ფონზე ერთი ეროვნული ბეჭდვითი ორგანო ლიბერასტების აგრესიული ზეობისას უთანასწორო ომშია ჩათრეული და სასურველ ამინდს ვერ ქმნის და აი, 2017 წელს, სასიკეთო გარდატეხის შესატანად და ბნელი ძალების მიერ დამძიმებული სალიტერატურო პროცესების გასაუმჯობესებლად სამწერლო ასპარეზზე მკვეთრი ეროვნული პოზიციის გამომხატველ ჟურნალი „ისინდი“ გამოდის, რომელიც ნამდვილი მწერლობის დაცვას, განვითარებასა და ეროვნული კულტურის განმტკიცება-შენარჩუნების იდეას უანგაროდ ემსახურება. ჟურნალის რედაქციის ფრიად სოლიდური შემადგენლობა, უპირველესად, თვალსაჩინო ვეტერანები: ლერი ალიმონაკი, ბონდო არველაძე, ციალა არდაშელია, გიგი ხორნაული, აკაკი ბრეგაძე, ჯერ კიდევ ჩვენს დაბადებამდე ეროვნული მწერლობის ღირსების დასაცავად შეუპოვრად იბრძოდნენ; ისინდში ყველა თაობის შესანიშნავი წარმომადგენლები შევკრიბე, რადგან თაობათა შეკავშირება ღირებული მიზნის განსახორციელებლად გამართულ უშელავათო ომში აუცილებელია. ჟურნალის სამმა ნომერმა არჩევანის სისწორე დაადასტურა. „ისინდში“ შემთხვევით ადამიანებს ან თუნდაც ძლიერ, მაგრამ ეგოისტურად მოაზროვნე, მხოლოდ კერძო გამორჩენაზე დამეცადინებულ თავკერძ მწერლებს არაფერი ესაქმებათ, ვინაიდან ჩვენი დევიზი :უმაღლესი იდეების, მართებული ტრადიციებისა და ჭეშმარიტი ფასეულობების დაცვას ითვალისწინებს; სამწერლო სივრცის გაჯანსაღება უბრძოლველად შეუძლებელია და ამიტომ აქ მხოლოდ საუკეთესონი ამბობენ გადამწყვეტ სიტყვას!

ეროვნულ-სახელმწიფოებრივ აზროვნებაზე ორიენტირებული როსტომ ჩხეიძე, ყველა საშუალებით (პრესითა თუ ტელევიზიით) დღენიადაგ მეტრძოლი პუბლიცისტობისთვის ენერგიულად რომ აგულიანებს უმკაცრეს საარსებო პირობებში ჩაყენებულ მწერლებს, (თითქოს ეს ადვილი საქმეა კონფორმისტებით

გაძეძგილ მოუწყობელ ქვეყანაში!) წესითა და რიგით მებრძოლი პუბლიცისტებით დაკომპლექტებულ ისინდის ფრიად სოლიდურ ბირთვის სიხარულით უნდა მისალმებოდა და ერთ-ერთი პირველი სათანადოდ გამოხმაურებოდა; მან კი თავისი მგზნებარე შეხედულებების საპირისპირო გზა აირჩია. ფუჭი დაპირებების ტაქტიკას ამოეფარა და საკუთარი ჩანაფიქრის შესანიღბად ყველაზე საყვარელი ნომერი-კატათავგობანა გაათამაშა. ამდენად, ეს ე. წ. სარეკლამო გადაცემა სინამდვილეში რისთვისაა განკუთვნილი, ამას გონებაგამჭრიახი პუბლიკა უშეცდომოდ მიხვდება და ვინც კვლავ გულუბრყვილობის სტადიაშია, მას სურვილის შემთხვევაში საფუძვლიანი არგუმენტების მეშვეობით შეუძლია სათანადო დასკვნა გამოიტანოს. მოკლედ, მიუკერძოებელი მწერალი სიტყვის გატეხვიდან ათი თვის თავზე, ისიც ჩემი წინათქმის გამოქვეყნების შემდეგ (სადაც ფაქტებით მივუთითე, სახელმწიფოებრივი აზროვნების მქადაგებელმა გავლენიანმა მწერალმა შეთავაზებულ თანამშრომლობას გამიზნულად რომ წაუყრუა და სიტყვის გატეხვაც არაფრად მიიჩნია) იძულებით კი არ უნდა გამოხმაურებოდა „ისინდის“ დაბადებას, თანაც იმდენად ტენდენციურად, სადაც ცხადად გამოჩნდა გავლენიანი მწერლის მონოპოლისტური ბუნება – რაც მე არ მექვემდებარება, ის უნდა დაიმცროს და გატრიზავდეს! როსტომის შეხედულება ლუი მეთოთხმეტის სიტყვებს ემთხვევა, რომელმაც ამპარტავნულად განაცხადა, რომ „სახელმწიფო ეს მე ვარ!“ როგორც ჩანს, უხერო ანალოგიის ეშხით ბ-ნ ჩხეიძეს ურყევად მიაჩნია, რომ ქართული მწერლობა მხოლოდ თვითონაა და მისი ნებართვის გარეშე აქ სხვების უნებლიე ჩახველება მონარქიული აბსოლუტიზმის პრინციპით სასტიკად აკრძალულია. მართალია ამ პრეტენზიას ერთგან ფრიად პროზაულად (მდაბიურადაც) ამხელს: „მწერლობა მხოლოდ ჩემი დასალაგებელიაო“ (ღმერთო მომკალი და ჩვენი ეპოქისთვის ნიშნული არაესთეტიური არსის მიუხედავად ჩემთვის დამლაგებლობა და მწერლობა ყოველმხრივ შეუთავსებელი მცნებებია!) მოკლედ, ამ მონოპოლიზმის არსის გამოსააშკარავებლად გადაცემა საუკეთესო სამხილია, რათა ჩვენი მსჯელობა ზოგად ექსკურსს არ დაემსგავსოს მაშინ, როდესაც „ნიგნის თარო“ კონკრეტული დასკვნის გამოსატანად არაერთ საგულისხმო ფაქტს გვთავაზობს. დიას, კვლავ ფაქტები და ფაქტები წარმოაჩენენ სიმართლეს, როსტომ ჩხეიძე საგანგებოდ რომ ნიღბავს და სარეკლამო ნისლში თვითნებურად ხვევს და მხატვრულად ამახინჯებს. გაყალბებების კვალდაკვალ ერთ დეტალს გამოვყოფ, რომელიც მავალდებულებს კოლეგის ნააზრევს პროფესიული კუთხით შევხედო; კერძოდ, ჩემი უშუალო სპეციალობა უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის კვლევაა, რასაც პირნათლად ვასრულებ; თანამედროვე

სამწერლო მოვლენებში აქტიური მონაწილეობა საქმეს მიაღვილებს; ამდენად, გაფუჭებული ტელეფონის ვარიანტს არ ვჯერდები ან სხვის მონაყოლს ბრმად როდი ვეყრდნობი, არამედ უშუალოდ პროცესში ჩართული მომხდარს ფაქტების მეშვეობით ვაანალიზებ.

როსტომ ჩხეიძის სატელევიზიო გადაცემის თანმდევი პირველი თვალისმომჭრელი სიყალბე: ნუცას სკოლის მოსწავლესაც მოეხსენება, რომ ნიგნისა თუ ჟურნალის განხილვა თავიდან იწყება. არადა, როსტომ ჩხეიძემ „ისინდზე“ საუბარი რატომღაც მესამე ნომრიდან დაიწყო. ჩამჭრელი კითხვის არსი ლოგიკურად იკვეთება: რატომ გააქრო ბ-მა მწერალმა და მეცნიერმა ჟურნალის პირველი ნომერი? რა მოტივით გადაეჯა და უხსენებელივით ტაბუ დაადო? პროზაულად რომ ვთქვათ: რამია საქმე, რამაც გამოცდილ მწერალს გზიდან გადახვევისკენ უბიძგა? დაინტერესებული მკითხველისთვის მას არც ჟურნალის სათაური განუმარტავს (თუ საკუთარი შეხედულების გამომზეურება ემიძიებოდა ან უდროობა აწვებოდა, ვინ ოხერი და მუდრეგი უშლიდა რედაქტორის წინათქმით ესარგებლა, სადაც ყველაფერი სათანადოდ, შეკუმშულად და ამავდროულად ამომწურავადაა მოცემული!), არც ჟურნალისთვის საგანგებოდ შექმნილი ექსკლუზიური გარეკანი (მარსიანის ნამუშევარი) უხსენებია, რამაც ჩვენი ჟურნალის თვითმყოფადობა სათავეშივე განსაზღვრა. ამის ნაცვლად „ისინდის“ სატელევიზიო გადაცემის ლოგოდ პუბლიკის თვალის ასახვევად მესამე ნომრის გარეკანი ააფრიალა, რომელიც მხოლოდ მომდევნო ნომრის ეფექტური ყდაა და არა ახალდაარსებული ჟურნალის ორიგინალური, სპეციალურად შექმნილი იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრის ღრმააზროვანი სიმბოლო; როსტომ ჩხეიძისგან განსხვავებით მასზე არანაკლებ სახელოვანმა და ავტორიტეტულმა მწერალმა და მკვლევარმა, ბ-მა ლერი ალიმონაკმა ყველაფერი მიუკერძოებლად გაიაზრა და „ისინდის“ პირველი ნომრის წარდგინებაზე სიტყვით გამოსვლისას საგანგებოდ განაცხადა, რომ „ისინდი“ ცისფერყანწელთა ორდენის ჟურნალის დაარსებიდან ზუსტად ასი წლისთავზე იშვა, რაც „ეროვნული მემკვიდრეობის უწყვეტობის შესანარჩუნებლად ღრმადმისტიკურ მნიშვნელობას იძენს“. ცხადია, ბ-ნი ლერის შეფასება ჩხეიძის გადაცემაში არ გაჟღერებულა, იმის მიუხედავად, რომ ეს სიტყვები მის მიერ ათვალწუნებულ ჟურნალის პირველ ნომერში კი არა, მეორე ნომრის წინათქმაში გამოქვეყნდა და თუ რატომ, ეს ადვილი მისახვედრია; როდესაც კონტექსტიდან ცალკეული, მხოლოდ ხელსაყრელი მომენტისთვის სასარგებლოდ ამოგლეჯილი ფრაზებით ხელმძღვანელობ, რაც ფაქტების გაყალბებას ემსახურება, ყველაფერი დღესავით ნათელია! ცხადია, ეს „დეტალი“ ერთ-ერთ ყველაზე ერუდირებულ და გამოცდილ მწერალს არ უნდა შემლოდა და არც შემლია. მსგავსი აბრუნდი

განგებ მოიმოქმედა, რათა ჟურნალის თვალშისაცემი ეროვნულ პროფილსა და მხატვრულ დანიშნულებაზე საუბარი სურვილისამებრ შეეკვეცა, გაეუბრალოებინა და ტენდენციურად მიეფუჩეებინა; პირველი გაყალბების კვალდაკვალ რაც არანაკლებ საინტერესოა, მან მოახერხა თავის გადაცემაში საერთოდ არ ეხსენებინა ჩემი რეკორდულად გახმაურებული (1010 გაზიარება) ლექსი „მოდმე“, ინტერნეტში ბომბივით რომ აფეთქდა და მრავალრიცხოვანი პუბლიკის სიყვარული და აღფრთოვანება ერთხმად მომიხვეჭა. ბ-ნი ჩხეიძე რომ ჩემს პოეზიას არ სწყალობს, ეს ადრიდანვე გამოჩნდა, როდესაც ჩემი ლექსები თავის ჟურნალში (16 წლის მანძილზე) ერთხელაც არ გააჭაჭანა, ხოლო შარშან გამოცემული ლექსების ახალი კრებული „ქვიშის გალაქტიკა“, პატივისცემით რომ ვუსახსოვრე, თავის უკიდვარო არქივში ისე დაამინა, ამავე „ნიგნის თაროში“ მის შესახებ კრინტიც არ დაუძრავს, მაშინ როდესაც საკმაოდ საეჭვო ხარისხის ლექსებსა და ავტორებს საჯაროდ ხოტბას ასხამს და მათ „შედეგებს“ წარბშეუხრელად უდიდეს პოეზიად გვასაღებს. გემოვნება გემოვნებად, მაგრამ როდესაც ჟურნალს პროფესიულად განიხილავ და პუბლიკის შეცდომაში შესაყვანად მსჯელობას უთავო მხედრის პრინციპზე აგებ, ეს გამიზნული სიყალბის გამოძახილია. „მოდმე“ ქართველობამ უკიდურესი ეროვნული მუხტის წყალობით უმაღ აიტაცა და შეიყვარა (შეუძლია ინტერნეტში კომენტარები და გაზიარება გადაამომოს, თუ ეს მის ჯანმრთელობაზე უარყოფითად არ იმოქმედებს!) და სადაური სამართალია, რისი წარმოჩენაც თვითონ ხელს არ აძლევს, ასე უხეშად, ყასბური პრინციპის გამოყენებით თვითნებურად მიჩქმალოს და აკრძალოს! ელემენტარული ობიექტურობის კრიტერიუმში ხომ არსებობს, რაც პირადი ხუმტურების ესოდენ უდიერ გამოჭენებას არ ექვემდებარება! ვისაც როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანები ნამდვილად ნაუკითხავს (მისდა სავალალოდ, „გენიალურ მკითხველთა“ ავანგარდშიც მის მხარდამხარ ვფლობ ამ ტიტულს!) უთუოდ ემასხოვრება, გალაკტიონის 100 ლექსით გამოწვეულ ფურორს სახალხო აღიარების კვალდაკვალ პაოლო იაშვილი როგორ ეწინააღმდეგება და ამ დრამატული მომენტის აღწერისას ბ-ნი ჩხეიძე როდენ დინამიკური მგზნებარებით ამუნათებს ცისფერყანწელს, საერთო განწყობას როგორ ეურჩებოდაო; რა სამარცხვინო ბოძზე აკრავს და რას აღარ უხსენებს! სხვისი, მით უფრო მიცვალებულების ცოდვებისა და შეცდომების მჩხრეკ პედანტ მეცნიერსა და უდრეკ მორალისტ მწერალს ვეკითხები: პაოლო იაშვილი საკმაოდ ცნობილი პოეტი იყო და გალაკტიონს პირველობისათვის რომ ეტოქებოდა, ეს საჩოთირო, თუმცა პოეტთა შორის გავრცელებული სენია, აი, თვითონ ჩემს საყველთაოდ აღიარებულ ლექსს, ასე უაპელაციოდ რომ დაადო ვეტო და სახალხო განწყობას

ასე თვითნებურად დაუპირისპირდა, მეცნიერულად განმარტოს და დაასაბუთოს, ეს იგნორირება რამ განაპირობა, მიუკერძოებლად აღიაროს: თუ ფარულად მენესტრელობას იჩემებს და აქამდე ამის გამხელის რცხვენია, ადგეს და მოძმის საპირწონე თუნდაც ერთადერთი ლექსი გამოიტანოს საერთო სამსჯავროზე, დაე, საზოგადოებამ თავად გადაწყვიტოს მისი დასაწუნი „მოდმეს“ რა სჭირს, ამირან გულში მღეროდას პრინციპი თუ ასე აწვალებს და არ ასვენებს! ხალხის მხარდაჭერას თუ ვერ მოიპოვებს, ჩემს შეფასებას შევაშველებ; მისგან განსხვავებით სხვების ღირსების აღიარება გულს არასდროს მიკლავს! წინააღმდეგ შემთხვევაში საქვეყნოდ გაპიარებული ლექსის იგნორირების გამო იმას უწოდებენ, რაც კეთილსინდისიერი მკვლევარისა და პროფესიონალის რეპუტაციას ისე ბლაღავს, რომ მის კვალზე დამდგარი დეტექტივის ლიცენზიით აღჭურვილ-შეიარაღებული ლიტერატორი ადრე თუ გვიან ამ ტენდენციურ აკრძალვას „ოპერატიულად ჩაავლებს“ და იმ იარღილს მიაკრავს, რასაც ამის მომკვარახტინებელი ერთმნიშვნელოვნად იმსახურებს! აკი ეკრანიდან მკითხველს ჩემი დადებითი დახასიათების დროს (ესეც არიფთათვის წინასწარ გამიზნული სატყუარა!) ურყევად არწმუნებდა, ისეთი უშიშარია, ისეთ პოლემიკებშია ჩართული, სულ წერილებს ბეჭდავს და არა მოთხრობებსა და ლექსებსო; ცინიზმის რამხელა ხარისხია, როდესაც ამას ამბობ და „მოდმეზე“ კრინტს არ ძრავ, თითქოს ეს მეტრძოლი ლექსი „ისინდის“ პირველი ნომრის საგანგებო რუბრიკაში :ერთი ლექსის გაელვება რომ დავარქვი, (ცნობისთვის, ამ რუბრიკას იგი საგანგებოდ გამოეხმაურა, დიდი ხანია ასეთი სიახლე: ერთი ლექსის წარმოჩენა არც ერთ ჟურნალში არა აქეთო. დასკვნის გამოტანა შენთვის მომინდია, კეთილსინდისიერო მკითხველო!) კი არა და გალაქტიკურ აღმანახის ვარსკვლავური ომების გამოშვებაში დაიბეჭდა! ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო, ამაზე ნათქვამი .

როსტომ ჩხეიძე არც ამ „დეტალით“ კმაყოფილდება და ჩემს პოეტურ ორიენტაციას საგანგებოდ აყალბებს. აქამდე მეგონა, მხოლოდ ჩემი მეტრძოლი პუბლიცისტური საქმიანობა აღიზიანებდა; ამ გადაცემის მიმოხილვისას გაირკვა, თურმე ჩემს აქტიურობას პოეტურ ასპარეზზეც ვერ ეგუება. არც მეტი, არც ნაკლები, თავგამოდებულ გრანელისტად მაცხადებს მაშინ, როდესაც „ისინდის“ სამივე ნომრის ანალიზი მსგავსი დასკვნის გამოტანის საფუძველს არ იძლევა იმის მიუხედავად, რომ გრანელი ნამდვილად მიყვარს, მისდამი მიძღვნილი ლექსები და რამდენიმე რადიოგადაცემა, აგრეთვე ლერი ალიმონაკის არაჩვეულებრივ ნიგნზე დადებითი გამოხმაურება (ჩემი წერილი „გრანელის ლანდის გამოხმობა“ შარშან „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე დაიბეჭდა) ამ მრავალნატანჯი პოეტისადმი პატივისცემისა და

სოლიდარობის დასტურია. ჟურნალის მეორე ნომერში მირზა გელოვანის გაუხმაურებელი ლექსი ტერენტი გრანელზე, უცნობი შტრიხის რუბრიკით რომ გამოქვეყნდა, ჩემი გრანელისტობის სამხილად ამკარად არ გამოდგება. კიდევ ვიმეორებ, ბ-ნი ჩხეიძისადმი ღრმა პატივისცემის მიუხედავად, მიმოხილვის დროს ქრონოლოგიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, რაც რატომღაც ჩვენი მეცნიერის მიერ უგულებელყოფილია. ამდენად, „ისინდის“ პირველ ნომერში, რომელსაც მან გვერდი სპეციალურად აუარა, საგანგებო რუბრიკა: „გალაკტიონი მარად ჩვენთან“, რომელშიც პოეტების გენიალური მეფის ლექსთან ერთად მარსიანის მიერ შესრულებული გალაკტიონის შესანიშნავი გრაფიკული პორტრეტი დაბეჭდილი. გასაკვირია პირდაპირ, თუ ტერენტის ამჩნევ, გალაკტიონი თვალში რატომ უნდა გეპატარავებოდეს, რომ უსიტყვოდ აკრძალო და მკითხველს ამ რუბრიკისა და ნახატის ამბავი გულდაგულ დაუმალო?! თუ რადგან ტერენტის სურათის ავტორი საქვეყნოდ აღიარებული ფერმწერი რეზო ადამია და გალაკტიონის პორტრეტის შემსრულებელი მარსიანი მას გავლენით (და არამც და არამც ტალანტის თვალსაზრისით!) ჩამორჩება, ისევე, როგორც თამარ ლომიძეს, რომელიც ნორვეგიულ-ქართულ ურთიერთობათა ცენტრის ხელმძღვანელია და ამიტომ მისი ეფექტური ყდა, ისევე, როგორც ბ-ნი რეზო ადამიას არაჩვეულებრივი სურათი, ბ-ნი ჩხეიძის ელიტარულ გადაცემაში დაუბრკოლებლად გაბრწყინდა?! აღიარებული და გავლენიანი ხელოვანების ტრფიალი რომ როსტომ ჩხეიძის სისუსტეა, ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რის გამოც კოლაბორაციონიზმში აქამდეც არაერთხელ ვამხილე, თუმცა ამჯერად ამ თემას აქ არ გამოვეკიდები; კვლავ გალაკტიონს დავუბრუნდეთ. რაც თავი მახსოვს, მე პოეტთა გენიალურ მეფეს – ყველაზე წინ ვაყენებ და საკუთარ პოზიციას მუდამ თანმიმდევრულად და გაბედულად გამოვხატავ. (ცალკე თემაა, ინტერნეტსივრცეში გალაკტიონის მონიშნულდგევთან გააფთრებულ ომებს რომ ვანარმოებ, რისი შემონიშნებაც, ცხადია, ხელმისაწვდომია) ცნობისთვის, ჩემს ახალ კრებულს „ქვიშის გალაქტიკას“ ასეთი წარწერა ამშვენებს: „ნიგნი ეძღვნება პოეზიის ღმერთს – გალაკტიონს“; კრებულის (პირველი ლექსიც სწორედ მისდამი ჩემს დამოკიდებულებას ასახავს.) ცხადია, ყველაფერი სავსებით გარკვეულია და აქ იმის ახსნა ზედმეტ დროს ნავართმევს, გალაკტიონს სხვებთან შედარებით უპირატესობას რატომ ვანიჭებ; ბ-ნი ჩხეიძე საკუთარი შეხედულებების საყოველთაო ექსპანსიის გარდა ცნობილი მწერლებისა (მის გარდა სხვა ცნობილებიც არსებობენ ცხადია!) და კრიტიკოსების მოსაზრებებით რომ დაინტერესებულიყო, უთუოდ შეიტყობდა, რომ კოლეგები ჩემს პოეტურ მემკვიდრეობას გალაკტიონის ინტეგრალურ პოეზიასთან აკავშირებენ, თუნდაც

მარსიანისა და ლევან ბებურიშვილის შეხედულებებს გასცნობოდა, (სხვებს აქ ვერ დავიმომნებ, წერილი ჩემს პოეზიაზე მსჯელობით რომ არ გადაიტვიტოს) მაშინ საზოგადოებას ასეთ ნონსენსს არ ააფარებდა ცხვირწინ! ასე სადაა, რაც მოგეპოიანება, პუბლიკას წარბმეუხრელად აუნყო და სინამდვილეს ანგარიში არ გაუწიო, აქაოდა, გავლენიანი კლანის მეთაურს ყველაფერი ეპატიებაო. კაცი რომ უყოყმანოდ გასწავლის, შენზე უკეთ ვიცი, ვინ გიყვარს და ვის აღმერთებო, ამას რომელი ფსიქოლოგიური სქემა უნდა მიუსადაგო, განათლებული მკითხველისა და პირუთენელი კოლეგების თავისუფალი არჩევანისთვის მიმინდია! რადგან თვითონ გალაკტიონოლოგიის ცენტრის თანამშრომელია და აქაც საკუთარ შეხედულებებს მეცნიერულად აყალიბებს, ჰგონია კაბინეტს მიღმა მის უნებართვოდ გალაკტიონის სიყვარულის დაჩემება სხვებისთვის სამხედრო დანაშაულია! მოკლედ, გალაკტიონოლოგიის მედგარ მებრძოლადაც თვალში ვეჩხირები და ამიტომ სასწრაფოდ გრანელისტად გამამწესა, ის კი აღარ ადარდებს, პოეტ სერგი ლომიძეს – ამ სტაჟთან „ტერენტომანს“ „რა განსაცდელში აგდებს, როდესაც თავგადაკლულ გრანელისტს ამ ასპარეზზე ჩემი სახით „მრისხანე კონკურენტს“ გადაულოცავს! დიახ, ამდენი სიყალბის გადამკიდეს თუ ირონია მერევა, რა გასაკვირია, ბ-ნი მწერალი ხომ თვითნებურად „ზრუნავს“ და უბოდიშოდ წყვეტს ვინ გალაკტიონოლოგიას მიამაგროს და ვინ გრანელისტად გადაკეთდეს! სწორედაც ამ მიზეზით მარსიანის ბრწყინვალე წერილი „გალაკტიონი და გრანელი“, ისინდის მესამე ნომერში რომ დაიბეჭდა, მისი ქების საგნად ვერ იქცა, რადგან მარსიანის მეცნიერული კვლევა მთლიანად ფაქტებს ემყარება, რაც როსტომ ჩხეიძეს ხელს არ აძლევს ის ამტკიცოს, ჟურნალის მიმართულებას რაც განსაზღვრავს და თვითნებურ ჩარევას არ ექვემდებარება. ჩემი არ იყოს, მარსიანიც მოურჯულებელი „გალაკტიონოლოგია“ და ბ-ნი ჩხეიძეს სწორედ ეს არ ეპიტნავება; სანამ თვითონ გალაკტიონოლოგიის ცენტრის თანამშრომლად მიიწვევდნენ, მის გამოჩენამდე გალაკტიონოლოგიის სამეცნიერო კრებულებში მარსიანის შესანიშნავი წერილი გამოქვეყნდა. ასეა, როცა მონოპოლიზმით ხელმძღვანელობ და ყველას ამ კუთხით განიხილავ და საზღვრებს ამ სტანდარტის მიხედვით თვითნებურად უწესებ. რომ იტყვიან, ყველაფერს თავისი მოტივი გააჩნია და რა ძნელი მისახვედრია, მარსიანი შერისხულთა რიცხვში აღმოჩენილიყო. ამიტომაც მის მიერ შექმნილი ჟურნალის ორიგინალური ყდა არც გადაცემაში აჩვენეს; უფრო მეტიც, მრავალმხრივი ხელოვანი არც მხატვრად მოიხსენია არადა, წლების წინ ის „ჩვენი მწერლობის“ ერთ-ერთი გამორჩეული ავტორი იყო. ცალკე თემაა, მარსიანმა როსტომ ჩხეიძის სახელოვანი მამის ნიგნებზე სახობტო წერილი რომ არ დანერა, საკუ-

თარ თავს განაჩენი ზუსტად მაშინ რომ გამოუტანა. ეს საკმაოდ ვრცელი საკითხია და ამის თაობაზე ყველა მწერალს მშვენივრად მოეხსენება; ვინც ამ რედაქციის კარს შეაღებდა, ოთარ ჩხეიძისადმი დადებითი დამოკიდებულება წერილობით უნდა დაედგინებინა. სხვა თემაა, რომ ცნობილი და ცენზურისგან ნატანჯი მწერალი დაფასებასა და აღიარებას თავისი მოღვაწეობით ნამდვილად იმსახურებს. სხვაგვარად, მამა-შვილის ერთდროული მატყვარე როსტომ ხანის, უკაცრავად, ბ-ნი როსტომის კარზე პრივილეგიებსა და დანინაურებას ვერასგზით ეღირსებოდა. სხვათა შორის, სამი წლის წინ მის ღირებულ პუბლიცისტურ ნიგნს „პოლიტიკური აქცენტები“ ვრცელი რეცენზიით გამოვეხმაურე, თუმცა პირუთვნელ როსტომ ჩხეიძეს, რომელიც მამამისის მემკვიდრეობის მედგარი დამცველი და პოპულარიზატორია, თავის სატელევიზიო სამფლობელოში არც ამის შემდეგ მივუწვდევარ. ფაქტია, ჩემი აქტიურობა არც ამ განხრით ეამა. მე გამონაკლისი გამოვდექი, როგორც ყოველთვის; ფაქტია, ეს თავიდანვე დამებედა...

ჟურნალის მონინავე სტატიების იგნორირების ხელოვნებას როსტომ ჩხეიძე რომ დიდოსტატურად ფლობს, ეს კიდევ ერთხელ მაშინ გამოჩნდა, როდესაც მან კრინტი არ დაძრა მარსიანის უმნიშვნელოვანეს წერილზე “ზვიადი და მამარდაშვილი”, (ეს წერილი ჟურნალის პირველ ნომერში გამოქვეყნდა) რომელშიც ეს ორი სახელგანთქმული ფიგურა და მათი თანმდევი პერიპეტები ფსიქოლოგიურ ქრილში ძალზე ზუსტად და ორიგინალურადაა გააზრებული; მამარდაშვილის პროვოკაციული ფრაზების მართებული განმარტება ფარდას ხდის გაუნელებელი მეტოქეობის მოტივს, მამარდაშვილი მონამე პრეზიდენტის მიმართ ესოდენ აგრესიულად რომ ავლენდა და რასაც რატომღაც სხვებმა ზუსტი ახსნა ვერ (ან არ) გამოუტანეს. ეს თემა დღესაც საკმაოდ აქტუალურია, მასზე კვლავ დაუცხრომლად მსჯელობენ, ქვეყნდება სტატიები, რაც ცხადია, ცნობილი მწერლის მხედველობის არეშია მოქცეული. მოკლედ, ამ ფეთქებად თემას გვერდს გულგრილად ვერავინ უვლის. მარსიანი ღრმავაროვანი ანალიზის საფუძველზე ლიბერალისტების გურუდ გამოცხადებული აღიარებული ფილოსოფოსის ოდიოზურ გამონათქვამებს საფუძვლიანად განიხილავს; ზვიადისა და მამარდაშვილის საკითხი მის მომდევნო ვრცელ წერილშიც ცენტრალურ ადგილს იკავებს. აქ მარსიანი ფილოსოფოსსა და მწერალ გოჩა გვასალიას სამართლიანად ეკამათება და ამუნათებს, რადგან ამ უკანასკნელმა ზვიადის მხურვალე მხარდაჭერის შემდეგ უცბად პოზიცია მკვეთრად შეცვალა და სამარცხვინო უპრინციპობის გამოვლენის ფონზე მონამე პრეზიდენტს უზომო ქების საპირწონედ თავს უშვერი ლანძვა-გინება დაატება. ვის ვის და როსტომ ჩხეიძეს სოლიდარობის ნიშნად ამ წერილებზე ხმა უნდა ამოე-

ლო, რადგან თავად ზვიად გამსახურდიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი სექულტანიანი ბიოგრაფიული რომანის “ეკლის გვირგვინის” ავტორია, რის გამოც სასტიკად გააკრიტიკეს; თქვენი მონა-მორჩილის საპასუხო სტატია, მის დაცვას მიზნად რომ ისახავდა, საფუძვლად დაედო იმ ვნებათაღელვას, რომლის გამოისობითაც როსტომის მიერ “ჟურნალ „მწვანეცვაილაში“ გამოქვეყნებული ჩემი მძაფრი პუბლიკაციის გამო ლამის ქუთაისური ჟურნალი დახურეს. ერთი წლის შემდეგ იმავე როსტომის ნაქეზებით სწორედ ამ აკრძალული წერილის დაბეჭდვა წამომაცვედრა ჟურნალის რედაქტორმა გიზო თავაძემ, რომელიც როსტომ ჩხეიძის სარედაქციო პოლიტიკის ერთგული გამტარებელია და მის კონტროლს უსიტყვოდ ექვემდებარება. ასეა, როცა მონოპოლიზმი მძლავრობს და მწერლური სოლიდარობის, ერთსულოვნებისა და ხელშეწყობის მაგივრად წინა პლანზე არაჯანსაღი ვნებები გადმოდის. როსტომ ჩხეიძის უცვლელი კურსი- მონოპოლია ყველა კარდინალურ საკითხზე სახეზეა და ვინც მის მიერ წინასწარ მონიშნულ თემებზე უნებართვოდ წერილებისა და ნიგნების დაბეჭდვას გაბედავს, ამ გავლენიანი „იმპერატორისგან“ რაც ელის, უკვე ცხადია! ამდენად, არ გამკვირვებია, პირუთვნელმა მწერალმა ზვიადის თემაზე ჩემი უმწვანესი პუბლიკაცია რომ საკმაოდ ბუნდოვან და ზოგად კონტექსტში გაკვრით მიმოიხილა. არადა, სამი წლის წინ, ცნობილი ამერიკელი მეცნიერისა და პოლიტოლოგის, სტივენ ჯონსის ფრიად ტენდენციური და ვრცელი ნიგნი „საქართველო, პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ“ კრიტიკის ქარცეცხლში რომ გავატარე, თავის ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“ გზა დაუბრკოლებლად გაუხსნა. ზვიადის ლენინთან შედარება ამერიკელების ანტაგონიზმს ცხადყოფს და მეც, ეს საჭირობოროტო წერილი მკითხველებისა და კოლეგების თხოვნით „ისინდში“ ხელახლა გამოვაქვეყნე; თუმცა ის პროდუქცია, რაც ბ-ნი ჩხეიძის ტერიტორიის მიღმა დამოუკიდებლად ვრცელდება, ცალსახად შერისხულია და ტაბუირებული. ამდენად, მე და მარსიანი კვლავ საკვანძო საკითხთან მიმართებისას როსტომ ჩხეიძის მიერ „დაბრონილ“ და მისაკუთრებულ თემას მერამდენედ შევეჯახეთ და „ნილში ჩავუჯექით!“ როცა მწერლების მართვის აზარტს მწერლობის განვითარებასა და დაცვაზე წინ აყენებ, მსგავსი ქმედება გარდაუვალია!

მოკლედ, ბანალური ქეშმარიტებაა, რომ ჟურნალის დედაზრი პირველ ნომერშია გაცხადებული და მისი გამოტოვება ნონსენსი კი არა, გამიზნული გაყალბებაა, რისი უფლებაც გაუნაფავ დილეთანტსაც კი არ გააჩნია, არათუ საქვეყნოდ აღიარებულ და პატივდებულ, ტიტულოვან, ისიც მეტრძოლი მწერლის შთამომავალ ცნობილ მკვლევარს, თავის მრავალრიცხოვან ნიგნებში არაკეთილსინდისიერ მწერლებს

საველე სასამართლოებს ხალისით რომ უმართავს! ჟურნალი აჯაფსანდალის პრინციპს არ ექვემდებარება, თავი და ბოლო ერთმანეთში განურჩევლად აურიონ რაც არ გასურს, ის საერთოდ გამოტოვო, აქაოდა ჩემი საავტორო გადაცემა და რაც მნებას, მხოლოდ იმას ვიტყვი და ვერავინ მომედავებო. „კარგი ცხენი მათრახს არ დაიკრავსო“ ნათქვამია; პროფესიული მიუკერძოებლობის დაცვა რომ სავალდებულოა, ამას წყალი არ გაუვა, თუკი სოლიდურ მწერლობასა და მეცნიერებას ემსახურები და მარტოოდენ გავლენიანი მონოპოლისტის ხუმტურების დაკმაყოფილებას არ ესწრაფვი, რაც ყველაზე მეტად მისთვისაა საზიანო, ვინც გამიზნულ სიყალბეს წმინდა წყლის სიმართლედ ასაღებს! ვინც არ უნდა იყო, ყოველთვის ყველა არ გაგიჩემდება; თვით უკიდურესად ქაოტურ და დაკნინებულ დროშიც აღმოჩნდება თუნდაც ერთადერთი პიროვნება, ვისაც გამბედაობა ეყოფა სამართლიანობის დასაცავად ხმა აღიმალლოს და უყოყმანოდ დაიძახოს, რომ მეფე შიშველია!

მონოპოლისტური ბუნების ადამიანი თანასწორუფლებიან კოლეგებთან სრულფასოვანი თანამშრომლობის ნაცვლად გარს მორჩილ ქვეშევრდომებს იკრებს და მათ მართავს. შესაბამისად, მისთვის სხვა, ვინც მასზე არანაკლებ ცნობილი და აქტიურია, მიუღებელია. ამიტომ არ გამკვირვებია, როსტომ ჩხეიძის სატელევიზიო მიმოხილვაში ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, ერეკლე სალღიანი ეპიზოდურად და ისიც, მხოლოდ ც ნაწილაკით რომ „გამოირჩა“. აქ იმის მოყოლას არ შეუდგები, ბ-მა როსტომმა ჯერ კიდევ შარშან, მე და ერეკლე ეფემერულ გადაცემაში რომ მიგვიწვია, თითქოსდა „ისინდს“ რომ უნდა დათმობოდა; აქვე თავისებურად იხუმრა, ერეკლეს გადაცემის ჩანერას მე დავასწრებო, თუმცა ყველაფერი პირუკუ წარიმართა. „ობიექტივის“ ტელეთერში გაშუქებული „ისინდი“ საკმარისი მიზეზი გამოდგა საიმისოდ, ერეკლე სალღიანს ამ მიზეზითაც გადაჰკიდებოდა. პროფესიონალიზმი პირადი სიმპატიანტიპატიის მოთოკვას გულისხმობს, რაც სწორუპოვარი ეროვნული გმირისა და შესანიშნავი პოეტის, მერაბ კოსტავას მართებული შეხედულებით ჯოჯოხეთურად რთულია, რადგან პუბლიცისტისგან მიუდგომლობასა და პირუთვნელობას მოითხოვს; ცხადია, გამოჩენილი მოღვაწეების ცხოვრების ამსახველი ბიოგრაფიული რომანების შექმნა იმის გარანტიას არ იძლევა, მათი ცხოვრების სტილი და მრწამსი ბიოგრაფიის მემკვიდრეობით გადაეცეს (ეს არც ნიგნებში ისწავლება და არც მრავალწლიანი გამოცდილებით შეიძინება. ღვთის ნებითა და განჩინებით, ასეთად უნდა დაიბადო!) ერეკლე სალღიანის სახელს ამ ჩხვლეტით არც არაფერი დააკლდება, მაგრამ მიმოხილვის რეპრესირებულ ნევრებს, რომლებიც ბ-მა მწერალმა რატომღაც საერთოდ არ ახსენა, ბუნებრივ-

ია, პროტესტის განცდა თუ აღეძრათ. საინტერესოა დავით არახამიამ, ვანო გელაშვილმა, გიო კილაძემ, ბადრი პატაშურმა, დარეჯან ლომთაძემ, ლელა ხორნაულმა, ნანა ერემაძემ (ცნობისთვის, ამ ქალბატონის შინაარსიან სტატიებს წლების წინ როსტომ ჩხეიძე ჟურნალ „ომეგაში“ ხალისით აქვეყნებდა!), მარინა ხუჭუამ და ნინო მარგველაშვილმა ისეთი რა დაუშავეს, ჩვენმა პირუთვნელმა მსაჯულმა ინდიელების მსგავსად სარეზერვაციო ბანაკში რომ გამოამწყვდია და მათი მისამართით თითო თავაზიანი წინადადებაც არ გამოიმეტა?! არ შევსწრებოდი მაინც (თანაც რამდენჯერ!) თავისი ჟურნალის მეშვეობით რა ზნისა და ყაიდის ავანტიურისტებს გზას პომპეზურად რომ უკაფავდა და საავკაცოდ, უკაცრავად, სამოქმედოდ ხელს ხალისით უწყობდა! სადაური წესია, მიმოხილვის დროს შერჩევითი პრინციპით ხელმძღვანელობდე და ავტორებს ძალაუწებურად ერთმანეთთან აპირისპირებდე და უსიამოდ წარმოაჩინდე? ამას ჯობია, არავინ დაასახელო ან ყველა ავტორი თუნდაც ზოგადად დაახასიათო, გული არავის დასწყვიტო, როგორც ამას განხილვის აკადემიური ფორმატი ითვალისწინებს. ესეც მორიგი გაყალბება.

„სასურველ ჩამონათვალში“ მარინა ხუჭუასა და ნინო მარგველაშვილის გამოტოვება იმ „წვირილმანმა“ განაპირობა, რომ ეს ორი შესანიშნავი ქალბატონი დროდადრო ჩვენს ჟურნალს ფინანსურად გარკვეულწილად შეენევა; ცხადია, ჩემს წინათქმაში მათ მხარდაჭერისთვის მაღლიერებას ვუდასტურებ, რაც როსტომ ჩხეიძის ყველგანმხედ თვალს არ გამოპარვია და ნახეთ, ეს დეტალი სათავისოდ როგორ გამოიყენა: რადგან „ისინდი“ დამოუკიდებლად ფინანსდება და ჟურნალის გამოსაცემად საჭირო თანხის შესაგროვებლად კარდაკარ ჩამომათხოვრების ტრადიციას არ მისდევს, ეს გარემოება ჟურნალის სარედაქციო პოლიტიკის მიუკერძოებლობასა და გაბედულებას განსაზღვრავს; სხვაგვარად, „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნის“, რაც ცენზურისგან სულმხეუთული კოლეგებისთვის ჩინური ანბანის ტოლფასია. ასეა, როდესაც სხვის დაკრულზე არ ცეკვავ და სიმართლეს საკუთარი რისკით ემსახურები, როცა ვაჟასი არ იყოს „ჩვენ საქართველოს ვშველით ჩვენის ხარჯითა“, ეს კი ფაქტია, სამთავრობო ელიტისა და კულტურის სამინისტროს ბობოლა მესვეურებზე არანაკლებ მწერლობის გავლენიანი კლანების მეთაურებსაც არანაკლებ აფრთხობთ და აღიზიანებთ; ის, ვინც მათ კონტროლქვეშ არ მოექცევა, დაუძინებელი მტერია და ამიტომ ორგანიზებულ ბოიკოტს უცხადებენ! როსტომ ჩხეიძის ათთვიანი ცივი და სასტიკი კულუარული ომი სწორედ იმ უკადრის ბრძოლის გამოძახილია, როცა რეგიონებში თავისი ერთგული ხალხის წყალობით გზა მოგვიჭრა და ამ ხნის განმავლობაში „ისინდი“ საყველპუროდაც არ ახსენა! თვით „მწვანეყვავილას“ რედაქტორმაც კი

არ იცოდა, თუ ახალი ჟურნალი დავაარსე და ეს ამბავი რომ შეიტყო, გულწრფელი დაინტერესება გამოხატა, თანამშრომლობაზეც დამთანხმდა, სანამ საქმეში რუხი კარდინალი არ ჩაერია და ქუთაისური არხიც ჩვეული მანერაც არ გადაგიკეთა. ამდენად, სატელევიზიო მიმოხილვის დროს ემიგრანტული რუბრიკის იგნორირება (დააკვირდით, როცა ყველა რუბრიკას განიხილავენ და მაინცდამაინც იმას არ აშუქებენ, რომელთან კავშირაც სასიცოცხლოდ აუცილებელია ყველგან გაფანტული ქართველობის ეროვნული ცნობიერების შე სანარჩუნებლად!) ვის წისქვილზე ასხამს წყალს. ბ-ნი ჩხეიძეს ჰგონია, „ისინდი“ მთლიანად ამ კეთილშობილი მანდილოსნების სახსრებით გამოდის და ამიტომაც უმალ გადაწყვიტა სატელევიზიო ვენდეტის წყალობით „არამკითხე მოამბეები“ გაეფრთხილებინა, ამ „უმადურ საქმეს“ შეშვებოდნენ თუ მისი კეთილგანწყობის მოპოვებას ელტვოდნენ! მოკლედ, ცივი ომის ტაქტიკა რომ გაუცუდდა, ახლა მსოფლიო ბანკის რეცეპტები მოიშველია და ჩემს ბირთვში „მდიდარი კაპიტალისტების“ დაშინება-გადაბირების კამპანია წამოიწყო, აქაოდა, ეკონომიკური სანქციების გატარებით ეგებ ამ იკა ქადაგიძეს ჟურნალის გამოშვების სახსარი მოეუსპოო. ბრავო და ბარაქლა ნაპოლეონ! რაც მართალია, ეს ტიტული მე შეგიორჩიე და თუ არ გახსოვს, შეგახსენებ, რომ ნაპოლეონს ვატერლოოს შემდეგ უარესი განსაცდელიც წამოეწია, რასაც ცხადია, არავის ვუსურვებ, მით უფრო მოკავშირეს, რომელსაც „ისინდი“ იმგვარ ელეთმელეთს ჰგვრის, რომ არსებულ სინამდვილეს ანგარიშს ველარ უწევს და სრული სერიოზულობით აცხადებს, რომ თბილისში პროლემტმწერლების მსგავსი „ახალი საუნჯისა“ და „არილს“ ზეობის ფონზე (ეს ჟურნალებიც ჩემი მემკვიდრეობით გააკრიტიკა, აქ კვლავ ჩემი წერილის ამონარიდები დაიმონმა!) ღირებული ეროვნული ჟურნალი მხოლოდ „ისინდია“; ცხადია, ამ წინააღმდეგობრივი განხილვის ფონზე, თან მათრახისა და თაფლკერის მონაცვლეობით ასოციაციურად მიხეილ ჯავახიშვილის ჩინებული რომანის: „გივი შადურის“ ერთ-ერთი სახასიათო გმირის, სტეპანიდას, მონოლოგს რომ წაგავს (სტეპანიდა განრისხების ჟამს ქმარს მოსაკლავად დასდევდა, ხოლო გონს მოეგებოდა თუ არა, ფეხებს უკოცნიდა და ცრემლმორეული ლოცავდა!), ეს განაცხადი ჩემს ანტიმონოპოლურ პატივმოყვარეობას საამოდ რომც ელამუნებდეს, ობიექტურ სურათს ცალსახად გამორიცხავს; ვთქვათ, მომავლის ყველა მკვლევარი გაბრიყვდა, ცნობილი მწერლისა და მეცნიერის, როსტომ ჩხეიძის საარაკო მესხიერებას (ეს მისი ერთგული სატრაპის, სოხუმური ფრთის კრიტიკოსისა და გემოვნებიანი ლიტერატორის, მარინე ტურავას ციტატაა) შეუომონებლად ენდო და დაწერა, რომ 21-ე საუკუნის 20-იან წლების ლიტერატურული პერიოდიკა მხოლოდ „არილს“, „ახალ საუნჯეს“, „მწვანეყვავილა-

სა“ და ისინდს“ მოიცავდა, შემთხვევით თბილისში გამოცემულ სხვა ჟურნალებს: „ამერიმერს“, აფრას“, „ანეულსა“ და „ცისკარს“ რომ წაანყდეს, როგორ გგონიათ, ბ-ნი როსტომის ხათრით თვალებს დაითხრის სიყალბე სასურველ სინამდვილედ რომ გაასაღოს თუ გადაწყვეტილად დაასკვნის, რომ ამგვარი სიყალბის აღმოჩენისას აქ გამიზნული აფიორა გათამამდა!

ცოდვა გამხელილი სჯობს, არც მე გახლავართ სრულყოფილების განსახიერება, ადამიანური სისუსტეები რომ არ გამაჩნდეს, მით უფრო, როდესაც „ამერიმერის“ რედაქტორის გარდა, (აქვე დავძენ, „ცისკრის“ რედაქტორთან არანაირი ნაცნობობა არ მაკავშირებს) დანარჩენი რედაქტორების მხარდაჭერა ვერასგზით მოვიპოვე, იმის მიუხედავად, რომ მათ დასაცავად არაერთხელ ისევ და ისევ კოლეგიალური სოლიდარობის ნიშნით გასჭვალული სამართლიანობიდან გამომდინარე, უანგაროდ მიბრძოლია, სანაცვლოდ კი ზუსტად იმგვარი პიტალო უმადურობა მიმიღია, რასაც როსტომ ჩხეიძის მხრიდან ამჟამად ვეხლები, თუმცა ეს ცალკე თემაა და აქ ამის განვრცობა სრულიად ზედმეტია.

გადამწყვეტი მნიშვნელობა ეკისრება მესხიერებას, რომელიც მწერლისა (ზოგადად ხელოვანის) და მეცნიერის შემოქმედებითი მემკვიდრეობის განსაზღვრის პროცესში სხვადასხვა ფაქტორთა შეჯამებისას მის მიუკერძოებლობასა თუ ტენდენციურობას ავლენს. სხვების ციტატების გარეშეც მშვენივრად მომხსენება როსტომ ჩხეიძის „საარაკო მესხიერების“ ამბავი; მხოლოდ მარინე ტურავას მოსაზრების საპირისპიროდ, ამ მესხიერების გამო მისი პატრონის სრულებითაც არ მეშინია და თუ რატომ, ამას ახლავე გავამჟღავნებ. როსტომ ჩხეიძის ერთ-ერთი საინტერესო ნიგინი „ორშაბათიც შაბათია“ იმ დრამატულ პერიპეტებზეა აგებული, 2004 წელს „ომეგაში“ შევარდნილმა სააკაშვილის ზონდერებმა რაც ამ გამომცემლობასა და მის ხელმძღვანელს, საქმოსან ზაზა ოქუაშვილს თავს დაატყეს. ეს ვარდოსნების პირველი სასტიკი, საჩვენებელი რეპრესია იყო ურჩი ბიზნესმენების დასატერორებლად, ვინც მათ დაკრულზე არ იცეკვებდა და სააკაშვილის მთავრობის ოდიოზურ სურვილებს მორჩილად არ შეასრულებდა. ამ ბარბაროსული რბევის შედეგად შეჩერდა აღმოსავლეთ ევროპაში საუკეთესოდ აღიარებული სტამბა, გაზეთი „ახალი ეპოქა“, „ჟურნალი „ომეგა“, დააპატიმრეს „ჩვენი მწერლობა“ (იმჟამად გაზეთის სახით გამოდიოდა); სიმბოლური აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ ამ დაპატიმრებულ ნომერში ჩემი და მიხეილ ლანიშაშვილის ერთობლივი ინტერვიუ გამოქვეყნდა მწერალთა კავშირის მოსალოდნელი რეორგანიზაციის თემაზე, რაც იმ დროს ყველაზე აქტუალური საკითხი იყო და მწერლებისგან გაბედული პოზიციის გამოხატვას ითხოვდა. მახსოვს, დატუსაღებული ნომრის კომპიუტერული ვერსიის დანახვაზე გული როგორ შემეკუმმა. არც ამას დავჯერდი. როგორც კი

ტელევიზიით გადმოსცეს, ზონდერები ალ. ორბელიანის სალონში როგორ შეცვივდნენ, ოჯახის წევრების ენერგიული პროტესტის მიუხედავად მაშინვე ამ ალყაშემორტყმულ შენობას მივაშურე, სადაც როსტომის გარდა ორად ორი ადამიანი, მისი უახლოესი მეგობარი, ცნობილი მწერალი და მთარგმნელი, გიორგი ლობჯინძე და დრამატურგი ირაკლი სამსონაძე დამხვდა; სხვა არავინ ჩანდა. „ჩვენი მწერლობის“ მსუყე ჰონორარებით განებივრებული მწერლების უმრავლესობა შტურმის შიშით ბუჩქებში შეყუჟულიყო და განსაცდელში ჩავრდნით მფარველს სათოფეზე არ ეკარებოდა. ვარდოსნების წინააღმდეგ გამართული პირველი საპროტესტო მიტინგი აქედან აგორდა და როდესაც როსტომმა გვკითხა, ვუერთდებოდით თუ არა, მანქანაში უყოყმანოდ ჩავჯექი და რუსთაველზე ჩამოტარებული კუბოს პროცესიას აყოლილ ხალხს შევეურთდი. ამ პერიოდში „დიახის“ შეკრებებზე ვცდილობდი მწერლები ამ საშინელი მოვლენის გასაპროტესტებლად სოლიდარობის ნიშნად დამერაზმა, თუმცა გაბედული და კეთილსინდისიერი ადამიანები საქართველოში მუდამ თითზე ჩამოსათვლელია; ამის მიუხედავად, უკან არ დამიხევია, მწერლების უმადურობისა და ლაჩრობის შემყურეს არც გული ამცრუებია; საშინალოდ თავგადასვლულ როსტომს რედაქციაში ერთგულად ვაკითხავდი, მუდამ ერთი მუჭა ადამიანები რომ ეხვია, მათგან ყველა ოდესღაც აქ მუშაობდა და საერთო პროტესტის ფონზე საკუთარი ინტერესიც ამოძრავებდა, ცხადია. ერთხელ მძაფრი სულისკვეთებით გამსჭვალული მისდამი მიძღვნილი ლექსიც მივუტანე, რომელშიც მის შინაგან ვაპროტესტებდი. მართლაც საოცარი დრო იდგა! ვარდოსნებისგან აყირავებულ ქვეყანაში ყველაფერი რეპრესიებმა მოიცვა, რაც ჩვენს თვალწინ მიმდინარეობდა და როდესაც ამ სისხლიანი მოვლენების ამსახველი წიგნი „ორშაბათი შაბათია“ ნავიკითხე, დრამატული ამბების წყება გაცოცხლდა, ამოძრავდა, სისხლიანი ოხმივარი ხელახლა შემომასუნთქა. ამ წიგნმა ერთიანად შემძრა. როსტომ ჩხეიძის საარაკო მესხიერების შესახებ აკი სხვების ნაამბობი არ მჭირდებოდა, თავადაც არაერთხელ დავრწმუნებულვარ, ენციკლოპედიურ ცოდნასთან ერთად ნებისმიერი წვრილმანი და ნიუანსი ზედმინვენით რომ ახსოვდა; ეს საყოველთაოდ გახმაურებული ფაქტია, რაც კოლეგებს არაერთხელ ხაზგასმით აღუნიშნავთ. და უცებ, ამ წიგნის ნაკითხვისას აღმოვაჩინე, რომ საყოველთაოდ ცნობილი დარბევისა და შემდგომი დრამატული პერიპეტიების ყველა მონაწილე, თვით უმნიშვნელო და ეპიზოდურ ამბებში გარეულ შემთხვევით შემოხილებულ ადამიანებსაც მხურვალე მადლობას უხდოდა, უკლებლივ ყველას ახსენებდა, ჩემ გარდა! პირველად მაშინ მივხვდი, საარაკო მესხიერების არამიზნობრივ გამოყენებას სიმართლის გაყალბების უნარი რაოდენ ძალუმაღ

მომადლებია და თანაც რა მასშტაბური გაქანებით! ფაქტია, მაინცდამაინც ჩემი სახელის ხსენებისას არ დამართვია ამნეზია კაცს, რომელსაც არასდროს არაფერი ავინწყდება; იმ დეტალსაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ზონდერებისგან ანიოკებულ შენობაში ცხელ კვალზე მივედი და ამ უკიდურესი განსაცდელის ჟამს მის გვერდით მხოლოდ სამი ალმოვჩნდით. გულმავინყოფის ეპიზოდი სათავეშივე გამოირიცხა. მაშინ დავრწმუნდი, რომ მას მიუკერძოებლობა არ ახასიათებდა და ყველაფერს თავისებურად – კატათაგვობანას სახასიათო მანერით ცვლიდა და ასხვაფერებდა, როგორც ნებავდა, ისე გადააკეთებდა და წარმოაჩენდა და ამის გამო ოდნავ უხერხულობასაც არ გრძობდა! ნათლად წარმოვიდგინე, ვინც მის სუბიექტურ კეთილგანწყობას ვერ მოიპოვებდა (აკი მრავალწლიანი უანგარო ერთგულების მიუხედავად მისი დაუსრულებელი შურისგება მრავალგზის ვინვინი!), ამ საარაკო მესხიერების, ფართო ერუდიციისა და უსაზღვრო გავლენისა და ფიანსური ბერკეტების მქონე მკვლევარისგან, ახალ-ახალ წიგნებს ლამის ყოველთვიურად რომ სტამბავდა, რა მომაკვდინებელი საფრთხე ელოდა, თუნდაც უნებლიეთ იმ არასასურველი ადამიანების რიცხვში აღმოჩენილიყო, ვინც მის მონოპოლისტრი ბუნების მოთხოვნებს არ შეასრულებდა! ცოცხლებს ვილა დაეძებდა, პატრონიან და უპატრონო მიცვალებულებს რა უნდა ელონათ ასეთი შეუვალი ავტორიტეტისა და ძალის წინააღმდეგ?! ამ თავზარდამცემი აღმოჩენის შესახებ არსად არაფერი მითქვამს, არც დამინერია, ვინმეს ეს „დეტალი“ ხელზე რომ არ დაეხვია, აქაოდა, რაგან მას წიგნში საგანგებოდ არ ახსენებს, პირადი შურისძიების მოტივი ალაპარაკებსო. და აი, ახლა, ამდენწლიანი დუმილის შემდეგ, როცა საარაკო მესხიერების პატრონმა მრავალწლიანმა მოკავშირემ, ბატონმა როსტომ ჩხეიძემ ყურნალ „ისინდის“ წინააღმდეგ წარმოებული ფარული ომი არ იკმარა და თავის სატელევიზიო „სარეკლამო“ გადაცემაში „ისინდის“ გაყალბებას ჩემ თვალწინ, ცოცხალი მონმის თანდასწრებით მოურიდებლად და სინდისის ქენჯნის გარეშე მიჰყო ხელი, ამ საარაკო საქციელს ახლა ვუხსენებ და ვეკითხები: ვინ მისცა უფლება ყველაფერი თვითნებურად გააყალბოს და საზოგადოებას სახეცვლილი სიცრუე წმინდა წყლის სიმართლედ შეასალოს? თან ამით თავი მოიწონოს, თავის უამრავ წიგნში სხვები გაყალბების ბრალდებით სამარცხვინო ბოძზე გააკრას, საფლავებიდან ამოყაროს, ხოლო თვითონ ის ჩაიდინოს, რასაც სხვას უპატიებელ დანაშაულად უთვლის?! ბოლო-ბოლო გავლენიანი მწერალი და კლანის მეთაური ბრძანდება და არა მრისხანებით გამძვინვარებული ძველი ალექსის ღმერთი – იაჰვე, თავის წრეგადასულ ბრახს ადამიანებს თავს განურჩევლად რომ ატეხდა და უყოყმანოდ ასამართლებდა!

არ ვიცი მარინე ტურავა საქმის კურსში თუა,

საარაკო მეხსიერების პატრონ მის მფარველ ანგელოზს, უკაცრავად, პატივცემულ კოლეგას, სიყალბე სხვადასხვა რომ აღმოუჩინა და ამით აღმფოთებულმა „ლიტერატურული შულერი“ (გონა გვასალია) რომ უნოდა. შულერის განმარტება რასაც ნიშნავს, ამას სქოლიო არ ესაჭიროება; ჩემთვის ძალიან გულდასანწყევტია, როდესაც ცნობილი მწერლისა და მეცნიერის ეს თვისება თანდათან ყველას თვალში ხვდება, რაც სხვათა შორის რამდენიმე თვის წინ მასზე საკმაოდ უგვანი ინტერნეტთავდასხმის მიზეზად იქცა. როსტომ ჩხეიძის წინააღმდეგ საკმაოდ ცხელ შტურმში (ცნობისთვის „ბლიც კრიგის“ ინიციატორი პოეტი შალვა ბაკურაძე) რომელშიც ავანგარდი, სადღეისოდ ძალზე პოპულარული და გავლენიანი მწერლები აქტიურად მონაწილეობდნენ და სიცრუეში მხილებულად რესაგტს უშვერად ლანძღავდნენ, რაც ლიტერატურის ფარგლებს ამკარად სცილდება. ეს ფაქტები კიდევ ერთხელ მონშობს, რომ მუდამ სხვა არ გაგიჩუმდება და ადრე თუ გვიან, საკუთარი ნამოქმედარის გამო პასუხისმგებლობას ვერავინ აიცილენს, რაგინდარა გავლენისა და კლანის ზედა ეშელონს მიეკუთვნებოდეს! არა არს დაფარული, ეკლესიასტეს სიბრძნე ყველას თანაბრად ეხება, ბრალიანსაც და უბრალოსაც...

დაე, სიმართლე გაცხადებულად ითქვას, ჩვენ გეზიმართულ სიყალბეს თანმიმდევრულად ვენინააღმდეგებით და არავის მივცემთ უფლებას, ფაქტები თავისი ხუმტურების მიხედვით შეცვალოს ან დაამახინჯოს! ამიტომ როსტომ ჩხეიძის სატელევიზიო მიმოხილვის მუქარანარევი და თვალშისაცემად ტენდენციური „რეკლამა“ არ გვაშინებს, მით უფრო ვერ შეგვაჩერებს, რადგან მზად ვართ ეროვნული მწერლობის მთლიანობის შესანარჩუნებლად და დასაცავად თანმიმდევრულად ვიმოქმედოთ, სადაც კოლეგებთან დაპირისპირებისა და დაქსაქსულობის ნაცვლად სოლიდარული პოლიტიკის წარმოება აუცილებელი და გადამწყვეტი ფაქტორია. შესაბამისად, სხვა ჟურნალების იგნორირებისა და დამცირების ხარჯზე საკუთარი უპირატესობის წარმოჩენა არ გვსურს და არც გვეკადრება, ვინაიდან ნამდვილად შეგვწევს ძალა და უნარი ყველაფერი პატიოსანმა „მეჯიბრმა“ გადანყვიტოს, სადაც აკრძალული ილეთებისა და ბინძური თამაშების გარეშე დადგინდება ვინ რის მაქნისია და რა წვლილს შეიტანს თანამედროვე ქართული მწერლობის განვითარებისა და განახლების თვალსაზრისით! არსებულ მოცემულობას ცეზარე ბორჯიას გესლიანი სანამლაზი ვერ უშველის და ვერც კლანის შამანთა მუქარანარევი გამოლოცვები! ამ პროვოკაციული ფანდით ბ-ნი ჩხეიძე ცდილობს ამჯერად ზემოთ ჩამოთვლილ ჟურნალთა რედაქტორები გადამამტეროს, ისევე, როგორც „მწვანეყვავილას“ რედაქტორი, გიზო თავაძე წამკიდა მონოპოლიზმისათვის გამართულ გაუმართლებელ ომში, ათასგზის დანაწევრებულ ქართულ მწერლო-

ბას გაძლიერების ნაცვლად უარესად რომ ასუსტებს და კლანურ დიქტატს უმორჩილებს! მისი ფინალური და შემაჯამებელი სატელევიზიო დასკვნა: თბილისში გამომავალი „ისინდი“ იმედია არსებობას განაგრძობს და ყველაზე საუკეთესო ქუთაისურ ჟურნალ“ მწვანეყვავილას“ მხარში ამოუდგებაო, სწორედ კლანური სეპარატიზმის კლასიკური მაგალითია და მის განზრახვას შეულამაზებლად ამხელს, რაც არსებული ვითარების ფონზე გაუმართლებელია.

21-ე საუკუნეში, ყველაზე ერუდირებული, ავტორიტეტული და გავლენიანი ეროვნული პოზიციის მქონე მწერალი რომ საჯაროდ თბილისურ და ქუთაისურ ჟურნალებს მტრისა და ავი მოყვრის გულის გასახარად საძიძვილოდ გამზადებული მამლებით ერთმანეთზე ნააქებებს, ეს სადაური სახელმწიფოებრივი აზროვნების მაგალითია? ბარემ თბილისის გუბერნიისა და ქუთაისის ოლქის ტერმინები ხელახლა შემოიღოს და ყველაფერი ამ წესით დაყოს და დაქსაქსოს!

აქედან გამომდინარე, ნებისმიერი კლანის გასაგონად ვაცხადებ, რომ ჟურნალი „ისინდი“ წინააღმდეგობის მიუხედავად ეროვნული მწერლობის დასაცავად და გასაძლიერებლად განუხრებლად იბრძოლებს, რაც კოლეგებთან ჯანსაღი ურთიერთობისა და თანამშრომლობის პრინციპს ემყარება და მონოპოლიზმის დიქტატსა და კლანურ დაქსაქსულობას სათავეშივე გამოორიცხავს. ამდენად, გაყალბების ყოველგვარი მცდელობა მუდამ ფაქტებით გამოამკარავდება, რაც ნიშნავს, რომ ყველაზე მეტადოლი ჟურნალის წონიანი და სოლიდური ბირთვი ნებისმიერ გამონევესა ღირსეულად გაუძლებს და არავის მისცემს უფლებას სიმართლე ჯვარზე გააკრას და გეზიმართულად გააყალბოს!

7.05.2018.

p.s. ეს სტატია წინა ნომერში უნდა გამოქვეყნებულიყო, მაგრამ „ქართული ოცნების“ მესვეურთა მიერ საქმოსან ზაზა ოქუაშვილის წინააღმდეგ გალაშქრებამ, რამაც ტელეკომპანია „იბერიის“ ხელახალი დახურვა განაპირობა, გადამწყვეტინა სოლიდარობის ნიშნად კრიტიკული წერილი იქამდე შემეჩერებინა, სანამ გამაშურებული სკანდალი არ ჩაცხრებოდა. ჩემთვის მიუღებელია განსაცდელში ჩავარდნილ ადამიანს დრო შეუფერებლად შევურჩიო და დამატებითი საზრუნავი შევუქმნა, აქედან გამომდინარე, უსიამო ინციდენტის ფონზე დაძაბული ვითარების განმუხტვას დაველოდე და რადგან ჩვენს ბედკრულ ქვეყანაში სამართალი ურმით დაიარება, ჩვენს ერთგულ მკითხველს წინამდებარე წერილს დაგვიანებით ვთავაზობ იმ რწმენით, რომ სიმართლე დროში მედგია და ცხოველმყოფელობას არასდროს კარგავს!

1.02. 2019

მიხეილ ლანიშაშვილი

სუთან იუნკარს

ცა ბინდნაკრავი, შავი ღრუბლებით რთული
დასტირის კოჯორს, როგორც ჩამოშლილ ციხეს...
ტაბახმელასთან მყუდროებაა სრული,
ჩოლოყაშვილი ბრძამით ჭრილობას იხვევს!

ჩემო სამშობლოვ, კვლავ გღალატობენ, ვიცი,
ეხ, სანატრელო, სულ ამის შიში გლლიდა,
კვდება ხუთასი გაუხედნავი კვიცი,
როგორც სამასი კრწანისს არაგვის მხრიდან...

ვერ მოიშორე შენ ეს მოსისხლე მტერი,
მოსიყვარულევ, კალამისა თუ ყანის
დაგეფინება კვლავ ტრამალების მტვერი
ვით შემოსევა მაშინ მონღოლურ მკალის...

შატილობა

ცაზე სინაზე განვა ბალღური,
არსად ღრუბლების შავი მანდილი,
სევდიან ლექსებს მღერის არღუნი,
ცრემლიან თვალებს იწმენდს შატილი...

ამოდის მთვარე-ვარსკვლავთ ნაწალი,
ჩამოურიგებს მთებს ვერცხლის ჩოხებს,
ჩვენთან მოიყვანს ძმობის ბანარი
მგლებში ჩავარდნილ გოდერძი ჩოხელს...

და დამთავრება იქ შატილობა,
სად დაიწყება ბილნთა დღეობა,
რომ არ გამრთელდეს ისევ ჭრილობა
და კვლავ არ იგრძნოს გულმა ტყვეობა!


სავლა მთაში

ალაზნის წყალი მოგტიროდა ბარისკენ მავალს
და ვარსკვლავები დართლოს ლამის, იმ მთვრალი ლამის...
გევედრებოდნენ, როგორც მთვარეს-თითბერის ოვალს:
გზის გაგრძელებას, მთების ხილვას, განცდას სიამის.

მინდოდა ყელში მივწვდენოდი მყივანა მამალს,
მე მაგიჟებდა გულქვაობა დამდგარი ჟამის!
ლამე კი, ლამე მომძახოდა: „ეგ ქალი წავალს,
ვით სასწაული ცის თავანზე ღვთიური ნამის!“

არც შემომხედე, ისე გასცდი თუშეთის სამანს...
შენ მართლა წახვედ...მიდიოდი... გაფრინდი ლამის...
მე კი ყოველთვის შენთვის ვკრეფდი მთის იასამანს!

შენს გაჩენისთვის მადლს ვწირავდი მოდგმას ადამის!
მაგრამ ვერ მიხვდები, ქვეყნის ჭახრაკს როგორ მოვება,
ახსოვს ომალოს ჩემი შენთან გამოთხოვება...



ქაქუცა

უგვანი განთიადი ოცდაერთის,
თვალები გახსნილი გასახელად...
თითქოსდა რისხვაა მაღალ ღმერთის
კოჯრის თავს, დარიალს, ტაბახმელას...

მითხარით, ვინ მეტყვის სად წავიდა
ქაქუცას ნადირული ნაკვალევი...
წყალს ამღვრევს ვილაცა სათავიდან,
წმინდანთა ილენება სამკალევი!

– ო, საფლავს მაინც თუ მადირსებენ,
შენ გვედრი, უფლის სამართალო,
სანამდი სულს ცოდვით აღვივებდე,
თვითმყოფი მანახე საქართველო...

ვინ გაპატიებს

რომ მთანმინდაზე ახვიდე რიდით,
თუნდაც ცოტათი შენამთვრალეში,
დაჯდე, იფიქრო... ცოდვაა დიდი
და იმსახურებ დათხრას თვალების!

რომ კარს მომდგარნი მეგობრად სთვალო,
რომ ლხინში უცებ დარდი გენვიოს,
რომ ყალბ ცხოვრებას არ ენაცვალო
და მოლოდინით სჭვრეტდე ზეციონს

ვინ გაპატიებს, გაფიცებ ძმობას,
შე, საცოდავო, ცამდეც მართალო,
პოეტი რომ ხარ, ისიც გეყოფა,
სიცოცხლე ტანჯვით უნდა ატარო...

ვინ გაპატიებს გიყვარდეს ისე,
არ ყვარებია როგორც არავის
თუ დაიბადე პოეტის ჯიშზე,
შენთვის საშველი ქვეყნად არ არის...

ძილის დრო

ცრემლებად იცლება საქართველო,
სისხლად იცლებოდნენ ძველები,
ცუდი დრო დამდგარა, ქართველებო,
უნდა გავანძრიოთ ხელები.

განა რაც ვიომეთ საკმარია? –
წყრებიან ვაჟა და ილია,
დრო-ჟამი თუ გვალვამ არია,
რა დროს წოლა და ძილია!

ჩვენს ენას, ჩვენს ქართულს დიდებულს
დაცვა და დამცველი სჭირდება,
დაჰკარით, ვინც მოვა კერაზე,
დაჰკარით, ვინც აგვიხრდება...

აბა, რა გაახარებს რუსთაველს,
როგორ არ დაანაღვლებს იაკობს,
როდესაც მწუხარება ქართველთა
ლაჟვარდში სივრცეებს მიაპობს...

დიდგორთან დადგება დავითი
და მწარედ გადმომზერს იბერიას,
იკითხავს გაკვირვებით: „საქართველოს
რა იქნა იმხელა იმპერია?“

და როცა პასუხებს მიიღებს,
თვალთაგან ცრემლები აწვიმდება
და კავკასიონზე ამირანი
მამალი არწივივით აწვილდება.

და იწვის კოცონი ყოველი
და ირგვლივ გამეფდება წყვიადი,
რა მცირე სათამაშოდ ქცეულა
დავითის სამშობლო დიადი...

ბაღი

შენ ელოდები ამინდს ქარიანს,
ყოველდღე დგახარ სარკმლის მინებთან,
ალარაფერი არ გიხარია,
რაცან ცხოვრება ეშმაკს მინებდა.

გაჰყურებ შორეთს უაზრო მზერით.
გაქვავებულან თვალები-ზღვები,
ამოჩემებულ სიმღერას მღერი,
რომელსაც აღარ მღერიან სხვები.

იგონებ სევდით დანისლულ დღეებს.
უცდი სიცოცხლის ბოლო განაჩენს,
დასცვივდათ უკვე ფოთლები ხეებს,
არ აკვირდები თითქმის დანარჩენს...

იტყვი: პოეტებს ერგოთ წამება,
ეგ არის, ძმაო, მაგათი ბედი,
მაგათთვის მართლა არ შეიძლება
დაინვას ვინმე როგორც ასეთი!

მერე ასწორებ არეულ ნაბიჯს,
აკოცებ მტკვარში ჩაძირულ მთვარეს...
მოგნახავს ღამე ვით ერთგულ ძმა-ბიჭს
და შავ სუდარას გადაგაფარებს...

ოს, სულო ჩემო**6. ბარათაშვილს**

მურუთი. განჯა. მალარია. მზე გადასული...
სევდა. ნალველი. ვინრო ქვეყნის შავი კედლები...
დადის პოეტი განწირული, ბედდათარსული,
ბედო უბედო, რატომ კარგით არ შეიცვლები?

სხეულს აწუხებს სულის სევდა დაუთმენარი
და ციებიანს აგონდება “ტფილისის ვარდი...”
ცისაფერს ბნელი დაეხვევა, როგორც მკბენარი:“
ოს, სულო ჩემო, რა საშინელ ტანჯვას შთავარდი!”

ბრმა შემოდგომა. სექტემბერი. გზა-სარალარი.
ხურვება, ბოღვა, უცხო ცის ქვეშ დაბინდვა თვალის...
განჯიდან ზეცას აებმება ღვთიური ღარი
ეკატერინა...
ვით სიმბოლო საყვარელ ქალის...

ბოლო სათხოვარი

წავლენ ეს დღენი მარად მშფოთვარნი,
განილევინ ვით მთვარე ცაზე,
მე მიმიღებენ სულ მალე მკვდარნი,
მინაში ჩავა ჩემი სინაზე...

დავიკარგები, ვით მომთაბარე
გაქრება ხოლმე, მალე ჩავქრები...
მე ჩამაჩუმებს ცივი სამარე,
ჩემი ლექსებით- ჩემი ამქრებით...

და რომ, ძვირფასო, აღარ ვიქნები,
ამ უკანასკნელს თხოვნად გიბარებ:
ხანდახან მაინც ხელში იებით
შემომიხსნიდე საფლავის კარებს...

სხვა სათხოვარი მე შენთან არ მაქვს,
სხვა სათხოვრებმა ხანი მოჭამეს,
სხვა, რაც მინდოდა, კუბოში ჩამაქვს,
დანარჩენს მოვთხოვ მინას და ღამეს...

გოი კილაძე

ჰვირფასო რადაქტორო

ვასრულებ, თქვენს თხოვნას, უფრო მონოდებაა ბრძანებასთან რომ არის სულ ახლოს, არ ვაცილებ ამ ანუ 2018 წელს და 31 დეკემბერს, სულ რამდენიმე საათი რომაა ახალწლამდე და არა კალანდობამდე დარჩენილი, ვინცე მე-სამე მოგზაურობას სხვის წიგნებში. ჩემები რომ გამხდარან უკვე და უფრო შენები... და მაინც ანდასებია.

ანდა გოგოა. ჩემზე რვა წლით უმცროსი, მგონი ბებიია უკვე, ერთადერთი ქალიშვილისგან, ცხოვრობს თბილისში და ქმარი ზუსტად ისე უყვარს, როგორც მე მიყვარდა წლების წინ...

ზაფხულია ახლა. აგვისტოს 5. შაბათი უნდა იყოს ჩემს არამდგრადი მახსოვრობა თუ ვენდობი. ცხელა. ისე ცხელა ლამის ასფალტი დაადნოს. ხეები ზეზეულად გაახმო. ზეზეულად გამხმარი ხეების ამბავი კიდევ გამოჩნდება ჩვენს წიგნში, ამიტომ ვახსენე თუ არა პლაგიატი და კომპილაცია ჩემგან არის შორს. შენგან კიდევ უფრო შორს, კიდევ ბევრი რამ არის შორს და... მესხიერების დაძაბვა, ტვინის განძრევა მჭირდება რომ მოვიახლოვო და კიდევ ერთხელ განვიცადო წლების წინ განცდილი. შენც გაგაცდევინო და წინასწარვე გაგაფრთხილო რამხელა შრომა გიდევეს წინ... მესმის არც ნიჭი რომ გაკლია, არც შრომისმოყვარეობა, არც ტექსტების შეყვარება გიმძიმს, გამოცდილება ხომ დიდზე დიდი გაქვს და მაინც... უდიდესი შრომა გიდევეს წინ ჩემი მოგონებები ხეტიალი წიგნად რომ შეკრა და გამომცემლობა „მერიდიანი-ში“ მიტანა გამაბედინო...

ჰოდა. ვინცე... ხეტიალისთვის გემი დაჭირდება... ავტობუსიც, სამარშრუტო ტაქსიც, ველოსიპედიც და რაღა თქმა უნდა, ფეხები... ტრამვი-ტროლეიბუსები აღარ... უმბათოდაა ქალაქი და ქვეყანა ჯერჯერობით... ამბის დასაწყისში გემს მე ვორჩევი, შტურმანად ისევ და ისევ მამაჩემის სიბრძნე მიმიყვება... აი, ის კი არ ვიცი კაპიტანი ისევ მე ვარ თუ... 18 წლის ანდა... ანდა გოგოა, წლებში კი არა უკვე საუკუნეში ჩარჩენილი... ჰო, მართლა სახელი თიკუნი არ გეგონოს... „ანდა ვარ“ – თქვა და იყო არასრული სამი წელი „ანდა“, და ასეა მას მერეც...

ახლა რასაც ვწერ, არაფერი აქვს საერთო ჩემს ახლანდელ განწყობასთან. არა, როგორ არ აქვს, უბრალოდ არაფერი აქვს საერთო სულ ახლახან წაკითხულთან. აბზაცი, ქვემოთ რომ წაკითხავ 147-ე თავს ამთავრებს... თავი და დამთავრება ერთიმეორეს უნდა მისდევდეს... წიგნში სულ 161 თავია... საშუალოდ ორგვერდიანი ანუ თითოფურცლიანი... ასე რომ, მეორედ წაკითხვის დასრულებამდე სულ ცოტაა დარჩენილი... რჩება დარჩენა სულ სხვა და არაფერი ესაქმება თავთან და დამთავრებასთან... „სხვა ნორმალურ გარემოში ალბათ შეეცდებოდა კიდევ, მაგრამ ნორმალური გარემო კარგა ხანია ჩემთვის რთულად წარმოსადეგი მდგომარეობაა, თანაც მის მიმართ თანაგრძნობის გამოჩენა, უბრალოდ, არ მინდა... ჩვენცეც გამოსროლილი ბეისბოლის ბურთის როლში თავი თვითონ ჩაიგდო, ასე რომ, სხვებთან ერთად, ერთ-ორჯერ დარტყმაზე.“

- გეზიზღები?
- არა, ზიზღი არ შემიძლია
- ვერ მიტან, ხომ... - ნეტა რა ნიშანი უნდა დასვა აქ? წერტილი, მძიმე, ძახილის თუ კითხვა-ძახილის?!
- ერთი არგუმენტი ატანის.... და.
- არ მაქვს და მაინც...
- თუ გაინტერესებს გეტყვი, რომ...



ველოდები ანდას ვაკის პარკში კიბებთან... დგანან ცოტა მოშორებით ბიჭები... საუბრობენ ... არაფერი მესმის... იგვიანებს და ვცქმუტავ ადგილზე... სიგარეტს არ ვწევ იმ დროს თორემ მოგწევდი, სამ-ოთხ ღერს აუცილებლად და ხუთ-ექვს, სავარაუდოდ..

გავხედავ „არკას“... – გადავხედავ ბიჭებს და ვაგრძელებ ცქმუტვას... ათი-თორმეტი წუთი, სულ მცირე...

დიდება ბიჭები... მაღლები ჩემზე.. ერთი თავით არა.. ოთხი არიან თუ ხუთი.. რკალად დგანან.. არა ხუთია, გამახსენდა.. შუაში ყველაზე მაღალი დგას და აბოლებს სიგარეტს „პერმანენტულად“... პერმანენტული შიმშილობების დრო ჩავლილია უკვე, იმხანად...

მოდის.. მოდის აუჩქარებლად და აქნევს აქეთ-იქით ხელჩანთას...

გახედა იმ მაღალმა... არ დაძრულა, მაგრამ დაიძრა რაღაც...

ავინყვიტე და გავქანდი...

დავეშვით ბიჭის მხარეს მე.. და ხელი-ხელჩაკიდებული ჩემ მკლავს მიხუტებული ანდა, კიბეზე..

მივუახლოვდით რკალს და გავხედე იმ მაღალს...

დამხედა მე...

დახედა ანდას და...

- აუ, რა შეგხედა?! - ვთქვი - არ ვიცი გახარებულმა თუ გულდანყვით...

- ჰო! - ამბობს და ვხვდები უხარია...

- მოეწონე შენ და...

- კი, კი... მართალი ხარ, მაგრამ შეშურდა შენი...

დრო კი არ იყო კარგი... ჩვენ ვიყავით კარგად... ვალენტინობა დღე იყო, იმდღეს...

ვალენტინობა სიყვარულის დღე რომა არის და 14 თებერვალს აღინიშნება შორეულ ოთხმოცდაცამეტის თოვლიან ზამთარში გავიგე. ვისგან თუ არა... ანდასგან...ერთი კვირით ადრე მითხრა ასეთი დღე არსებობს და პატარა ორღეროიანი ქოთნის ყვავილი მიყიდე, უდიდეს საჩუქრად ჩავთვლი და მოვუვლიო.. ძვირი რომ არ ეღირებოდა, ფასის გაგებად ვიცოდი. არ იყო ის გოგო, ძვირფასს რომ მთხოვდა რამეს... „კაი“. დავპირდი და მესამე დღეს არც ყვავილი მახსოვდა და არც ქოთანი... შევხვდი ვალენტინობა დღეს ვაკის პარკში, თოვლი უკვე კარგად გამდნარი იყო და იმ დღეც საგრძნო-

ბლად თბილოდა.... ვისაუბრებთ აქეთური-იქითური... გახდა შვიდის ნახევარი და უცებ, ბრახ!...

– „ჩემი საჩუქარი სადაა?!“ – კითხულობს, თითქოს არ-საიდან და მაინც აი, აქვე, სულ ახლოს, ყურისძირში...

– რისი – ვკითხე... და ვალენტინობა რომ იყო ის დღე არც კი მახსოვდა... სანამ საჩუქარი არ ახსენა... მარა... შვიდის ნახევარზე?! ... სადაა ბაზარი და სპეცმაღაზია?... ეგაა ტრასერები არ გადადის ყველა თხუთმეტ წუთში თავებზე... – მოიცა... ვეუბნები... ვკიდებ ხელს და ლამის მივრბივართ. საით, საით და ზევით, კუსტბისკენ... საცააა გაზაფხული მოვა და ისე როგორ იქნება ია, ენძელა, ყოჩივარდა, ფურუსულა... ან კიდევ მსგავსი საგაზაფხულოებს არ მივავნოთ ვაკის პარკის შემალღებულზე მე და ანდამ. ავი-ალმართეთ... თითქოს ბედი მსჯიდა გულმაფინყობისთვის, არსად არაფერი, თანაც ნელ-ნელა ბინდებოდა და იმედს სულ უფრო და უფრო ვკარგავდი; ბედი, იღბალი, იმედი ხავს ემსგავსებთან, თანაც ხეზე კი არა, რიყის პირას წლების წინ მიგდებულ ნესტიან, სიპ ქვაზე. ის იყო დაბრუნება გადავწყვიტეთ და უცებ ვხედავ, მაგრამ რას ვხედავ... ხის კუნძთან წამოუყვია სველი მიწიდან თავები ორ პატარა ცის-თვალას, და ლამის ღიმილით მეუბნებიან ივაჟკაცე ახლა, ბოლქვები არ დაგვიზიანო ისე ამოგვიღე მიწიდან და არც ჩვენ გილალატებო... ვივაჟკაცე და სათანადოდ გადატეხილი ჯოხით ამოვთხარე მიწიდან პანანინა ყვავილები... არც ღერო დამიზიანებია და არც ბოლქვები, იცი ეს რა იყო იმ დროს ჩემთვის?! სამზარეულოდან ყავა ვერ მიმქონდა სას-ტუმრო ოთახამდე დაუღვრელად... ამოვიღე მიწიდან და... მიხვდი ხომ?... ქოთნის მსგავსის ძებნა დავიწყე... აი ეს იყო პრობლემა თუ იყო... ექვებდი პლასტმასის ბოთლს... კო-კა-კოლასი... სხვა არც ვიცი რაიმე პლასტმასის თუ არსებობდა იმ დროს ბუნებაში. პლასტმასები მერე და მერე... ყოველ ნაბიჯზე და ყოველ ჯერზე... ვიპოვე! წარმოუდგენელი და დაუჯერებელი იმ დროისთვის. ჭიქა! და რა თქმა უნდა პლასმასის... პლასტმასის ერთჯერადი ჭიქა!... სამას-გრამიანი... სულ ახალივითაა, თითქოს გოგოს უნდა დაელია ლუდი იმ ჭიქით და გადაიფიქრა კი არა კატეგორიულად იუარა, არაა ლუდის სმა ჩემი საქმეო... საიდან და რატომ ასეთი ფიქრი, ახლაც არ ვიცი; არადა არც მეორე ჭიქა ეგდო სადმე და არც ლუდის ცარიელი ბოთლი...

მოკლედ, ნახევრამდე მაგრად ჩავტენე მიწა ჩემდა ბედად ნაპოვნ ერთჯერად ჭიქაში, და ფრთხილად ჩავდე ბოლქვები. გვერდიგვერდ, ისე მოუხდნენ ერთმანეთს როგორც მე და ანდა ვაკის პარკში სეირნობისას... ლამაზია ერთი და ასჯერ ლამაზია – მეორე... გადავაყვებ ბოლომდე „ქოთანი“ და მხოლოდ ამის შემდეგ ავხედე ანდას... გატრუნული იდგა მთელი „ოპერაცია“ და ერთხელაც არ დაუძრავს კრინტი. სულ არ უხდება ანდას სიტყვა „კრინტი“... მომღერალი იყო სიტყვებსა და სიტყვებით... ლამაზ თვალელები ოდნავ შესამჩნევი ღიმილი უციმციმებდა... იყო ბედნიერი და იყვნენ ის ყვავილები ბედნიერები, მე თუ მკითხავდა კაცი.. შეყვარებული ოლონდ...

ზღაპარს გავდა ყველაფერი...

ანდა,

მეც და

ყვავილებიც...

– ნახვრეტი უნდა. – მეუბნება ძაან სერიოზული სახით – ძირი უნდა გაუხვრიტო ჭიქას... მიდი, ბარემ... – კარგი, – ვეუბნები და სიცილს ძლივს ვიკავებ... რა მაცინებს, აზრზე არ ვარ... მაინც ვიცი. ხდება ხოლმე. ვიცი უაზრო გაცივებები. ვერაფერი მოვუხერხე ლამის დავბერდი კაცი და მაინც. იქვე დამსხვრეული ბოთლის ნატყე-

ბი ეგდო. სავარაუდოდ ლიმონათის. აღარ გამოდის ისეთი ბოთლები წლებია.. მუქი მწვანე და გაუმჭვირვალე... რა ძნელი გასახვრეტი იყო პლასტმასის ერთჯერადი ჭიქა, გავხვრიტე ფსკერის ზუსტად ცენტრში და მივანოდე...

– კარგია ახლა? ვეკითხები.

– ნუ, კი ...

– ხომ ჩამეთვალა საჩუქარში?

– ნუ, კი ...

– აქეთა უფრო პატარა, გამლილი კაბით მე ვარ და შენ გეპრანჭები, იცოდე. შენ კი, როგორც ყოველთვის გძინავს! ანდამ ხელისგული ერთმანეთზე მიანება, მარცხენა ლოყის ქვეშ ამოიღო და თვალეები დახუჭა, – რა, ასე არაა ძილის-გუდავ?!
– კი, კი .. ზუსტად ასეა – გამეცინა მე.
– რას ხედავ ამისთანას სიზმარში ნეტა ამდენ ხანს რომ გძინავს?

– შენ, სუუუულ შენ...

მართლა მე მხედავ?

კი, კი...

ხოდა შენსას – ძილისგუდა „კიკის“ ვარქმევ!

მაშინ შენ პრანჭია „ნუკი“ იქნები, – ვუთხარი – ვითომ გაბუტულმა და ცხვირზე ოდნავ ვუჩქმიტე.

მე „ნუკი“ ვარ... შენ – „კიკი“ – ამბობს ანდა და კვდება სიცილით..

კი კი, ეგრე იყოს.

– და რასაც არ ჰკითხავს „ნუკი“ „კიკის“ უპასუხებ, გასაგებია?

– მთლად ვერა.

– ლამაზი ვარ ? – ჰკითხავს „ნუკი“ „კიკის“ და...

– ვინ ვის?! – ისე ვეკითხები, თითქოს ვერაფერი გავიგე...ილაპარაკოს, ოლონდ ილაპარაკოს და, მოკლედ, გამიბრაზდეს თუნდაც...

– კი, კი – ეგრევეც პასუხობს კიკი! უკვე ლამის წყნით ამხედა ანდამ. როგორ უხდებოდა ნეტა სცოდნოდა.. ამოხედაც, გამოხედვაც... ჩახედვაც და გადმოხედვაც... თვალის გაპარებები უხდებოდა მაგრად... კი ვერ ვხედავდი, ვგრძობდი...

– კარგი... – დავთანხმდი ყველაფერზე კიკის თქმას, მქონდა სხვა გზა, ნეტავი?!
– მოგწონს, „ნუკი“?

– კი კიი

– გრძელი „ი“ , არა.. უბრალოდ – „კიკი“. – გიყვარს?

– კი კი.

– ხომ გეყვარება სიცოცხლის ბოლომდე?

– კიკიი – მაინც გავაგრძელე „ი“ – სიცოცხლის ბოლო წუთამდე მხოლოდ „ნუკი“...

ახლა ანდას თვალეები სველია, ტუჩებზე საჩვენებელ თითს ასგრადუსიანი კუთხით მადებს და მანიშნებს: ხმა აღარ ამოვიღო.

ჩუმად, თითქოს საიდუმლოს მანდობს, აგრძელებს:

– ხომ არ გცივა, „ნუკი“? – ეკითხა „კიკი“..

– არა, არა

– აბა? რატომ ტირი?

– ბედნიერებისგან...

– სულელი პატარა გოგო... ბედნიერებისგან მომტირა-ლი გინახავს?!
– ნუ, კი..., ტირიან... ხანდახან, – პასუხობს „ნუკი“, თითქოს დარცხვენილი, ცრემლით სავსე თვალეებს არიდებს და თავს ხრის...

ტიროდა პატარა ცისთვალა გოგო ყოველ დილას; ყოველ დილას რწყავდა თავის ცრემლებით ძილისგუდა „კიკის“ ფსკერებს, თავაუნველად და უხმოდ...

ლელა სორნაული

**ულრიკო ჰოეპლი და სხვა ჰოეპლები,
შვეიცარიელი მილანელები**

(პიერ კარლო ლელა ფარერას შეხვედრა და
საუბარი ულრიკო ჰოეპლისთან)



– რა მოგონებები შემორჩა ულრიკო ჰოეპლიზე? როგორია მისი პიროვნების და მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტები? რომელს თვლით უფრო საინტერესოდ და რას გინდათ ხაზი გაუსვათ?

– ჩვენი გამომცემლობის და წიგნების მაღაზიის დამაარსებლის, ულრიკო ჰოეპლის შესახებ შემონახული მაქვს მოგონებები, რომლებიც სიტყვიერ მემკვიდრეობად გადმომეცა ოჯახის წევრებისაგან, რადგან მე მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე თვის შემდეგ დავიბადე. ის გარდაიცვალა 1935 წლის იანვარში. დედაჩემი და მამაჩემი 1934 წელს დაქორწინდნენ, როცა ჯერ ისევ ცოცხალი იყო, რაზეც მეტყველებს მშვენიერი ფოტოები. ბაბუაჩემი კარლო და ბიძაჩემი ჯანი ხშირად მოდიოდნენ ჩვენთან, კარგად ვიცნობდი. მათგან ბევრ რამეს ვისმენდი ჩვენს „წინაპარზე“, ყვებოდნენ სხვადასხვა ეპიზოდებს და კურიოზებს მასზე, რომელსაც დღემდე „წინაპრად“ (AAVOO-ს) ვიხსენებთ. ის მამაჩემის დიდი ბიძა იყო, ბაბუაჩემის ბიძა, ჩემთვის კი – დიდი ბიძა.

მას შემდეგ, რაც ციურიხში, ბრესლავიასა და ლიფსიაში შეგირდად იმუშავა, ულრიკო ჰოეპლი ტრიესტეში გადავიდა (ქალაქში, რომელიც ჩემთ-

ვის ძალიან მნიშვნელოვანია, დედაჩემიც ტრიესტელია) და იქ წიგნების მაღაზიაში მოეწყო, რომელსაც დღეს „იტალიო ზვევო“ (იტალიო შვევო) ჰქვია. აქ დიდი ინტუიცია გამოიჩინა, მიხვდა, რომ წიგნის გამომცემლობებს დიდი მომავალი სწორედ მილანში უნდა ჰქონოდა. ეს ყოველთვის მაოცებდა, რადგან 1865-1870 წლებში ტრიესტე განვითარების მწვერვალზე იყო, მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრი – ავსტრიისთვისაც და ცენტრალური ევროპისთვისაც (“Mitteleuropa“-სთვის), ეს იყო ჯოისის, ვაისის და ფროიდის ქალაქი, აგრეთვე ეტორე შმიცის ანუ იტალიო ზვევოსი. მაგრამ „წინაპარი“ მაინც მიხვდა, რომ წიგნებთან დაკავშირებული საქმისთვის მილანში სჯობდა წამოსვლა.

ეს დიდი მომავლის ინტუიცია, დიდი ჭკუა „წინაპარმა“ იმაშიც გამოიჩინა, რომ ძმისშვილს დაუძახა ამ საქმის გასაგრძელებლად. თვითონ ულრიკო ჰოეპლის, რომელსაც ცოლად ჰყავდა ელიზა ჰებერლინი, შვილი არ ჰყავდა. მაგრამ, მომავლის ისეთი რწმენა ჰქონდა, რომ ძმისშვილი, ბაბუაჩემი კარლო, აიძულა ამ საქმეს მიჰყოლოდა. მე და ბაბუა კარლო ერთად ვმუშაობდით 1972 წლამდე, მის გარდაცვალებამდე. ულრიკომ აიძულა იგი მილანში ჩამოსულიყო, ბაბუა ხშირად ნუნუნებდა: „იცო, ბიძაჩემმა მაიძულა მილანში ჩამოსვლა და დიპლომის აღება გერმანულ ენაში ფრაუნფელდში (ჰეგრაუნფელდ)“. ასე ამბობდა – „თუ ადამიანმა გერმანული არ იცის, არ შეიძლება წიგნებთან ჰქონდეს საქმე, რადგან წიგნის ბეჭდვა გერმანიაში დაარსდა, გუთენტერგის მიერ. ასე რომ, ბიძაჩემმა მაიძულა აქ ჩამოვსულიყავი და სააგენტოსთვის მეხელმძღვანელა“.

იმდენად მიზანდასახული იყო თავის საქმიანობაში, რომ ძმისშვილი ლიონიდან ძალით წამოიყვანა, სადაც ის მშვენივრად გრძნობდა თავს, და თავის მემკვიდრედ და საქმის გამგრძელებლად გამოაცხადა. მას იმთავითვე ჩაფიქრებული ჰქონდა, ისეთ საქმეს ჩასჭიდებოდა, რომელიც დროის გამოცდას გაუძლებდა და დიდხანს გაგრძელდებოდა.

– რა სიძნელების გადალახვა დასჭირდა მას მოღვაწეობის დასაწყისში, მილანში გამოსვლასთან დაკავშირებით?

– სირთულე რომ გადაელახა, შემოიკრიბა საუკეთესო თანამშრომლები, განსაკუთრებით კი, ჯოვანი პიაცა, რომელიც მის მაგიერ წერილებს წერდა.

მიუხედავად ამ პრობლემებისა, წარმატებას სწრაფად, შეიძლება ითქვას, თავიდანვე მიაღწია. როგორც ჩანს, ულრიკო ჰოეპლის საქმოსნის

თანდაყოლილი ნიჭი ჰქონდა. ის ძალიან ყოჩაღი და სამართლიანი იყო. როგორც **ენრიკო დეკლუვა** წერდა, **ულრიკო ჰოეპლი** სამეფო ოჯახის გამომცემლობას ხელმძღვანელობდა, რესპუბლიკელი, შვეიცარიელი და ამავე დროს პროტესტანტი ვატიკანის გამომცემლობის ხელმძღვანელიც იყო.

ეს მხოლოდ მას შეეძლო, როგორც შვეიცარიელს. შვეიცარიელები მსოფლიო მოქალაქეები არიან. ასეთებად ითვლებიან მათი გახსნილობის, მიმტევებლობისა და კოსმოპოლიტიზმისთვის. ამიტომ, შვეიცარიელობა ამ თვისებების გამო, დიდი უპირატესობა იყო, რომელიც „ნინაპარმა“ საუკეთესოდ გამოიყენა, მაგრამ არა იმიტომ, რომ ერთადერთი მიზანი ფული და საქმოსნობა იყო. ამის ბევრი დამადასტურებელი საბუთიც არსებობს.

ყველაფერთან ერთად, რისკიანიც იყო, რადგან კარიერის დასაწყისში ხშირად იმის საფრთხე ჩნდებოდა, რომ საქმე ჩავარდნილიყო. ამ შემთხვევაში საშინელი წარუმატებლობა და დამარცხება ელოდა.

1873 წ. გადაწყვიტა გაეხსნა პრესტიჟული გამომცემლობა „ჩოდეს დიპლომატიცუს ჩავენსის“. ანტიკური, უძველესი გამომცემლობა აამუშავა, რომელიც ბენედეტინების ტაძარში იყო. ბერებმა თავიდან მხარი არ დაუჭირეს მის ინიციატივას, რომელიც ძალიან საინტერესო შეიძლებოდა ყოფილიყო. ამ საქმეს ჩავარდნა ემუქრებოდა. მაგრამ არ შეეპუა, თამამად შეუდგა თუმცა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. საქმის წალბა შემობრუნებაში დიდი როლი ითამაშა ძმამ ლიონიდან, როგორც ოჯახში ჰყვებოდნენ – ჯოვანი ენრიკომ ულრიკოს მატერიალური დახმარება აღმოუჩინა, 20.000 ფრანკი ასესხა. ამ ფულის გარეშე ალბათ სააგენტოს დაკეტვა მოუწევდა.

ჰყვებიან იმ სასონარკვეთილების შესახებაც, რომელმაც მთელი ოჯახი მოიცვა 1930 წელს, როდესაც ჰოეპლიმ გადაწყვიტა მიდანიისთვის პლანეტარიუმი ეჩუქებინა. მან თქვა, რომ „ამ ქალაქში ბედს ვეწიე, ჩემი სამუშაოც აქ შევქმენი და მინდა, რომ რაც გამოვიმუშავე, ქალაქს დაუბრუნდეს“. ისევე როგორც იენაში, ძეის სკონ-ის არქივში დაცული დოკუმენტები, რომლებიც დღემდეა შემონახული, მეტყველებს, რომ ნალდი ფული პირდაპირ ჩაუთვალა, შენობა **პიერო პორტალუპიმ** დააპროექტა, რომელიც ჰოეპლიმ ქალაქ **მილანს** აჩუქა. იგივე გააკეთა **ციურისის** ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით.

ციურისის ბიბლიოთეკაზე დღესაც მემორიალური დაფაა გამოკრული ყველა ქველმოქმედის

გვართ, ვინც ბიბლიოთეკის დაარსებაში მონაწილეობა მიიღო, მათ შორის ულრიკო ჰოეპლიც არის, რომელმაც 1903 წელს დიდი თანხა შესწირა ბიბლიოთეკას, 25.000 შვეიცარული ფრანკი, რაც იმ დროისთვის ძალიან ბევრი იყო.

– როგორი იყო ურთიერთობა ავტორებთან?

მასხოვს, ბაბუა ხშირად იმეორებდა: „ავტორებს ფული მაშინვე უნდა გადაუხადო, ისევე, როგორც სტამბის მუშებს, ურთიერთობა ავტორთან მთავარია, ავტორები ჩვენი ძირითადი ძალაა“.

ამ ურთიერთობებზე ძალიან საინტერესო ამბებს ყვებიან. მაგალითად, ულრიკო ჰოეპლი, როდესაც ავტორებთან, კლიენტებთან ან მუშებთან ჰქონდა შეხვედრა ყოველთვის ფეხზე იდგა და არც მათ სთავაზობდა დაჯდომას; ამგვარად, სწრაფად ამთავრებდა საქმიან შეხვედრას და დღის მანძილზე კიდევ უამრავ საქმეს ასწრებდა. ეს იმიტომაც, რომ მუშაობას და ხალხის მიღებას, დილით ძალიან ადრე იწყებდა.

– როგორ უყურებდა ულრიკო ჰოეპლი წიგნის გამყიდველის და გამომცემლის ორმხრივ მოლაპარაკებას?

– წიგნის გაყიდვა კომერციული საქმიანობაა, გამომცემლის საქმე კი პროდუქციაა. ახლაც ასეა და საუკუნის წინათაც ასე იყო. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ძალიან განსხვავებული საქმიანობაა, ჰოეპლისთვის ეს ორი საქმე ერთმანეთთან იყო დაკავშირებული და მათი განცალკევება წარმოუდგენელიც იყო. წიგნის მალაზია „ანტენა“ შეიქმნა ბაზრის მოთხოვნების გასაცნობად. როცა ხედავ ყოველდღიურად, ვინ შემოდის მალაზიაში და რა წიგნს ითხოვს, რომელი წიგნები იყიდება, ეს იძლევა ორიენტაციას გამომცემლობის საქმიანობისათვის. ამიტომ ჰოეპლისთვის დიდი პრივილეგია და დაფასება იყო, როცა წიგნი იყიდებოდა.

ამას გარდა, წიგნის მალაზიას შეეძლო ცხოვრების დონის ცვლილებებთან ერთად, შეეცხო ის დანაკლისი, რასაც გამომცემლობა განიცდიდა მძიმე პერიოდში. მაგალითად, პირველი და მეორე მსოფლიო ომების დროს, ქალაქისა და სანჯისი საბაზო მასალის ნაკლებობას განიცდიდნენ, ამიტომ დაბეჭდვა შეუძლებელი იყო. საბედნიეროდ, წიგნის მალაზია, სადაც, მიუხედავად კრიზისისა, ყოველდღიურად ვილაც მაინც შემოდებოდა.

ამიტომ., ის დიდად აფასებდა წიგნის მალაზიას, როგორც ახლა ჩვენ ვაფასებთ. რადგანაც ვიცით, თუ რამხელა მნიშვნელობა ჰქონდა ულრიკო ჰოეპლისთვის ამ საქმის გაგრძელებასა და

ტრადიციებს. არ შეიძლებოდა ვერ მიმხვდარიყო, რომ ნიგნის მალაზიასთან ერთად სააგენტოც შეექმნა, ვინაიდან მასზე ადრე ლანგნერმა და სხვებმა გახსნეს ასეთივე მალაზიები მილანში, დანყებული შორეული 1840 წლიდან.

– ისტორიული ეპოქა, რომელშიც ცხოვრობდა ულრიკო ჰოეპლის, დიდი ცვლილებების პერიოდი იყო, რომელმაც იტალიაში რამდენიმე ფაზა გაიარა, გადამწყვეტი იყო გადასვლა ექსტრემული მემარჯვენეობიდან ფაშიზმზე. ევროპაში იმპერიები დაემხო, ნაციონალური თვითმყოფლობა ჩაესვენა, მსოფლიო ომი დაიწყო დიქტატურის დასამხობად. დიდი სოციალური ბრძოლების პერიოდი იყო, ძალადობა. მილანში იყო პერიოდი, როცა რაიმე პოზიციის ან აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობის გარეშეც, არ შეიძლებოდა არ გქონოდა პოლიტიკური იდეები. როგორ იყო დაკავშირებული ულრიკო ჰოეპლი პოლიტიკასთან?

– ამ შემთხვევაში შვეიცარიელივით მოიქცა – ნეიტრალური დარჩა, არასოდეს არ მიუღია რაიმე კონკრეტული პოზიცია, თავის მოვალეობას ასრულებდა. ამ დონის გამომცემელი ყველაფერზე მაღლა უნდა იდგეს.

მაინც სოციალურობის დიდი გრძნობა არსებობდა. არა მხოლოდ იმიტომ, რომ, როგორც ადრე ვთქვი, მილანს პლანეტარიუმი აჩუქა, არამედ ფული გაიღო და წვლილი შეიტანა ბიბლიოთეკების და სკოლების მშენებლობასა და მონყოლაში, ვანგში (ჭანგი), მის მშობლიურ დასახლებაში. გარდა ამისა, ციურხში დააარსა ჰოეპლის სახელობის ფონდი, რომელიც აქტიურ კულტურულ მოღვაწეობას ეწევა და აგრეთვე მოხუცებს ეხმარება. მისი ეს აქცია, პოლიტიკურზე მეტად, სოციალური უფრო იყო. რა თქმა უნდა, ამას მოჰყვა საუკეთესო ურთიერთობების დამყარება პოლიტიკურ მოღვაწეებთან და სხვადასხვა ქვეყნების მთავრობებთან. ფაშისტურ მთავრობასთანაც ჰქონდა ურთიერთობები, მუსოლინის ნაშრომებიც გამოსცა, რაც ჰოეპლის გამომცემლობისთვის გამონაკლისი შემთხვევა იყო. მაგრამ თვითონ „დუჩემ“ აირჩია ჰოეპლი, და არა პირიქით, სხვა გამომცემლობებს არჩია თავის ბუნებრიობისათვის, დამოუკიდებლობისთვის და თან ჰოეპლის სხვებზე მეტად ენდობოდა. მიუხედავად იმისა, რომ 10% მისცა, ბევრად ნაკლები, ვიდრე სხვები აძლევდნენ, ბუნებრივია, მუსოლინიმ იფიქრა, რომ სხვები ატყუებდნენ. საქმე ეხებოდა ძირითადად კომერციულ ოპერაციას, რომელშიც პოლიტიკა არაფერ შუაში იყო; გარდა ამისა, საუკეთესო კომერციული ოპერაცია ჩატარდა.

ულრიკო ჰოეპლის სჯეროდა ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და ინიციატივისა, დიდი ყურადღებით ექცეოდა სოციალურ მოღვაწეობასაც. ამას იგი პროტესტანტული ტრადიციების საფუძველზე აკეთებდა და, რა თქმა უნდა, თავისი აღზრდისა და წარმოშობის გავლენის ქვეშ იყო. ფილანტროპიის პრობლემები იმ დროს ძალიან გავრცელებული იყო შვეიცარიაში; საკმარისია გავიხსენოთ დუნანტი (Dunant) და „წითელი ჯვარი“ პესტალოციზე და მის პედაგოგიურ ინსტიტუტებზე.

არასოდეს ჩართულა აქტიურ პოლიტიკაში, არც არანაირ ექსტრემიზმში, მაგრამ ეს არ ზღუდავდა. ძალიან დაფიქრებული და ჭკვიანი ადამიანი იყო, თავს უძღვნიდა სამუშაოს. თავის ოჯახის წევრებს და თანამშრომლებს კი ყოველთვის უმეორებდა: „თქვენ უნდა იმუშაოთ, მშვენიერი სააგენტო გაქვთ და ამაზე მეტი რაღა გინდათ ცხოვრებისაგან?“ კარგი პირადი მაგალითი ყოველთვის კარგად მოქმედებს.

– რა მემკვიდრეობა დატოვა ულრიკო ჰოეპლიმ გამომცემლობის და ნიგნის მალაზიის სააგენტოს ფილოსოფიის სახით?

– რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანი მემკვიდრეობა დატოვა, რომელსაც ვინახავთ და ვაფასებთ. გამომცემლობის ხელწერა დამაარსებლისაგან მოდის და კიდევ ნათლად გამოიკვეთება დღევანდელ გამომცემებში. მაგრამ სხვა საკითხებზეც მინდა გავამახვილო ყურადღება.

პირველ რიგში, ნიგნის მალაზიის და გამომცემლობის რეკონსტრუქცია მოხდა მეორე მსოფლიო ომის ულრიკო ჰოეპლის შემდეგ – მეორე დიდი პიროვნება იყო მამაჩემი. ომმა მთლიანად გაანადგურა ნიგნის მალაზია; პროდუქციიდან სულ რამდენიმე ნიგნი შემორჩა. ომის შემდეგ ყველაფრის თავიდან დაწყება შეუძლებლად მიაჩნდათ.

მამაჩემს კი იგივე სიმტკიცე აღმოაჩნდა, მომავლის იგივე რწმენა, როგორც დამაარსებელ ულრიკო ჰოეპლის, მან ააშენა ეს ლამაზი მალაზია, სადაც ამჟამად ვიმყოფებით.

მამაჩემში თავი იჩინა იმ მომავლის და ხანგრძლივი მოღვაწეობის განცდამ, რომელიც ძალიან მკვეთრად იყო გამოხატული „წინაპარში“ და რაც ტიპურია საგვარეულო სააგენტოებისათვის – უფრო შორსმჭვრეტელური, სხვებთან შედარებით, კაპიტალის უფრო ჯანსაღი და სოლიდური დაბანდებით.

ტრადიციების მიყოლა ხელს უწყობს პირადი ხელწერის მოპოვებას, რასაც დადებითი გამოცხადი აქვს მთელ სააგენტოში.

1911 წელს, ციურისში, ულრიკო ჰოეპლის ინიციატივით ფონდიც დაარსდა, რომელიც ითვლებოდა მისაბაძ მაგალითად წიგნის გამოცემის ისტორიაში, რაც ძალიან განვითარებული იყო ციურისში, ისევე როგორც გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში, ამერიკაში. ეს შვეიცარული თვისება, იცნობდე და შეისწავლო შენი წარსული, დიდი ბიძგია მომავლისათვის. როგორც თავის დროზე დამაარსებელი აკეთებდა, ჩვენც დღეს მაღლიერებით შევცქერით და ხელს ვუნყოფთ მას, ვინც დაინტერესებულია ჩვენი მოღვაწეობის წარსულით, ისევე როგორც ერნიკო დეკლევა, ტულიო დე მაურო და ყველა, ვინც ამ ბოლო დროს იტალიაშიც დაინტერესდა და ცდილობს შეისწავლოს ჩვენი გამომცემლობის, მისი დამაარსებლის მოღვაწეობა. ამას იმიტომ კი არა, რომ წარსულს მივტირით და ნოსტალგია გვაქვს იმ პერიოდის „ლაუდატორ ტემპორის აცტი“, არამედ იმიტომ, რომ წარსულის შესწავლა ხელს უწყობს განვლილი გზის გააზრებას, საკუთარი პიროვნულობის წარმოჩენას და, აქედან გამომდინარე, სააგენტოს სიძლიერეს.

ულრიკო ჰოეპლის ფესვები მოდიოდა შვეიცარიის კანტონის პატარა სოფელ ტურგოვიადან, რომელიც არ იყო ცნობილი კულტურული ურთიერთობებით. მიუხედავად ამისა, მისი მონობე იყო, გამხდარიყო ინტერნაციონალური დონის გამომცემელი. ჩვენ უკვე მოვიგონეთ, რომ მისი პირველი შთაგონება **ანგლოსაქსური სასაუბრო სახელმძღვანელოდან** დაიწყო და მაშინვე დაამყარა კომერციული ურთიერთობები მთელ იტალიასთან (1873 წელს გაიხსნა შუცცურსალე-ი, გააბა ურთიერთობა ნეაპოლთან, მოგვიანებით კი პიზასთან). ამ ტრადიციების კვალობაზე, დღესაც ვცდილობთ, **კიასოდან – პორტო ემპედოკლემდე**. ძალიან დიდი ყურადღებით ვეპყრობით და ვუფრთხილდებით ურთიერთობებს ჩვენს ქვეყანასთან, საიდანაც ვართ წარმოშობით და გვინდა, რომ ევროპელი გამომცემლები ვიყოთ. შემთხვევითი არ არის, რომ ამ ალბათ, იმ პრივილეგიისთვის, რაც დაკავშირებულია ჩვენს შვეიცარულ წარმოშობასთან, როგორც ნეიტრალურები და მსოფლიოს მოქალაქეები, ამ ორიოდ წლის წინ ევროპული გამომცემლობების ფედერაციის პრეზიდენტი ვიყავი.

ეს გარემოება მაძლევს საშუალებას, რომ ყურადღება გავამახვილო სხვა ასპექტზეც, რომელიც თავის თავში იტევს დამაარსებლის გამოცდილებას და მისგან ნასწავლ საქმეს, რაც მემკვიდრეობის სახით გადმოგვცა, ღირს, რომ

ყურადღებით მოვეპყროთ და დავუახლოვდეთ ჩვენი სამუშაოს ასოციაციურ ცხოვრებას. ულრიკო ჰოეპლი ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა იყო ავტორთა საზოგადოებისა, წლების მანძილზე მე და მამაჩემი SIAE-ს კონსულტანტები ვიყავით ისევე, როგორც დღესდღეობით- მე და ჩემი შვილი **ჯოვანი**.

როგორც ერთი საუკუნის წინ წიგნის მაღაზია, რომლის მიმართაც განსაკუთრებულ სიბოხს ვგრძნობთ და გვიყვარს, მილანისთვისაც უფრო მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი წიგნის მაღაზია. აქ არის წიგნები, რომლებიც სხვაგან არ იშოვება და ამიტომ მაღაზია ბიბლიოთეკის როლსაც ასრულებს. შეიძლება ითქვას, ქალაქის კულტურული შუქურაა.

გარდა ამისა, მამაჩემმა 1958 წ. მაღაზიის პროექტი მიანდო ორ დიდ არქიტექტორს, **ლუიჯი ფიჯინის და ჯინო პოლინის**. ისევე ყურადღებიანი იყო, როგორც „წინაპარი“ და დამაარსებელი, მილანის კულტურული გარემოს და არქიტექტურის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ წარმოშობით მილანელი არ იყო, ულრიკო ჰოეპლიმ შესძლო გაება ისეთი ძლიერი კავშირები ქალაქთან, რომ მილანელად თვლიდნენ. ასეთი თვითმყოფადობა მყარად ფესვგამდგარი ქალაქის რეალობაში, შემდგომ ყოველთვის ღრმავდებოდა მისი მიმდევრებისგან და შთამომავლებისგან და ასე მოაღწია ჩვენამდე.

1896 წელს, ულრიკო ჰოეპლი, რომელმაც მილანელებს არაჩვეულებრივი მილანურ-იტალიური ლექსიკონი მიუძღვნა, წერდა: „ოცდახუთი წლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შემდეგ ლამაზი, გულუხვი ქალაქი, რომელიც მე მმასპინძლობდა, ამასობაში ჩემი ქალაქი გახდა; ეს გულთბილი კავშირები, ორმხრივი ურთიერთობები და ყოველდღიური მოვლენები ისეთ ილუზიას მიქმნიან, რომ თავს მის კანონიერ შვილად ვთვლი“

ჩვენ, ისევე როგორც მას, გაგვიხარდება, თუ **„შვეიცარიელ მილანელებად“** ჩაგვთვლიან.

**ინტერვიუ: პიერ კარლო დელა ფერერა
სონდრიოს (შონდრიო) პოპულარული ბანკის
კონსულტანტი კულტურულ ურთიერთობებში
ულრიკო ჰოეპლი**

**გამომცემლობა „ულრიკო ჰოეპლის“ პრეზიდენტი
იტალიურიდან თარგმნა ლელა ხორნაულმა**

უჩა ლალანიძე

ინტერნეტ-საქტრი

ზოგადად დარდზე მიწიერი არის მოვლენა, იმ კვირას მაინც თუ მოვიცლი და დავმშვიდდები: ლალი წვიმებზე, ჩუმად ამბობს, აღარ მოვლენო, სანაცვლოდ მოვლენ ხელის ზურგზე მკვდარი ჩიტები... რადგან პეპლებთან დავილიტი ხელისგულები, მსახიობობის მერე მსურდა ერთხანს პეპ-ლობა, ლალი ფიქრობს, რომ უკეთესის გველის ყურება, თუ მოგვეცემა რწმენა, როგორც შესაძლებლობა...

ლალი სოფელში ზაფხულივით ჩემს გულს ატარებს, გაიტაცებდეს ჩემი მკლავის ვიდრე დინება, არ ეძინებათ მეზობელი ხანჯლის პატარებს, - წითელ ზღაპრებზე- ,მოკალით და არ ეძინებათ... ლალიმ ახლახან მოიხადა აბასთუმანი- ხეებზე ასვლას განასკვული ძარღვით ცდილობდა, ფიჩხებში ჩემი ნაჩუქარი კაბაც დამალა, გულზე შემთხვევით რომ გახსნოდა მხოლოდ ჭრილობა... შვილზე პატარა სავალი აქვს ლალის ცრემლამდე: საღამოს ცხრისკენ გადაირბენს ხოლმე მშვიდობით, მე მირჩენია არ ვუყურო ან დაველამდე, დავემშვიდობო რომელიმე ყურს ხმა-დიდობით,- როდესაც ყელთან გამიღვება რკინის სიტყვები, თავთან წყალივით გამითბება ჭიქა-ლექსი და ვით ქვაფენილებს-შიშებს აღარ შევეკითხები ტაძრის გზას დილით წამოსული შორს რეფლექსიდან... როდესაც ლალი კვლავ დაძარღვულ ყელზე მაკოცებს და მიმატოვებს ყ ე ე ლ ა -ლრუბლის სამეგობროდან, ვინც კი ფარავდა ლალის შიშველ ფეხზე ნაკანრებს,- ღია სარკმელთან დასაჭერად როცა მორბოდა...

მგონია, რომ დაღამდა და შორსაა ატენი, მაპატიე, აქამდე გზა ცრემლივით ნადენი,- რომ არ მქონდა მეტი და მეტი უნდა მქონოდა: ეს მე უნდა მეტირა, ჩემო ქალბატონო, თან... ყველა ღამე დარდივით, ეს მე უნდა მეზიდა, მაპატიე, მარტივი გადახვევა გეზიდან. მაპატიე, მარტივი მარტოობის მოტივი, ყელზე შენი მკლავები გამობშული ლოდვიით- როცა ტანა ახლოა, როცა ტანას ხმა მესმის და თერებთან ძაღლები მთვარის მთელი ღამე სმით...

ღმერთთან ერთ შენდობაზე გადასული გორიჯვრის უფრო ლურჯი ტკივილი მიწასავით შორს იძვრის... მგონია, რომ მეძახი და შენს ხმაზე შორიც ვარ, უფრო ლურჯი ზეცა კი სადღაც მიაქვს გორიჯვარს... და მიყვება ბილიკი მხოლოდ მუხლ- დასადგმელი, სიტყვა უფრო თბილი კი ისევ მრჩება სათქმელი...

ხეში და დედის სასთუმალთან ჭიქაში წყალი ისე იდგა, რომ ყოფილიყო თებერვლის შვიდი ან ოცდასამი ან ოცდარვა და მწამდა ქალის, რომელსაც ქონდა თვალეზივით ტკივილი დიდი, რომელსაც რწმენა შვილებივით პატარა ქონდა და იზრდებოდა მის სარკმელთან სიბნელე მხოლოდ: თავს ხმელ ზაფრანას უმატებდა, ლობიოს-ქონდარს, გული მჭადივით გადმოქონდა კეციდან, ხოლო წყალში კი კიდევ უფრო დიდში და უფრო ცივიში ვიდაცეები ისე იდგნენ, სახლობდნენ ისე- ეკიდათ ცეცხლი და ტყდებოდნენ უბრალოდ სხივზე ადრე ან მეტად, არ ეძებდნენ გამოსვლის მიზეზს.

გამოდიოდა მას კი მხოლოდ ხელიდან ბრალი და ბრალს თავის მხრივ ქალი ედო და გულთან იდო: ხეში და დედის სასთუმალთან ჭიქაში წყალი ისე იდგა, რომ ყოფილიყო თებერვლის შვიდი...

„ვილვეტის“ თაობა უკლებლივ ყველა გასასვლელი ნელი გავიდა, გულიც გაჩერდა აქეთ-იქით ნაგორავები,



ვის მოუყვებით, გატაცებულ თვითმფრინავიდან დამხობილ წიგნებს როგორ გვანან სახურავები? თითქოს რაც ვიცი და ვისწავლეთ, საკმარისია იმისათვის, რომ ჩვენ გიყვარდეს, ღმერთზე გარკვევით... მხოლოდ ჩვენ გვესმის სიტყვა-სიტყვით საქმე რაშია, რადგან ზვავევით ჩამონოლილ ზიზლს მივარღვევით, კარგად ყოფნაზე ვსაუბრობდით, როცა ხმამაღლა... ხოლო სიყვარულს მეზობელზე მეტად უჭირდა, რომლის სახლიდან ახლაც ისმის ხმები სამარხვო, რომ მიწასავით მოვებნიოთ გულებს მუჭიდან,

მამაჩვენები რომ კრავენ და დედაჩვენები მხოლოდ სიკვდილის დროს უხსნიან, რადგან დედებმა დარდების შეკვრა მოიგონეს... ყელს ვჭრით ჩვენებებს, სისხლივით მაინც შინაგანი ხმა არ დედება, რომლის მიხედვით, შენ თოვლი ხარ და მე სერი ვარ-სამი მეგლივით სამი შიში გულზე დამიდის, გვეგონა, მკლავი გვეყოფოდა, შურს მესერივით, როცა ვარტყამდით და იმედი გვქონდა ამინდის. ახლაც გვეგონა, რომ ხალხს ღმერთზე მეტად აციებს, როდესაც წყალი მოვარდნილი ლეკავს სამ სოფელს და წყალში მდგარნი შავ-კაბიან მედიტაციებს კვლავ ვეკითხებით დალოცვილი უფლის სამყოფელს...

შენი თვალების ლურჯ ამბებში მე რა მიწოდდა, რა გავაკეთე, ან ასეთი რა ქნეს ნისლებმა? ტყიდანვე მომდევს ნადირივით შიში მიწდორთა და გრძნობს, ამაღამ ჩემი მოკვლა რომ შეიძლება. რა მოსაყოლი კაცი მე ვარ? როცა გჭირდები, ჩემი იმედი დახრილსაც კი გწვდება ნელამდე, სუსტი ფილტვები დაცლილი მაქვს, ვით მჭიდები და როგორ გითხრა, რომ დავმუნჯდი და დაველამდი.

შენი სიტყვების ნაპრალებში ვტოვებ სისველეს, როცა შორსა ვარ, როცა ყრუ ვარ, როცა ბეცი ვარ, სახლიკაცივით გამოდგარი ცრემლი მიშველის, თუ დამენია, მაგრამ ცრემლი რას დამენევა. ხანჯალს რა უნდა მაგ მაჯების წითელ ზღაპრებში, გაგიუხებდა, როდის მერე რბილი ნაკვთები? მხოლოდ მწუხარე ნეკროლოგებს ვწერ წინაპრებზე, ვერც თავს მოვიკლავ, ვერც მტერივით ქარს შევაკვდები. დიდი ხანია, რაც სანთელი არ ამინთია, დიდიხანია დამავიწყდა ლოცვა, საარი, - შორიდან ვამჩნევ, სამი ხიდან ერთი შინდია, საყდრის ეზოში რომ ირხევა, ერთიც ბზა არი.

ის ლალიაო, – მამაჩემმა, – ნუხელ იწვიმა და ვერ იბრუნებს ხელისგულებს სულ სავენახეს, ფოთოლივით რომ ჩამოვარდა უცებ სიჩუმე, – ხეებს არ უნდა შევემჩნიე და დავენახე-მეთქი, – ვიფიქრე... მეც ხომ ახლა ამ ხეებივით რალაცა დამრჩა, რაც ვერა ვთქვი, არ დამასვენებს, სანამ არ ვიტყვი, არ დავაშრობ, სანამ დაჭრილი მტაცებელივით კლდეზე დასხნილ ამ ლამის ვენებს...

მანამდე რომ არ გადამცალკავონ ბელტიყლაპია ხე-ტიალებმა ცხარე მიზნით შენ შემაზავე და სიყვარულზე, უფრო მეტად კი სიცოცხლეზე მიაბე მაჯის ტკივილივით და ცემასავით... ცოტა ღაღაღივც მომიყვიე, ზღვა მესმარება, მარტოსულად ვიგრძნო თავი დღეს. მე კი ვერაფერს ვაგებინებ ზღვაზე ყრუ ჩვევებს, ისევ ბარბაცით შემოვდი შინ ამ დილაზე, მაჯაზე ხავსი საათივით თორმეტს უჩვენებს, ან შეიძლება, წინ არის და სინამდვილეში ხდება თერთმეტი, ხდება შეიძლება, ხდება შემთხვევა, სადაც არავინ ილუბება-მეთქი, შემთხვევით, სამხილებით ეს დღეებიც სიზმრებს ემთხვევა, მაგრამ ვერ ამჩნევს, - მოხუცი რომ ცხოვრობს ჩემს ქვევით, შეიძლება, ჭლებით რომ ციხეების ინყებს მოლოცვას, მამაოები რომ უშლიან და რომ არ იშლის, - აქვე პატარა ტაძრის წინ რომ ყიდის ბოლო წვა, ყელზე ნვრილ სანთლებს და ფეხზე მსხვილ ნიშნებს ქარიშხლის!

ჩემი სიმშვიდის გასწვრივ, ჩემი ბავშვობის ახლოს, ცაცხვების ქვეშ თვედემს სალოცავი ღმერთებზე ძველი, სხვის დასანახად დაწყებული ლოცვებით დაღლილს, ნანგრევი რომ აქვს თვალელებით ყოველდღე სველი.

გული სახლიდან უხმოდ გასულ ჩრდილებზე გ კ ი ვ ი ლ ს – როგორც საუბარს, მეზობელთან, ჩურჩულით ინყებს და მამალივით უთენია ეზოში ყივის ეს ბლაგვი დანით დასაკლავი ხვარტი და სიცხე. ლექსი ეძღვნება, რომ ვერ მითმენს, იმ ორი ჩიტის გულს-გამოსავალს ბუდის მაგვარ სიტყვებში ვეძებ, რომ გადაფრინდეს გულწინთელა ჩიტით ხიდან ძველ სალოცავზე ფიქრი-მეთქი, - ერთ დღესაც ხეზე...

რომ კარგად ყოფნის შეგრძნებასთან ძალიან ახლოს – ზღაპრულად ყოფნის შეგრძნებასთან ახლოს და გვერდით, ციხეებივით თვალს ვერ ვუნვდენ ამინდებს მალღებს-ბრგე წინაპრებით, სამშობლოთი, სიკვდილით, ღმერთით... რომ ტკივილამდე თვალებს ვახელ და გუგებს ვუგებ, რომ დაცემამდე ვეფერები კედლებს და ვგოდებ- ამ ციხეებთან მშვიდად სუნთქვის შეწყვეტილ შუკებს, შეფენილ ლოდებს.

ხარებს მოდენის, პირჯვრისწერის წყაროდან, როგორც მამის დაძარღვულ, მარტივ ნაჭამ, გალახულ ხელებს – მიწას რომ სუსტი ეჭიდება ბიჭი და გოგო და სახრესავით მოქნეული წვივებზე ლეღე შხუის, შორია, ჯერ ღამემდე, ტყისპირი იქვე კალთებს იბერტყავს და ზღაპრების გზა-წვრილებს ყვება, მოძალბებული კოპლებივით თუ როგორ მიყვარს, – ჩიტბატონებით, წითელგულა სიზმრებით მხრები, როცა სავესე მაქვს... ამბავს ყვება, თუ როგორ ვცურავ, როცა უგულოდ გადებული ხიდები ბენვის, თვალქვეშ მიტყდება... მიფუტყვე, აქამდე თუ რამ მანყენინეს და ქარის ყველა მხარივით მენვის.

მიფუტყვე და როცა მარტო რჩებიან, ესმით როგორ მახოდებს არსად წამსვლელ, დღეს მაინც მზეზე, - სალოცავივით, ციხესავით, ღმერთივით ჩემი, ზურგზე კანივით, ჩემი სევდა-ამძვრალი ეზო. კარგად ხედავენ, უცებ როგორ მიძვრება სულში, ხარაჩოვზე სალიდინო დროშებით მდგარი, - ამოვარდნილი, ამომხტარი ბუდიდან, სულაც- ჩამო-

ვარდნილი, სიჩუმესთან ნაომი ქარი...

მოვიგონე, რომ ღამე გზაში დათვივით ვცემე და მცემს დათვივით სულ არაფრის მოგონი ღამე, ღამე ვერ მიტანს ბავშვობიდან, ასეა, ჩემი ჭიანჭაში, მოგონილი სისუსტის გამო. ვგორავ სიზმრებში, ვკოტრილობ კუზიან შქერში, ბებერი ანწლის გადასული მანუხებს ხანა, ადამიანებს მე-ზობელი გიჟივით ვერჩი, რომლებიც არსად ჩანან ანდა სულ ოდნავ ჩანან!!! 21/01/2017

იცი, რომ მხოლოდ სამად სამი დღე გავუძელი, მაგრამ არ იცი, რას ნიშნავდა ჩემთვის სამი დღე, ვერ გადავლახე ცხრა მთასავით შენი მუცელი და ღამე სულაც არ მელოდა, როგორც სამოთხე, როცა მფარავდა ცხრა ზღვასავით შენი მზერა და ჩამოვარდნილი ფოთოლივით შენი სიჩუმე, ღრუბლები წერდნენ გრძელ წერილებს, – მიმონერ-ამი ფიგურირებდა დიდხანს თოვლი, მაგრამ იწვიმა...

ხოლო წვიმაში სმის სურვილი ველარ დავაბი და ისევ წვიმას დავაბრალე, რაც ვსვი სასმელი, მესიზმრებოდა, რომ გახდილი შენი მკლავები კართან მეყარა უნესრიგოდ, ვით ტანსაცმელი... ვსვამდი დილიდან, საღამოდან, ვსვამდი შენი-დან, ხან კი – უშენო ყანებიდან... გარეთ ცოტა ხნით გავდი-ოდი და დაბრუნების სულ მეშინოდა, ბავშვივით გაზრდას რომ მომთხოვდა ვინრო ოთახი... სადაც ხელისგულს ვიტკიებდი ბრმასავით, რადგან იმ სანთელს გავდი, არაერთხელ მსურდა, რომელიც ამენთო... მოკლედ კიდევ ერთი ცრემლი გეტკინა, - ნამნამების სველ ხარაჩოზე ცუდად მძრომელი...

სისულელეს ან დიდ სოფლებს და ბავშვურ ქალაქებს ფიქრობ, სიტყვა გავს გარადაუვალს, როცა ხარაკირს, ვინრო თვალებსაც მონდომებით ისევ ალაგებ დომინოს გვერდით, სიმართლის წინ მაგრამ არა ღირს. წყალი რომც იყოს, - დილაამდე სვა, არ შეიძლება, - საკის და სიზმრის შენს ნაღველზე მღვრიე ნაზავი, მოგონება ხომ, რომ იტყვი-ან, უცებ იცვლება და ხშირად განგრევს მოწოლილი მინისძვრასავით. ის მომენტია, როგორ გითხრა, როცა ქალაქი სადღაც მიდის და წელს იტკიებ, შენ ვერ მიყვები, ანუ იქ რჩები შენი ნებით,

სადაც გალაკულ ყურადღებაზე, მბრწყინავ ცრემლზე სხედან ბრიყვები; ეს კი მოქმედებს, დაქცეული, როგორც წამალი, რადგან წამალზე, ნაქცეული, შენ ვერ მოქმედებ და შენი აზრის

გაბიძნილი გზა და ტრამალი იწვევს ცრუ ტანჯვებს, ილუზიებს და. შემოქმედებს. შენ გგონია, რომ დაფრთიან-დი, ქარს ეურჩები ან ნისქვილივით არ დაფქვავ და ეტყვი არავის, რასაც განდობენ უნაზესი ტყემლის ფურცლები, ჭადრის ფურცლები გულგრილობით, რასაც ფარავენ.

შენ თავს იტყუებ, უხმოდ წევხარ და ირუჯები, მაგრამ მზე არ ჩანს, ზღვა არა ჩანს, არც სხვა ნათება და ფეხ-ებივით დილიდანვე ტეხენ ქუჩები ქალაქს, რომელსაც შენც იცი, რომ არ ეხატება ღმერთი გულზე და უთენია მთაზეც არ ავა, რომ შენიოს მოურჩენელ შუქის მორჩებად მას, - ვინც შემთხვევით ანდა ძალით ლოცვის ქარავანს წინ გა-დაუსწრებს მწუხარებით ან ჩამორჩება. შენ თავს იტყუებ, ბენზინს ისხამ და ინაცრები, მაგრამ ალსდებო- მუხლს იბ-ერტყავ- ფიქრობ, ანუ-ხვალ და მკლავებივით სევდით სავესე წყდება ტაძრები ქალაქს, რომელსაც ერთი მცირე ლოცვაც არ უყვარს, სადაც ხიდივით თავ-დახრილი სურვილს შეები, თუმცა შენი დღე არასოდეს აღარ დადგება, ცოტა მეტი ხნით ამღვრეული მდინარეები თუ დაჟინებით მოითხოვენ შენს ყურადღებას.

ლალი მიქაძე

ფხვზე მღვარი მკვდარი
(სარილიან:ცივი ქრონიკის მიღმა)

მაშინ მთელი ქობულეთი შეძრა ამ ამბავმა.სკოლა-სან-ატორიუმის მოსწავლე,რომელიც ზემო აჭარიდან იყო,ვიღაც ქალს მოუკლავს.ქალი მამამისის საყვარელი ყოფილა.ცოტა ხნით სასეირნოდ გაუტანებიათ,რადგან ბავშვმა თქვა,ჩემი ახლობელიაო და იმასაც ყელი გამოუჭრია.

მაშინ ქობულეთის ერთ-ერთ სკოლაში ვმუშაობდი. მასსოვს ჩემი გაოგნება. რა თქმა უნდა, ბავშვი შემეცოდა,შემეცოდა ახალგაზრდა ქალიც... ცხოვრებამ რომ მკვლელად აქცია.

იმ დაბაში, სადაც გოგონა დაქალიშვილდა, ყველა ერთ-მანეთს იცნობდა. თუ პირადად არა-სალმით,ანაც შორიდან. ერთმანეთის ამბები ხომ სულ ზეპირად იცოდნენ. ასეთია სოფელ-დაბების ხვედრი.

კაცი რომ დაქვრივდა, ყველა შეწუხდა. გარდაცვლილი ცოლიც ედარდებოდათ და მისი მცირეწლოვანი ქალიშვილიც.ბავშვს ავად თუ კარგად ეშველა-ბებია ზრდიდა.კაცმაც ერთი წლის შემდეგ ვითომ მოინდომა ცოლის შერთვა, – ვიღაც-ვიღაცეებს ურიგებდნენ ხოლმე,ხომ იცით მთისა და სოფლის ამბავი.თავადაც არ იცოდა კარგად, რატომ იგერიებდა ყველა მაჭანკალს. თითქოსდა მასაც უნდოდა ცოლის მოყვანა, მაგრამ ის პატარა გოგო, რომელიც მის ხელში გაიზარდა, მოსვენებას უკარგავდა. თითქმის შვილად ერგებოდა და თანაც მისი გარდაცვლილი მეგობრის ქალიშვილი გახლდათ. 16-17 წლის ლამაზმანს ბევრი ეტრფოდა, მაგრამ გოგოსაც რალაც ემართებოდა მის დანახვაზე. იგი ერთგვარად დაკარგული მამაც იყო მისთვის და ცხოვრებანანახი ძლიერი მამაკაცი. ზურაბი მილიციელი იყო (საბჭოეთის დრო გახლდათ), თავისი მეგობარიც ერთ-ერთი ოპერაციის დროს დაიღუპა და რალაცნაირ ვალდებულებას გრძნობდა მისი ცოლ-შვილისადმი. უფრო სწორად მომაკვდავის თვალეები ავალდებულებდა. კიდევ უფრო სწორად ეს პატარა გოგო მიარბენინებდა. ხშირადაც აკითხავდა და როგორადაც შეეძლო პატრონობდა ოჯახს. მაგრამ ამ გულისათვის თუ თავს დატეხილი ვნებისთვის რა ექნა? ცოლად მოეყვანა?! დიდ მითქმა-მოთქმას კი გამოინვევდა,მაგრამ ამას გაუმკლავდებოდა. დედას რომ გადაუკრა სიტყვა,დედამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: ჯერ ჩემს გვამზე გადაივლი და მერე შემოიყვან ოჯახშიო. ყური ჰქონდა მოკრული დედისა და ნონას ბაბუის სატრფიალო ამბავზე-დედის გაცხარებამ უფრო დაარწმუნა ამაში.ალარ ჩაძიებია,მიხვდა,რომ დედას ვერაფრით გადაათქმევიებდა. მერე მოხდა ისე,როგორც უმეტესად ხდება ხოლმე.მეგობრის ოჯახს შეუარა,ქალაქში მივდივარ,რამე ხომ არ გინდათო.დედამ თავისი ხელით ჩაუსვა ქალიშვილი მანქანაში,გამოშვებისთვის საკაბე უნდა იყიდოსო. მერე გზად შეჩერდნენ,ტყეში ჩამოსხდნენ და...

ერთ ხანს მალეს ეს ურთიერთობები. სანამდე დაიმალებოდა. პირველად დედა დაეჭვდა. ნონას არც დაუმალავს, დარწმუნებული იყო, ცოლად მოიყვანდა და დედას ყველაფერში გამოუტყდა. რამოდენიმე თვის მერე ვნებამაც გაიარა და კაცი ახლა გაურბოდა ქალს, თავს არიდებდა.



ამასობაში მთელი დაბა აჩურჩულდა. ნონა როდესაც მიხვდა, ორსულად იყო, ბავშვის მოშორებაზე არც უფიქრია, პირიქით, იქნებ ამან მოაბრუნებინოს გული ჩემზეო. ამაში დარწმუნებული იყო,უფრო სწორად თავი დაირწმუნა. პირველი უმანკო და უნაპირო სიყვარულით უყვარდა კაცი. როდესაც დედამ მუცლის მოშლაზე ვერ დაითანხმა, თმებში წვდა. არაფერი გამოუვიდა. მაგრამ როდესაც კაცმა უთხრა,რა ვიცი ვისგან გყავს ეს ბავშვიო,მაშინ კი დაემხო თავზე მთელი სამყარო. დიდხანს იდგა გაშეშებული. ფეხზე დამდგარი მკვდარი გინახავთ?! არც ცრემლი, არცერთი სიტყვა, გაფართოებული თვალებით მიშტერებოდა კაცს და გრძნობდა, როგორ ეცლებოდა ფეხქვეშ მინა.

ნერვიულობის ფონზე მუცელი მოემალა და რახან ქალაქში წასვლა ვერ მოესწრებოდა,ადგილობრივ ამბულატორიაში მიიყვანეს.დაბასაც მეტი რა უნდოდა: აჭორავდა,აბობოქრდა,აყაყანდა.

უფროსი ძმის ყურამდეც მიალწია ამ ამბავმა. ის კი არა,სუფრაზე ვიღაც მთვრალმა ნამოაძახა, შენ ბოზ დას მიხედო. ეგლა აკლდა სანყალ გოგოს. ძმამ წიხლქვეშ გაიგდო ისედაც გაუბედურებული ქალი. მერე ზაურთან მივარდა, შენ გამოუბედურე და და შენვევე უპატრონო. ზაურმა-ჩემს მერე რა ვიცი ვისთან დადიოდაო. ძმაც დიდი ბედოვლათი ვინმე იყო, მილიციელია, ე მანდ რამე არ მიხი-მანდროსო და შეეშვა. დას კი უბრძანა: ჩემმა თვალებმა არ დაგინახოს ოჯახშიო. ბევრი ქვენა დედა, შენი სისხლი და ხორცია,სად აგდებ, ისევ ჩვენი საპატრონოაო, მაგრამ ახლა რძალმა წამოყო თავი, გოგოები მეზრდება და ამისგან რა ხეირს ისწავლიანო.

ნონას ვითომ თავისი არ ყოფნიდა, მეზობელ-ნათესავებს რომ თავი დავანებოთ, ოჯახში გაჩერება აღარ შეეძლო. მეგობართან გადასახლდა ბათუმში. სხვას ხომ არ დაწვე-

ბოდა კისერზე. რაღაცას ყიდდა, რაღაცას ყიდულობდა. კი უნდოდა, თავისთვის ეცხოვრა, მაგრამ იმდენს ვერ შოულობდა, ქირა რომ გადაეხადა. ერთხელაც ადრე დაბრუნდა შინ, ოჯახის კაციც მოვიდა და ცოლ-ქმრის საუბარს მოკრა ყური. კაცი ეუბნებოდა, როდემდე უნდა იყოს ეს ჩათლახი ჩვენთან. სოფელში ვერ ჩავსულვარ, ყველა მაგაზე მეკითხება, მაგას რა უნდა თქვენს ოჯახშიო. ქალი თავს იმართლებდა, რა ვქნა, ხომ ვერ გავაგდე, ბავშვობის მეგობარია, ცოლოა, თავისი უბედურებაც ეყოფაო. ქმარი არ ცხრებოდა, ბოზების საბუდარად გამიხადე სახლი, ერთ კვირაში მაგის ფეხი არ ვნახოო.

უკვე მესაჯვერ მოკლული ნონა იმ ღამეს კბილებით გლეჯდა ბალიშს და მარტო ბალიში კი არა, ზენრიანად სველი იყო ლოგინი. მეორე დღეს კი ნაცნობმა უთხრა, ზაური ცოლს ირთავსო და მერე აღარც ახსოვს, საიდან და როგორ მოუვიდა აზრად, იგიც ისევე გაემნარებინა, როგორც თავად გაამნარა. იცოდა, შვილი ქობულეთში სკოლა-სანატორიუმში ჰყავდა მიბარებული. ადვილად მოიპოვა თანამშრომლების ნდობა, ბავშვმაც ჩემი ახლობელიაო. ნლების შემდეგ, საკანში მყოფს, თავადაც უკვირდა, როგორ გამოჭრა ყელი და ვერაფრით იხსენებდა ამ მომენტს. თუმცა გაქცევა არც უფიქრია. იდგა გვამთან გაშეშებული, თითქოს საკუთარ ცხედარს დასცქეროდა და უაზრო თვალებით მიმტერებოდა შეგროვილ ხალხს.

დათვების თავშესაფართან

ქალაქგარეთ გასვლა და ისტორიულ ძეგლებთან ერთად ქვეყნის მოხილვა მრავალმხრივ საინტერესო და სასარგებლო რომაა, ეს ერთხელ უკვე ვთქვი. ყველა სიკეთესთან ერთად ათასნაირ ამბავს იგებ. ჰოდა ამასწინათ, თიანეთისკენ რომ მივდიოდით, ცხვარიჭამიის ეკლესიები მოვიინახულეთ. იქვე დათვების თავშესაფარი ყოფილა. არც კი ვიცოდი აქ ამ დათვების არსებობა, ათამდე კი იყვნენ. თურმე ტყიდან ჩამოსულები თავს ესხმოდნენ მოსახლეობას, სტატცებდნენ პირუტყვს, მოკვლა არ შეიძლება და ცხაურებში გამოამწყვდიეს. აბა, რა უნდა ექნათ. ამ თავშესაფარში ახლოდან პირველად დავაკვირდი დათვებს და მათ შორის საკმაო განსხვავებაც ვიპოვნე. ერთი, მოკლევანა, მაისის თაფლისფერი, განსაკუთრებით მომეწონა. დაბურუნებდა, დაგორავდა საყვარლად. ერთი კი ისეთი აგრესიული იყო, ჩვენი მირთმეული არც სტაფილო ინება და არც კანფეტი, დარბოდა და დაღრიალებდა. ბავშვი არცერთი ვიყავით და მიახლოება არც გვიფიქრია. მე გავიხსენე სურამში დათვისაგან დატორილი ბიჭი. ერთმა ჩვენგანმა კი ისეთი ამბავი მოყვა, არასოდეს დამეინყდება და ვიცი, თქვენც გეამებათ. თუმცა სასიამოვნო თავისთავად იმ ფაქტში, ულამაზეს ქალიშვილს რომ დათვი ფეხს მოაჭამს, არაფერია. ეს დაახლოებით 30 წლის წინანდელი ამბავია მუხიანში ნოდარ დუმბაძის სახ. სკვერი რომ გაიხსნა, მაშინდელი. იქ გალიაში დათვიც ჰყოლიათ, გალია კი ზემოდან ღია იყო, მხოლოდ ოვალური რკინის სალტე ერტყმოდა. ამ სალტეზე სხედან გოგონები, ერთი სწორედ ის პირმშენიერი, ტანადი. რაღაც ძალზე ქართული ჰქონია არა მარტო იერში, მიხვრა-მოხვრასა და თავის დაჭერაში. ყველას მოსწონდა, მაგრამ ორი ვაჟი უგონოდ ყო-

ფილა შეყვარებული. ამათგან ერთი მისი თანაკურსელი იყო. ჰოდა სხედან გოგონები ამ სალტეზე. ამ ყოვლადმშვენიერმა, რა საყვარელი დათუჩააო და ზურგზე ფეხის გადასმა მოინდომა. დათვი დათვი კი არ იქნებოდა, სილამაზისა რამე გაგებოდა. რა ვიცი, ეს მოფერება რად მიიღო, უტაცნია ფეხზე და. . . იქ რა ამბავი ატყდებოდა, თქვენც წარმოიდგენთ. მერე ქალიშვილს მუხლზემთ ამუტაცია ჩაუტარდა. ამ ამბის მოსმენით ძალიან შევწუხდი, თქვენც, რა თქმა უნდა. უკვე მასზე შეყვარებულების ამბები არც მაინტერესებდა. ვის ენდომებოდა უფეხო ქალი. მაგრამ, ვინც ეს მიამბო, ისიც მითხრა, ორივე შეყვარებული მის სასათუშაღს არ მოსცილებია და ბოლომდე მასთან იყვნენო.

- მერე რა მოხდა, როგორ წარიმართა ამ ქალის ბედი.
- მერე ჩეხეთში გადააფრინეს(მაშინ ჯერ კიდევ ჩეხოსლოვაკია იყო), პროტეზი გაუკეთეს და. . .
- რა თქმა უნდა, არ გათხოვილა.
- გათხოვდა და ჩვენი თანაკურსელი აირჩია.
- შვილები?
- ორი ქალიშვილი ჰყავს.
- რატომ აირჩია ეს და არა მეორე, არ მიკითხავს. თანაც ორივეს ხომ არ გაყვებოდა.
- თამარი ამ ამბავს რომ მიაბობდა, თავადაც ღიმილი გადაჰფენოდა. - წიგნი დაინერება, არა?
- წიგნი შეიძლება სხვამ დაწეროს, მე კი ეს 30 წლის წინანდელი ამბავი მალამოსავით მომეცხო გულზე.

ულალატოს?!

ლალატი?! გარკვეულ ასაკში ხომ ლალატი(ცოლქმრულ ლალატს ვგულისხმობ) განუსჯელად არ ხდება. და ამ მშვენიერ ქალბატონს, უკვე შუახნისას, სიყვარული კი არ ენვია და თავებრუ დაახვია, უბრალოდ გაუჩნდა შანსი სხვა მამაკაცს ჩაგორებოდა ლოგინში. -თუ მშვენიერი იყო ადრეც ექნებოდა ასეთი შანსიო. -დიახაც ჰქონდა, მაგრამ ჯერ ერთი, ბუნებით ერთგული იყო და მეორეც, ქმარიც ერთგულბდა. -ახლა რა?! ახლა კარგად იცის, რომ ქმარი ლალატობს. არ გამოუძიებია, არც ერთი ამბავი აუტყუხავს, ქმარს მინიშნა, ყველაფერს ვხვდებიო და განაგრძო ცხოვრება. -გული არ ეტკინა? ეტკინა, თანაც როგორ?მაგრამ წივილ-კივილით რას მიაღწევდა. მიაღწევდა მუდმივ უსიამოვნებას და თავადაც დაიღუნავდა ნერვებს. გულისგულში კი დარწმუნებული იყო, ქმარს იგი უყვარდა.

ჰოდა ახლა, როდესაც მასზე ცოტათი უფროსმა, საკმაოდ სიმპათიურმა მამაკაცმა აგრძნობინა, მისი სურვილი ჰქონდა, შეჩქვიფდა. რომ გეკითხათ, თითქოს მასაც ეს უნდოდა:სამაგიერო გადაეხადა ქმრისათვის, მასაც ელალატა, მაგრამ როდესაც ფაქტის წინაშე დადგა. . .

თუ ქმარი ყოველ საღამოს სახლშია და ოჯახისადმი მის დამოკიდებულებაში არაფერი შეცვლილა, თუ შვილებიც ოჯახში კარგად გრძნობენ თავს, მისი დამსახურებაა. იმასაც მიხვდა, მისი უდიდესი სიყვარული მათდამი კრავდა ოჯახს და ახლა, სხვისი რომ გამხდარიყო, უპირველესად საკუთარი თავი შეძულდებოდა, ვეღარც შვილებს შეხედავდა თვალბში და ოჯახი, რომელსაც ამდენი წელი აშენებდა, უცებ დაემხობოდა თავზე. ეს ოჯახი მანამ ემგვანებოდა ოჯახს, სანამ თავად იქნებოდა მისი ერთგული. სხვა დროს ამაზე არასოდეს დაფიქრებულა.

იკა ქადაგიძე

უედემო ბაღვას

სემირამიდა, უედემო ბაღვას ხიდთან
უბრად ვიდოდა ყრუ მზერათა ჟღალი მიმწუხრი.
ვერ მაპატიე, რომ ვემსგავსე მტვერნატკენ
ქუხილს,
შენი მკლავები ვით სამსჭვალნი მზისფერ
ქლამიდთა...

სემირამიდა, დაკიდული ბაღის სილუეტს
შემოანაცრებს ქარნაშალი ქვიშის ქვაბული,
სიკვდილის მაცნეს შეასკდები ძარღვდაძაბული,
მინის სიყრუე უსიმღერო ცრემლად განვიდა.

სემირამიდა, აქ ვის ძალუძს ცა ატივტივოს,
აამლეღვაროს უგრძნეულო ცხრაკლიტულები,
ფიქრების ტიგროსს გზა შეუკრას, დაცხრეს
სრულებით,
არ შეიმუროს ცოდვათაგან, კუმტ შესაქმიდან

გამოიპაროს უედემო ბაღვას ხიდთან
მზეთა სიმკვრივე ამოკანროს
დარდჭირნახულთა,
შენს მწველ მზერაში ჩემ ელ-ჭექის შიში
გახუნდა
გედის სიმღერა დაენათლოს ფრთამალ
იკაროსს...

სემირამიდა, ოქროცურვილ სურვილთა კბოდეს
მინით დაკბილულ სევდის ურვა ელამუნება
უთვალავ ფერთა ამამძივებს მრუმე ბუნება,
მინის მაჯები ძუ ვარსკვლავად ზეცამ გაკიდა.

სისპეტაკიდან ჰანგი იქმნა, ფერფლი ურვადთა
ჩოჩხმზის ღიმილად დასალიერს გავენვართები
ალიგიერის ნაოჭივით დულს აღმართები,
აქ ჩემმა სიტყვამ უფსკრულები გაიამინდა...

სემირამიდა, უედემო ბაღვას ხიდთან
მიგრიგალებდა ყრუ მზერათა შლეგი მიმწუხრი,
არ გაპატიე, ვერ აჰყევი უჟამო ქუხილს,
შენი მკლავები, ვით სამსჭვალნი მზისფერ
ქლამიდთა.




მარსიანი

ორსახოვნება ელენე დარიანისა

ამას წინათ ხელთ ჩამივარდა მეტად საინტერესო წიგნი – 2001 წელს გამოცემული ლიტერატურული გამოკვლევა – „ელენე დარიანის ლეგენდა და სინამდვილე“ (ავტორი გიორგი ჯავახიშვილი), რომელშიც საარქივო მასალების შესწავლის შედეგად გამოტანილია დასკვნა, რომ პოეზიის მოყვარულთათვის კარგად ცნობილი ფსევდონიმის ელენე დარიანის უკან რეალური პიროვნება დგას – ელენე ბაქრაძე (ეს ქალბატონი ორჯერ ყოფილა გათხოვილი – ჯერ გოგი ბერიშვილზე, შემდეგ კი შალვა ქართველიშვილზე). აქამდე ვიცოდით, რომ ელენე დარიანი პაოლო იაშვილის მიერ გამოგონილი, სინამდვილეში არარსებული პოეტი ქალი გახლდათ და ამ მისტიფიკაციის პროდუქტი, „ელენე დარიანის დღიურებად“ წოდებული თოთხმეტი ლექსისგან შემდგარი ციკლი თვით პაოლო იაშვილის კალამს ეკუთვნოდა; ამაში ეჭვის შეტანა ძნელი იყო, რადგან თოთხმეტივე ლექსში გამოკვეთილად ჩანს პაოლო იაშვილის თვითმყობადი სტილი, მისი რაფინირებული ტექნიკა. აქ ბევრ წვრილმანსა თუ მსხვილმანში იგრძნობა პაოლოს ხელი და ხედვა, ჩანს მის ინტერესთა სფეროზე მიმანიშნებელი დეტალები თუ აქსესუარები.

და აი, „გამოირკვა“, რომ ეს თოთხმეტი ლექსი არა პაოლო იაშვილს, არამედ ელენე ბაქრაძეს ეკუთვნის, ანუ ელენე დარიანი ამ ქალბატონის მწერლური ფსევდონიმი ყოფილა და არა პაოლო იაშვილისა; წიგნის ავტორის, გ. ჯავახიშვილის დასკვნა სწორედ ასეთია, იგი აცხადებს, რომ ამ თოთხმეტი „დარიანულ“ ლექსს აქამდე უმართებულოდ მიაწერდნენ პაოლო იაშვილს. მისი ეს განაცხადი არაერთ ცნობილ მწერალსა და ლიტერატორს გაუზიარებია – შარლოტა კვანტალიანს (ამ წიგნის რედაქტორს) როსტომ ჩხეიძეს, ივანე ამირხანაშვილსა და სხვებს. მაგრამ მონინალმდეგენიც გამოსჩენია გ. ჯავახიშვილის ამ დასკვნებს, – ლალი ავალიანი, ზეინაბ ლომჯარია, დავით თევზაძე... აქ ჩამოთვლილ ავტორებსაც და სხვებსაც გ. ჯავახიშვილი ასახელებს თავის წიგნში, რომელშიც შეტანილია ოპონენტებთან პოლემიკის ამსახველი სტატიებიც: გამოხმაურებანი და პოლემიკა ჯერ კიდევ ამ წიგნის გამოქვეყნებამდე დაწყებულია, რადგან ბ-ნ ჯავახიშვილს რამდენიმე პუბლიკაცია ელენე დარიანის შესახებ პერიოდულ პრესაში დაუბეჭდავს.

ჩემდა სამწუხაროდ, მე მხოლოდ ახლახანს გვეცანი გ. ჯავახიშვილის ამ წიგნს და აქედანვე შევიტყვე ხსენებული გამოხმაურებებისა თუ პოლემიკის შესახებ. რატომღაც გამომჩნა ეს მნიშვნელოვანი მოვლენა ქართული სალიტერატურო ცხოვრებისა.



ახლა კი, როცა წიგნის გამოცემიდან ჩვიდმეტი წელია გასული, ძალიან ნაგვიანევი გამოჩნდება ჩემი გამოხმაურება. მით უმეტეს, რომ სხვა ავტორთა გამოხმაურებებს არ გავცნობივარ და არც რაიმე საშუალება გამაჩნია, პერიოდულ პრესასა თუ ცალკეულ მკვლევართა წიგნებში მიმოფანტული ეს მასალა მოვიძიო. არადა, ბ-ნი ჯავახიშვილის გამოკვლევამ ცხოველი ინტერესი აღმიძრა, საკუთარი მოსაზრებებიც გამიჩნდა და დიდი სურვილი მაქვს, მკითხველს გავუზიარო. რა თქმა უნდა, ვითვალისწინებ იმ გარემოებას, რომ არაერთი ჩემეული მოსაზრება, შეიძლება სრულად თუ არა, ნაწილობრივ დაემთხვეს სხვა ავტორთა მოსაზრებებს, რომლებიც მათ თავის დროზე გამოთქვეს გ. ჯავახიშვილის გამოკვლევასთან დაკავშირებით. რა გაეწყობა, ვიმედოვნებ, ზოგ რამეს მაინც ვიტყვი სხვათაგან განსხვავებულს, და ამდენად, ალბათ საინტერესოსაც მკითხველისათვის. ვინ იცის, იქნებ მკვლევარებსაც კი მივანოდო შემდგომი კვლევისათვის გამოსადეგი რაიმე იდეა თუ თვალსაზრისი.

მე არ ვიცი, შემდგომ როგორ წარიმართა ამ კვლევის საქმე, გაიზიარა თუ არა წიგნის ავტორმა ოპონენტთა არგუმენტების რალაც ნაწილი მაინც, ან პირიქით, ოპონენტებმა თუ ირწმუნეს მისი კვლევის თუნდაც ცალკეული მომენტების მართებულობა. ბ-ნი გ. ჯავახიშვილი მრავალგზის აღნიშნავს, რომ მკვლევარები ლალი ავალიანი და ზეინაბ ლომჯარია კატეგორიულად, ცხარედ დაპირისპირებანი მის დასკვნებს. იგი არც თუ ირონიის გარეშე დასძენს, „აბა წყალს ხომ არ გაატანენ ამ თემაზე დანერჩილ

ნაშრომებსო.“ საკითხი ასე დამდგარა: ან გ. ჯავახიშვილის თვალსაზრისით სწორი და დარიანული ციკლის ავტორი ელენე ბაქრაძეა, ან სიმართლე ოპონენტების მხარესაა და დარიანული ციკლი პაოლო იაშვილის კალამს ეკუთვნის; ამ ლოგიკით, რა თქმა უნდა, დაპირისპირებულ მხარეებს შორის ან ერთის შრომაა „წყალს გასატანებელი“, ან-მეორისა...

მაგრამ მართლა ასეა საქმე?

ძალიან მიეჭვება.

ერთის მხრივ, ბატონი ჯავახიშვილის მიერ არქივებში მოძიებული მასალები გვარწმუნებს, რომ ელენე ბაქრაძე მართლაც ყოფილა პაოლოს მუზა, რომელიც თვითონაც წერდა ლექსებს და ამ ლექსების ერთი ნაწილი პაოლოსთვის მიუბარებია, რადგან ეროტიკული თემატიკის გამო მათ ავტორად ვერ წარუდგებოდა იმდროინდელ რესპექტაბელურ საზოგადოებას. ასევე დასტურდება, რომ ამ ქალბატონს არაერთი მისი თანამედროვე მწერალი ელენე დარიანად მოიხსენიებდა; ასე რომ ელენე დარიანი მთლად „გამოგონილ“ პოეტ ქალად ვეღარ მიიჩნევა; მაგრამ მეორეს მხრივ დარიანული ციკლის თოთხმეტი ლექსი იმდენად არის დალდასმული პაოლო იაშვილის ხელწერით, სტილით, რომ ძნელია დაიჯერო, პაოლოს ამ ლექსებთან არაფერი აკავშირებდეს გარდა მცირეოდენი რედაქციული ჩარევისა; სავსებით ლოგიკურად დაისმის კითხვა: როგორ შეძლო ამ ქალბატონმა პაოლოს სტილისა და პოეტური სამყაროს ასეთი სრულყოფილი იმიტირება? დარიანული ციკლის არაერთი ლექსი („ზამთარში“, „პარიზისაკენ“, „ძახილი“, „დარიანული“, „პირამიდებში“, „ფერადი სონეტი“) ნამდვილი შედეგებია ქართული ლირიკისა და პაოლო იაშვილის ყველაზე საუკეთესო ლექსებს თუ არ ქარბობს, უტოლდება მაინც მხატვრული ძალით. ისე გამოდის, რომ შეგარდი ყოველმხრივ გატოლებია (და თან დამსგავსებია) ოსტატს...

მაგრამ პაოლოს სიკვდილის შემდეგ დაწერილი ლექსები ამ ქალბატონისა ვერც მხატვრული ხარისხით უტოლდება დარიანული ციკლის ლექსებს და ვერც ამ ციკლისთვის ნიშანდობლივი ტექნოლოგიითაა შესრულებული, ანუ აშკარად აკლია სინატიფე, გრაციოზულობა, სიზუსტე, ზოგადად პროფესიონალურობა.

რა უნდა დავასკვნათ ყოველივე ამიდან?

მგონი ის, რომ დარიანული ციკლი მხატვრულად სრულყოფილი მაღალი პოეზიის დონეზე აიყვანა სწორედ პაოლო იაშვილმა! მხოლოდ უბრალო რედაქტირება ქ-ნი ელენე ბაქრაძის ლექსებისა ალბათ ვერ იქნებოდა ამგვარი შედეგების მოცემის გარანტი.

არადა, ბ-ნი გ. ჯავახიშვილი, როგორც ჩანს, მხოლოდ რედაქტირებით შემოფარგლავს პაოლოს როლს დარიანულ ციკლთან მიმართებაში, მას

სჯერა, როცა ელენე ბაქრაძე აცხადებს, ელენე დარიანი მე ვარ და დარიანული ციკლის თოთხმეტივე ლექსი ჩემიაო, მაგრამ, ეტყობა, ის ალარ (ან ნაკლებად) სჯერა, ქ-ნი ელენე იქვე რომ დასძენს, პაოლო „ჩემს წერილებს და ლექსებს რომ ვუგზავნიდი... თავისებურად იყენებდა მათ, გადაამუშავებდა. სწორედ ჩვენი ერთობლივი გრძნობებისა და შემოქმედების ნაყოფია „დარიანული“ „ლექსებიო.“

გამოყენება და გადაამუშავება სულ სხვა რამაა, ვიდრე რედაქტირება-ჩასწორება. შექსპირი იტალიურ ქრონიკებს იყენებდა და გადაამუშავებდა თავისი პიესებისათვის, ვაჟა-ფშაველა – ქართულ ხალხურ თქმულებებს თავისი პოემებისათვის: საბოლოო პროდუქტი ასეთ შემთხვევაში სწორედ გამომყენებულ-გადაამუშავებულს ეკუთვნის. ქალბატონი ელენე ბაქრაძე მთლად ამგვარ გაგებას რომ არ იგულისხმებდა გამოყენება-გადაამუშავებაში, თავისთავად ცხადია, მაგრამ, ვგონებ, ისიც ცხადია, მხოლოდ რედაქტირება-ჩასწორებას რომ არ გულისხმობდა: ვფიქრობ, აქ თანაავტორობაზეა ლაპარაკი და იქნებ დარიანულ ლექსთა ციკლის თავდაპირველი, შავი ვარიანტები მართლაც ქ-ნი ელენეს ეკუთვნის (თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია, რადგან ყველა დარიანული ციკლის ავტოგრაფი მიკვლეული არ არის, როგორც ბ-ნი გ. ჯავახიშვილი გვამცნობს).

ბ-ნი ჯავახიშვილსა და მის ოპონენტებს იქნებ სინამდვილეში სადავო არც არაფერი ჰქონდეთ და ორივე მხარე თავისებურად მართალი იყოს: ანუ „ელენე დარიანი“ საერთო ფსევდონიმი აღმოჩნდეს ორი სხვადასხვა ავტორისა; არ ვიცი, ვინმეს აქამდე გამოუთქვამს ასეთი ვარაუდი?

მართალია, ბ-ნი ჯავახიშვილის გამოკვლევა მე პირადად მაფიქრებინებს, რომ ქ-ნი ელენე ბაქრაძე პაოლოს მიერ ელენე დარიანად წოდებული პოეტი ქალი უნდა იყოს, მაგრამ ხომ ამავე გამოკვლევადან შევიტყვეთ, რომ ჯერ ამ ქალბატონმა უწოდა პაოლოს დორიანი (ოსკარ „დორიან გრეის“ პორტრეტის მიხედვით), შემდეგ პაოლომ „დორიანი“ „დარიანი“ შეცვალა და ქ-ნი ელენეს „მიუბრუნა“, თვითონ კი დარიანულ ციკლში მოხსენიებულ „თავადად“, „თავად დარიანად“ მოგვევლინა; მგონი საკმაოდ მკაფიოდ ჩანს, რომ ფსევდონიმი მართლაც საზიარო უნდა იყოს და შესაბამისად – დარიანული ციკლიც; ხოლო ამ ციკლის ავტორთაგან პრეროგატივა რომელს ეკუთვნის, როგორც მაღალი დონის პოეზიის შემქმნელს, დაე ყველამ ინდივიდუალურად გადაწყვიტოს (ვინც ამ ვერსიას გაიზიარებს), მე არ მინდა კატეგორიული დასკვნა გავაკეთო, თუმცა პირადად ჩემთვის აქ ბევრი არაფერია საჭოჭმანო.

ბ-ნი ჯავახიშვილი თავისი თვალსაზრისის გასამყარებლად სხვათა და სხვათა ზეპირ გამოხმაურებებს მოიხმობს: „ბევრმა ცნობილმა სპეციალ-

ისტმა და მკვლევარმა მადლობით მითხრა: „ძლივს არ მოვისვენეთ... როგორ შეიძლება იხილეს უნაკლო ვაჟკაცს, როგორც პაოლო იაშვილი იყო, ასეთი ჭეშმარიტად ქალური განცდანი თუ წარმოსახვანი ჰქონოდა?“ ყველა ცდება? როგორ ახსნით? ან რისგან დაისვენეს? ხომ ცხადია, დარიანულ ლექსებში ქალური სანყისის არსებობა, რომელიც კაცის ყოველგვარ ნიჭიერებასა და მისტიფიკაციის უნარსაც აღემატება, იმ თავიდან დღემდე მუდამ უჩენდა მკითხველს კითხვებს: როგორ რანაირად? კაცი როგორ შექმნის იმას, რაც მხოლოდ ქალის კუთვნილებაა და მისი შესაქმნელია?“

პატივცემული მკვლევარის ამ ფრიად თავდაჯერებული ტონით დასმულმა რიტორიკულმა კითხვებმა მეც ფრიად გამაოცა და რიტორიკულსავე კითხვას შევუბრუნებ: მაინც რა არის დარიანულ ციკლში ისეთი, „კაცის ყოველგვარ ნიჭიერებას და მისტიფიკაციის უნარს რომ აღემატება?“ ნუთუ ბ-მა ჯავახიშვილმა და მის მიერ ხსენებულმა „ცნობილმა სპეციალისტებმა და მკვლევარებმა“ არ იციან, რომ მწერალს მხატვრული ფანტაზიისა და გარდასახვის უნარის მეშვეობით ბევრი ისეთი რამის წარმოდგენა და მხატვრულად აღწერა შეუძლია, რაც შეიძლება მის პირადულ გამოცდილებაში სრულიადაც არ შედიოდეს?! ლევ ტოლსტოის მკითხველებსაც უკვირდათ, როგორ შეძლო მან ქალის იმგვარი განცდების აღწერა, რაც მას, როგორც მამაკაცს, არანაირად არ შეიძლება ჰქონდა; მაგრამ ამის გამო ვგონებ არავინ დაეჭვებულა იმაში, რომ „ანა კარენინა“ ტოლსტოის დაწერილია!

მწერალს წარმოსახვის გარდა დაკვირვებით მიღებული ცოდნა ეხმარება მხატვრული სამყაროს შექმნისას: ჰოდა ამ ჩვენს „ძლივსმოსვენებულ“ მკვლევარებს ნუთუ ის მაინც არ უფიქრიათ, რომ პაოლოს, თუნდაც იმიტომ, რომ „უნაკლო ვაჟკაცი“ და ქალების გულთამყრობელი იყო, მეტი შესაძლებლობა ექნებოდა, უშუალოდ დაკვირვებოდა ქალის ფსიქიკას, განსაკუთრებით კი ეროტიკულ ასპექტში?

ბ-ნი ჯავახიშვილი ჩვენში „ქალური ლირიკის“ დამწყებად თვლის ელენე დარიანს, ისევე, როგორც თურმე გრიგოლ რობაქიძე და კონსტანტინე გამსახურდია ვარაუდობდნენ. პატივცემული მკვლევარი, ცოტა არ იყოს, ნიშნისმოგებით ეკითხება თავის ოპონენტებს, მამაკაცის მიერ ქალური ლირიკის დაფუძნება უფრო ბუნებრივად გესახებათო?

არ ვიცი, იქნებ მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში მართლაც დარიანული ციკლით იწყება „ქალური ლირიკა“, მაგრამ აქვე ჩნდება კითხვა – რა, ამ ციკლის გამოჩენამდე მართლა არაფერი გვახსენდება ქართულ პოეზიაში ქალის მიერ შექმნილი და ქალური განცდების გამომხატველი? იმაზე ნუ-

ღარაფერს ვიტყვით, ბორენა დედოფალი და თამარ მეფეც რომ წერდნენ ლექსებს, უფრო აქეთ ვნახოთ:

„არ გათენდება სთვლის ღამე, ღამებნელობა კი არი,

მთქმელო, ვერ ამსრულებელო, რაღა შენ სიცოცხლე არი?

ნეტავი ვაჟად მაქცია, ქალი არა მქნა თმიანი, მემრე შავყარა ერთადა ორნივ ხელმათრახიანი,

ვერც მაშინ გაიგებდია, რაც ჩემი გულის ზნე არი?“

ამ პატარა შედეგის ავტორი ხვარამზე სამუკაშვილია (იგივე სამუკათ ხვარამზე); საყოველთაოდ ცნობილი მისი ლექსი „ვერცხლის თასადამც მაქცია“, რომელიც ძალიან მოსწონდა ილია ჭავჭავაძეს. სხვათა შორის, ამ მეორე ნაწარმოებში ქალ-ვაჟის გასაუბრებაა გადმოცემული; იგივე მდგომარეობაა მის კიდევ ერთ ლექსში „ქალაო, შენ რომ ქმარი გყავ.“ ორივეგან ხვარამზე თავის სატრფოსთან – ვაჟიკასთან გამართულ დიალოგს გადმოგვცემს; მას აქვს კიდევ ერთი ლექსი, რომელიც, თუ არ ვცდები, მთლიანად მამაკაცის (ვაჟიკას) მონოლოგია და ასე მთავრდება – „ვერ ვენდე, რა გაიგება გულგავარდნილი ქალისა“ („გულგავარდნილი ქალში“ თვით ხვარამზე იგულისხმება). ასე რომ თუ ხვარამზე შესანიშნავად ახერხებს ლექსში მამაკაცის განცდების გადმოცემას, ვითომ პაოლოს რატომ არ შეეძლო ქალის განცდების გადმოცემა?

ხვარამზეს გარდა კიდევ რამდენი ქალია, ქართულ ხალხურ პოეზიაში რომ ჭეშმარიტი მარგალიტები შექმნეს და სწორედაც ქალური ხედვა, ქალური მსოფლალქმა მოიტანეს ჩვენამდე: საყოველთაოდ ცნობილი „ლომო, შე ლომის მოკლულო“ -ს ავტორიც ხომ ქალია (მგონი ცნობილია მისი ვინაობაც, მაგრამ ვერ ვიხსენებ); ანდა დედის ნატირალები ვნახოთ, პირდაპირ იმპროვიზირებულად წარმოთქმული ლირიკული შედეგებით რომ დასტიროდნენ თავიანთ შვილებს:

„ღამეო, შენამც გენაცვლები,

შენამც ჩემ ნალველ გაგიგავის,

ძალიან ბევრი გიტირებავ,

ვარსკვლავნი ცრემლად დაგიღვრავის...“

ნახეთ, რა პოეტური ენერჯიაა, რა განსაცვიფრებელი მეტაფორები!

ეს მცირე ექსკურსი ხალხურ პოეზიაში საგანგებოდ გავაკეთე: თუ უგულვებელყოფთ არსებითად ხელოვნურ, ლიტერატორთა მიერ გავლებულ ზღვარს ხალხურ და პროფესიულ პოეზიას შორის, მაშინ „ქალური ლირიკის“ დამწყებად ქართულ პოეზიაში ელენე დარიანის ვერ ჩაითვლება (გინდ ქალი იდგ-

ეს ამ ფსევდონიმის უკან, გინდ კაცი, გინდ ორივე ერთად); დარიანული ციკლი ახალ სიტყვად დიხანაც უნდა ჩაითვალოს ქართულ პოეზიაში, (ისევე, როგორც ცისფერყანწელთა შემოქმედება), მაგრამ არა იმის გამო, რომ თითქოს მის შექმნამდე არაფერი გაგვაჩნდა ისეთი, რასაც „ქალური ლირიკა“ შეიძლება ეწოდოს. არ ვაპირებ დავაზუსტო, რაში გამოიხატება ეს სიახლე (უჩემოდაც დაზუსტებული ექნებათ მკვლევარებს); მე უფრო იმის თქმა მინდა, რომ რალაც კლიშეების გამოდევნება და მათზე გადამეტებული აქცენტის გაკეთება ლიტერატურული კვლევისას დიდი არაფრის მომცემია: გრიგოლ რობაქიძე დიდი მწერალი და ერუდიტი კი გახლდათ, მაგრამ მისი ნააზრევი ხშირად არის ქარბი სუბიექტურობით დაღდასმული: გავიხსენოთ, როცა საზღვარგარეთ მყოფმა გრიგოლ რობაქიძემ მეოცე საუკუნის ათი საუკეთესო ქართული ლექსის სია შეადგინა, გალაკტიონისა მხოლოდ „ნიკონმინდა“ მოხვდა ამ სიაში, სადაც ილო მოსაშვილის რომელიღაც ლექსის (თუ ლექსის რამდენიმე სტრიქონის) ადგილიც კი გამოინახა... გარდა ამისა, განა თვით ბ-ნი გ. ჯავახიშვილი არ აღნიშნავს, რომ „გრიგოლ რობაქიძის აზრით ქართულ ლიტერატურაში ქალის ეროტიკული ფსიქიკა, გარდა ალექსანდრე ყაზბეგის პროზისა, სხვაგან არსად გვხვდება? და თუ მამაკაცმა პროზაიკოსმა, ყაზბეგმა მოახერხა „ქალის ეროტიკული“ ფსიქიკა გადმოეცა, ლირიკოსი პაოლო იაშვილი ვითომ რატომ ვერ მოახერხებდა? (თანაც იქნებ რობაქიძე ამ შემთხვევაში სწორედ პაოლოს თვლის“ ელენე დარიანის“ ფსევდონიმის უკან მდგომად?)

ნებისმიერ თვალსაზრისს თავისი შეუვალი ლოგიკა მოეთხოვება, რათა კრიტიკას გაუძლოს და ყველასათვის სარწმუნო გახდეს. იმგვარი თვალსაზრისი კი, რომლის მიხედვითაც მამაკაც ავტორს არ შეეძლო დარიანული ციკლის შექმნა, ვთქვათ პირდაპირ – დილექტანტური და მიამიტური ჩანს, რალაც სუბიექტური წარმოდგენებითა და კომპლექსებით განპირობებულის შთაბეჭდილებას ტოვებს და შეზღუდული ხედვის ნაყოფად უნდა იქნას მიჩნეული (ოცდამეერთე საუკუნეში ასეთი რამ ანაქრონიზმი გახლავთ ჩემი აზრით).

ბ-ნი გ. ჯავახიშვილი ერთგან აღნიშნავს, რომ „ელენე დარიანი ანა ახმატოვასავით რითმაში მოიკოჭლებს.“ ანა ახმატოვასი რა მოგახსენოთ, მაგრამ ელენე დარიანი, რომლის სახელითაც ვიცნობთ დარიანული ციკლის თოთხმეტ ლექსს, ნამდვილად არ მოიკოჭლებს რითმაში, არც, საერთოდ, სალექსო ტექნოლოგიის არცერთ ასპექტში. ის ლექსის სრულყოფილი ოსტატია, გნებავთ, ვირტუოზიკი კი. ლექსში დარიანული („დაიტანჯა მაჯა მარჯნის მძიმე ჯაჭვის ტარებით“) ქემმარიტად ბესიკის „ტანო ტატანოს“

ბადალ ვირტუოზულობას ავლენს ავტორი ორიგინალური ალიტერაციებით, რითმებით, რიტმით, ფრაზის გრაციით. ახლა ვნახოთ ლექსი „ზამთარში“, სადაც სხვა შესანიშნავ რითმებთან ერთად ერთი განსაკუთრებით მდიდრულად მჟღერი, ორიგინალური რითმა – „გასახარელი – მას აღარ ელი“, ხოლო ლექს „პირამიდებში“ იმგვარი ტექნიკური ვირაჟია განხორციელებული, რიტმისა და მეტრის დისონანსური შეცვლით, რომ ნაკლებად ფაქიზი პოეტური სმენისა და ოსტატობის მქონე პოეტი აუცილებლად კისერს ნაიტხვდა და განსაკუთრებული მხატვრული ეფექტის ნაცვლად უკუეფექტს, მხატვრულ ჩავარდნას მიიღებდა. თვალსაჩინოებისთვის ამ ლექსის ფრაგმენტს აქვე მოვიყვანთ:

„იქ, სადაც სდუმან პირამიდები,

მზის ქორნილის დროს მე დავწვები მზისფერ სილაზე,

იქ, სადაც სდუმან პირამიდები, შენ მომინდები, შენი თვალები, შენი მკლავები, შენი სინაზე.

შენ მოგაფრენს ცხენი არაბული,

თვალეზდანაბული.

საყვარელ ხელებს მივეცემი, როგორც ნაზ საწოლს

და შენ დამკოცნი ვით დედოფალს, ვით მხევალს და ცოლს.“

დავაკვირდეთ: ლექსის მდორე, მოთენთილ რიტმს, რომელიც ლირიკული სუბიექტის განწყობის ადეკვატურად გამომხატველია, როგორ ერთბაშად არღვევს სულ სხვაგვარი, ჩქარი რიტმი, ცხენის ჭენების ფიზიკურ შეგრძნებას რომ აღძრავს: ტრადიციულ ათმარცვლიან (5:5), თოთხმეტმარცვლიან (5:4:5), თხუთმეტმარცვლიან (5:5:5) საზომებს ენაცვლება არატრადიციული ათმარცვლიანი (4:2:4)–“შენ მოგაფრენს/ ცხენი/ არაბული“ და ექვსმარცვლიანი (2:4) –“თვალეზ/დანაბული“.

ბ-ნი გ. ჯავახიშვილი ხომ თვითონ აღნიშნავს თავის ნიგნში, რომ მაშინდელ პრესაში გამოქვეყნებულ „რითმების ტურნირში“ ჩამოთვლილ რითმის ოსტატებს შორის (ვ. გაფრინდაშვილი, ი. გრიშაშვილი, გრ, რობაქიძე, პ. იაშვილი, ტ, ტაბიძე, გალაკტიონი და ა სხვა) დასახელებულია ელენე დარიანიც და მისი ლექსებიდან მოყვანილია შემდეგი რითმები: „ხელუხლები- მუხლები“, „არ სჩანს არავინ-ტანსაფარავი.“ ნუთუ პატივცემული მკვლევარი ვერ გრძნობს წინააღმდეგობას ამ ფაქტსა და თავის განაცხადს შორის, რომ თითქოს ელენე დარიანი რითმაში მოიკოჭლებს? თუ მას მხედველობაში აქვს ელენე ბაქრაძის არქივიდან თავის ნიგნში გადმოწერილი ის ლექსები, რომელთაც არ ეტყობა, რომ ოსტატ დარიანის ხელი შეხებოდეს, ამაში ნამდვილად დავეთანხმებით და იმასაც დავძენთ, რომ სხვა მახასიათებლებიც ოსტატობისა – სიტყვის, ფრაზის გრაცია, თქმის

სიზუსტე, რიტმის დაუბკოლებელი დენადობა ხშირ შემთხვევაში აკლია ელენე ბაქრაძის ხსენებულ ლექსებს: თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტორს, რომელიც ამგვარ რითმებს იყენებს: „ხანია-პოეზია“, „გადაივლის-გადაიყრის, „ყრანტალი-ფარფატი“ და სხვა, ზოგჯერ აქვს არატრადიციული, ორიგინალური რითმების შექმნის მცდელობაც: „ნამუსრევი-ბრიუსოვი“, „თვალეში-კარნავალეზე“, „ურგოდ – ქურდავს“ და ა. შ.

ახლა ვნახოთ კონკრეტული მაგალითი, თუ ოსტატ დარიანის ხელში როგორ იქცევა პირველავტორის დაუდევარი და არსებითად დილექტანტური ხელნერით შექმნილი ლექსი ყოველმხრივ გამართულ, სრულყოფილ ლირიკულ ნაწარმოებად. (ტექსტები გ, ჯავახიშვილის ნიგნიდან მოგვყავს, რა თქმა უნდა).

ლექსს რატომღაც „ცისფერი ქოლგა“ ჰქვია.

პირველავტორის ვარიანტი:

„მინდა გიამბო სოფლის ამბავი
და შენ დაჰკოცნი ამ ტუჩებს კიდეც
ცად აზიდულან ჩვენი ვერხვები
მზეს უგზავნიან ჩემს ლოცვას ისევ.
შემომეჩვივნენ ჩუმი გვრიტები
ჩემს მხრებზე მკვირცხლად დანავარდობენ
მათი ჟღერტულით ნაიმედები
აღარ მანუხებს მძიმე დარდები
ვკითხულობ ვერლენს, ვკითხულობ პოეს,
შენგან მოველი ნიგნს დანაპირებს
ზურგზე ხელს ვუსვამ პატარა ხბოებს
შემდეგ ნყაროზე ვიხეხავ თითებს,
ვაზს შევეუჯდები და მტევანს ვკიკნი,
ტყეში დავდივარ, დავეძებ სოკოს,
ხან მაჭარს დავლევ ხის თლილი ჭიქით
და ვეზიდები ყურძნიან გოდორს
წვიმიან დღეში სიმინდის ტარო
მე მომაგონებს არგვეთის ცუდ დღეს
ჩამომადგება ღამე უმთვაროდ
და იჭვით სავსე აზრი მახუცებს.“

ოსტატ დარიანის ვარიანტი:

„მე სოფლის ამბავს შენ მოგიყვები
(შენ რომ ჰკოცნიდი ტუჩების კიდეც);
ისე დაზრდილან ჩვენი იხვები,
რომ პეპლაობა დაინყეს კიდეც;
შემომეჩვივნენ ჩუმი მტრედები,
თმას მიხილავენ ლურჯ ნისკარტებით,
ამ სიყვარულით ნაიმედები
თავს ვიმშვიდებდი სოველ ვარდებით.
ვკითხულობ ვაჟას, ვიძულებ პოეს,
ვნატრობ სუსხიან, მწარე ამინდებს;

ზურგს ვუფხან დღისით პატარა ხბოებს
და საღამოზე ვიფერავ თითებს.
ვნოვ ყურძენს, როგორც მტკივანა ბზიკი,
ტყეში ვაგროვებ მე წითელ სოკოს,
ხან მღვრიე მაჭარს ვსვამ მრგვალი ჭიქით,
ხან ვგავარ სოფლის მკერდსავსე გოგოს.
წვიმაში ვარჩევ სიმინდის ტაროს,
და ღამაზე ტაროს ვაკოცებ უცებ,
მერე კი ვათევ ღამეს უმთვაროს
და ტანჯვით სავსე გულს არ ვახუცებ.“

პირველავტორისეული ტექსტის პირველსავე სტროფში ერთმანეთს ერთმება სინონიმური სიტყვები „კიდეც-ისევ“, რაც ტექნოლოგიური ნონსენსია. არცერთი ოსტატი ამგვარ რითმას არ იხმარს თუნდაც შავ, დაუმუშავებელ ვარიანტში, უბრალოდ აზრადაც არ მოუვა ამგვარი სიტყვების გართიშვა. აქ უეჭველად დასტურდება, ამ სტრიქონების ავტორს ოსტატობის სკოლა არა აქვს გავლილი და უბრალოდ, არ იცის, რომ ასეთი რითმის ხმარება არ შეიძლება. და ეს იმის მიუხედავად არის ასე, რომ ეს ავტორი, როგორც უკვე ვთქვით, ზოგჯერ არატრადიციული, ორიგინალური რითმების შექმნას ცდილობს. ახლა ვნახოთ, ოსტატ დარიანის ხელში როგორ ზუსტად, კლასიკურად მონესრიგებული გახდა იგივე სტროფი: აქ, ჯერ ერთი, გაჩნდა ზუსტი რითმები: „მოგიყვები-იხვები“ და „კიდეც-კიდეც;“ გარდა ამისა, არცთუ მაინცამაინც ეფექტური დეტალი: „ცას აზიდულან ჩვენი ვერხვები, მზეს უგზავნიან ჩემს ლოცვას ისევ“ შეიცვალა უფრო დასამახსოვრებელი, სოფლური კოლორიტისა და ინტიმის შემცველი დეტალით: „ისე დაზრდილან ჩვენი იხვები, რომ პეპლაობა დაინყეს კიდეც“; სხვა ვარიანტშია „რომ კვერცხის დება დაინყეს კიდეც“. როგორც ჩანს, ოსტატმა დარიანმა ჯერ ეს ვარიანტი შეთხზა, მაგრამ შემდეგ კიდეც უფრო გააუმჯობესა იმით, რომ „კვერცხის დება“ შეცვალა „პეპლაობით“: იმ ახლადდაზრდილ იხვებში, ბუნებრივია, კვერცხის დამდები დედლების გარდა მამლებიც იქნებოდნენ, დედლებისა და მამლების საერთო მახასიათებლად კი „პეპლაობა“ სახელდება, რაც დარიანული ციკლის ზოგად ეროტიკულ ფონსაც ჰარმონიულად ერწყმის. ოსტატის განაფული, ფაქიზი ხედვა და ხელი ამგვარ ნიუანსებს წარმატებთ იყენებს მხატვრული ეფექტის გასაძლიერებლად.

მეორე სტროფის მეორე-მეოთხე სტრიქონებში პირველავტორს ორიგინალური რითმა გამოუყენებია: „დანავარდობენ-დარდები“, მაგრამ სტროფის მთლიანი მხატვრული ეფექტის მისაღწევად მხოლოდ ამ მცდელობამ ვერ იკმარა, რადგან პირველ-მესამე სტრიქონების რითმა „გვრიტები-ნაიმედები“ თავისთავადაც ვერაა ჟღერადობით გამორჩეული და იმ ორიგინალური რითმის ეფექტსაც აქარწყლებს იმით,

რომ სტროფში ეს სტრიქონთა დამამთავრებელი სა-
რითმო სიტყვები “გვრიტები – დანავარდობენ –
ნაიმედები – დარდები” რაღაც ულაზათოდ, ტლან-
ქად არის ერთმანეთზე მიჯრილი – ნესიერად ვერც
კი გაარჩევ, რას რა ერთიმება (შეიძლება გეგონოს,
რომ მესამე-მეოთხე სტრიქონები ერთიმება ერთ-
მანეთს “ნაიმედები-დარდები,” რაც ნამდვილად ვერ
ჩაითვლება კარგი რითმის ნიმუშად.)

ოსტატმა დარიანმა ის ორიგინალური, ასონანს-
ური რითმა „დანავარდობენ-დარდები“ მთლიანად
მოაშორა ლექსს, როგორც ამ კონკრეტულ შემთხ-
ვევაში გამოუსადეგარი და მის მაგივრად უფრო
ტრადიციული, ზუსტი რითმა „ნისკარტებით-ვარდები-
ით“ შემოიტანა, „გვრიტები“ „მტრედებით“ შეცვალა
და პირველ-მესამე სტრიქონების რითმა უფრო ზუს-
ტი გახდა – „მტრედები-ნაიმედები.“ ამ ცვლილე-
ბების შედეგად ჟღერადობის ხარვეზიც გამოსწორდა
და ჯვარედინი გარითმის ეფექტიც გათვალსაზრის-
ვდა: პირველ-მესამე და მეორე-მეოთხე სტრიქონებ-
ში დაქტილური (სამმარცვლიანი) რითმები გაჩნდა:
„მტრედები-ნაიმედები“, „ნისკარტებით-ვარდებით.“

რა თქმა უნდა, პირველავტორისეული რით-
მა „დანავარდობენ-დარდები“ უფრო უკეთესად და
ორიგინალურად ჟღერს, ვიდრე ოსტატ დარიანის
მიერ მის ნაცვლად შემოტანილი „ნისკარტებით-ვარ-
დებით“, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ თავისთავად
რითმა კი არ არის თვითმიზანი, არამედ იმას აქვს
მნიშვნელობა, რამდენად ემსახურება რითმა მხატ-
ვრულ ეფექტს. ოსტატ დარიანის ჩარევის შედეგად
აქ გასწორდა აზრობრივი ხარვეზიც: პირველ ვარი-
ანტში რომ გვაქვს „მათი ჟღურტულით ნაიმედები
ალარ მანუხებს მძიმე დარდები.“ გრამატიკულად ისე
გამოდის, რომ თითქოს ნაიმედებ დარდებზეა „საუ-
ბარი“. სინამდვილეში ხომ ნაიმედები ლირიკული
სუბიექტი უნდა იყოს: ოსტატმა დარიანმა საკმაოდ
მკვეთრი ცვლილება შეიტანა ამ სტრიქონებში და
გასაგები სურათი წარმოგვიდგინა: „ამ სიყვარულით
ნაიმედები თავს ვიმშვიდებდი სოველ ვარდებით.“

სხვათა შორის, აქ კიდევ სხვა, ნაკლებად შესა-
მჩნევი ხარვეზიც არის გასწორებული: თუ გვრიტე-
ბი „ჩუმად“ შემოეჩვივნენ ლირიკულ გმირს, მაშინ
მის მხრებზე ამ გვრიტების მკვირცხლად ნავარდი
და ჟღურტული „სიჩუმესთან“ წინააღმდეგობრივი
და შეუსაბამო გამოდის. ოსტატ დარიანისეული
ვარიანტი „შემომეჩვივნენ ჩუმი მტრედები, თმებს
მიხილავენ ლურჯ ნისკარტებით“ უფრო ზუსტი და
უტყუარია.

შემდეგ სტროფში „ვკითხულობ ვერლენს, ვკით-
ხულობ პოეს“ პირველავტორი ამჟღავნებს იმხანად
მოდაში მყოფი უცხოელი პოეტებით ჩვეულ გატა-
ცებას; ოსტატმა დარიანმა კი სტრიქონი ასე შეცვა-
ლა: „ვკითხულობ ვაჟას, ვიძულებ პოეს“. აქ მან

სრულად სხვა აზრობრივი მომენტი, ახალი რაკურსი
შემოიტანა: „უარის თქმა უცხოურით გატაცებაზე
და ეროვნულ ფესვებთან დაბრუნება; ამ კონტე-
ქსტში ვაჟას ხსენება განსაკუთრებულ დატვირთვას
იმიტაც იძენს, რომ ვაჟა ბუნების მგოსანია, მისი
დამოკიდებულება ბუნებასთან გამორჩეული და უნი-
კალურია. ამიტომაც სოფელში ჩასული, ბუნების წი-
აღს მიახლებული ლირიკული გმირი ლექსისა სწორედ
ვაჟას ირჩევს ყოველგვარი „პოეს“ (გინდ ვერლენის,
ბოდლერის, რემბოს, მალარმეს და ა. შ.) ანტიპოდად;
ანუ დასავლური დეკადენტიზმითა და ე. წ. „ავად-
მყოფობის ესთეტიკით“ გატაცება იცვლება ბუნე-
ბასთან ახლოს მყოფ, ჯანსაღ ეროვნულ ნიადაგზე
ამოზრდილი კლასიკისაკენ შემობრუნებით. ამგვარი
ტენდენცია ცისფერყანწელთა ორდენისთვის ნიშან-
დობლივია ცოტა მოგვიანებით, ახალ ეტაპზე, როცა
ახალგაზრდული ბუნტარულობით ლიტერატურულ
ასპარეზზე შემოჭრა და დამკვიდრება უკვე დამ-
თავრდა და ჯგუფის წევრები დაღვინებულ ოსტატე-
ბად ჩამოყალიბდნენ (გავიხსენოთ ტიციან ტაბიძის
„თავს დაგვიარა ვაჟა-ფშაველამ, თავზე გვანვება
ზვავად ილია“).

ახლა კვლავ რითმებს მივაპყროთ ყურადღე-
ბა: ამ სტროფში კარგი რითმაა პირველ-მესა-
მე სტრიქონების „პოეს-ხბოებს“ (ალბათ მანამდე
პრეცედენტიც არ ყოფილა ამ რითმის ხმარებისა),
მაგრამ მეორე-მეოთხე სტრიქონების რითმა კვლავ
უნუგემოდ ჩაფლავებულია- „დანაპირებს- თითებს“.
ცხადია, ოსტატი დარიანი ამგვარ რითმას არამც
და არამც არ გამოიყენებდა თუნდაც ლექსის შავ
ვარიანტში; და ის ცვლის რითმას, შემოაქვს არცთუ
ორიგინალური, მაგრამ კლასიკურად გამართული
სარიითმო ნყვილი “ამინდებს-თითებს“ და შესაბამ-
ისად უწევს სტროფში სხვა სიტყვიერ-აზრობრივი
ცვლილებების შეტანაც.

მომდევნო სტროფს პირველავტორის ტექსტშიც
არა უშავს, ასე თუ ისე გამართულია, თუმცა ოს-
ტატი დარიანი რაღაც-რაღაცეებს მაინც ცვლის
და საბოლოოდ სტროფი უფრო მაღალმხატვრული,
თანაც მთლიანი „დარიანული ველის“ შესაბამისად
ეროტიკული ელფერის მქონე გამოდის. სულ ბოლო
სტროფშიც არის ცვლილებები-უსახური რითმის –
„ცუდ დღეს-მახუცებს“ მაგივრად ოსტატი დარიანი
გვთავაზობს უფრო მდიდრულად მჟღერ რითმას
„ვაკოცებ უცებ-ვახუცებ“; პესიმისტური ფინალი
(„და იჭვით სავსე აზრი მახუცებს“) შეცვლილია სა-
პირისპირო, ოპტიმისტურით („და იჭვით სავსე გულს
არ ვახუცებ“); საერთოდაც მეტი ლოგიკურობა და
სიმწყობრეა შეტანილი სტროფში.

მკითხველი ალბათ დამეთანხმება, რომ აქ მეტია
გაკეთებული, ვიდრე ჩვეულებრივი რედაქტირებისას
ხდება: ოსტატმა დარიანმა პირველავტორისმიერი

პოეტური ნახევარფაბრიკატის გადამუშავებით კლასიკურად ჩამოქნილი, რაფინირებული პროდუქტი შექმნა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ პირველ ვარიანტში ერთადერთი სტრიქონია ეროტიკულობის გამომხატველი „და შენ დაჰკოცნი ამ ტუჩებს კიდევ“. ოსტატმა დარიანმა კი თავის ვარიანტში ოსტატურად მიმოაბნია ეროტიზმის შემცველი ნაირგვარი ვარიანტები – წამოზრდილი იხვების პეპლაობა, სიყვარულით ნაიმედები ლირიკული გმირის სოველ ვარდებით თავის დამშვიდება, მკერდასვე სოფლის გოგოსთან შედარება... თვით ლამაზი ტაროს კოცნა, ბზიკივით ყურძნის წოვა და მღვრიე მაჭრის სმაც კი დაიკრავს თავისებურ, შეფარულ ეროტიკულ ელფერს; ამგვარი ჩარევით ლექსმა მთლიანად ეროტიკული იერი შეიძინა და დარიანული ციკლის განმსაზღვრელ ტონალობაში ჰარმონიულად ჩაენერა. მე პირადად მგონია, რომ აქ სწორედ მამაკაცი ავტორის საგანგებო დაინტერესება იგრძნობა ეროტიკაზე აქცენტირებით: პირველავტორს ალბათ ასეთი ჩანაფიქრი არ ჰქონია, თორემ ეს ლექსის მისმიერ ვარიანტში გამოჩნდებოდა.

ახლა სხვა ლექსის პირველავტორისეული და ოსტატ დარიანისეული ვარიანტებიც ვნახოთ:

პირველავტორის ვარიანტი:

„აი მოვიხსენ ტანზე საფარი!
გადახსნილ მხრებსაც მოვლანდა შეხება შენი
ვნებიან გზაზე ჩამოხნულდა, არ სჩანს არავინ,
ბავშვობის ლოცვა ვიღალადე უკანასკნელი!
ჩამეძინება. სიზმრებია ზანტი და მდორე
დამინყნარდება გული ჩემი ჯერ ხელუხლები,
ძილში ვაღაცა დამაკვდება, მეამბოროება,
ვნების სურვილით მეღუნება მწარედ მუხლები.
დილის რიჟრაჟი გამომტაცებს ცხელ ადამიანს
ჩემს ნაზ სიყვარულს შენზე დარდი კვლავ მოე-
მატა
და გამწარებულს უცხო კოცნით ქალ-ადამიანს
გონზე მომიყვანს ბუხრის ძირში გამთბარი
კატა.“

ოსტატ დარიანის ვარიანტი:

„უკანასკნელი მოვიხსენი ტანსაფარავი,
დადუმებულ მხრებს ელანდება შეხება ნელი,
სავნებო გზაზე სიბნელეა, არ სჩანს არავინ,
სასიზმრო ლოცვა ვიგალობე უკანასკნელი.
დამეძინება... გათავდება ზანტი ზმორება
და დამშვიდდება ჩემი მკერდი, ჯერ ხელუხლები,
ძილში ჩემს მუცელს ვიღაც ვაჟი ეამბოროება
და ვნებისაგან იღუნება ჩემი მუხლები.“

მზის აყვავება გამომტაცებს მწველ ადამიანს
(ჩემს შეყვარებას მწუხარება კვლავ მოემტაცა!)
და დაღონებულ ვაჟის კოცნას, კოცნას ნამიანს
ვარდისფერ ენით მომაგონებს გამთბარი კატა.“

პირველსავე სტროფში ოსტატ დარიანს რითმებისთვის უშველია და პირველავტორისეული ვითომ-რითმები („საფარი-არავინ“, „შენი-უკანასკნელი“) შეუცვლია; შემდეგ გაუსწორებია უხერხული და უზუსტო გამოთქმა „გადახსნილი მხრები“ („გადახსნილი“ შეიძლება ითქვას ტანისამოსზე, მაგრამ მოშიშვლებულ მხრებს, რაც ალბათ ავტორმა იგულისხმა, არ შეიძლება „გადახსნილი“ ვუნოდოთ) და მის ნაცვლად ლამაზი მეტაფორა „დადუმებული მხრები“ შემოუტანია. „ვნებიანი გზა“ შეცვლილია „სავნებო გზით“ და ამის შედეგად ეროტიკული ნიუანსი უფრო დახვეწილი, არტისტული და იმავდროულად ორაზროვანი, ფიზიკურ რეალიებზე მიმანიშნებელი გაუხდია („სავნებო“ ანატომიის ენაზე „კლიტორის“ ქართული შესატყვისია); „ბავშვობის ლოცვა“ ამ ეროტიკულ ოპუსში ცოტა არ იყოს უადგილოდ და არამიზანმიმართულად ჟღერს, „სასიზმრო ლოცვა“ ამკარად უფრო უხდება ლექსის საერთო განწყობას.

მომდევნო სტროფში არატრადიციული, არაზუსტი, მაგრამ ლამაზი რითმა „მდორე-მეამბოროება“ ნამდვილად კარგი მიგნებაა პირველავტორისა, ასევე შესანიშნავია ზუსტი კლასიკური რითმა „ხელუხლები-მუხლები“ (საერთოდაც ეს სტროფი, ცალეული ხარვეზების მიუხედავად, კარგი, ძლიერი პოეტური მუხტის მქონე სტროფია); მაგრამ ოსტატი დარიანი, რომელიც უფრო კლასიკური რითმებისაკენ მიდრეკილი გახლავთ, ხსენებულ არატრადიციულ სართომო წყვილს მაინც ცვლის კლასიკური ზუსტი რითმით „ზმორება-მეამბოროება“. სხვა ცვლილებები სტროფში არამართო რითმის შეცვლამ, არამედ შინაარსობრივი მხარის დამუშავება-დაზუსტებამ გამოიწვია: „ჩამეძინება... სიზმრებია ზანტი და მდორე“ ასე შეიცვალა: „დამეძინება, გათავდება ზანტი ზმორება.“ რაკი „სიზმრის“ შემოტანა („სასიზმრო ლოცვა“) წინა სტროფში მოუხდა, ოსტატი დარიანი მოერიდა მის განმეორებას მეორე სტროფში, ხოლო სიტყვა „ზმორების“ შემოტანით ეროტიკული ველი გააძლიერა.

„დამინყნარდება გული ჩემი ჯერ ხელუხლები“ ასე შეიცვალა „და დამშვიდდება ჩემი მკერდი ჯერ ხელუხლები“. საქმე იმაშია, რომ პირველავტორი სიტყვა „გულს“ აქ სწორედ „მკერდის“, „გულმკერდის“ მნიშვნელობით უნდა ხმარობდეს, როგორც ეს სასაუბრო მეტყველებაში ხდება (ლექსში ქალწულის ეროტიკული ფანტაზია თუ ზმანებაა გადმოცემული). ოსტატმა დარიანმა ამ დაზუსტებითაც ფიზიკური მომენტი უფრო ცხადად გამოკვეთა.

მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კარგია „ძილში ვილაცა დამაკვდება, მემბორება, ვნების სურვილით მელუნება მწარედ მუხლები“, ცვლილება მაინც საჭირო გახდა, რადგან აქ არასწორი სიტყვათშეთანხმებაა „ვნების სურვილით“. ამ კონტექსტში „ვნება“ და „სურვილი“ ერთი და იგივე შინაარსის სიტყვებია, ორივე გამოხატავს ქალწულის სექსუალურ ლტოლვას. ოსტატ დარიანის ვარიანტი „ძილში ჩემს მუცელს ვილაც ვაჟი ეამბორება და ვნებისაგან ილუნება ჩემი მუხლები“, რა თქმა უნდა, მაღალმხატვრულიცაა და ზუსტიც, ამასთანავე „მუცელიც“ აძლიერებს ფიზიკურ შეგრძნებას, მსგავსად „სავნებოსა“ და „მკერდისა“; მაგრამ მე მაინც მენანება პირველავტორისული ვარიანტი: ხომ შეიძლებოდა აქ საქმე ერთადერთი ასოს შეცვლით და სასვენი ნიშნის, მძიმეს დასმით მოგვარებულიყო, აი ასე: „ვნებით, სურვილით მელუნება მწარედ მუხლები“. ეს უკვე ზუსტი და გამართული ფრაზა იქნებოდა; მენანება, რომ სიტყვა „მწარედ“ აღარ შენარჩუნდა საბოლოო ვარიანტში, ეს სიტყვა რაღაც განსაკუთრებული სიმძაფრით გამოხატავს ქალწულის აღზნებულობას. მაგრამ მომდევნო სტროფში იმავე ძირის სიტყვა „გამწარებულს“ არცთუ მარჯვედ ზის კონტექსტში: „კოცნით გამწარებული“ ადამიანი, ცოტა არ იყოს, ძნელი წარმოსადგენია, სხვა საქმეა, უკოცნელობით „გამწარებული“ რომ იყოს (ეს ისე, სხვა შემთხვევაში და არა კონკრეტულად ამ ლექსში) ... საერთოდ, ბოლო სტროფი გვარიანდა არის შეცვლილი, რადგან ჯერ ერთი, პირველ-მესამე სტრიქონებში რითმად შემოგვასალეს „ცხელ-ადამიანს-ქალ-ადამიანს“, რაც დამეთანხმებით, ყურისმოძქრელად ჟღერს, თანაც არამხოლოდ იმიტომ, რომ ერთი და იმავე სიტყვისგან სართიმო წყვილის შექმნას სულ სხვაგვარი, განსაკუთრებული კონტექსტი თუ გაამართლებდა; აქ აზრობრივ-სიტყვიერი უხერხულობაც არის – „ცხელი ადამიანი“- ვაჟია, „ქალ-ადამიანი“ კი თვით ლირიკული ლექსის გმირი. ამგვარ დილეთანტურ „ანტი-ნომიას“ ლექსის არცერთი ოსტატი არ დაუშვებდა. რიტმიც ძალიან ტლანქი ხდება და ფრაზაც მეტისმეტად მოუქნელი, არაგრაციოზული გამოდის. თანაც გაუგებარია, ამ „კოცნით გამწარებულ ქალ-ადამიანს“ რით მოიყვანს გონზე ბუხრის ძირში გამთბარი კატა? ოსტატმა დარიანმა აქა ც ჩვეული ლოგიკა, სიზუსტე და ეროტიკული ეფექტიც შეიტანა ლექსის ფინალში: „კატა ვარდისფერ ენით ალბათ ლოკავს პატრონს, რაც ვაჟის „ნამიან კოცნას“ აგონებს მას. „დაღონებული ვაჟით“ რომ შეიცვალა „გამწარებული ქალ-ადამიანი“, არც ეს ინვეს რაიმე აზრობრივ დისონანსს: რაკი გათენებამ წყვილი დააშორა, ვაჟიც დაღონდებოდა, რა თქმა უნდა. სხვა ცვლილებებიც ლექსის აზრობრივი სიზუსტის და მხატვრული დონის გასაუმჯობესებლად არის განხორციელებული.

ეს ლექსი (ოსტატ დარიანის ვარიანტი) 1916 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „ცისფერ ყანებში.“ ხოლო 1959 წელს შალვა დემეტრაძის მიერ გამოცემულ პაოლო იაშვილის ლექსთა კრებულში, სადაც დარიანული ციკლიც არის შეტანილი, ბოლო სტროფი განსხვავებული ვარიანტით არის წარმოდგენილი:

„მზის აყვავება გამომტაცებს მწველ ადამიანს
(ჩემს შეყვარებას მოგონების მწუხრად რომ დარჩა)

და დაღონებულ ვაჟის კოცნას სულ ერთ ნამიანს

ვარდისფერ დილით აელვარებს ცის ლურჯი ფარჩა.“

ეს ვარიანტიც მაღალპოეტურია და ოსტატ დარიანისთვის ჩვეული უზადო ტექნოლოგიითაა შესრულებული. მე არ ვიცი, სად მოიძია იგი შემდგენელმა, ალბათ პაოლო იაშვილის არქივში აღმოაჩინა. საინტერესოა, ოსტატმა დარიანმა ამ ვარიანტში რატომ გაანელა ფინალში ეროტიკული მუხტი, როცა წინა სტროფებში საპირისპიროდ იქცეოდა – ეროტიზმის გასაძლიერებელი დეტალები შეჭქონდა პირველავტორისეულ ტექსტში. ვითომ ზედმეტად გამომწვევი ეჩვენა ვაჟის კოცნის შედარება კატის ვარდისფერი ენის ლოკვასთან? ან იქნებ კრებულის შედგენისას ვინმე სხვა პოეტმა(უეჭველად კარგმა ოსტატმა) გადააკეთა ამგვარად ლექსის ფინალი? (ამის დადგენა სპეციალისტ მკვლევართა საქმეა).

ასეა თუ ისე, აქაც საქმე გვაქვს პირველავტორისეული ტექსტის მნიშვნელოვან გადაამუშავება-გაუმჯობესებასთან. ნიჭიერი, მაგრამ ოსტატობის სკოლაგაუფლელი პირველავტორის ტექსტი ოსტატის ხელმა უზადო პოეტურ ნაწარმოებად აქცია.

როგორც მკითხველი ხედავს, მე არ მჯერა, რომ ქალბატონმა ელენე ბაქრაძემ პაოლო იაშვილის სალექსო ტექნოლოგია გაითავისა. ვფიქრობ, პაოლო ელენესგან გაგზავნილ ლექსებს დამოუკიდებლად გადაამუშავებდა ხოლმე, პირადი შეხვედრისას ალბათ ვერ იცლიდნენ ტექსტებზე სამუშაოდ...

ბ-ნი გ. ჯავახიშვილი ელენე ბაქრაძის არქივიდან ამოღებულ რამდენიმე ლექსს წარმოუდგენს, მისი თქმით“ ელენე დარიანის პოეზიაში დაეჭვებულთ,“ რათა დაარწმუნოს ისინი „ თუ რა ძალის პოეტი იყო იგი და მართლა იყო თუ იჩემებდა დარიანობას, ან როგორი ქართული იცოდა ამ მირონცხებულმა ქალმა...“

ელენე დარიანის პოეზიაში დაეჭვებული არავინ არის, რამდენადაც ვიცი. ხოლო თუ ელენე ბაქრაძის მიმართ სხვადასხვა აზრი არსებობს, ეს სხვა საქმეა: ბ-ნი ჯავახიშვილი გვამცნობს, რომ ქ-ნ ლალი ავალიანს „ნაკლებად ცნობილ, უნიჭო“ ავტორად მი-

აჩნია იგი; მე პირადად ამ აზრს ვერ გავიზიარებ, ცალკეულმა სტრიქონებმა და სტროფებმა (რამდენიმე ლექსმაც) დამარწმუნა, რომ ის ამკარად ნიჭიერი პოეტია, ოღონდ ასევე ამკარად აკლია ოსტატობის კლასი; დარიანული ციკლის ლექსების შედარებამ მათ შავ ვარიანტებთან იმაშიც დამარწმუნა, რომ აქ ორი ავტორის ხელწერა იჩენს თავს: ერთისა – დაუდევარი, დილეტანტური, მეორისა – ოსტატური, მკაცრად პროფესიული. ბ-ნი გ. ჯავახიშვილი რატომღაც ვერ, თუ არ ამჩნევს ამ მომენტს და უზადოდ ჩამოქნილი ტექსტების გვერდით ისე დაუეჭვებლად წარმოადგენს პოეტურ ნახევარფაბრიკატებს, თითქოს ისინი ერთმანეთისგან პრინციპულად არ განსხვავდებოდნენ.

ახლა უშუალოდ ვნახოთ ეს არქივში მოძიებული ტექსტები. მე აქ მხოლოდ ორ მათგანს გადმოვწერ, რათა წერილი მეტისმეტად არ გადავტვირთო, დანარჩენზე კი ზოგადი აზრის გამოთქმით დავკმაყოფილდები:

ხატაური

შ. ქ-ს

„მწვანე ხავერდი, ვერცხლის ბენვი და ხატაური
ჭრელ ხალიჩაზე ჩაჰკვდომია სპარსეთის
რაშებს...“

დათენთილ ბრჭყალებს ამახვილებს და ათამაშებს

ამართულ ყურთა ესმის უცხო ქვეყნის ხმაური.
ცხელი საღამო, ქვიშის სრბოლა, აურზაური
აუტენხნია შუალამით წყეულ ზარნაშებს,
ო, რა უხდება ამპარტავან, აშლილ უღვაშებს
მისი სვლა ასე მომხიბლავი და უცნაური.
მწუხრის საათზე სფინქსის სახე გააცხოველებს
ლამის წიაღში ის კითხულობს ლამის ნოველებს
და განუწყვეტილვ აპრუტუნებს შორით ნალ-
არას.

პატარა თითებს კარგად ახსოვთ სპილოსთან

ბრძოლა,

რა დროს დაინწყებს ზამთრის სუსხში ბუნება
ძრწოლას,

ბუხრის სითბოზე მოიგონებს ყვითელ საქარას.“

ჩემი შეფასებით ეს სონეტი ნამდვილად სრულყოფილი ნაწარმოებია, შეიძლება, შედეგრიც ვუნოდოთ. ერთადერთი სიტყვა „აპრუტუნებს“ უხეშად ხვდება ყურს, რაც რაფინირებულ ლექსის ევფონიას ამკარად აზიანებს. ეროტიკა აქ არ არის (ისევე როგორც ანა ახმატოვასადმი მიძღვნილ ერთ დარიანულ ლექსში), მაგრამ სხვა მხრივ ის სავსებით ესადაგება დარიანული ცილის ტექსტებს – სტილურად, ტექნოლოგიური თავსებურებებით, რომანტიკულ-ეგზოტიკური ანტიურაჟით; შემიძლია დარწმუნებით

ვთქვა, რომ ამ ლექსისთვის საბოლოო სახის მიმცემი ნამდვილად ოსტატი დარიანი გახლავთ, ხოლო მისი შავი ვარიანტი არსებობს თუ არა, ბ-ნი გ. ჯავახიშვილი არ გვამცნობს. საინტერესოა, რატომ არ გამოქვეყნა თავის დროზე ეს 1923 წლით დათარიღებული ნაწარმოები?

მომდევნო ლექსი უთარილოა:

„შენდობა“

გ. ბ-ს

„არ დამავინწყდი, შენი გული გამომყვა მცველად,
გული, ბუდიდან ამოვარდნას რომ აპირებდა,
ჩემო ძვირფასო, დავიბნევი ღმერთთან ლოცვებ-
ბად
სამარადისოდ შენს სიცოცხლეს თუ დამპირდ-
ება.“

დღეები რბიან, შენზე ფიქრი მანუხებს ისევ,
დრო არის ვიცი, რომ გათავდეს შენი გოდებაც
გულს სიხარულით თუმცა ახლა ველარ აგივსებ,
სულით ვარ ავად, აღარავინ მომაგონდება.
ძველი ამბავი მომეხვია, გამთიმა შენგან,
ჩამოდგა ვნება, გახვეული ღამის ნაბადში,
გაჰკივის სული, ეს ქვეყანა სულ გადაშენდა
მოყვევი სუსტი ქარბუქში და ცივ ნიაღვარში.
ეხლა სხვანაირად ვარ, დაღლილი ვარ, თან გული მტ-
კივა,

გული, რაინდულ ჯვარზე გაკვრას რომ აპირებ-
და,

დამშვიდდი, ჩემო, გულის ტაძრის ზვარაკად მი-
ვალ,

სამარადისოდ შენს სიცოცხლეს თუ დამპირდ-
ები.“

უნდა გამოვტყდე, ამ ლექსმა ცოტა არ იყოს, დამაბნია: მეორე სტროფი („დღეები რბიან...“) იმდენად ძლიერი, ტექნიკურად დახვეწილი და ლაღია, რომ დარიანული ციკლის მიღწევების საუკეთესო დონეზე დგას, ოსტატ დარიანის შესაძლებლობათა მაქსიმუმს გამოხატავს; მაგრამ მესამე სტროფის რითმა „ნაბადში-ნიაღვარში“ ნამდვილად არ არის ოსტატ დარიანისა, ეს პირველავტორის ხელწერაა; პირველი სტროფის რითმები („მცველად-ლოცვებ-ბად“, „აპირებდა-დამპირდება“,) კარგია, მაგრამ მაინცდამაინც არა ჰგავს ოსტატ დარიანისთვის ჩვეულ, მელოდიურობაზე გათვლილ რითმებს; ბოლო სტროფში აზრობრივი უზუსტობაა: „გული რაინდულ ჯვარზე გაკვრას რომ აპირებდა“. ალბათ იგულისხმება „გულის რაინდულად ჯვარზე გაკვრა“ და პირველავტორისთვის ჩვეულმა დაუდევრობამ ამის დაზუსტების საჭიროება ვერ დაინახა; საერთოდ, ეს ლექსი საკმაოდ კარგია, მაგრამ გარდა მეორე სტროფისა, მასში არ იგრძნობა ოსტატ

დარიანის ხელწერა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ოსტატმა დარიანმა ამ ლექსის გადამუშავება დაიწყო, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო ეს საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა. და თუ ამ ლექსს მის ხელში საერთოდ არ გაუვლია და იგი მთლიანად პირველავტორის საკუთრებაა, მაშინ ქედს ვიხრი მისი ნიჭის წინაშე იმ მშვენიერი მეორე სტროფის გამო.

ასევე საკმაოდ კარგი ლექსებია „ტყის შრიალი,“ და „სიმარტოვე“ (ორივე 1923 წლითაა დათარიღებული), მაგრამ ოსტატ დარიანის ხელწერას მათში ნაკლებად ვცნობ. პირველავტორისეული დაუდევრობა ფორმის მიმართ – აზრის დაუზუსტებლობა, სუსტი რითმები, ფრაზის არაგრაციოზულობა გვაფიქრებინებს, რომ ამ ლექსებს ალბათ არ გაუვლიათ ოსტატ დარიანის ხელში, ან ყოველ შემთხვევაში, მან ვერ მოახერხა საფუძვლიანად გადამუშავებინა ისინი.

1923 წლით არის დათარიღებული კიდევ ერთი სონეტი „პაოლოს მოლოდინში“, რომელიც ფორმით დახვეწილია და ოსტატ დარიანის ხელი ეტყობა: აქ ავტორი ნუხილს გამოხატავს იმის გამო, „თავისი“ ლექსები რომ მოიშორა და „გაასხვისა“, რომ მობეზრდა ინკოგნიტო პოეტის როლი („მალულობა“) და გამოთქვამს მზადყოფნას, რომ ყველასა და ყველაფერს გაუძღოს: ამ ლექსიდან ბოლო სამ სტრიქონს ამოვწერ, რადგან აქ ძალზე მოულოდნელ კონტექსტში არიან ნახსენები ტიცციანი და მისი მეუღლე:

„ყველას გაუძღვებ, კარგადა ვგრძნობ,
ყველაფერს დღესა,
სახელის ლანძღვას, ტიცციანს და მის მეუღლესა,
კვლავ ფრთებს ავისხავ და სტრიქონებს
მივცემ სილაღეს“.

რამია საქმე? ბ-ნი ჯავახიშვილი წერს, „მტრების“ გამოსაჯვარებლად დაწერილია ეს სტრიქონები; მართალია, „მტრებს“ ბრჭყალებში სვამს, მაგრამ ხომ ცხადია, რომ ამ „მტრებისგან“ საკმაოდ მძიმე დარტყმა მიუღია ლექსის ავტორს: ნუთუ ტიცციანი და მისი მეუღლეც ამათ რიგში მოხვდნენ? ისინი ხომ მისი მეგობრები იყვნენ, როგორც ბ-ნი ჯავახიშვილის წიგნიდან ჩანს: იქნებ ქალბატონი ელენეს მეგობრული დამოკიდებულება პოეტების მეფესთან, გალაკტიონთან, რომელსაც ის უპირველეს პოეტს უწოდებს, გახდა რაღაც კონფლიქტის მიზეზი? ხომ ცნობილია, რომ ცისფერყანწელებს გალაკტიონთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ და ცდილობდნენ მის იგნორირებასა თუ დისკრედიტაციას, რამდენადაც ვიცი, საკმაოდ აქტიურად აფერხებდნენ მისი პოეზიის რუსულ ენაზე თარგმნის საქმესაც და ამ მცდელობაში ტიცციანის მეუღლეც გარკვეულ

როლს ასრულებდა, მგონი მოგვიანებითაც, როცა ტიცციანი და პაოლო ცოცხლები აღარ იყვნენ.

რა თქმა უნდა, ეს ამჯერად არ არის ჩვენი წერტილის თემა და ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ბ-ნი გიორგი ჯავახიშვილი თავის წიგნში არაერთ სხვა ლექსსაც წარმოგვიდგენს ელენე ბაქრაძის არქივიდან: მეტწილ შემთხვევაში ადვილი გასარჩევია, რომელი ლექსია ოსტატ დარიანის ხელში გამოვლილ-გადამუშავებული და რომელი არა. 1922 წელს გაზეთ „ბახტრიონში“ გამოქვეყნებულა ელენე ბერიშვილის (პირველი ქმრის გვარია) ხელმოწერით ლექსი „თავად დარიანს“ და მკვლევარი მიუთითებს, რომ „თავად დარიანში“ პაოლო იგულისხმება. ამ ლექსს, ვფიქრობ, ოსტატ დარიანის მიერ დამუშავება არ ასცდენია, იმდენად მონესრიგებულია მასში ყველა დეტალი. მაგრამ 1922 წელსვე დაწერილი ლექსი, რომელიც ასე იწყება „იყო ზღაპარი, აქ იყო პრინცი“ (ესეც პაოლოსადმი მიძღვნილი) ამკარა გადამუშავებელია და თავიდან ბოლომდე იმ დაუდევარი ხელწერითაა შესრულებული, როგორცაც ელენე დარიანის ნაწარმოებთა ზემოთ განხილული შავი ვარიანტები: ისეთივე რითმები: „გასხვაფერდა-მტრედებად“, „წამოენია“ – „ჩამოეკიდა“, „უფლებით-კუთხეში“ და ა. შ.); ხოლო პაოლო იაშვილის თვითმკვლელობის შემდეგ ქ-ნი ელენეს მიერ დაწერილ ლექსებში, რომელთაც მკვლევარი წარმოგვიდგენს, ოსტატ დარიანის ყოვლისმომნესრიგებელი ხელწერის არავითარი კვალი აღარ ჩანს და რჩება მხოლოდ ის ხელწერა, რომელიც ავტორის ნიჭიერების მიუხედავად დილეტანტობის მოუცილებელ დაღს ატარებს: ალაგ-ალაგ გამოერევა მშვენიერი სტრიქონები თუ სტროფები, მაგრამ თავიდან ბოლომდე ტექნოლოგიურად გამართული, დახვეწილი და სრულყოფილი არცერთი ტექსტი აღარ არის. იმავე დღეშია (იმავე ხელწერითაა შესრულებული) ანა ახმატოვასა და ლესია უკრაინკას ლექსების თარგმანები, პატივცემულ მკვლევარს რომ ელენე ბაქრაძის არქივიდან მოაქვს, როგორც მისი კარგი მოქართულეობისა და ოსტატობის ნიმუშები...

ვფიქრობ, წინამდებარე სტატიაში ტექსტების ურთიერთშედარებითა და ანალიზით საკმაოდ თვალსაჩინო ხდება, რომ ელენე დარიანის იმ ლექსებში, რომელთა შავი ვარიანტები საბოლოო ვარიანტებს შევადარეთ, ორი ავტორის ხელწერა იკვეთება; მე პირობითად ერთს „პირველავტორად“ მოვიხსენიებ, მეორის კი – „ოსტატ დარიანად“, რათა ჩემი პოზიციის მიუკერძოებლობას გავუსვა ხაზი: მე არც ელენე ბაქრაძის, არც პაოლო იაშვილის „მომხრე“ გახლავართ, მხოლოდ ტექსტების ანალიზის მომხრედ მივიჩნევ თავს; და რაკი ამ პოეტთა არქივებზე ხელი არ მიმინვდება, მე ვეყრდნობი მხოლოდამხოლოდ ბ-ნი გიორგი ჯავახიშვილის წიგნში წარმოდგენილ პო-

ეტურ ტექსტებს. ვფიქრობ, სტილისტური ანალიზი ყველაზე სანდო საყრდენია იმის დასადგენად, თუ ვისი კუთვნილება შეიძლება იყოს ესა თუ ის ტექსტი ან ტექსტის რომელიმე ცალკეული დეტალი.

და თუ დავუშვებთ, რომ ელენე დარიანის ფსევდონიმის უკან ორი ავტორი – ქალი და მამაკაცი დგას, მაშინ თითოეული მათგანისათვის „ელენე დარიანი“ ურთიერთგანსხვავებული ფუნქციის აღმნიშვნელად უნდა იქნას მიჩნეული: ქალისთვის ეს არის „ალტერ ეგო“ („სხვა მე“) ანუ ის, რადაც ამ პოეტურ ოპუსებში წარმოგვიდგენს თავს; მამაკაცისათვის კი ეს „ანიმა“ (სასურველი ქალის ხატი) გახლავთ; ამგვარი მისტიფიკაციის დროს მამაკაცი ავტორისაგან განსაკუთრებული აქცენტირება ეროტიზმისა სულაც არ არის შემთხვევითი, მისთვის „ანიმა“, პირველ რიგში, სწორედ ეროტიკული კუთხით არის საინტერესო. „ანიმა“ შეიძლება გამოგონილიც იყოს და რეალური პროტოტიპის მიხედვით შექმნილიც. აქ, ჩანს, მეორე შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ „ელენე დარიანი“ მთლად გამოგონილ პოეტ ქალად ვეღარ ჩათვლება, რაკი ბ-ნი გ. ჯავახიშვილის გამოკვლევის შედეგად ელენე ბაქრაძის როლი გამოჟღავნდა დარიანულ ისტორიაში. მაგრამ გარკვეული თვალსაზრისით იგი მაინც „გამოგონილად“ რჩება – არა მხოლოდ იმიტომ, რომ ფსევდონიმია, არამედ იმიტაც, რომ რეალური ავტორისთვის (ავტორებისთვის) იგი იმავდროულად ერთგვარი „პერსონაჟიც“ გახლავთ, რომელიც ხან ეგვიპტეში მოგზაურობს („პირამიდებში“) ხან სოფელში ისვენებს („ციისფერი ქოლგა“), ხან პარიზში თხოვდება („პარიზისაკენ“), ხან „თავადთან“ ნადიმობს („ჩემი თავადი“) და ა. შ.

გარდა ამისა, ზოგი ლექსის სათაურიც ადასტურებს მის „პერსონაჟობას“, ავტორისაგან (ავტორებისაგან) თავისებურ გამოყოფა-დისტანცირებას; მაგალითად ვნახოთ ლექსი „ელენე დარიანი წერს უბრალოდ და აბნეულად.“ მე არსად მსმენია, რომ პოეტები ამგვარად ასათაურებდნენ თავიანთ ლექსებს. განა პაოლო იაშვილი თავის მიერ ხელმოწერილ ლექსს დაარქმევდა ასეთ სათაურს „პაოლო იაშვილი წერს უბრალოდ და აბნეულად?“ ან კიდევ ვნახოთ ლექსი „დარიანული.“ განა პაოლო იაშვილი „პაოლოურს“ ან „იაშვილურს“ უწოდებდა რომელიმე საკუთარ ლექსს? სხვა საქმეა ერთმა პოეტმა მეორე პოეტის სტილისა თუ თემატიკის ამკარა იმიტირება რომ მოახდინოს საკუთარ ლექსში და იმ მეორე პოეტის სახელისა ან გვარის მიხედვით მისცეს ლექსს მსგავსი სათაური; ვთქვათ, გალაკტიონის მიბაძვით დანერგულ ლექსებს რომ „გალაკტიონური“ დაარქვას მიმბაძველმა. მაგრამ თვით გალაკტიონის მიერ საკუთარი ლექსისთვის „გალაკტიონურის“ დაარქმევა მაინცდამაინც ბუნებრივად არ მოგვეჩვენებოდა.

საბოლოო დასკვნა ასეთია: რაოდენ ეჭვშეუვალა-

დაც არ უნდა დადასტურდეს, რომ ელენე ბაქრაძე ნამდვილად ელენე დარიანია, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ პაოლო იაშვილი არ არის ელენე დარიანი: არა მგონია მართებული იყოს ამ საკითხში ურთიერთგამომრიცხავ პოზიციებზე დგომა გინდ მკვლევართა, გინდ, უბრალოდ, მკითხველთა მხრივ.

თუ ბ-ნი გ. ჯავახიშვილს (და ბევრ სხვასაც) მიაჩნია, რომ დარიანული ციკლის შექმნა „კაცის ყოველგვარ ნიჭიერებასა და მისტიფიკაციის უნარსაც აღემატება“, პაოლოს სტილის ასეთი სრულყოფილი იმიტირება არ აღემატება ქალბატონ ელენე ბაქრაძის შესაძლებლობებს? და თუ თვრამეტი წლის გოგონამ შეძლო პაოლოს სტილში ისეთი შედეგის შექმნა, როგორცაა „ზამთარში“, სად დაიკარგა ეს უზადო ოსტატობა მოგვიანებით, როცა პაოლო აღარ იყო ცოცხალი? ნუთუ პატივცემულ მკვლევარსა და მისი თვალსაზრისის მომხრეებს ეს კითხვა არ გასჩენიათ?

ნამდვილად არ გვმართებს პაოლო იაშვილს ასე უცერემონიოდ „ჩამოვართვათ“ მის სტილში შესრულებული და მის პოეტურ შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამომხატველი დარიანული ციკლი და მთლიანად „გადავულოცოთ“ ეს ლექსებიცა და პოეტური ფსევდონიმიც „ელენე დარიანი“ ნიჭიერ, მაგრამ პოეტურ ოსტატობაში გაუნაფავ ელენე ბაქრაძეს; მაგრამ არც ის გვმართებს, სრულიად უგულებელვყოთ ამ ქალბატონის როლი დარიანული ციკლის შექმნაში (თუ, ზოგადად, პაოლო იაშვილის ბიოგრაფიაში); საერთოდ, კარგი იქნება, თუ სხვის მეცნიერულ კვლევას „წყალს გასატანებლად“ არ ჩავთვლით მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ჩვენ განსხვავებული თვალსაზრისი გავაჩნია: აბსოლუტური ჭეშმარიტების მცოდნე ვერავინ იქნება, ხოლო ურთიერთიერისგან განსხვავებული თვალსაზრისები რომ ყოველთვის ურთიერთგამომრიცხავი არ არის, (როგორც ეს შეიძლება გარეგნულად, ერთი შეხედვით ჩანდეს), ამის დასაბუთებას მივუძღვენით წინამდებარე სტატია. მკითხველი განსჯის, რამდენად ობიექტურია აქ ტექსტობრივი ანალიზით მიღებული დასკვნა.

8.12.2018

p. s. ქალბატონ ელენე ბაქრაძის „ელენე დარიანად“ წოდების საწინააღმდეგო რომ არაფერი გვაქვს არც მე და არც ჟურნალ „ისინდის“ რედაქტორს, იკა ქადაგიძეს, ამის კიდევ ერთ დასტურად აქვე წარმოგიდგენთ ელენე დარიანის ჩემს მიერ შესრულებულ პორტრეტს, რომლის დახატვის იდეა სწორედ იკას ეკუთვნის და რომელიც ბ-ნი გ. ჯავახიშვილის წიგნს დართული ერთ-ერთი ფოტოსურათის მიხედვით შევასრულე.

რუსუდან ჭანტურიშვილი


**ალექსანდრა პუშკინისა და მიტროპოლიტი
ფილარეტის პოეტური მიმონათა**

ქართულ თარგმანებში

რუსეთის უდიდესი პოეტი ალექსანდრე პუშკინი და თავისი ქადაგებებით ცნობილი მოსკოვისა და კოლომენსკოეს მიტროპოლიტი ფილარეტი (ერისკაცობაში ვასილ მიხეილის ძე დროზდოვი) თანამედროვენი იყვნენ. პუშკინზე 17 წლით უფროსი მღვდელმთავარი, როგორც ცნობილია, კარგი ფსიქოლოგიც იყო და პედაგოგიური უნართაც გამოირჩეოდა. ამიტომ სავარაუდოა, რომ პუშკინის ნიჭი მან ჯერ კიდევ მაშინ შენიშნა, როცა პოეტი ლიცეუმში სწავლობდა, მღვდელმთავარი კი ლიცეუმს ხშირად სტუმრობდა. მიტროპოლიტი ფილარეტი მეტად გავლენიანი საეკლესიო მოღვაწე იყო. მჭევრმეტყველების უნართ განთქმულს, თანამედროვენი „ახალ ოქროპირს“ უწოდებდნენ. ინტელექტუალური საზოგადოება მის რელიგიური ხასიათის ნაწარმოებებსაც იცნობდა. მის ქადაგებებს ხშირად ესწრებოდნენ ცნობილი მწერლები და ფილოსოფოსები, რომლებიც თავიანთ ჩანაწერებსა და პირად წერილებში მას დიდი მონივნებით მოიხსენიებენ.

ერთი შეხედვით შეუმჩნეველი, მაგრამ რეალურად მჭიდრო სულიერი კავშირი ჩანს მიტროპოლიტ ფილარეტსა და ალექსანდრე პუშკინს შორის. პუშკინს არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა მიტროპოლიტის ცნობილი ქადაგებები, პოეტური ნიჭით დაჯილდოებულ მიტროპოლიტს კი, უზომოდ დაკავების მიუხედავად, შეუძლებელია დიდი ინტერესით არ ეკითხა პუშკინის ლექსები. ამის ყველაზე ნათელი საბუთია მიტროპოლიტი ფილარეტის პოეტური გამონათქვამები ალექსანდრე პუშკინის ერთ უსათაურო ლექსზე – *** «Дар напрасный, дар случайный». ეს ლექსი 1828 წლის 26 მაისით არის დათარიღებული და ზოგიერთ გამოცემაში ამ თარიღით არის დასათაურებული. იმ დღეს პოეტი 29 წლის შესრულდა. როგორც ლექსის დასაწყისიდანვე ჩანს, მასში სულაც არ იგრძნობა დაბადების დღით გამონვეული საზეიმო განწყობა. სასონარკვეთილი ავტორი, შეიძლება ითქვას, ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დგას. მღვდელი იოანე მალინინი ინტერნეტ-ჟურნალ “პროვოსლავიე-

ში” წერს, რომ 1828 წელი მეტად მძიმე და ზნეობრივი თვალსაზრისით გარდამტეხიც იყო პუშკინისათვის. მისი დაბადების დღიდან სულ მალევე მუშაობას შეუდგა კომისია, რომელიც შეიქმნა პუშკინის ადრე დაწერილ “გავრილიადას” გამო. ეს პოემა მეტად მკრეხელური ხასიათისაა. პოეტი შემდეგ ამას მთელი სიცოცხლე ნანობდა. კომისიის გადაწყვეტილება შესაძლოა მისთვის სავალალო ყოფილიყო, მაგრამ პუშკინმა ნიკოლოზ I-ს წერილი მისწერა და თავისი



ცოდვა გულწრფელად მოინანია. საქმე დაიხურა და პოეტი აღარ დასაჯეს. პუშკინმა სარწმუნოებისაკენ ჯერ კიდევ კომისიის შექმნამდე იბრუნა პირი, მაგრამ ცხოვრების უმიზნობა-

ზე ფიქრმა შეიპყრო და სასონარკვეთილებაში ჩავარდა. სწორედ ეს განწყობა გამოიხატა ლექსში *** «Дар напрасный, дар случайный», რომლის წაკითხვამაც მიტროპოლიტ ფილარეტს ხელში კალამი ააღებინა და საპასუხო პოეტური სტრიქონები დაანერინა. უდიდესმა სულიერმა მოღვაწემ ხელი გაუწოდა ცოდვით დამძიმებულ, სასონარკვეთილებაში ჩავარდნილ უდიდეს პოეტს და პუშკინისავე ლექსის პერიფრაზით დაწერილ ლექსში («Не напрасно, не случайно...») დამოძღვრა იგი.

როდესაც პუშკინს მიტროპოლიტის ლექსი გადასცეს, იგი ძალიან აღელდა და საპასუხოდ დაწერა ლექსი «В часы забав и праздной скуки»... ეს ხუთსტროფიანი ლექსი პუშკინის ერთგვარი აღსარებაა. V სტროფის I ვარიანტში პოეტი ფილარეტს ახსენებს, II ვარიანტში კი ფილარეტი სერაფიმით არის შეცვლილი. პუშკინის ლექსების თითქმის ყველა გამოცემაში ამ ლექსის II ვარიანტია შენახული.

ალექსანდრე პუშკინის შემოქმედებით ქართველი პოეტები თავიდანვე დაინტერესდნენ, განსაკუთრებით 1829 წელს პოეტის საქართველოში ჩამოსვლის მერე. ჩვენმა რომანტიკოსებმა მისი თარგმნა დაიწყეს. პოეტის დუელზე დაღუპვის შემდეგ კი მისი ნაწარმოებების თარგმნა ქართველებმა კიდევ უფრო ინტენსიურად განაგრძეს. თარგმანის თეორიისა და ისტორიის მკვლევარი ქეთევან ბურჯანაძე თავის ნიგნში „მე-19 საუკუნის ქართული მხატვრული თარგმანის ისტორიის საკითხები“ (თბ; 1992) წერს: „XIX საუკუნის პირველ ნახევარში პუშკინი იგივე შეიქმნა ჩვენი პოეზიისთვის, რაც XVIII საუკუნის გასულს საფრანგეთში — ბაირონი, ხოლო რუსეთში — შილერი“.

პუშკინის ლექსი «Дар напрасный, дар случайный» პირველად გრიგოლ ორბელიანმა თარგმნა. პროფ. ჯუმბერ ჭუმბურიძის და პროფ. აკაკი განერელიას აზრით გრიგოლ ორბელიანმა ეს ლექსი 1847 წელს თარგმნა ქთემირ-ხანშურაში (დალესტნის ახლანდელ ქალაქ ბუინასკში), სადაც იგი 1843-1857 წლებში მსახურობდა. გრიგოლ ორბელიანმა არც პუშკინის ამ ლექსის სავარაუდო პრეისტორია იცოდა და არც მიტროპოლიტ ფილარეტის საპასუხო ლექსს იცნობდა. რომ სცოდნოდა, ალბათ, თარგმნიდა კიდევ, მაგრამ პუშკინის ლექსში გამოხატულმა უზომო სევდამ მიიზიდა.



თავადაც ხომ ასეთი სევდისთვის უამრავი მიზეზი ჰქონდა. უპირველეს ყოვლისა კი, ეს მიზეზი იყო მისი უდროოდ დაღუპული დისშვილი — ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელსაც რეალურად ვერაფერი არგო, ვინაიდან მთელი ძალ-ღონე სხვის ომში ბრძოლას მოანდომა და ამით ვერც სამშობლოს არგო რამე. მხოლოდ პოეზიაში აღმოჩნდა თავის თავთან მართალი და თქვა კიდევ თავის ორტაეპიან ლექსში:

„დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ, დაემხო ჩემი სამშობლო.
გულს მიკლავს უიმედობა, საფლავს ჩავდივარ სიმწარით“.

ბუნებრივია, რომ პუშკინის ლექსში გამოხატული სევდა მიესადაგა გრიგოლ ორბელიანის სულს და ამიტომაც თარგმნა ეს ლექსი. მისი თარგმანი პირველად 1863 წლის ჟურნალ „ცისკრის“ მეორე ნომერში დაიბეჭდა სათაურით „პუშკინის მიბაძვა“. ლექსი ასე იწყება:

„სიცოცხლე ფუჭო, უბრალო ნიჭო,
რად მოუციხარ ჩემთვის ზენასა? “...

ქ-ნ ქეთევან ბურჯანაძის ზემოხსენებულ ნიგნში ვკითხულობთ გრიგოლ ორბელიანის ამ თარგმანის დეტალურ გამოკვლევას, რომლის დასკვნაც ასეთია: „გრიგოლ ორბელიანის ეს ლექსი „მიბაძვა პუშკინისა“ რომანტიკოსთათვის დამახასიათებელი ე.წ. სუბიექტური ხასიათის თარგმანია. იგი სწორად გადმოგვცემს დედნის მთლიან იდეას, გადმოგვცემს მას თვით მთარგმნელის „მე“-ს წინა პლანზე წამოწევით; გადმოგვცემს ისე, როგორც მას გრ. ორბელიანი იტყოდა, ქართულად რომ დაეწერა. აღსანიშნავია ისიც, რომ გრ. ორბელიანის ლექსი ფორმით, დინამიკურობითა და შინაგანი რიტმით საკმაოდ ახლოს დგას დედანთან, რაც იშვიათი მოვლენა იყო რომანტიკოსთა მთარგმნელობით პრაქტიკაში“.

გრიგოლ ორბელიანის გარდა, პუშკინის ეს ლექსი კიდევ ბევრმა ქართველმა პოეტმა თარგმნა. ლექსი შესულია პუშკინის ლექსების თითქმის ყველა ქართულ გამოცემაში, მაგრამ ამჟამად ქალბატონი ქეთევან ბურჯანაძის თარგმანი უნდა შემოგთავაზოთ. მისი თარგმანი დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნულ ლიტერატურათა, ლიტერატურულ ურთიერთობათა და თარგმანის კათედრის თაოსნობით გამოცემულ ორენოვან კრებულში: „თერგის საჩუქარი“ (თბ.; 1983) „მე თქვენ მიყვარდით“... (თბ.; 1999) და აღმანახ „ექო სახიერში“. რეალურად კი მკვლევარმა და მთარგმნელმა პუშკინის ზემოხსენებული ლექსი თარგმნა 1936 წელს, როცა სკოლა დაამთავრა და სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე მოეწყო. ერთი შეხედვით საკვირველია, თუ რატომ თარგმნა ასეთმა ახალგაზრდამ და ცხოვრების ჭირ-ვარამით დაუმძიმებელმა ადამიანმა რუსი პოეტის ასეთი სევდით დატვირთული ლექსი, მაგრამ ჯერ კიდევ შემორჩენილი ძველი თაობის წარმომადგენლებსა და მის ყოფილ სტუდენტებს, ვინც ქ-ნი ქეთევანის ბიოგრაფიას იცნობს, მისი არჩევანი არ გააკვირვებთ. 1936 წელს ქართული ინტელიგენციის უმძიმესი პერიოდი იყო. ახლოვდებოდა 1937 წელი — განათლებული ინტელექტუალური საზოგადოების ნამდვილი გილიოტინა და ქ-ნი ქეთევან ბურ-

ჯანძე ხომ ასეთი ოჯახიდან იყო. მამა — ვარლამ ბურჯანაძე იყო ქ.შ.წ.კ გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრი და შემდგომ მისი პასუხისმგებელი მდივანი, სრულიად საქართველოს დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა კავშირის დამაარსებელი და თავმჯდომარე. ქ-ნი ქეთევანის დედა კი იყო ცნობილი მთარგმნელისა და პოეტის, იოსებ ბაქრაძის ქალიშვილი, რომელმაც თავის ორიგინალურ პოეტურ და პროზაულ თხზულებებთან ერთად, მრავალი თარგმანითაც გაამდიდრა ქართული ლიტერატურა. მისი მშობლების სახლი XX ს-ის 20-30-იანი წლების ინტელიგენციის ნამდვილ საკრებულოს წარმოადგენდა. ქ-ნი ქეთევანის, მისი ოჯახისა და სანათესაოს თუ მეგობარი ოჯახების თავზე გადაიარა 1921, 1924 საშინელება წლებმა. 1936 წელს კი იგი არა მარტო ოჯახში, უნივერსიტეტის კედლებშიც გრძნობდა, რომ ატმოსფერო დამძიმებული იყო და ყოფნა-არყოფნის უამი ახლოვდებოდა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ქართულ პოეზიასთან ერთად რუსული პოეზიის კარგად მცოდნე ქალიშვილს ბუნებრივად გადმოეტანა ქართულ ენაზე პუშკინის ეს ლექსი:

ჯილდოვ ამაო და შემთხვევითო,
სიცოცხლე, რისთვის მომეცი ნეტავ,
ან საიდუმლო იმ ბედისწერამ
ჩემს დასასჯელად რად გამიმეტა?
ამაოების ბნელ უფსკრულიდან
რა მტრულმა ძალამ ამომიყვანა?
სული ამივსო ათასი ვნებით,
გონება ეჭვით ამიმლელვარა?
არ მაქვს მიზანი, უქმია გული,
გამოიფიტა ჩემი გონება,
და მონყინებით მქანცავს ცხოვრების
ხმაურიანი ერთფეროვნება.
/თარგმნა ქეთევან ბურჯანაძემ/

მიუზბრუნდეთ ისევ მიტროპოლიტ ფილარეტს და პუშკინის ამ ლექსის საპასუხოდ დაწერილი ლექსი გავიხსენოთ. მიტროპოლიტის ეს ლექსი ქართველ მთარგმნელებს გამორჩათ, მე კი ჩემმა ძმამ-თეიმურაზმა მიმაქცევინა მისთვის ყურადღება. გთავაზობთ მიტროპოლიტის ლექსის ჩემულ თარგმანს, რომლითაც მინდა უპირველეს ყოვლისა, პოეტურად შევეხმიანო ჩემი უსაყვარლესი ლექტორის — ქეთევან

ბურჯანაძის თარგმანს და რა თქმა უნდა, თავად პუშკინის ლექსს.

მიტროპოლიტი ფილარეტი წერს: „He напрасно, не случайно“...

არა ამაოდ, არა შემთხვევით
სიცოცხლე ქვეყნად გვარგუნა ღმერთმა
და განაჩენიც ამ სიცოცხლისა
ფარული ნებით მან განაწესა.
დაუკითხავად, ბნელ უფსკრულიდან
მე ბოროტებას მოვუხმე ჩემით,
სული თვითონვე ავივსე ვნებით,
ავიმღელვარე გონება ეჭვით.
გიხმოვ, შენ ჩემგან მივიწყებულო,
ნათლით გაკვეთე ბნელი ფიქრები
და სუფთა გულის, ნათელ გონების
დამბადებელი კვლავ შენ იქნები.
/თარგმნა რუსუდან ქანტურიშვილმა/

ახლა კი პუშკინის მიერ მიტროპოლიტი ფილარეტის ლექსის საპასუხოდ დაწერილ ლექსს „В часы забав иль праздной скуки“ გთავაზობთ ისევ ჩემ მიერ შესრულებული თარგმანის მეშვეობით:

თავშექცევისას, უქმობის დროსაც
არა ვტოვებდი ჩემს ჩანგს მდუმარეს.
და ვაჟღერებდი ნებიერ ჰანგებს
ვნებით, უქმობით, სიგიჟით სავსეს.
მაგრამ მაშინაც მაცდური სიმის
შევწყვეტდი ხოლმე საამურ ჟღერას,
როცა შენი ხმა, ხმა დიდებული
გამაოგნებლად წვდებოდა სმენას.
ჩემი სინდისის ჭრილობებს მაშინ
ნაკადულები რეცხავდა ცრემლის
და სურნელება შენი სიტყვების
იყო სურნელი ამბრის, საკმევლის.
სულიერების მწვერვალზე მდგომი
ჩემკენ ხელს იწვდი, რომ მომეშველო
და სიყვარულის, სიმშვიდის ძალით
შველი არეულ ფიქრს უსაშველოს.

I რედაქციით:

შენეულ ცეცხლით ეს სულიც იწვის,
დაჰგმო ამ ქვეყნის ფუჭი ბორგვანი.

ყურს უგდებს რიდით ფილარეტის ჩანგს
ღვთიური ძრწოლა-შიშით მგოსანი.

II რედაქციით:

ყურს უგდებს რიდით სერაფიმის ჩანგს
ღვთიური ძრწოლა-შიშით მგოსანი.

/თარგმნა რუსუდან ქანტურიშვილმა/

ა.ს. პუშკინის თხზულებათა სამტომეულის 1954 წელს გამოცემული I ტომის განმარტებებში ამ ლექსთან მიმართებით აღნიშნულია, რომ 1834 წლით დათარიღებულ დღიურში პოეტი აღარ ეთაყვანება და აკრიტიკებს კიდევაც მიტროპოლიტ ფილარეტს. ამ აზრს შეგვიძლია აღარ გამოვედევნოთ, მთავარია, რომ თავიანთ პოეტურ მიმონერაში ალექსანდრე პუშკინმა და მიტროპოლიტმა ფილარეტმა ერთმანეთის მიმართ სულიერი ნათესაობა გამოამჟღავნეს და უფლის წინაშე მართალი სიტყვა თქვეს. პოეტის ერთმა ლექსმა ქართველ მთარგმნელებსაც თავიანთი სევდა გაახსენა და ჩვენი პოეტის — ლაშა გახარიას სიტყვებით რომ ვთქვათ:

„პოეტი, მაინც...“

ერთი ლექსია —
ობლის ცრემლივით
ცამდე მართალი“.

დავუბრუნდები ისევ მიტროპოლიტი ფილარეტის საპასუხოდ დაწერილ პუშკინის ლექსს. წერილის დასაწყისში მღვდელი იოანე მალინინი ვახსენე და ახლაც მისივე აზრი მინდა მოვიხმო. იგი საგანგებოდ განიხილავს პოეტის ლექსის IV სტროფს და პავლე მოციქულის სიტყვები ახსენდება ეპისტოლედან გალატელთა მიმართ ნათქვამი. მეც ამ სიტყვების ქართულ თარგმანს გავიხსენებ ბიბლიიდან: „ძმანო, თუ კაცი რაიმე ცოდვაში ჩაიდგამს ფეხს, თქვენ, რომელნიც ხართ სულიერნი, შეაგონეთ მას თვინიერების სულით; დაუკვირდი შენსავე თავს, რათა თავადაც არ ჩავარდე განსაცდელში. ერთმანეთის ტვირთი იტვირთეთ, და ასე აღასრულეთ ქრისტეს რჯული.“ (ბიბლია, თბ., 1989, გალ. 6:1-2).

30.07.2013

რუბრიკისათვის ღირსსახსოვარნი

გიო შიშნიაშვილი



თორნიკე ერისთავი

გამიუცხოვეს მოხუცი დედა,
მამის საფლავსაც ველარ ვგრძნობ ისე,
ნაიღეს ჩემგან სისხლი და ხორცი,
ნაიღეს ჩემგან და მიითვისეს.

შიშნის-ამ შიეირ და ნაცნობ ბატონს
(ვილაც მიმუხტავს ტაეპს ორგიით),
ემორჩილება ყოველი კაცი
კუჭზე გამავალ ტრაექტორიით.

მავანთ სიხარბით დაბერილ ნესტოთ
ეხამუშები, როგორც პოლიპი,
თუ გაგახსენდა, რომ ხარ ქართველი
და თუ არა ხარ კოსმოპოლიტი...

წინაპრის სისხლით გაყლენთილ მიწას
ყიდიან, როგორც ყიდიან სოკოს,
ორ პირდაღებულ ჭრელ უფსკრულს ვხედავ-
იქით ვაშინგტონს და აქეთ მოსკოვს...

წელან ვახსენე, ვის უნდა მამა,
ან ეროვნებას რომელი აქებს,
ჩამსისინებენ – რა გინდა მეტი,
შენ ხომ ევროპის ხარ მოქალაქე...

ვიხსენებ, ვწუხვარ, სამშობლოს, წარსულს
და ღვინის ჭიქას ბალღამით
ვივსებ,
გამიუცხოვეს მოხუცი დედა,
მამის საფლავსაც ველარ
ვგრძნობ ისე.



მხატვარი ნინო ჩაკვეტაძე

ზურაბ ჯაფარიძეს

„1995 წლის 10 ნოემბერი... ხევსურეთი...
მდინარე არაგვი. 30 წლის პოეტის
ლოდსჩახუტებული, გაყინული სხეული...“

თურმე მთის ლოდებს ქვის გულები არა ჰქონიათ,
ისე ხელგაშლით ჩაიხუტეს შენი სიცოცხლე!
მაისში თოვლი რომ გადნება და გიპოვნიან,
აღბათ ნაავდრალ სახეზედაც ძლივსლა გიცნობენ...
ამბობენ, დღესაც შენი ლექსი არაგვსო მიაქვს,
ბორგავს, დუღუნებს იმ შენს სტრიქონს და
თავს იწონებს...
მთის ლოდებს თურმე ქვის გულები არა ჰქონიათ,
ისე ხელგაშლით ჩაგხუტეს შენ და სიცოცხლე!

2018 წელი

ტარანტის

MEMENTO MORI, როგორც
გახსოვდეს სიკვდილი...

რა მდუმარება გაიმეფე...
შენზე ფიქრს ვინყებ;
მოვედი შენს ძველ სამარესთან,
თვალს ცრემლით ვივსებ
და მახსოვს დღემდე ის სიკვდილი,
ვერ დავივინყე!
რა სევდა იგრძენ?..
იქნებ შენც ჩუმი საფლავები გესიზმრება
და ვერ იღვიძებ?
მე ის ვიფიქრე, –
რომ შენს საფლავს,
როგორც სიცოცხლეს,
უხდება მკვდრის მზე
და გავირინდე...



შექსპირული ჩანახატები

თავის დღიურებში ლევ ტოლსტოი ერთგან აღნიშნავს: „ვკითხულობ გოეთეს და თავში უამრავი აზრი მერევა!“ მეც (და არა მარტო მე!) შექსპირის პიესების კითხვისას ან სპექტაკლების ნახვისას უამრავი აზრი მერევა თავში, რადგანაც „შეხება“ მაქვს გენიალური ადამიანის ნაზრევთან!

შექსპირისადმი სიყვარულს განსაკუთრებით მამას უნდა ვუმაღლოდ, რომელსაც საკმაო პატარა ასაკიდან თეატრში დავყავდი მისი სპექტაკლების „დასაპყრობად“, როგორც თავად აღნიშნავდა ხოლმე ღიმილით, ხანდახან კი მამის მიერ წარმოთქმულ ამა თუ იმ მონოლოგს ვისმენდი.

შექსპირის პიესებიდან განსაკუთრებით მიყვარს „ჰამლეტი“ და „რიჩარდ III“, რომლებიც თითქმის მთელი ცხოვრებაა თან „მომყვებიან“!

თეიმურაზ ნადარეიშვილი

რიჩარდ III (აპოლოგია ტირანისა!)

“ჩემი” რიჩარდის ისტორია (შესავლის მაგიერ)

1979 წლის თებერვალში რუსთაველის თატრში ვნახე რობერტ სტურუას გახმაურებული სპექტაკლი შექსპირის „რიჩარდ III“. ივლისში, უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ნაგვიყვანეს თადარიგის ოფიცერთა სამხედრო შეკრებაზე ქ.ერევანში და სწორედ იქ მოხდა ძალიან საგულისხმო რამ: ყაზარმაში, მეგობრებთან დავიწყე რიჩარდის ენით „ლაპარაკი“ – ვთამაშობდი ცალკეულ მონოლოგებს რიჩარდისა. უშუალო საბაბი ამ უცნაური ქმედებისა ის იყო, რომ ერთხელ ჩემს მეგობარს შევეკითხე თუ რომელი საათი იყო. მან მიპასუხა, რომ ათს წუთები აკლიაო და სწორედ იმ მომენტში ჩემში რიჩარდმა „გაიღვიძა“ და მეგობარს „მრისხანედ“ მივაძახე: „მამ მიჩუქნია ეგ წუთები, რადგან ათზე სიცოცხლეს გამოესალმები!“ – სწორედ ასე მიმართავს სპექტაკლში რიჩარდი ბაკინგამს. ჩემმა ამგვარმა ქმედებამ კინალამ კონლიქტი გამოიწვია, მაგრამ ჩემი სათანადო განმარტებების შემდგომ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. (ვფიქრობ, რომ მეგობარს სხვა დრო რომ ეთქვა, მე საერთოდ არ გამახსენდებოდა რიჩარდი და ეს ბედნიერი დამთხვევა იყო!). აუცილებელია აღინიშნოს, რომ ეს ფრაზა ბატონი რობერტის მიერ არის მოგონილი, რადგანაც პიესის ტექსტში, ბაკინგამი გაიქცევა, მიემხრობა რიჩარდის მონიანალმდეგებს და მას მხოლოდ მოგვიანებით, რამდენიმე სცენის შემდეგ სიკვდილით დასჯიან. სტურუას ინტერპრეტაციით ბაკინგამის დასჯა დაუყონებლივ ხდება მისი გარკვეული ყოყმანის შემდეგ, როცა რიჩარდი მას სთხოვს მოკლას რიჩარდის ახალგაზრდა ძმისწულეები და ამ გაბედულ გადაკეთებას თავისი ღრმა საფუძველი გააჩნია და ამის შესახებ მე ქვემოთ ვი-



ლაპარაკებ, როცა შევეხები ბატონი რობერტის მიერ განხორციელებულ კიდევ სხვა გადაკეთებებსაც.

ამ შემთხვევის შემდეგ დავიწყე რიჩარდის „თამაში“. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ მთელი ხუთი თვის განმავლობაში (თებერვლიდან ივლისამდე) ერთი სიტყვა არ მახსოვდა სპექტაკლიდან და ჯვარში უეცრად, სპონტანურად გამახსენდა რიჩარდის სიტყვები. ბუნებრივია ამ ფაქტმა ძალზე გამაკვირვა და გადავწყვიტე დამეწყო კვლევა თუ რა ხდებოდა ჩემში. ამიტომ ჯარიდან დაბრუნებულმა, კიდევ ერთხელ ვნახე „რიჩარდ III“ – მიხლოდა შემომემომბინა თუ რამდენად სწორად „ვთამაშობდი“ რიჩარდს და აღმოჩნდა, რომ ჩემი ჯვარში წარმოთქმული სიტყვები რიჩარდისა, თითქმის ზუსტად ემთხვეოდა ტექსტს სპექტაკლში, რამაც კიდევ უფრო გააცხოველა ჩემი ინტერესი. მოკლედ, რომ შევაჯამოთ, ჩემში ქვეცნობიერად „იჯდა“ სიმპათია რიჩარდისადმი და არ მესმოდა თუ რა მომწონდა ტირანში!

ქვემოთ მოყვანილი მოსაზრებები იმის მცდელობაა, რომ გავიგოთ რიჩარდის შინაგანი სიმართლე (რამაც ჩემი სიმპათია გამოიწვია მისდამი!). მართლაც უარყოფითი გმირი საერთოდ უფრო საინტერესოა ვიდრე დადებითი, რადგანაც ყველაზე უკეთ მან იცის, რომ იგი ასეთია – ყველაზე კარგად ადამიანი ხომ საკუთარ თავს იცნობს! მან იცის, რომ არასწორად იქცევა, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც აგრძელებს თავის ქმედებებს და ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მას გააჩნია რაღაც შინაგანი სიმართლე. ეს სიმართლე შესაძლოა იყოს გარკვეული პროტესტი გარე სამყაროსადმი, გარკვეული შინაგანი მოტივები, რამაც ადამიანი მიიყვანა ამ ქმედებებამდე.

P.S. მოგვიანებით შემდეგი ასხნა მოვუძებნე საკუთარ უცნაურ საქციელს: ჩემი აზრით, ხუთი საუკუნის

შემდეგ ჩემში განმეორდა ის ფსიქოლოგიური განწყობა (მდგომარეობა), რომელშიც იმყოფებოდა რიჩარდი – იგი სამეფო კარზე მრავალრიცხოვანი ინტრიგების და მის მიერ ჩადენილი მკვლევლობების შედეგად არანორმალურ, დაძაბულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რადგანაც ეს ყველაფერი ისეთ ძლიერ პიროვნებაზეც კი, როგორც რიჩარდია, ძალაუფლებურად მაინც მოქმედებს! მეც ჯარში, მისი სპეციფიკის გამო, დაძაბულ, უჩვეულო მდგომარეობაში ვიყავი და რიჩარდის არანორმალური ფსიქოლოგიური მდგომარეობა ჩემში გამეორდა – მე დავინყე ამ მდგომარეობის რიჩარდის სიტყვებით გადმოცემა, რომელიც თებერვალში, ხუთი თვით ადრე, მექონდა მოსმენელი და ჩემს ქვეცნობიერში „იჯდა“!

* * *

რიჩარდ III-ის ისტორია იწყება „ჰენრი VI“-ის მეორე და მესამე ნაწილებში. რამ გახდა რიჩარდი დესპოტი? რატომ არის იგი ასეთი სასტიკი ადამიანი? რა არის მისი შინაგანი სიმართლე?! ამ კითხვებზე პასუხის გაცემისას, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ რიჩარდი დასაწყისში არც კი ფიქრობდა სამეფო ტახტზე და იბრძოდა თავისი გვარისთვის – მამისთვის, ძმა ედვარდისთვის (ისტორიაში კარგად ცნობილი „წითელი“ და „თეთრი“ ვარდების ომი – ლანკასტერების და იორკების გვარების დაპირისპირება!), რომელსაც ტყვეობიდანაც კი დაიხსნის! და მხოლოდ მას შემდეგ რაც რიჩარდმა ედვარდს ტახტი მოაპოვებინა, რიჩარდი დარწმუნდა საკუთარ ძალებში და მიხვდა, რომ თვითონაც ხელუწიფება სახელმწიფოს მართვა. აქ გასათვალისწინებელია ის, რომ ედვარდი მეფობის პერიოდში ეწეოდა აღვირახსნილ, უზნეო ცხოვრებას, ისიც რომ დედოფლის (ლედის გრეის, ედვარდის მოსისხლე მტრის ყოფილი ქვრივი!) ნათესავები დაუმასხურებლად აღზევდნენ, რის გამოც რიჩარდი შევიწროებულია – გავისხენოთ რიჩარდის წამოძახილი: „სადაც გლახაკნი გააზნაურდნენ, იქ აზნაურებს რა დაგვედგომება! ვინ ვიყავი მე და ვინ ვარ ახლა?!, ან ვინ იყვნენ ისინი და ვინ არიან ახლა?!“ (თარგმანი ლილი ფოფხაძის და რობერტ სტურუასი). მაგრამ მაინც, ჩემი აზრით, მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს იმ საშინელ უსამართლობას, რომელიც ბუნებამ გამოიჩინა რიჩარდის მიმართ. „ჰენრი VI“-ის მესამე ნაწილის ბოლოს შემზარავი სცენაა მოცემული რიჩარდის დაბადებისა, რომელსაც ჰენრი VI ასე აღწერს:

„ჭოტი კვილით გვამცნობდაო უბედურ ჟამსა, ძალღნი ყმუოდნენ შემზარავად და საშინელი ქარიშხლის ქროლვა ძირინად გლეჯდაო ხეებს. ბუხრის წვეროზე შემომჯდარა შავი ყორანი და კაჭკაჭებიც უთავბოლოდ ჩხაოდნენ ბნელში. ჯერ არც ერთ დედას უფრო ტანჯვით არ უშობია მშობლის სანუკვარ იმედების გასაცრუებლად ასე ვაგლახი, უმსგავსი და უშნო საპყარი!“ (თარგმანი გ.ჯაბაშვილის)

თავად რიჩარდი ეთანხმება ჰენრი VI-ის ამ სიტყვებს და კიდევ უფრო გაუგონარ დეტალებს უმატებს ამ ქვეყნად მისი მოსვლისა:

„მართალი არის, რაც აქ ჰენრიმ ჩამომითვალა, რადგანაც ხშირად მსმენია მე დედაჩემისგან, რომ ქვეყანაზე ჯერ ფეხები გამოვყავ თურმე. შიშით ყვიროდნენ: „ღმერთო! ბავშვს თან კბილები დაჰყვა!“

მართალიც არის და ეს ცხადად ნიშნავდა, რომ მე ძალღვივით უნდა ყეფა-ღრენით ამეკლო ყველა!“ (თარგმანი გ.ჯაბაშვილის)

როგორც გოეთე ერთგან შენიშნავს: „დეტალები ეს ღმერთია!“ და მართლაც გაკვირვებას იწვევს თუ რამ მოაფიქრებინა შექსპირს ამგვარი დეტალები (ესეც არის მისი მკითხველზე და მაცურებელზე ზემოქმედების ერთ-ერთი მძლავრი „იარაღი“!). როგორც ჩანს შექსპირი კარგად ერკვეოდა მედიცინაშიც, რადგანაც ბავშვის ფეხებით წინ და კბილებით დაბადება უიშვიათესი კლინიკური შემთხვევაა!

რიჩარდის მონოლოგი გვირგვინდება შემდეგი უმნიშვნელოვანესი განცხადებით (ამ ადგილის მნიშვნელობის გამო მომყავს ინგლისური ვარიანტი, გ.ჯაბაშვილის და ჩემი თარგმანები):

“Then, since the heavens have shaped my body so, Let hell make crooked my mind to answer it. I had no father, I am like no father I have no brother, I am like no brother And this word, ‘love’, which greybeards call divine, Be resident in men like one another And not in me – I am myself alone”

„მაშ, თუკი ზეცამ ტანი ასე დამიმახინჯა დე, ჯოჯოხეთმა გამიმრუდოს სულიც მის მსგავსად. მე ძმა არა მყავს, არა ვგავარ არც ერთ ძმათაგანს, და სიყვარულმაც, ტუტუტუცნი რომ ღვთიურ სახვენ, დაისადგუროს მათ გულში, ვინც ურთიერთს ჰგვანან, ხოლო ჩემგან კი დე, შორს იყოს: მე მხოლოდ მე ვარ!“ (თარგმანი გ.ჯაბაშვილის)

„რადგან მე ზეცამ ტანი ასე დამიმახინჯა, მის საპასუხოდ, დე ჯოჯოხეთმაც, გამიმრუდოს ჩემი გონებაც.

მამა არა მყავს, არც მამას ვგავარ, ძმა მე არა მყავს, არც ძმებსა ვგავარ, და „სიყვარულმაც“, რასაც ქარმაგნი ღვთიურად რაცხვენ, დე იბოგინოს იმათ გულელებში ვინც ერთმანეთს ჰგავს და არა ჩემში – მე მხოლოდ მე ვარ!“ (ჩემი თარგმანი)

ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ რიჩარდი უკიდურესად გაბოროტებულია იმ უსამართლობის გამო, რაც ბუნებამ მის მიმართ გამოიჩინა და ეს გაბოროტება იმდენ-

ნად შემზარავია, რომ რიჩარდს უჭირს(!) საკუთარ თავი ადამიანთა კატეგორიას მიაკუთვნოს! (ის ხომ არავის გავს და ამიტომ სიყვარულის მსგავსი მორალური კატეგორები მხოლოდ იმათი „თავის სატკივარია“, ვინც ერთმანეთს გავს და არა მისი –“მე მხოლოდ მე ვარ!“). სწორედ ეს უპრეცედენტო განცხადება შეიძლება ავიღოთ რიჩარდის შინაგანი სიმართლის ქვაკუთხედად! ის არის „მორალური პოსტულატი“ და თუ ის მართებულია, მაშინ გამართლებულია რიჩარდის შემდგომი საქციელი, მისი სასტიკი ქმედებები. მახსენდება თ.დოსტოევსკის შემდეგი გამონათქვამი მოთხრობაში „მარადი ქმარი“: „Самый уродливый урод-это урод с благородными чувствами. Природа для уroda не нежная мать, а мачеха! მართლაც რიჩარდს უძნელდება კეთილშობილი მიზნები ჰქონდეს, რადგანაც ბუნება დაბადებინავე სჯის მას (დედინაცვალია მისთვის!) და ისიც ადეკვატურად იქცევა! ასევე შეიძლება გავიხსენოთ ფაშიზმის რასობრივი თეორია – თუ სხვა რასები უფრო „დაბალი ხარისხისაა“, ვიდრე გერმანული არიული რასა, მაშინ გამართლებულია ჰიტლერის ქმედებანი, მისი დანაშაულობანი კაცობრიობის წინაშე. მაგრამ ისევე როგორც მეცნიერებაში ამოსავალსაწიის პოსტულატებზე დაფუძნებული თეორიის მართებულობა მოწმდება ცდით, თავად ცხოვრება აჩვენებს, რომ სწორედ ეს საწყისი პოსტულატი რიჩარდისა არ იყო მართებული (ისევე როგორც ჰიტლერისა!) და ამან საბოლოო ჯამში, რიჩარდი დალუპვამდე მიიყვანა, რადგანაც არავის აქვს უფლება (მიუხედავად ბუნების უსამართლობისა!), საკუთარი თავი ბუნებაზე მაღლა დააყენოს, ამ საფუძველზე თავი „გაინთავისუფლოს“ და ისე იმოქმედოს!

* * *

რიჩარდი გაორებული პიროვნებაა – მასში ერთდროულად თანაარსებობს ბოროტი და კეთილი! რიჩარდს შეუძლია მისთვის საჭირო მომენტში წინ წამოსწიოს საკუთარი დადებითი მხარეები (იყოს გულწრფელი, თქვას სიმართლე და ა.შ.) და სწორედ ეს ემარება მას სხვა ადამიანებზე ზემოქმედებაში, რასაც იგი ყველაზე შთამბეჭდავად ორ სცენაში აკეთებს: ლედი ანასთან „არშოიობის“ და ელისაბედ დედოფალთან ქალიშვილის ხელის თხოვნის სცენებში. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ლედი ანასთან „არშოიობის“ სცენა (მოქმედება პირველი, სურათი II)

მართლაც პარადოქსალურია ეს სცენა, მამათილის გვამის გვერდით, რომელიც (და ლედი ანას ქმარიც!) სწორედ რიჩარდმა მოკლა! აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ეს სცენა მთლიანად შექსპირის მიერ არის მოგონილი, რადგანაც ისტორიულმა რიჩარდმა მართლაც შეირთო ლედი ანა, მაგრამ არა ასეთ არაბუნებრივ პირობებში მოხდა რიჩარდისაგან დაქვრივებული მანდილოსნის გულის დამორჩილება (ბევრი კრიტიკოსი წარმოუდგენელ, დაუჯერებელ სცენად აღიქვამს პიე-

სის ამ ეპიზოდს. კერძოდ, აღნიშნავენ, რომ შეუძლებელია ამგვარი და ასეთი სწრაფი გარდაქმნა მომხდარიყო ლედი ანას სულში!). მაგრამ შექსპირი არ გაურბის სირთულეებს და ისეთი არგუმენტებით „აირაღებს“ რიჩარდს, რომ შესაძლებელი ხდება დაძლეულ იქნას ეს გარეგნული „უხერხულობა“! იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ რა არგუმენტები გააჩნია რიჩარდს, დანვრილებით განვიხილოთ ეს სცენა.

სცენა იწყება იმით, რომ შემოქავეთ თავახდელი კუბო მეფე ჰენრი მეექვსის გვამით. მგლოვიარე ლედი ანას ბრძანებით კუბოს ძირს დაუშვებენ და ამას მოსდევს სამინელი სიტყვებით წყევლა რიჩარდსა. თავისი ცნობილი მჭერმეტყველების გამო (დეტალების უბადლო აღწერა, თუ როგორ ეზიზღება ანას რიჩარდი!), შექსპირი თითქოს თავად ირთულებს ამოცანას – მართლაც წარმოუდგენელად შეიძლება მოგვეჩვენოს თუ როგორ შეიძლება ამ ემოციურ მდგომარეობაში მყოფი მანდილოსნის გულის მოგება! შემოდის რიჩარდი, რომლის დანახვაზეც კულმინაციას აღწევს ლედი ანას გაცხარება:

„ამ სისხლის მქმნელო ღმერთო, შური აგე ამის მკვლელს!

ამ სისხლის მწოვო მინავ, შური აგე ამის მკვლელს!

ან დედამინავ, შუა გასკედი, ცოცხლივ ჩაჰყლაპე ისე, როგორც ამ კეთილ მეფის სისხლს ხარბად სწოვ,

სისხლსა დანთხეულს ეშმაკ – კერძის მარჯვენისაგან“

ამ საოცრად უარყოფით ფონზე მაინც რითი უნდა დაინყოს რიჩარდმა ლედი ანასთან საუბარი? რიჩარდი ოსტატურად იყენებს ქრისტიანული რელიგიისთვის დამახასიათებელ საოცარ შემწყნარებლობას და მიმტვევებლობას:

„კაცთმოყვარების კანონს რატომ არ მისდევ, ლედი, რაიც კეთილით უხდის ბოროტს და ლოცვით წყევლას?“

და მოულოდნელ შეკითხვას უსვამს ლედი ანას. (კერძოდ, რა არის ნამდვილი მიზეზი მისი ქმრის ედვარდის, მამამთილის მეფე ჰენრი მეექვსეს მკვლელობებისა, აღიარებს რა, რომ იგი მხოლოდ შემსრულებელი იყო!):

„ამიხსენ, აბა, გასაკიცხი არ არის განა

ამსრულებელთან ერთად იგი, ვინც მიზეზია ამ პლანტაგენეტთ, ედვარდ, ჰანრის უდროოდ სიკვდილის?“

რაზეც ლედი ანა სავსებით ლოგიკურ პასუხს სცემს:

„მიზეზიც იყავ, შე წყეულო, ამსრულებელიც“

და აქ რიჩარდი კიდევ უფრო მოულოდნელ რამეს ეუბნება ლედი ანას:

„არა, მიზეზი იყო შენი მშვენიერება,

შენი სიტურფე, ძილში რომ თავს დამტრიალებდა და მაქვზებდა თუნდ მთელ ქვეყანას ამოსაყლელტად. ოლონდ ერთ საათს მივყრდნობოდი მაგ შენს ტკბილ გულსა.“

აი ამ ადგილას რიჩარდი „აამოქმედებს“ თავის პირველ არგუმენტს, როდესაც „თამაშობს“ ქალურ პატივმოყვარეობაზე – რაც უფრო მეტი თაყვანისმცემელი ყავს მანდილოსანს, მით უფრო სიამოვნებს მას ეს! (თუმცა ხმამაღლა ამას არავინ აღიარებს!) ოდნავ მოგვიანებით რიჩარდი კიდევ უფრო აძლიერებს ეფექტს:

„ვინც შენ წაგართვა ქმარი, ლედი, ეს იმისათვის ჰქმნა,

რომ დაგეხმაროს და უმჯობესს შეგყაროს მალე“

ადამიანი მეგობარს და განსაკუთრებით მეუღლეს თვითონ ირჩევს – ეს მისი ამოცანაა (თუ, რა თქმა უნდა, საქმე არ გვაქვს, ძალადობრივ, ანგარებით და სხვა ე.წ. უსიყვარულო ქორწინებებთან!) განსხვავებით მშობლებისა და ნათესავებისაგან! ამიტომ ჩვენი არჩევანი (მეუღლე!) დროში შეიძლება შეიცვალოს, თუ უკეთესი ვინმე გამოჩნდება! სწორედ ეს იცის კარგად რიჩარდმა (იგი საერთოდ ძალზე დაკვირვებული, ცხოვრების ღრმად მცოდნე ადამიანია!) და ამ ცოდნას მოხერხებულად იყენებს! ამიტომ ლედი ანასაც ბუნებრივი ინტერესი აღეძვრება:

„დამისახელე, აბა სად არის?“

და ამ „გულუბრყვილო“ შეკითხვის დასმით, უკვე იწყება ანას სულიერი გარდატეხა – მას აინტერესებს ვინ არის ის ვისთანაც იგი ბედნიერი იქნება (ქალი მაინც ახალ „პატრონს“, დასაყრდენს ეძებს!). რიჩარდი პასუხობს, რომ ეს ადამიანი იგი არის! ეს უკვე მეტისმეტია – ლედი ანა შეაფურთხებს რიჩარდს! და აქ უკვე რიჩარდი გამოიყენებს მეორე მძლავრ არგუმენტს – გულწრფელობას!

კერძოდ, რიჩარდი ამბობს, რომ მას ცრემლი არ დასცდენია, როცა შეიტყო თავისი ყმანვილი ძმის რუტლანდის მკვლელობის ამბავი. ასევე არ უტირია, როცა გაიგო თუ რა საშინელი ცინიზმით მოაკვლევინა დედოფალმა მარგარეტმა მამამისი და ამ ამბავს ლედი ანას მამა ჰყვებოდა (ესეც საინტერესო, ეფექტის მომხდენი დეტალია!):

„არც მაშინ, როცა მამაშენი, ომში განვრთნილი, სიკვდილის ამბავს მოგვითხრობდა მამიჩემისას და გულჩვილ ბავშვის მსგავსად ოცჯერ მაინც შეჩერდა,

რომ დაემშვიდა გული მწარედ აჩუყებული; როცა გარს-მდგომნი, წვიმის წყალთ დამბალ ხეთ მზგავსად

ლოყებზედ ცრემლებს იპკურებდნენ, იმ შავ დროსაც კი

ეს მხნე თვალები ცრემლამდე არ დამმცირებია“

და ახლა კი რიჩარდი ტირის. ეს, რა თქმა უნდა ხელოვნურად გამოწვეული ცრემლებია, მაგრამ იმ ფონზე, რასაც იგი ზემოთ ამბობს (მას მართლაც არასდროს დაცდენია ცრემლები!), მათ გარკვეული ზემოქმედების მოხდენა შეუძლიათ ანაზე.

მაგრამ რიჩარდი ამით არ კმაყოფილდება და აგრძელებს გულწრფელობის გამიზნულ დემონსტრირებას:

„მე ჯერ არა დროს არაფერი არ მითხოვია არც მეგობრისთვის, არც მტრისათვის; არ არის ჩვეულ

ეს ჩემი ენა ალერსიან და ტკბილს ლაპარაკს“

ღიახ რიჩარდი ძლიერი პიროვნებაა და მას მართლაც არავისთვის არაფერი არ უთხოვია და ახლა კი:

„მაგრამ ეხლა კი, რაკი მწადის შენ გმფლობელობდე, ამაყი გული ჩემი ითხოვს, ენას აქეზებს“

მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, ლედი ანა მაინც ზიზზით უყრებს რიჩარდს და იგი რადიკალურ ნაბიჯზე მიდის – აძლევს მას ხმალს და სთხოვს მოკლას, თუკი მისი შეყვარება არ შეუძლია. ეს რასაკვირველია რიჩარდის მიერ დადგმული გარკვეული რისკის შემცველი სცენაა (ხომ შესაძლოა ანას მართლა მოეკლა რიჩარდი!), მაგრამ გარეგნულად ძალზე დამაჯერებლად გამოიყურება და ესეც მოქმედებს ანას ფსიქიკაზე!

„აი ეს გული, სიკვდილს ელის გამიშვლებული, მუხბოდრეკითა გევედრები რომ მომისწრაფო.

(აძლევს ხმალს, მუხლს მოიდრეკს და გულს იშიშვლებს)

ნულარ აყოვნებ, მე ვარ მკვლეელი მეფე ჰანრისა,- (ლედი ანა ხმალს გულზედ მიადებს).

და ეგ სიკვდილი ჩამაგონა შენმა მშვენებამ. (ლედი ანა ხმალს ძირს დაუშვებს).

აბა, აჩქარდი, მე მოვკალი ჭაბუკი ედვარდ,- (ლედი ანა ხმალს კიდევ გულზედ მიადებს).

მაგრამ ეგ არის ბრალი შენის ციურ სახისა. (ლედი ანა ხმალს ძირს დაადგებს).

აილე ხმალი, ან მე მკდრეთითა ზე-აღმადგინე. ანა

ადექ თვალთმაქცო, თუმცა მწადის შენი სიკვდილი, მაგრამ მე მაინც ვერ ვიკისრებ ჯალათად ყოფნას.

რიჩარდი

მამ მითხარ, თავი მოიკალ-თქო, და მეც მზადა ვარ. (ადგება და ხმალს აიღებს).

ანა

წელანვე გითხარ

რიჩარდი

გაბრაზებული იყავი მაშინ,

არა კიდევ ერთხელ მითხარ,

და დიდმა სიყვარულმა,

რომელმაც დიდი სიყვარული მოჰკალა,

კიდევ უფრო დიდ სიყვარულს მოკლავს.

ორივე სიკვდილის მიზეზი შენი სილამაზე იქნება!“

(მომყავს რიჩარდის ბოლო სიტყვების ლილი ფოფხადის და რობერტ სტურუას თარგმანი რობერტ სტურუას სპექტაკლიდან)

ეს ბოლო „გაბაასება“ ლედი ანასა და რიჩარდს შორის კლასიკური შექსპირული ვნებების გამოვლენაა, როდესაც მაცურებელს და მკითხველს მართლაც სუნთქვა ეკვრება! როგორც ვხედავთ, რიჩარდი ამ ადგილას კვლავ ზემოთ ნახსენებ ქალურ პატივმოყ-

ვარეობაზე მოქმედებს (ლედი ანა, მისი სილამაზის სხენებისას, ორჯერ(!) დაუშვებს რიჩარდის მოსაკლავად აღმართულ ხმალს!), ანა ველარ უძლებს რიჩარდის მიერ დიდოსტატურად განხორციელებულ მისი დამორჩილების „ოპერაციას“ და ნახევრად ჰიპნოტიზირებულ მდგომარეობაში თანხმდება გახდეს მისი მეუღლე!

ძალზე მნიშვნელოვანია რიჩარდის მონოლოგი ამ სცენის ბოლოს. კერძოდ, დასაწინსმი რიჩარდი თავად აღნიშნავს სცენის პარადოქსალურობას,თუ რა მისთვის წარმოუდგენლად არახელსაყრელ პირობებში შეძლო მან ქალის გულის დამორჩილება:

„უარშიყნია ქალთან ასე, ვისმე, როდისმე? ვისმე, როდისმე მოუხიბლავს ამ გზით მის გული? ამას ხელთ ვიგდებ,მაგრამ დიდხანს არ ვიყოლიებ. ქმარი და მამა მოვუკალ მე და უალრესი სიძულვილის წილ შევითვითვისე,შევიტრფიალე. შევიტრფიალე, როს ენიდან წყევლა სცვიოდა და თვალში ცრემლის გუბე ედგა; და როცა იქვე მის მძულვარებას სისხლიანი გვამი მოწმობდა, საბუთად ჰქონდა ყოველივე ეს დაბრკოლება, თვის სინდისი, თითონ ღმერთიც ეხმარებოდა, და მეკი არვინ არა მყვანდა ხელის შემწყობი, თუ არ სატანა და ცბიერი, პირმოთნე სახე. ქვეყნიერება მთელი იქა, აქ არაფერი!“

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ამ სცენაში პრინციპიალურ მნიშვნელობას იძენს ჰენრი VI-ის გვამის მონანილეობა (“მის მძულვარებას სისხლიანი გვამი მონმობდა”), რადგანაც მის ფონზე კიდევ უფრო ძლიერდება მთლიანი სცენის პარადოქსალურობა! ცნობილმა ინგლისელმა რეჟისორმა და მსახიობმა ლორენს ოლივიემ კი ვერ გაბედა(!) „ცოცხალი“ გვამის სცენაზე დატოვება და ლედი ანას დამორჩილება ხდება დასაფლავების შემდეგ, სარკოფაგთან, რაც ჩემი აზრით გაუმართლებელი რეჟისორული გადაკეთება!

რიჩარდი ასე ამთავრებს თავის „უცნაურ“ მონოლოგს:

„და მაინც კიდევ გავიმარჯვე, გადაავინყდა ასე უეცრად პრინცი ედვარდ, ვაჟკაცი ქმარი, სამი თვის წინად გულმოსულმა ტიუქსბერეში მე რომ მოვუკალ? მისს უკეთესს არა რასა შობს ეს დედამინა: სრული იყო ის ყოვლის ნიჭით, ბუნებისაგან უხვობის დროს ქმნილი,ჭკვიანი, ნამდვილად ღირსი მეფობისა, მხნე, ახალგაზრდა. და მაინც კიდევ არა ზარობს მომაპყრას თვალი მე, რომელმაც მის საყვარელ ქმარს გაუუნადგურე, მოვუსპე ოქროს გაზაფხული და თვითონ ეგე თვის ქვეშაგებში უნუგემო ქვრივად დავტოვე; მე, რომელიც მთლად ვერ ვუდრი თვით ნახევარ – ედვარდს, მე, კოჭლს,სახიჩარს! ნაძლევსა ვდებ მთელ ჩემ სამთავროს თუნდ გლახის გროშთან, რომ არ ვცნობდი თითონვე ჩემს თავს: თუმც მე ვერ ვხედავ, მაგრამ იგი ჰხედავს, ეტყობა,

რომ ვაჟკაცი ვარ მოსაწონი, თვალად – ტანადი. წავალ, ცოტა ფულს დავხარჯავ და სარკეს ვიყიდი და ერთი ოცს, ან ორმოცს თერძსაც დავიქირავებ, რომ შეიგნონ, თუ რა სამოსი დამიშვენებს ტანს. რაკი წყალობის თვალთ მევე ჩემს თავს შევხედე, განსამტკიცებლად ცოტა ხარჯს ნუ მოვერიდები.

.....
სარკის ყიდვამდე, ბრწყინვალე მზევე, გამოანათე, რომ სიარულის დროს ჩემს აჩრდილს მაინც ვუყურო.“

მონოლოგის ამ ნაწილიდან, ჩანს თუ სინამდვილეში რამდენად ტრაგიკული პიროვნებაა რიჩარდი! მართლაც, როგორც ზემოთ აღვნიშნე და მონოლოგის ამ ნაწილიდანაც ჩანს, დაუფერებელ პირობებში (სამგლოვიარო პროცესიის დროს, ლედი ანას მისი ქმრის და მამამთილის მკვლეელი ეცხადება!) მან გაიმარჯვა, მაგრამ ეიფორიის დროსაც კი (იგი აღტაცებულია საკუთარი თავით, უნდა არ მოერიდოს ცოტაოდენ ხარჯს და შეიკეროს კარგი ტანსაცმელი!) მას ახსენდება, რომ იგი ბუნებისგან დაჩაგრული ადამიანია! ეს პირდაპირ ჩანს მისი სიტყვებიდან – „მე, კოჭლს,სახიჩარს!“ და „ირიბად“ კიდევ ერთხელ მონოლოგის ბოლოს „სარკის ყიდვამდე, ბრწყინვალე მზევე, გამოანათე, რომ სიარულის დროს ჩემს აჩრდილს მაინც ვუყურო.“

სიტყვა „ირიბად“ აქ შემთხვევით არ მიხმარია. საქმე იმაშია, რომ პიესის დასაწყისში, პირველ მონოლოგში რიჩარდი აღნიშნავს:

„სხვა არაფერი დამრჩენია დროს გასართობად, თუ არა იგი, რომ ვუყურო ჩემს აჩრდილს მზიან დღეს და ჩემის თვალთ განვიცადო ეს სახიჩარობა!“

დიახ, რიჩარდის აჩრდილი მახინჯია და ეს რადგან უკვე პირველ მონოლოგშია ნახსენები, აქ უკვე აღარ მეორდება. რუსთაველის თეატრში კი ეს ადგილი ლილი ფოფხაძისა და რობერტ სტურუას მიერ ასეა ნათარგმნი:

„სიარულისას ჩემს აჩრდილს მაინც ვუყურო, მიწაზე მახინჯად ფენილს!“

და მე მგონი, ეს კვლავ პირდაპირი განცხადება, უფრო უკეთ გამოკვეთავს რიჩარდის ტრაგიზმს!

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ისტორიული რიჩარდი სულაც არ იყო ისეთი მახინჯი, როგორც ის პიესაშია გამოყვანილი. ჩემი აზრით, შექსპირმა განზრახ „დაამახინჯა“ რიჩარდი, რაც ზოგადად შეესაბამება მის მხატვრულ მეთოდს, რომლის არსი მოკლედ, „ფორმულის“ სახით შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: რაც უფრო პარადოქსალურია (“მახინჯია”) რეალობა, მით უფრო დიდი საკუთარი სიმართლე, უნდა იმალებოდეს ამ რეალობის მიღმა და ჩვენნი ამოცანაა ვიპოვოთ ეს „დაფარული“ სიმართლე! მაშინ ჩვენ შევძლებთ ავხსნათ თუ რატომ არის რეალობა ასეთი „დეფორმირებული“! რიჩარდის შემთხვევაში ეს საშუალებას მოგცემს გავიგოთ თუ რატომ არის იგი ასეთი სასტიკი!

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გიორგი ნატროშვილი

საქართველო 1992 წელი

ლამე, ქალაქი, სახლი, ოთახი.
 შეწყდა ავტომატის კაკანადა.
 შორს, სადღაც, იქით, კედლებს მიღმა,
 მხოლოდ ჩემს კედლებს,
 ჩემს ყურს იქით შეწყდა ხმაური.
 კარგია მაგრამ...
 იქნებ იქ, ვიღაც სხვის კედლებს მიღმა,
 უფრო ძვირფასი შეწყდა – სიცოცხლე?!..
 შეწყდა და ისევ ღამეა ირგვლივ.
 მძიმეა ღამე, როცა ძალღი საშინლად ყმუის,
 მძიმეა ღამე, როცა მხოლოდ ძალღი ყმუიან,
 მძიმეა ღამე, როცა ბრძებს გზას იჩვენებს ყრუი,
 მძიმეა ღამე, როცა ირგვლივ ყველა ყრუია.
 აი ასეთი არის ყოფა
 ჩვენი, ძვირფასი,
 ბრმათა და ყრუთა.
 – იქნებ გვეყოფა?
 იკითხავთ ალბათ.
 იქნებ გვეყოფა,
 სამაგიეროდ თავი არსად გამოგვეყოფა!

კალამი ვასანთელი

გრძნობამ თუ არ ამავსო,
 დარდმა თუ არ გამთელა,
 ხიბლი არ აქვს კალამსო,
 კალამს ვერ ვქმნი სანთელად.
 დავდივარ და არ ვიცი
 სად შევხვდები განთიადს,
 წლებმა სიბრძნე რომ მომცეს
 გზაში დამიფანტია.
 დავდივარ და ვერ ვხვდები
 მთელი ვარ თუ ხურდა ვარ,
 დამშრიალებს ვერხვები,
 მთვარემ მიერთგულდავა.
 სადღაც ყივის მამალი,
 აქვე წყარო ლიკლიკებს,
 ფარავს ღამე – წამალი,
 ჩემს ანწილ ბილიკებს.
 სადღაც ჭრაქი ენთება,
 სადღაც ძროხა აზმუვლდა,
 ალბათ უკვე თენდება,
 ჩვენი მზეც ხანდაზმულა,
 მაგრამ მის ამობადვრას
 მაინც არაფერი სჯობს.
 ოცნებათა ეს ფარდა
 ღმერთო, არ ჩამეგლიჯოს.
 გრძნობამ ისევ ამავსოს,
 დარდმა კვლავაც გამთელოს,
 ხიბლი მივცე კალამს და
 კალამი ვასანთელი!



სამშობლოვ!

სამშობლოვ, შენი მზე კი არა,
 შენი ზვარი და ბალახი,
 მიყვარს შენი ყველა შარა
 და ნაღვლისფერი ტალახი.
 სამშობლოვ, შენი ბაღი კი არა
 და დაკრეფილი ვენახი,
 მიყვარს ყოველი პატარა პნკარი
 და ნაფოტიც კი ყველა ხის.
 სამშობლოვ, შენი მთა კი არა
 და მასზე მეხის ელტეხი,
 მიყვარს პანია, პანია რამ,
 კენჭი – ამა კლდის ნატეხი.
 სამშობლოვ, შენი მზე კი არა,
 შენი ზვარი და ბალახი,
 მიყვარს შენი ყველა შარა
 და ნაღვლისფერი ტალახი.

როცა სილამაზე სულში არ ეტევა

როცა სილამაზე სულში არ ეტევა,
 ყინწვის ანგელოზი ფრესკად შელეკია,
 როცა სილამაზე სულში არ ეტევა,
 მაშინ ინერება მხოლოდ ელეგია.
 როცა სილამაზე სულში არ ეტევა,
 ისმის ღვთაებრივი მეცხრე სიმფონია,
 როცა სილამაზე სულში არ ეტევა,
 გრძნობა ოქროა და სიტყვა ლიტონია.
 როცა სილამაზე სულში არ ეტევა,
 ობოლ ფიროსმანას გრძელი ჟირაფივით,
 მაშინ ბინიერმა სული განუტევა
 უკვდავ ხელოვნების გრძნულ სილაქით და
 რადგან სილამაზე სულში არ ეტევა,

გენში გადმოღვრილი ძლიერ ჯილაგიდან,
აღალ, აღალ იყოს, ღმერთმა არ გაგვრიყოს
წმინდა ალაგიდან!

ოცდაექვსი მაისია წვიმიანი

ოცდაექვსი მაისია წვიმიანი
„დარდობს“ ღმერთი, „დარდობს“ ღმერთი.
ცოტა არის დღეს ქართველი ღმერთი,
ვაგლახ, ხარობს ზოგიერთი.
მაგრამ მოვა, როგორც „ბორკილთ ხმა მტკრევისა,“
მწამს და ვიცი,
წრფელი თუა ფიცი ყველა ქართველისა,
ჩვენი ფიცი.
ერთნაირად თუკი გვტყვივა დანაგლეჯი ასო-ტანს
და თუ ყველას გვაქვს საერთო, უხილავი,
ჯვარი მთაზე ასატანი.
მაგრამ ვაი, თუკი ტკივილს სამემკვიდროს
არ განვიცდით,
მაგრამ ვაი, თუ არ არის
წრფელი ფიცი. . .
მაგრამ „ვაი“ ეს ხომ ძველი ჰიმნი არის
ჩვენს ყოფას რომ მარად ერთვის,
ჰოცდაექვსი მაისია წვიმიანი
„დარდობს“ ღმერთი, „დარდობს“ ღმერთი.

ხალხურ მოტივებზე

წვიმავ ან მოდი ან კიდეც,
ქარო, გარეკე ღრუბლები,
ქალო, რა გრძნობას წამკიდე,
საყვედურს არ გეუბნები;
ვინვი და რა ვქნა არ ვიცი,
ამ ცეცხლს ჩააქრობს რა წყალი,
ქარი ჩადგა და წვიმა სცრის,
ბედნიერი ვარ სანწყალი.

მე სიყვარულს ვერ დავემალე,
რაც უნდა მკიცხო და შემაჩვენო.
მაჩვენე ცრემლით სავსე თვალები?!
გთხოვ, ეგ თვალები კიდეც მაჩვენო!
იქნებ სირცხვილმა დაძლიოს გრძნობა
და სინანულის ვიქნე ზიარი;
ან მომეც თვალთა ჩუმი თანხმობა,
ეგ სხივი ჩემთვის უფრო მზე არი.

სულ გადამიღვეს თეთრი წყვილი
მხრებზე თმების ქვეშ რომ დაგვენია,
არაფერია ხვალის ნუხილი
და შენი ცქერა ყველაფერია.
ვიდოდი რაღაც მოქანცულ ბიჯით,
ტყდებოდა წელში ლერწამი ნელა
და თხუთმეტი წლის ის მორცხვი ბიჭი
აჩვევდა თვალებს საბნის სიბნელეს.
შენ დედოფალი გერქვა იმ წამის
და ღირდა სუნთქვად ჩვენი ერთობა;
თურმე სუსტ ქარზეც ტყდება ლერწამი,
ის არ ყოფილა შენთვის გართობა.
ახლაც მაგონებს საცნაურ ამბორს
სულ სხვა ბაგეთა რღვეული ფეთქვა
და რასაც სხვისთვის მე ახლა ვამბობ,
ვხვდები, რომ შენთვის იქ უნდა მეთქვა.

ცალფენა კაცი ტროლეიბუსში

ტროლეიბუსში ამოვიდა ცალფენა კაცი
ძმაკაცთან ერთად, ორივე მთვრალი
და ახალგაზრდა ქალიშვილმა დაუთმო სკამი
იმას ცალფენას.
მათ საპენსიო ასაკს უფრო ამჟღავნებდა
ხმა განატყეხი, უიმფოლადო
ახალგაზრდული სულიდან რომ იღვრება ხორხში,
მაგრამ ახლა ეს არ არის მაინც მთავარი,
მე გამაკვირვებს იმ ცალფენა კაცის სიტყვებმა
ძმაკაცს რომ უთხრა:
„ხედავ ძმობილო, მე დამითმეს ადგილი, ხედავ,
შენ კი არავინ დაგითმობდა;
მე ხომ დამითმეს, რადგან ხედავ ინვალიდი ვარ.“
და ამ სიტყვებში იყო რაღაც სხვა სიამაყე,
ჩემთვის უცნობი,
თითქოს ამბობდა: ეს უფეხობა რაღაცაში მაინც მარგია,
„აი, ამოველ ხალხით სავსე ტროლეიბუსში
და დამითმეს ადგილი ხედავ!“
და რა იყო ეს !?
ალბათ უფრო შეჩვეული კაცის სიმართლე,
ის შეეგუა უფეხობას
და ამ ყოფიდან,
ამ ყოფიდანაც გამონოვა
რაღაც სიამე მთვრალმ გონებამ,
უფრორე წრფელმა.
... რატომღა გვიკვირს,
როცა ვხვდებით ჩვენ „უსულო“ ხალხს
იმათი ქცევის ეგეოდენ უცნაურობა.

კობა ცხაკაია

ქვიშის ცნობიერების საწყისები...

(აბსურდულ-ფილოსოფიური რეალიზმის ნაზავი) პერსონაჟები:

კახა – ისტორიების მოყვარული.

გიჟუა – დრო და დრო იფშენება.

კახა – (მაგრამ დაქოქილი) თქვენ ძალიან ბევრს ლაპარაკობთ სიმკვრივეზე. ზედმეტად ბევრს. იმდენს ლაპარაკობთ ამ თემაზე, რომ ნელ-ნელა ეჭვი გვეპარება, საერთოდ რატომ აიკვიატეთ ეს აზრი? რა გინდათ?... გეკითხებით, რა იცით სიმკვრივის შესახებ? რატომ გინდათ მის შესახებ სხვისი აზრის გაგება?...

გიჟუა – (სევდანარევი ღიმილით) მმმ!

კახა – (რომანტიული ინტონაციით) ნევხარ აქ, ტრიალებ, ცდილობ, დაიძინო, ფანჯარაში მთვარე ანათებს, და უეცრად სიმკვრივეს გრძნობთ... საშინელი სიმკვრივეა ირგვლივ... ხელს აფათურებ და გსურს, რომ შენს გვერდით თხევადი, ან შლადი იგრძნო, მაგრამ... ირგვლივ არავინ არ არის...


გიჟუა – (მკერდში მჯიღს იკრავს და ოხრავს) მმმ! მმმ! მმმ!

კახა – თქვენი შიში ძალიან ჰგავს თავის ინსტიქტურ შიშს. თქვენ უბრალოდ ვირთხა ხართ... რომელმაც არ იცის, როგორ იცხოვროს... ვირთხა, რომელიც მოკვდება, თუ არ შეეხო კბილებით რაიმე სიმკვრივეს... თუ რაიმე არ გამოხრა... ბოლოს და ბოლოს თქვენ, ხომ ადამიანი ხართ, ან იყავით... და დამოუკიდებლობის უსაზღვრო და ძვირფას განძს უფრთხილდებოდით... დაიმასხოვრეთ, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისადმი შიში უნდა ახასიათებდეს სულელს, დეგენერატს, არამზადას და არა ჭკვიან, კეთილშობილ, ვაჟკაც ადამიანს...

გიჟუა – (ღმუის) მე რად მინდა მკერდში გულიი?!

კახა – (პირზე ხელს აფარებს) ეხლა მოგიყვებით ისეთი სიმკვრივის შესახებ, რომელიც არც კი განგიცდიათ... ეს მდგრადობის განსაკუთრებული ფორმაა. ეს არაა შეშინებული კაცის სიმკვრივე, რომელიც მოსალოდნელი შიშის გამო მოიბუზა... ეს სულ სხვა სიღრმეებისა და სიმაღლეების სიმკვრივეა. ფიზიკური და რეალური... (მცირე პაუზა) კატასტროფის შემდეგ უკაცრიელ კუნძულზე, ან მიუვალ მწვერვალზე მოხვედრილი ადამიანი სულ სხვანაირად იწყებს აზროვნებას... ის, სხვაგვარად უყურებს შენარჩუნებულ სიცოცხლეს და სამყაროს... მისი გაერთიანებული და გაკაჟებული სხეული-სული ახალი მინერტებით ივსება და მძლავრდება... ასეთ მდგომარეობაში ყველანაირად გამკვრივებული მარტოსულები, რომლებიც რეალური ხალხით გადაჭედნილ სამყაროში, ჯამური განზომილებით – მაცხოვრის ერთეულს წარმოადგენენ, ახალ სიმაღლეებსა და ახალ სიღრმეებს ჰქმნიან, მატერიალური და სულიერი სამყაროები ჰარმონიზაციისათვის...

გიჟუა – (უნდობლად იღიმება) მარტოდ დარჩენილი მკვრივი ადამიანი, ყოველთვის ეცემა ძირს... ჯერ ფოთოლივით ეშვება და ლამაზ, ნარნარ მონახაზებს აკეთებს ჰაერში, მაგრამ შემდეგ... რალაც მომენტში



ქვასავით მიეჩანება და ენარცხება ტალახში... ეხეთქება მინაზე, ან შეიჭრება ქვიშაში... თან ყოველთვის ან გულალმა, ან გულდაღმა... არასოდეს გვერდზე...

კახა – (უახლოვდება გიჟუას, და თვალებში უყურებს. ის აღფრთოვანებულია მოსაუბრით) გიჟუა, რა მაგარი ხარ. გიჟუა, თან ძაან მაგარი სახელი გქვია... გიჟუას შესახებ ჯერ კიდევ ბავშვობაში მსმენია... ესაა უამრავი-ფანტასმაგონიური ლეგენდა, ქვასავით მაგარი შეუდრეკელი კაცისა... ის, ციხის მეცხრე სართულიდან გადმოხტა ქვიშით დატვირთულ მანქანაზე და ასე გაექცა ხანგრძლივ და აუტანელ ტუსალობას... გიჟუა სამყაროში ერთადერთია, ყველაზე რისკიანი თავისუფლების მოყვარული ადამიანთა შორის, რომელიც პირადად მინახავს და შემხვედრია... ის, ვაჟკაცია... და ყოველთვის უდრეკი, გრანიტად ქცეული გმირი იყო ყველასათვის...

გიჟუა – (მკერდში მჯიღს იკრავს) მმმ! მმმ! მმმ!

კახა – მაგრამ არავინ იცის, ეშინოდა თუ არა მას მაშინ... და გაიმეორებდა თუ არა იგი დღეს იგი-ვეს, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად... გმირი ერთი და იგივე გმირობას ველარ სჩადის, რადგან ის ან კვდება, ან... ეს, სამყაროს არამზადული კანონია... თუმცა მოდით თავიდან დავინყოთ. ვინ იყო, ანუ ვინაა იგი – გიჟუა?

გიჟუა – (სევდანარევი ღიმილით) მმმ!

კახა – ის ქურდია და თანაც კანონიერი... რამეიანი. პროფესიონალია, პოლიციელებისა და ფრაერების რისხვა... მან არაერთხელ მოახდინა სასწაული...

გიჟუა – (სევდანარევი ღიმილით) მმმ!

კახა – რამდენჯერმე საკნის კარიც კი მოუგლეჯია

და მიუტანია სატუსალოს უფროსთან – უამი-სოდაც კარგად გავძლებო... შემდეგ კი ამაყი, განუმეორებელი ნაბიჯით შეულაჯებია კამერაში... თუმცა უფრო მაგარი სასწაულებიც ჩაუდენია, განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს უკანასკნელი, რომელიც...

გიჟუა – აღდგომიდან მეორე დღეს. ორშაბათს მოხდა.

კახა – ის დაეცა ქვიშით სავსე მანქანაზე, რომელიც მიდიოდა... სად მიდიოდა?

გიჟუა – (მხრებს იჩეჩავს და უხერხულად იღიმება) მმმ! მმმ! მმმ!

კახა – რალაცის ამოსავსებად... გიჟუა ისე ძლიერად დაენარცხა და ისე ღრმად ჩაეფლო ქვიშაში, რომ მას ვერავინ ხედავდა... თუმცა ისიც ვერავის ხედავდა, რადგან ყველაფერთან ერთად მან გონებაც დაკარგა...

გიჟუა – (ის იწყებს ნელა და მძიმედ მოყოლას) ქვიშა შავი უნდა ყოფილიყო, ის კი ყვითელი გამოდგა, თანაც გაუცრელი... თანაც სველი... შავი ქვიშა უფრო რბილია და უფრო ნაზი... ხოლო ყვითელი მკვრივი და უხეში... პირქვე დავეცი და გონება დავკარგე... ვარდნა მოუხედავად ქვიშის არც თუ ისეთი მაგარი სიმკვრივისა, საკმაოდ ძლიერი გამოდგა... თუმცა, ჩემდაუნებურად დაახლოებით ორი მეტრის სიმაღლეზე ჩავეფალი... როცა გონს მოვედი, ირგვლივ ყველაფერი ყვითელი იყო... უფრო ჩირქისფერი... თავი ჯერ სამოთხეში მეგონა (იციინის) მაგრამ შევცდი... ეს იყო ქვიშის დიდი მასა... ყვითელი მკვრივი ნისლი... ნალექისფერი, ბოტკინისფერი ნისლი... (იძაბება) ნუთუ ასეთი ფერისაა თავისუფლება მეთქი?...

კახა – ორიოდ საათში ქვიშა დაიძრა და მაგარად გიჟუას დაეშვა... შემდეგ ის მთელს სიგრძე-სიგანეზე გაშალეს და გიჟუა მიხვდა, რომ ქვიშად ქცეულიყო.

გიჟუა – (უხერხულად იღიმება) დარტყმისაგან ნაწილებად დავიშალე... (ჯიბიდან იღებს ქალაღდის ნაგლეჯს და კითხულობს) როგორც კახაბერმა დამინერა – როცა ნაწილაკი მიისწრაფის განთავისუფლებისაკენ და ძლიერი ნების გამოვლინების შემდეგ წყდება, განგებით ბოძებულად გიჟუას, რის შედეგადაც ეჯახება მეორე ზედაპირს, რომელსაც არ სურდა მისი გათავისება. ნაწილაკი ამ ზედაპირს შეერწყმის და მის ცენტრალურ სივრცედ იქცევა. (მალავს ქალაღდს) ასეთი ყოფილა ფიზიკის ძირითადი კანონი... არ ვიცოდი.

კახა – დიახ. ის ქვიშის სივრცედ იქცა... და სად? პოლიციის აკადემიის ეზოში, სადაც კურსანტები მარშირებას გადიოდნენ... ფეხბურთს თამაშობდნენ, დამნაშავეს დაჭერაში ვარჯიშობდნენ და თავისუფლად მოპარპაშე ყველა ქურდის დატუსაღების ფიცს დებდნენ...

გიჟუა – (მხრებს იჩეჩავს, ცდილობს უდრტვინველი სახე მიიღოს) ქვიშაში მარტო არ ვიყავი... ამას ვგრძნობდი... იქ იყო ციხის უფროსის და მთავარი ზედამხედველის რალაც ნაწილები – მათ სხვა და სხვა დროს ფანჯრიდან გადმოაფურთხეს ქვიშით სავსე მანქანაზე... ასევე ერთ-ერთი ადვოკატის დაცემონებისას ცხვირიდან გადმოსროლილი ლორწოვანი შხეფებიც იყო...

კახა – მმმ!

გიჟუა – უპატრონო ძაღლის უმნიშვნელო ნაწილე-

ბი და ნაწილაკები... მარტო მე ვიყავი მთლიანად განთავსებული ამ ყვითელ გროვაში... (ამოიოხრებს, მაგრამ თავს ხელში აიყვანს და აგრძელებს) ფაქტობრივად შეიძლება ითქვას – დილაზე არ ვიცოდი სად მოვხვდი... მანქანიდან ჩემი გადმოღების შემდეგ მხოლოდ ზევით ყურება შემეძლო. მოჩანდა ვარსკვლავები და დროშა... (ხმა უკანკალდება, ლამის ტირილს იწყებს) ვარსკვლავები და დროშა. მთვარე არ დამინახავს.

კახა – (აღზნებულა) პირველმა მე დავინახე, რომ იქ, აკადემიის ეზოში ქვიშად გაბნეული ადა-მიანი იყო. ცოცხალი, მაგრამ უძრავი და სვედიანი... თვალებს არ დაუფუჯრე, ადამიანი-ყვითელი ქვიშა! როგორ შეძლო მან ამის გაკეთება? ან როგორ მოხვდა ის აქ? ან, რამ გარდასახა ის ისეთად?

გიჟუა – (ისიც აღზნებულა) დავინახე ნახევრად შიშველი ადამიანი, რომელიც მიყურებდა როგორც ადამიანს და არა როგორც...

კახა – (ანყვეტინებს) არ გინდათ დეტალები... მარტო არ ვიყავი. სხვათა შორის აკადემიაში არა მარტო კაცები სწავლობენ.

გიჟუა – ირგვლივ სხვა არავინ ჩანდა...(ემმაკურად) თუმცა გოგონას ვნებიანი ხმა კი ნამდვილად მესმოდა... აა-აა-აა! მერე კი უუ-უუ-უუ! შუალედებში კი – ვე-ვე-ვე! და კიდე...

კახა – (ანყვეტინებს) მაგრამ უეცრად დაუბერა ქარმა და გიჟუას „გაქვიშებული“ სხეული ეზოს გარეთ, ლობის იქით გადახვეტა... ამის გამო ჩემს აღმოჩენაში ეჭვიც კი შემეპარა... კიდეც ვცადე ამ უცნაური ხილვის გადამოწმება და ლობის გისოსებს მიეუახლოვდი... გიჟუას, თავი და მარცხენა კიდური ბაბუანვერებს შორის მოქცეულიყვნენ და ისინი ახლა, მხოლოდ ზოგადად თუ ჰგავდნენ ადამიანის სხეულის ნაწილებს... ყველაზე მთავარი ის იყო, რომ ქვიშა კვნესოდა.

გიჟუა – (ინწყებს ენერგიულ შესტიკულაციას) როცა ლობის იქით მოვხვდი, ბალახებსა და ფოთლებს შორის ნესტი აღმოჩნდა... დავსველდი და რადიკულიტმა შემანუხა... ეს იყო და ეს... (აგრსიულად) არანაირი კვნესა არ ყოფილა... ქვიშა არ კვნესის... ის, მხოლოდ იფანტება.

კახა – გიჟუა ქვიშა იყო, მაგრამ გიჟუასავით მშფოთვარე.

გიჟუა – მეე... ბაგეებით ვეხებოდი მცენარეების ღეროებს, მაგრამ ისინი სულ სხვანაირად იქცეოდნენ... ისინი მცირე ზომის შეკრულები, მკვრივები და ერთიანები იყვნენ... მე კი, ბევრი, ვრცელი და შლადი ვიყავი...

კახა – მმმ! მმმ! მმმ!

გიჟუა – ძალიან ბევრი ვიყავი, მაგრამ ვხვდებოდი – მცენარეები პათივისცემის ღირსადაც კი არ მთვლიდნენ... მათ ჰქონდათ ფესვები, ღეროები, ბუტკოები... მე კი მრავალრიცხოვანი, ყვითელი ქვის ნაწილაკები ვიყავი...

კახა – (მკერდში მჯილს იკრავს) მმმ! მმმ! მმმ!

გიჟუა – შეიძლება, ეს არც მათი მშობლიური მიწა იყო და მცენარეებიც ქარმა აქ ცხრა მთას იქიდან მოიტანა პატარ-პატარა მარცვლების სახით, მაგრამ ჩემთან შედარებით ისინი ქვიშა არ იყვნენ... მათ უკვე ფესვე-

ბი გაედგათ, ფორმა და ინდივიდუალური სიმკვრივე მოეპოვებინათ... გაგზავნი, მაგრამ... რას ვიზამდი შეკრულთან და მკვრივთან? მით უმეტეს, როცა ქარი უბერავდა...

კახა – (მაყურებელს) თქვენ ალბათ იცით, ამას ცემენტი, ან თიხა როგორ აკეთებენ?...

გიჟუა – (ანწყვეტინებს. ცდილობს, თავისი გაიტანოს და ისევ ძველ გიჟუად იქცეს) ყვითელი ქვიშა ძალიან მაგარია, მხოლოდ მას კარგი დამუშავება უნდა და გამოცდილი ხელი სჭირდება... მისგან ამზადებენ ფანჯრის მინებს, ტელევიზორების ეკრანებს, ბოთლებს...და კიდევ უამრავ რაიმეს... მართალია მანამდე მასში რალაც-რალაცების უნდა შეურიო და დიდხანს ადნო...

კახა – მმმ!

გიჟუა – თუმცა ეს ყველაფერი მტვრევადია, მაგრამ ლამაზი და ათასფერა... (გახსენდა) ახლა ტყვიავაუმტარ მინებსაც ამზადებენ...

კახა – (ანწყვეტინებს) ქარმა კიდევ ერთხელ დაუბერა და მისი გაფანტული სხეული გზაზე გადაიტანა... პოლიციის აკადემიის გვერდით მდებარეობს ტრანსა, რომელიც მიდის მეორე აკადემიისაკენ – ოღონდ უშიშროების აკადემიისაკენ, შემდეგ ქალაქკარეთ განთავსებულ საგიჟმედ და ბოლოს იდუმალი მიმართულებით მთებსა და ბორცვებს შორის იკარგება... როგორც იქიდან მოსულეები ამბობდნენ... იქ, არაფერი არ არისო...

გიჟუა – (ადასტურებს) იქ, არაფერი არ არის...

კახა – ქარმა ელვისებური სისწრაფით აიტაცა გიჟუას ნაწილაკები, დაატრიალა და გზის ორივე მხარეს მიმოატარა-მიმოხვეტა-მიმოასეირნა-მიმოაქროლა... მას შეუერთდა... ბაბუანვერას ბუსუსები... მტვერი და ნაგავი... შემდეგ კი ეს დამძიმებული მასსა, ადრეული შემოდგომის ტალახიანი ცისკენ ერთიანად ასტყორცნა, ლამპიონების თავზე მოაქცია, გადაატარა სარეველათი გავსებულ მდელს, გადაავლო აკადემიის ღობეს და ძველ ადგილას დაბრუნდა... გიჟუას ამდენი ბზრიალ – ტრიალისაგან გონება ჰქონდა დაბინდული, დაბრუებული, დარეტიანებული და დანესტიანებული. ის ასფალტის საფარში გაჩენილ უსწორმასწორო ორმოებში მცირე ზომის გორგოლებად ქცეული დაეყარა და მძიმედ აქოშინდა...

გიჟუა – (ანწყვეტინებს) როცა სული მოვითქვი და აზრზე მოვედი, უკვე გათენებულიყო. მზე მაგრად აცხუნებდა... ირგვლივ ისმოდა სამხედრო მარშები. ჟრიალული. პოლიციელთა ფეხსაცმელები მწყობრი და ენერგიული ნაბიჯით ჩემს გაფანტულ – გაქაჩებულ სხეულზე დააბიჯებდნენ. მე კი, ყვითლად ვიყავი განფენილი ამ სავარჯიშო მოედნის მთელს პერიმეტრზე...(ოხრავს)

კახა – (ჩვეულებრივი მშვიდი და უბრალო ინტონაციით) მთელს პერიმეტრზე?

გიჟუა – მაშინ დაფიქრდი პირველად იმაზე, თუ რა არის ნამდვილი თავისუფლება – როცა შენ ხარ, მაგრამ ვერავინ გამჩნევს, თუ როცა ყველა გხედავს და ადვილი დასაჭერი ხარ?

კახა – (მხრებს იჩეჩავს და უხერხულად ილიმება)

მმმ! მმმ! მმმ!

გიჟუა – (თითქოს არ ესმის) ამაში არაფერია გასაოგნებელი... როცა გინდა თავისუფლება, მაგრამ არ შეგიძლია მისი თავისუფლად მოპოვება – „ქვიშობა“-“გაქვიშავება“-“ქვიშნარობა“, ნორმალური მდგომარეობაა... ქვიშა, ეს ისტორიული აუცილებლობითა და რეალური გარდუვალობით გამოწვეული აქსიომების ნაზავია.

კახა – მმმ!

გიჟუა – (ტირის, ცდილობს კიდევ მოიყვანოს არგუმენტები) სხვანაირად აზრი არა აქვს ჩემს მოპარულ თავისუფლებას... ესაა – სიბრძნის და სიცოცხლის, მუჟიკისა და ძაღლის, შარავის მტვრისა და ნაგვის, აბეზარი ქარისა და ფესვგადგმული მცენარეების თესლებისაგან თავდასაცავი უებარი საშუალება... ეს, ერთ დროს მაგარი ვაჟკაცის, მაგრამ ახლა ტყვეობიდან გა-პა-რუ-ლი სულის არსია...

კახა – მმმ!

გიჟუა – საერთოდ რა არის თავისუფლება? ესაა, გადაადგილების ყოველნაირი და შეუზღუდავი არჩევანი... ანუ – სადაც მინდა იქ წავალ და როდესაც მინდა მაშინ წავალ... დამიჯერეთ, გამოცდილ ადამიანს, რომელმაც თავისუფლების პარვაში უამრავი ციხე მოიარა და თითქმის ყველანაირ საპატიმროს კერძ-ბალანდას გაუსინჯა გემო... თავისუფლებას, ქვიშაზე უკეთესად ვერავინ გიბოძებს...

კახა – მმმ!

გიჟუა – ესაა ქვიშაზე დამყარებულ-აგებული-აშენებულ-ალმართული „გადარჩენის“ ფილოსოფია...

კახა – ქვიშა, ქვის წვრილი ნამსხვრევები, წყლის მიერ ფხვიერ მასად ქცეული... ქვიშა-სილა, ლამი, შლამი.

გიჟუა – ქვიშა – არა მარტო ქვის ნამსხვრევებია, არამედ გრანიტის, მარმარილოს, კაჟის...

კახა – ქვიშა – არა მარტო ქვის ნამსხვრევებია, არამედ სახლების, ქუჩების, სოფლების, სასახლეების, ქალაქების, ქვეყნების, ცივილიზაციების... (მაყურებელს) და რაც მთავარია, დამარცხებული სულების ნამსხვრევები...

გიჟუა – თავისუფლებას, ქვიშაზე უკეთესად ვერავინ გიბოძებს...

უბერავს ქარი და კახას მოგონებებით შეკრებილი გიჟუას სხეული ქვიშად იქცევა და კულისებისაკენ მიეხვეტება.

კახა – გიჟუა თავისუფალია... ის, ქვის წვრილ ნამსხვრევებად იქცა... და ქარი მთელს სამყაროში „დაეხვეტება“... მაგრამ მას სამი რამ არ აძლევს მოსვენებას – ერთი ის, რომ ქარი არ გააჩერებს იქ, სადაც ყველაზე ძალიან მოენონება... მეორე ის, რომ შეიძლება ვინმემ ხელში ჩაიგდოს, გადაადნოს და ლამის ქოთანად აქციოს... და მესამე ის, რომ ქვიშაზე აგებული – ყველაფერი უსაფუძვლოა, უფესვოა... და მალე ინგრევა.

გიჟუა – (ექოსავით) მმმ! მმმ! მმმ!

ვისთვის დასასრული, ვისთვის დასაწყისი.

ნინო ბაქანიძე

ყავრიანთ წყარო

უკაცრავად, შეუძლოდ ხომ არა ბრძანდებით? ბატონო?!

ცუდად ხომ არა ხართ – მეთქი...

ცუდად?!...

ცუდად კი არა, თავი ასე კარგად დიდი ხანია, არ მიგრძვინია. მეტეხის ლეთისმშობლის მიძინების ეკლესიის გალავანთან ვდგავარ. ის იყო, ჭიშკარში შესვლას ვაპირებდი, თვალწინ ბავშვობისდროინდელი მოგონებები წამომეშალა. დიდი ხნის უკან გაფერმკრთალებულმა სურათ – ხატებმა თანდათან სიმკვეთრე შეიძინა, გადიდდა, გაფართოვდა და მყისიერად ფერადოვან ხალიჩასავით გადაფარა მთელი ეზო. ჰო, ნამდვილად 1966 წელი იყო, არ მეშლება. კინო – ფილმ „ლონდრეს“ გადაღება მიმდინარეობდა. ეკლესიის ეზო მთელი ზაფხული გადავსებული იყო გადამღები ჯგუფის წევრებით, აპარატურით და მეტეხელებზე რომ აღარაფერი ვთქვა, ახლომდებარე სოფლებიდან მოზღვავებული ხალხით. ვინ ჩვენი სასიქადულო მსახიობების ხილვას ეშურებოდა, ვინ კადრში მოხვედრას ლამობდა. ერთი სიტყვით, ცნობისმოყვარეთა ნაკადი არ წყდებოდა. ჰოდა, ჩვენმა კეთილმა მეზობელმა ბაბულა დეიდამ მე და თავისი გოგონა, ჩემი კბილა ეთერი, საგანგებოდ გამოპრანჭულები წაგვიყვანა ეკლესიის ეზოში, ეგებ თქვენც მოხვდეთ მასობრივ სცენებშიო. მაგრამ ნურას უკაცრავად! ახლაც თვალწინ მიდგას საოცრად სიმპათიური, ხანშიშესული კაცი, (ალბათ, ადმინისტრატორი) თავაზიანად რომ მოუბოდიშა ბაბულა დეიდას, გადაღებები თითქმის დამთავრებულიაო. ძალიან დაგვწყდა გული ბავშვებს, მაგრამ რალა გაეწყობოდა?! ხმაამოუღებლად გამოვბრუნდით უკან. სამაგიეროდ, მომდევნო ზაფხულს, როცა ფილმი ეკრანზე გამოვიდა და ჩვენი სოფლის კლუბში ლამის დღე – გამოშვებით უჩვენებდნენ, (ცხადია, ინდურ ფილმებთან მონაცვლეობით!) უკლებლივ მთელი უბნის ბავშვები დავიხვეტებოდით, ლამის ერთ სეანსსაც არ ვტოვებდით. შესასვლელი ბილეთებისათვის მუდამ ზედახორა იმართებოდა, მაგრამ ჩვენი ბიჭები მაინც მარჯვობდნენ. ფილმი, განსაკუთრებით ბაზრობის სცენა, სადაც ჩვენი თუ ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებლები ჩანდნენ, მხიარული შეძახილებისა და სიცილ – ხარხარის ფონზე მიდიოდა. მოკლედ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ლონდრემ“ იმ წლებში, ქართლის მხარეში, „გიორგი სააკაძის“ რეკორდი მოხსნა...

ისე, „სააკაძესთან“ დაკავშირებითაც შემომრჩა ერთი სახალისო მოგონება.

მეოცე საუკუნის სამოციანი წლების დასაწყისში სოფლებში ტელევიზორი იშვიათობა იყო. ახლაც თვალწინ მიდგას პატარა, შავ-თეთრ გამო-



სახულებიანი ტელევიზორი, მამამ მეტეხში დიდის ამბით რომ ჩამოგვიტანა. ცხადია, სალამოობით მთელი სამეზობლო ჩვენთან იყრიდა თავს. ერთხელაც სწორედ „გიორგი სააკაძეს“ უჩვენებდნენ. ფილმი ლამის შუამდე იყო მისული, რომ ოთახში შექარაანთუბნელი მარგალიტა დეიდა შემოვიდა. ჯერ ბავშვებს მოგვეფერა, მერე კი ეკრანს შეხედა თუ არა, თავი მიგვანება და ბებიჩემს (უფრო ზუსტად, როგორც ჩვენი იტყვიან, „ბაბუაჩემს“) შეეხვეწა: „ვაიმე, „სააკაძე“ გადის? ოლა, შენი ჭირიმე, ცოტა ხანს გამორთე რა, საცაა, ჩემი სვიმონაც მოვა და მერე ჩართე, ძალიან უყვარს ეგ კინოო.“ დიდხანს, დიდხანს ვიხსენებდით მე და ჩემი ძმები ამ გულუბრყვილო ქალის სიტყვებს და სიცილით ვიგუდებოდით. მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ ათწლეულების შემდეგ მარგალიტა დეიდას წინასწარმეტყველური ნათქვამი რეალობად იქცეოდა და ე.წ. „გადახვევის რეჟიმის“ წყალობით მართლაც შეძლებდა ადამიანის ნებისმიერ დროს ნებისმიერი გადაცემის ნახვას...

– ვალიდოლს ხომ არ ინებებთ ქალბატონო?

– რა დროს ვალიდოლია?! კვლავინდებურად დაჟინებით გავცქერი ეკლესიის ეზოს და ახლა აქ გატარებული მარიამობის ღამეები მეხატება თვალწინ, ჩვენი სოფლის უდიდესი დღესასწაული, რომელსაც 27 აგვისტოს ღამით ეკლესიის ეზოში ეგებებოდა მთელი მოსახლეობა. მოდიოდნენ ოჯახებით, თავ-თავიანთი სტუმრებით, სურსათ-სანოვავით. ჰაერში ქადა-ნაზუქის სურნელი ტრიალებდა. ეკლესიის ეზოში იშლებოდა ჭრელ-ჭრელი ფარდაგები, ზღაპრულ სუფრასავით წამში რომ ივსებოდა ნაირ-ნაირი საჭმელ-სასმელით. ღამის-

თეველები ჯერ ჩვეულ რიტუალს ასრულებდნენ. იმ წლებში ხომ რელიგიურ დღესასწაულებს დიდად არ წყალობდნენ და ჩვენი ეკლესიაც მეტწილად დაკეტილი იყო. თუმცა გამოსავალი მაინც მოიძებნა. ეკლესიას სამჯერ შემოვუვლიდით გარშემო ანთებული სანთლებით ხელში და ბოლოს კედლებზე ვაკრავდით. ჩვენ, ბავშვებს, ღამისთევის ნებას აბა ვინ მოგვცემდა, მაგრამ ამ საზეიმო რიტუალში ყოველთვის ვმონაწილეობდით. მერე შორიასლო ვდგებოდით და აღფრთოვანებით შევცქეროდით აბრჭყვილებულ, გასხვიოსნებულ ეკლესიას, ზღაპრულ სასახლესავით რომ მოჩანდა უკუნ სიბნელეში. აი, ასეთი იყო 27 აგვისტოს ღამე. მეორე დღეს კი, 28 აგვისტოს, შუადღიდან უკვე ოჯახებში იშლებოდა სუფრები. მანამდე სოფელი მიჩუმებული იყო. ღამენათევ მასპინძლებსაც და სტუმრებსაც ხომ მოსვენება ესაჭიროებიდათ. ჩვენ კი, ბავშვები, დილიდანვე გამოვიშლებოდით სოფლის ორღობებში. ნელ-ნელა სხვებიც გვემატებოდნენ, სტუმრებიცა და ადგილობრივებიც. იყო ერთი ჟრიაშული და სიცილ-კისკისი. განსაკუთრებით ის გვიხაროდა, რომ თითქმის ყველა კუთხე-კუნჭულში იყიდებოდა ნაყინი და წითელ-ყვითელი „მამალოები“. აქეთ აკორდეონი ჟღერიალებდა, იქით დაფა-ზურნის ყურისწამლები ხმა მოისმოდა...

– არ გესმით ჩემი? რით დაგეხმართ?

როგორც იქნა, რეალობას ვუბრუნდები და რას ვხედავ, ეკლესიის ეზო ცარიელია, გვერდით კი ასე, ჩემი ხნის ქალი ამომდგომია და შემფოთებული შემომცქერის:

– არაფერი მიჭირს, გამადლობთ. – ვცდილობ, გავუღიმო უცნობს.

– აქაური არა ჩანხართ. სტუმრადა ხართ მეტეხში?

– არა, იცით...

– ეკლესიის დათვალიერებას თუ აპირებთ, შემოიძლია მეგზურობა გაგინიოთ. ჰო, მართლა, ვიცნობდეთ ერთმანეთს, ნანი მქვია. ისტორიას ვასწავლი... ვასწავლიდი შარშანდღამდე.

– ჰოო, სასიამოვნოა.

– მარტო მეტეხის სკოლაში კი არა, სადღა არ მიმუშავია, ახალქალაქში, ერთანმინდაში, ქვემოთკენაც, გომში, იგოეთში. მთელი ჩვენი რაიონის ისტორია ზედმინვენით მაქვს შესწავლილი და ერთი სიტყვით, თუ რამე გაინტერესებთ, შეგიძლიათ მკითხოთ.

– არა, გამადლობთ. ფაქტობრივად მეც აქაური ვარ. მეტეხი მამაჩემის დედის სოფელია. მთელი ბავშვობა და ახალგაზრდობა აქ ვისვენებდი.

– მართლა? – კიდევ უფრო ინტერესდება ჩემი პერსონით ნანი. – რომელ უბნელი ხარ?

– ბოჭორაანთ უბნელი.

– ჰოო, მე ლალიაანთ უბანში ვცხოვრობ. ცოტა

შორი-შორს კი ვყოფილვართ. თქვენი სახელი?

– ნინო.

– ძალიან კარგი, ძალიან. მაშ, ისედაც გეცოდინებათ მეტეხის ეკლესიისა და საერთოდ, სოფლის ისტორია.

– კი, როგორ არა, – ვგრძნობ, ხმაში რატომღაც ბზარი მეპარება, თუმცა რატომ?! – ვიცი, რომ ჩვენი ეკლესია XIII საუკუნეშია აგებული – თამამად ვპასუხობ პროფესიონალ ისტორიკოსს.

– ასეც ვფიქრობდი, – ირონიულად ელიმება ნანის. – არა, გენაცვა, ჩვენი ეკლესია ბევრად უფრო ადრინდელია. ეს ჩემმა თორმეტი წლის შვილიშვილმაც კი იცის. მართლა, სად დაიკარგა ეგ ემბაკის ფეხი? ვერა და ვერ ამოვპირე ტკბილეულით. ამდა, მოდის კიდევ. – ეკლესიის მოპირდაპირედ, მალაზიიდან კოხტა, ჭრელ სარაფნიანი გოგონა გამორბის. ხელში კანფეტებით სავსე პარკი უჭირავს.

– ლამზირა, სადა ხარ აქამომდინ? – უჯავრდება ნანი. – მთელი ფული დახარჯე, არა?!

– რა ვქნა, ბაბო. ქალაქელები იყვნენ ბლომად. ათას რამეს ყიდულობდნენ, ეს ფქვილიო, მაკარონიო და რა მექნა? ხელცარიელი ხომ ვერ გამოვბრუნდებოდი? ძლივას დაგიყოლიე აქ მოსვლაზე.

– ჰო, კარგი, კარგი. – უყვავებს ნანი – ერთი ამ დეიდას მოუყევი, ისე, როგორც დაგასწავლე, როდისაა აგებული ჩვენი ეკლესია და ისტორიული წყაროც არ დაგავიწყდეს. აბა, მიდი, შენ იცი.

ლამზირა, აშკარად კმაყოფილი, რომ ბაბოს წყრომას ადვილად გადაურჩა, საჩქაროდ ყლაპავს შოკოლადის მოზრდილ ნატეხს, ერთბაშად სერიოზულდება და გამოცდილი პედაგოგივით იწყებს თხრობას:

– გადმოცემით, რუისის, სამთავისის, ისაა...

– ნილკნის – ეშველება ნანი.

– ჰო, ნილკნის და მეტეხის ტაძრები აუგია ვახტანგ გორგასალს. იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ ნათქვამია: „ვახტანგ გორგასლან, მეფემ საქართველოსმან, მან აღაშენა ოთხი ეკლესიანი, ნილკნის, სამთავისის, მეტეხის გაღმა მხარისა და რუისისა...“

საკმარისია, ყოჩაღ გენაცვალე. – ნანი კმაყოფილებით შესცქერის შვილიშვილს, მერე მე გადმოხედავს ამაყად, მელის.

– ოო, რა საყურადღებო ინფორმაციაა. – არ ვაყოვნებ მე. – დიდი მადლობა, შვილო. ალბათ შენც ბებოსავით ისტორიკოსი გამოხვალ.

– მართლა, თქვენ რა პროფესიისა ბრძანდებით? – ინტერესდება ნანი.

– გერმანისტი ვარ. ისე, ცოტა ვმწერლობ კიდევ.

– აი, თურმე რა. – კვლავ ირონიულად ელიმება ნანის – ჰოდა, ახლა დამდგარხართ აქა და ისე შეჰყურებთ მეტეხის ეკლესიას, როგორც ალბათ თა-

ვის დროზე კონსტანტინე გამსახურდია უმზერდა სვეტიცხოველს. რამე მსგავსი თუ გაქვთ ჩაფიქრებული, არ ვიცი, მაგრამ შემოდლია ბევრი საინტერესო რამ გიამბოთ ჩვენს ეკლესიაზე.

– მაშინ ერთსაც ვიტყვი, ბაბო, რაა?! – ეშხში შედის ლამზირა. – საუკუნეების მანძილზე ჩვენს ტაძარს უამრავი მტერი შემოსევია. ერთი გადმოცემით, როცა ლეკებს აუოხრებიათ აქაურობა, ხალხს ეკლესიისთვის შეუფარებია თავი. ლეკებს მოცდა უმჯობინებიათ, დიდხანს უწყლოდ ვერ გაძლებენო. ის კი არა სცოდნიათ, რომ ეკლესიის შუაგულში იმ დროს დიდი ჭა ყოფილა გათხრილი, როგორც ამბობენ, ქვევრებიც უნახავთ მერე და მერე, ოღონდ რა დანიშნულებისა, დღემდე ვერ გაურკვევიათ. ერთი სიტყვით, რამდენიმე დღის შემდეგ ეკლესიის სარკმლიდან ხალხს ლეკების გასახელებლად ცივი წყალი გადმოუსხამს. მაშინ განრისხებულ ლეკებს რაც რამ ფიჩხი და შეშა უნახავთ, ეკლესიის გარშემო შემოუნყვიათ და ცეცხლი გაუჩენიათ, რომ ხალხი შიგნით ამოზუგულიყო, მაგრამ უეცრად დიდი წვიმა მოსულა, ცეცხლი ჩაუქვრია. თავზარდაცემული ლეკები კი აქეთ-იქით გაფანტულან... უი, ბაბო, მაგრა მწყურიაან....

– ეხლა მეც გეტყვით ერთსა! – ნანი უცერემონიოთ მიბიძგებს წინისაკენ – იცით, რა საინტერესო მხედრული წარწერები აღმოაჩინეს ტაძრის ფასადზე განახლების შემდეგ? იქ მოხსენიებულია, მაგალითად, იოთამ ამილახვარი, რომელსაც შეუკეთებია ტაძარი. შემდეგში, 1687 წელს ტაძარი შეუკეთებია ნიკოლოზ კათალიკოსს. აი, რომ შევალთ, იმასაც დააკვირდით, ფასადებში რა ლამაზი მწვანე ქვებია ჩართული. დღის სხვადასხვა მონაკვეთში კედლები სულ სხვადასხვაფერად ელავს... მგონი, შირიმის ქვას ეძახიან. – ნანის კვლავ ელიძება – აი, ხომ გახსოვთ, როგორ აღწერს გამსახურდია სვეტიცხოველს ფერთა გამის თვალსაზრისით, ალბათ თქვენც...

– მწყურიაან-მეთქი, ბაბო, – ლამზირა ადგილზე ცმუკავს. – გავიქცევი, რა, ვიდრე თქვენ საუბრობთ, ცივ ლიმონათსაც ვიყიდი ბარემ.

– მოგწყურდება აბა, რა იქნება, რაც შენ უგონოდ ჭამ ტკბილსა! – უწყრება ნანი შვილიშვილს. – ეხლა კიდე მაგაში ხარჯე ფული. ლიმონათი რად გინდა? ცოტაც მოითმინე და ქვეით წყაროზე გაიგრილებ გულსა. აკი, შენც გინდოდა ეკლესიაში შესვლა.

– კარგი, მამ ბარემ დაუწყვეთ დაღმართს. ცოტა არ იყოს, მეც მეჩქარება. – რატომღაც მიხარია, რომ ჩემი უნებლიე მეგზურისაგან თავის დახსნის საშუალება მეძლევა – ფონაზე გაგრილება არც ჩვენ გვანყენდა. – ნანი უკმაყოფილოდ აქნევს თავს, ყოყმანობს. – ბავშვობაში ძალიან გვიყვარდა მაგ წყაროზე სიარული. – განვაგრძობ მე – ბოგვლიანთ წყ-

არო უფრო ახლო იყო ჩვენგან, მაგრამ მე და ჩემი ძმები დავიჭერდით კოკებს და აქეთ გამოვრბოდით დიდი ხალისით.

– აბა, თუ იცით, სინამდვილეში ვისი სახელობისაა ეგ ფონას წყარო?..- თითქო ლაპარაკში მაჯაერებს ნანი. აშკარად არაა კმაყოფილი ჩემი „განსწავლულობით“. ლამზირაც გამომცდელად შემომცქერის.

– არა, ნამდვილად არ ვიცი. – სასონარკვეთილი ხელებს ვასავსავებ და უნებლიეთ უკან ვიხევ, თითქო ბებია და შვილიშვილი ჩემზე თავდასხმას აპირებენო.

– აბა, უყურე! – სიბრაზეს ვერ მალავს ნანი. – რო კითხო, მთელი ბავშვობა ამ წყალზე დავდიოდით და ის კი არ იცით, თუხარლების წყაროს რომ ეძახიან. რაც შეეხება ბოგვლიანთს, კარგა ხანია, საერთოდ დაშრა, გაიპარა.

– უი, მართლა? რა ვქნა, უკვე წლებია, მეტეხში გავლით თუ ვყოფილვარ. ჰო, ცხადია, ბევრი რამ შეიცვლებოდა... რაღა დაგიმალოთ და თუხარლების გვარიც თუ სახლობდა აქა, არ ვიცოდი... ბოდიშს ბოდიშზე ვიხდი მე.

– კი, მაგრამ ეკლესიაში ხომ ყოფილხართ? ნუთუ არასდროს დაკვირვებიათ საფლავის ქვებს, სწორედაც რომ თუხარლების და კიდეც მალალაშვილების გვარებს ამოიკითხავს კაცი. – ცხარობს ნანი. – წყაროს გადასწვრივ რომ საბავშვო ბაღია, ის ხომ მაინც იცით?

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. – დარცხვენით ვუდასტურებ მე.

– ჰოდა, სწორედ ეგ იყო თუხარლების საგვარეულო სახლი. გარემემო დიდი მამულებიც ეჭირათ....

– თან ვიართო, ბაბო, რა, ვიხრჩობი უკვე! – წუნუნებს ლამზირა.

– ჰო, მოვდივარ, შვილო, რა ნახე! – ღიზიანდება ნანი.

დაღმართზე ვეშვებით. ლამზირა წინ გარბის ხტუნვა-ხტუნვით და ვიდრე ჩვენ დინჯი ნაბიჯით მივუყვებით გზას, ის უკვე წყაროზე გრილდება. – აი, თუხარლების სახლიც. – ხელით მანიშნებს ნანი. – ეხლა ზაფხულია, ბავშვები არ არიან. მიყრუებულია აქაურობა. აჰა, შვილო, ეს ბოთლი ამივსე. ჩვენი სტუმარიც დალევს.

სიტყვა „სტუმარი“ უსიამოვნოდ მხვდება ყურში, მაგრამ ვიცი, აზრი აღარა აქვს ათასმეერთედ იმის მტკიცებას, რომ ბავშვობისა და ახალგაზრდობის უზრუნველი, ნათელი დღეები სწორედ აქ მაქვს გატარებული.

ამ სახლში თუხარლების რამდენიმე თაობას უცხოვრია, აზნაურები იყვნენ – თითქო თავისთვის ბუტბუტებს ნანი. – მაგათი გვარის ბოლო წარმომადგენელი გახლდათ პოლკოვნიკი გიორგი

თუხარელი. ისიც ამ სახლშია დაბადებული. მამამისს, ალექსანდრეს, იმთავითვე გადაუწყვეტია, ვაჟისთვის სამხედრო განათლება მიეცა. გიორგის დაუმთავრებია ოდესის სამხედრო სასწავლებელი პოდპორუჩიკის ჩინით. იბრძოდა პირველ მსოფლიო ომში... ჰოოდე, 1918 წლიდან საქართველოში დაბრუნებულა და ეროვნულ გვარდიაში ჩარიცხულა. მერე, რამდენადაც საკვირველი არ უნდა იყოს, ნებაყოფლობით შესულა წითელი არმიის რიგებში. კარგა ბლომად ჯილდოებიც დაუმსახურებია, მაგრამ რად გინდა? ოხრად დარჩა ყველაფერი. – ნანი კუშტად გასცქერის თუხარლების ნასახლარს, თითქო დამნაშავე პოლკოვნიკი იქ ეგულებაო. – ერთი სიტყვით, ტყუილად გაისარჯა კომუნისტებისათვის და სახელიც შეიბღალა. ოცდაჩვიდმეტში დააპატიმრეს ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში თანამშრომლობისათვის, ტროცკისტობა ბრალდებოდა, თუმცა იმ დროს თბილისში მართლაც ფუნქციონირებდა მაგ არალეგალური ორგანიზაციის ფილიალი ბუდუ მდივნის ხელმძღვანელობით.

– იქნებ მოუგონეს, როგორც ხშირად ხდებოდა ხოლმე იმ დაწყვეტილ წლებში. – სინანულით ვერთვები მე.

– თქვენ წარმოიდგინეთ, მეც ასე ვფიქრობდი. – სინანულითვე მეთანხმება ნანი. – მაგრამ მერე და მერე, დახურული არქივები რომ გაიხსნა, იპოვეს გიორგი თუხარელის დაკითხვის ოქმი, სადაც ის აღიარებს ტროცკისტულ დაჯგუფებასთან კავშირს და თავის თანამზრახველებსაც ასახელებს.

– აყუდებდა რა! – წყაროდან ამოგვძახის ლამზირა.

– გეყოს გოგო წუნაობა, ამოდი ახლა. – უცაცხანებს ნანი.

– ესე იგი, თავი გადაირჩინა, არა? – მოუთმენლად ვერთვები მე.

– ნურას უკაცრავად, – გესლიანად ქირქილებს ნანი, – დახვრეტა მიუსაჯეს და იმავე დღეს მოიყვანეს კიდეც განაჩენი სისრულეში. ოჯახს მალევე ჩამოართვეს სახლიცა და მამულებიც და კაცმა არ იცის, შემდგომში რა ბედი ეწიათ. არადა, რა ძვირფასი ხალხი ყოფილან, საცოდავები... ორმოცდაჩვიდმეტში თუხარელი რეაბილიტირებულ იქნა, მაგრამ ამით ვის რა ეშველა?! აი, ასეთი სამწუხარო და უსიამოვნო ისტორიაა, მაგრამ მოლაღატეებს ეგრე მოსდით. ერთი მხრივ კარგია, – ნანი კვლავ სახლისკენ იშვერს ხელს – რომ საბავშვო ბაღი გახსნეს აქა. ამ გაუხარელ სახლის კედლებსა და ეზო – ყურეს ბავშვების ჟრიაშილი ავსებს და აცოცხლებს.

– თავიდან ფეხებამდე გალუმპული, სახეგაბრწყინებული ლამზირა წყაროდან ამოდის და ბოთლს მანვდის. – ინებეთ, გული გაიგრძელეთ.

– გმადლობთ, გენაცვალე. აქაურ წყაროს წყალს მართლაც განსაკუთრებული გემო აქვს. –

ვულიმი გოგონას და ხარბად ვენაფები.

– ჰო, კარგია, – კვერს მიკრავს ნანი – მაგრამ ჩვენი უბნის წყაროსთან მაინც ვერ მოვა. იქნებ გსმენიათ კიდეც, ყავრიანთ წყაროს ეძახიან აქა.

– არა, საიდან?! – მხრებს ვიჩეჩავ მე. – სიმართლე გითხრათ, ლალიანთ უბანში არცა ვარ ნამყოფი.

– ესე იგი, თქვენ საკუთარი სოფელი ხეირიანად მართლა არ გცნობიათ, – ხმაში კვლავ სიმკაცრე ეპარება ნანის. – მარტო ბოჭორაანთ უბანი იცით და ცენტრი.

– რა ვქნა, შორს არსად მიშვებდნენ ჩვენები. – უნებლიეთ თავის მართლებას ვიწყებ. – თუმცა რატომ? ზემოთ ყანებშიც ავდიოდით ხოლმე ბავშვები სათამაშოდ, საბურთაოზეც, ბარნაბიანთ კარშიც გადავდიოდით მაყვალზე. ისე, თქვენ კი გეცოდინებათ, ჩვენ ზემოთ რომ ყანა და ვენახებია, გასაბჭოებამდე ბოჭორაძეების საკუთრება იყო. ჩემი წინაპრები ტახტის აზნაურები იყვნენ. – ამაყად შევცქერი ნანის.

– რა თქმა უნდა, ვიცი. – ელიმება ნანის – მე ის მახარებს, რომ თქვენი წინაპრების ისტორია მაინც გცოდნიათ. – მერე ლამზირას მიუბრუნდება – ნამო, შვილო. მართლა შევგვიანდით. ასახვევამდე ერთი გზა გვაქვს და ბარელამ ჩვენი წყაროს ამბავსაც მოუყვები ნინო დეიდას.

– კარგი რა, ბაბო, გავებზრდი. – წუნუნებს ლამზირა. – იქნებ დეიდას სულაც არ აინტერესებს?

– როგორ არა, ძალიანაც მაინტერესებს. – უხერხულად ვიშუმუნები მე. რატომღაც გაურკვეველი, უსიამოვნო განცდა არ მტოვებს. თითქო ამ ხალხის წინაშე რაღაც დანაშაული მიმიძლოდეს.

– სალამი, ნანი, რა ხანია, აქეთ გამოვლილი არ მინახავხარ. – ვილაც ახალგაზრდა ქალი ცნობის-მოყვარეობით შემოგვცქერის. – ეს შენი შვილიშვილია? ქაა, მოგსწრებია და ეგ არის.

– ჰო, ეს უფროსია, ლამზირა. გუგულაანთ უბანში მქონდა საქმე და ამედევნა ეგეცა. შენ როგორა ხარ, კატო, ოჯახში ხომ კარგად? – ცალყბად ეპასუხება ნანი.

– ვართ რა ნელ-ნელა, ვწვალობთ... ეს ქალბატონი თქვენი სტუმარია? – ველარ ითმენს ქალი.

– ჰო, ასე გამოდის. – ელიმება ნანის. აქაურობას ვათვალისწინებ.

– სანახავიც რა არის, რო?! – ხელს ჩაიქნევს კატო. – ეკლესიაში იქნებოდით უკვე, თორე სხვა რაღა?! სალამოზე ნახირს თუ არჩვენებ. ისე, ქალბატონო, სხვა სოფლებთან შედარებით, მეტეხში ყველაზე მეტი საქონელია, ორი დიდი ნახირია სოფელში, მამა! – კატო ხითხითებს.

– თქვენები მომიკითხე, კატო, მეამა შენი ნახვა. – ნაჩქარევად ემშვიდობება ნანი თანასოფელს და ნაბიჯს უჩქარებს.

– გადმოგვიარე, ნანი, გამეხარდება. – მოსძახის კატო.

– იმედია, გადასახვევამდე აღარავინ შეგვხვდება, – ბუზღუნებს ნანი. – მინდა მოგისწროთ სათქმელი.

– მე დავინწყებ ბაბო, რაა, უფრო ჩქარა იქნება. – მოთმინება ეკარგება ლამზირას და პასუხს არც კი ელოდება, სხაპა-სხუპით იწყებს თხრობას: – ჩვენს წყაროს დღემდე ყავრიანთ წყაროს ეძახის სოფელი. ნიკოლოზ ყავრიშვილი პირველი აგრონომი იყო საქართველოში. მან თავის მშობლიურ კუთხეში, მუხისში პირველმა შექმნა ევროპული ტიპის ფერმა.

– მეტეხის ნახირზე მოგაგონდა არა? – ბრაზობს ნანი. როგორც ჩანს, ვერ ეგუება პირველობის დაკარგვას. – მაცადე ახლა. – გოგონა იბუტება და ნაბიჯს უნელებს. ნანი ყურადღებას არ აქცევს და საჩქაროდ განაგრძობს. – ნიკოლოზ ყავრიშვილს განათლება ევროპაში ჰქონია მიღებული. ჯერ პარიზის პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაუმთავრებია. მერეც სად არ ყოფილა თურმე: შვეიცარიის, ბელგიის თუ გერმანიის საცდელ მეურნეობებში იქნდა ცოდნასა და გამოცდილებას. სამშობლოში დაბრუნებულმა მუხისში ფერმა შექმნა და სწრაფი ტემპითაც განავითარა. თურმე შვეიცარიიდან ჩამოაყვანიან ბულები, იორკშირის ჯიშის ღორები. მარცვლეულიც კი ევროპიდან გამოუწერია. მისდევედა მეფუტკრეობასაც. მუხისის ფერმა თანდათან იმდენად გაძლიერებულა, რომ სხვა ფერმებს აქედან უგზავნიდნენ საჯიშე საქონელს. მაგრამ ეს დიდებული საქმე ერთ დღეში გაცამტვერდა, წარმოგიდგენიათ?! 1918 წელს ბოლშევიკურმა მთავრობამ მთელი ფერმა გაუნადგურა ამ გამრჯე, კეთილშობილ ადამიანს და 25 წლის შრომა ერთბაშად ჩაუყარა წყალში.

– კიდევ ერთი შემზარავი ამბავი! – ვიცხადებ მე.

– ყავრიშვილი მაინც არ დაეცა სულით, – საჩქაროდ განაგრძობს ნანი, – დროთა მანძილზე კიდევ რამდენიმე ფერმას ჩაუყარა საფუძველი, მაგრამ მუხისის ფერმას ვერც ერთი ველარ შეედრებოდა. ან ვინ მისცემდა გასაქანს იმ დროში?!

– მართლაც სამწუხარო ისტორიაა. – კიდევ ერთხელ ვუკრავ კვერს ნანის. – მაგრამ სად მუხისი და სად მეტეხი?

– ახლავე ჩემო კარგო, სწორედ ახლა გადავიღვარ მთავარ სათქმელზე. – მშვიდად მპასუხობს ნანი.

– ეხლა მაინც მომაცოლე რა, ბაბო, – წელანდელ წყენას ერთბაშად ივინყებს ლამზირა. – ყველაზე ძალიან ეგ ამბავი მიყვარს.

– ჰო, კარგი, გული ნუ გაადნე! – უცაცხანებს ნანი შვილიშვილს.

– იმას რალა სჯობს, რომ ბავშვს თავიდანვე

შეასწავლეთ და შეაყვარეთ საკუთარი სოფლის ისტორია. – მხარს ვუბამ ლამზირას.

გოგონა კმაყოფილებით მიქნევს თავს და საჩქაროდ მიაბობს – ყავრიშვილებს ძველ, კარგ დროს მეტეხში შეუძენიათ დიდძალი მიწები, რადგან აქ ყოველთვის კარგი ნიადაგი ყოფილა ხეხილისა და ვაზის გასაშენებლად. მაგრამ მარტო საკუთარ კეთილდღეობაზე როდი ზრუნავდნენ თურმე ისაა, ბაბო, დამავინწყდა, რა ერქვა მაგის ცოლსა?

– ჰოდა, მაცალე ლაპარაკი! – დროს იხელთებს ნანი – ნიკოლოზ ყავრიშვილს ცოლად ჰყავდა თვისნაირი კეთილშობილი და განათლებული ქალბატონი, ანეტა ყიფიანი. შვილი არ შესძენიათ, მაგრამ მთელი ცხოვრება, სოფლად თუ ქალაქად, თურმე დაულალავად ზრუნავდნენ გაჭირვებულთათვის. ტანსაცმელზე და სურსათ-სანოვავებზე აღარაა ლაპარაკი, საშენი მასალითაც კი ამარაგებდნენ გლეხებს. პირველ რიგში ყავრიშვილს ცხადია, სარწყავი არხები გაუყვანია მეტეხში, წყაროები მოუწყვია. ჩვენი უბნის წყაროს, აკი გითხარით, დღესაც ყავრიანთ წყაროს ეძახის ხალხი და დღესაც ახსოვთ იმ ოჯახების შთამომავლებს მათი კეთილი საქმეები.

– და მაინც, თუ კი უშვილო ოჯახი იყო, ამჟამად ვის ხელშია მათი აქაური სახლ – კარი? – მართლა ვინტერესდები მე.

– აი, ჩვენი შესახვევიც! – სიხარულით შესძახებს ამ დროს ლამზირა. – ბაბო, ცოტა ჩქარა – რა, პური მშიან. მინამ ჩვენ ავალთ.

– ოჰ, შენ ხომ არ მოისვენებ და, ხანა გშია, ხანაც გწყურია. გასციე და წადი რალა. მეც დაგენევი – კვლავ უბრაზდება ნანი შვილიშვილს. – ბოლომდე თუ არ ვუამბე, მერე საიდანლა გაიგებს ნინო დეიდა ამ დიდი კაცის საქმეებსა?! – ნანი ისევ ჩემკენ ბრუნდება. ლამზირა კი დემონსტრაციულად აშრიალებს კანფეტების პარკს.

– გასაბჭოების შემდეგ, ცხადია, ამ ოჯახის საქმეც უკან-უკან წავიდა. – განაგრძობს ნანი. – ნიკოლოზმა თანდათან გაყიდა აქაური მამულები და კვლავ ქალაქს დაუბრუნდა. ერთი სართიჭალელი ვაჭარი ყოფილა, ვანო კონიაშვილი. მეტეხში ხშირად ჩამოდიოდა კახეთიდან. ყავრიშვილებისგან ვაშლს შეისყიდდა და სადღა არ მიჰქონდა გასაყიდად. ცოლი ჩვენი მხრიდანა ჰყავდა, ხანდაკელი ქალი, ანა ქამხაძე. ჰოდა, საბოლოოდ თვითონ შეისყიდა მათი მიწები და დასახლდა აქა. ამიტომაც დღემდე კონიაშვილების მხოლოდ ერთი გვარია მეტეხში. ბარემ იმასაც გეტყვი, რომ ეგ ვანო სახტად დარჩენილა, როცა ასეთი შეძლებული კაცის მოკრძალებული საცხოვრისი უნახავს: ერთი ოთახი, მარანი და ბოსელი! – აი, რა დახვდათ კონიაშვილებს მამულში. ცხადია, მერე თვითონ ააშენეს ახალი, დიდი სახლი.

– ესეც გავიგე. – ახლა მე აღარ ვეშვები ნანის.
– მაგრამ თავად ნიკოლოზს და ანეტას რა ბედი ენიათ შემდეგ წლებში?

– ოო, ეგ კიდევ ცალკე ტრაგიკული ამბავია, – ოხრავს ნანი. – ასახვევში ცოტაზე თუ ამომყვებით, მაგასაც გიამბობთ, თორე მართლა ცოდოა ბავშვი, ძაან შეეგვიანდით.

– სიამოვნებით, რა თქმა უნდა, – სწრაფად ვეთანხმები მე. ლამზირა კვლავ წინ გარბის. ჩვენ ისევე წელი ნაბიჯით მივუყვებით გზას.

– ოცდაათიან წლებში, როცა ცხოვრება განსაკუთრებით გაჭირდა, ნიკოლოზი და ანეტა მაინც კვლავინდებურად ენეოდნენ საქველმოქმედო საქმიანობას. – განაგრძობს ნანი. – თბილისში თურმე არ დარჩენილა მევახშე, ვისთანაც ანეტას არ ჰქონოდა მიბარებული თავისი ძვირფასეულობა. აღებულ ფულს კი ისევე უპოვარ ოჯახებს ახმარდნენ. მერე, როცა ანეტა გარდაიცვალა, წელი არ მახსოვს, თურმე ველარც კი მიუგნიათ მისი ნივთებისათვის. უკვალოდ გამქრალა ყველაფერი. მანამდე ოცდაჩვიდმეტში ნიკოლოზის ბიძაშვილი დაუბატიმრებიათ და დაუხვრეტიათ, ისე ვერაგულად, რომ ოჯახს თურმე არც კი გააგებინეს სიმართლე. ნიკოლოზიც ჩვეულებრივ განაგრძობდა ციხეში ამანათების შეგზავნას. ეს ამაო გარჯა საბედისწეროც გამოდგა მისთვის. ერთხელაც, ღამით, ციხიდან მომავალი ტრამვაის ქვეშ ჩავარდნილა და ფეხი დაუკარგავს. ბინაში გამომწყვდეული მაინც არ წყვეტდა თურმე აქტიურ საქმიანობას. ცოლ – ქმარმა იშვილა და აღზარდა ნიკოლოზის ბიძაშვილის დაობლებული სამი წლის ბავშვი. მათ ოჯახში იკრიბებოდნენ მაშინდელი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები. განსაკუთრებით ხშირი სტუმარი თედო სახოკია ყოფილა, ხომ გსმენიათ ეს სახელი და გვარი?! ცნობილი ეთნოგრაფი, ლექსიკოგრაფი და მთარგმნელი... – ნანი სულს ძლივსღა ითქვამს და უეცრად ჩერდება. – ახლა კი დროა უკან გაბრუნდეთ. ძირითადად უკვე გიამბობთ ყველაფერი. თუმცა ბოლოს არ შემიძლია, ჩემი გულისტკივილი არ გაგიზიაროთ.

– მეტი რაღა? – გაოცებით შევყურებ ნანის.
– ნიკოლოზ ყავრიშვილი 93 წლისა გარდაიცვალა, 1959 წლის 12 თებერვალს. ჰოდა, ასეთმა დიდებულმა ადამიანმა ამდენ ხანს იცოცხლა, მისი სახელი კი დღესაც არავინ იცის. ინტერნეტშიც ვერსად წააწყდებით მის გვარს. განა ეს სამარცხვინო და აღმაშფოთებელი არ არის?

– ნამდვილად, რა უცნაურია. – გულისტკივილით ვეთანხმები ნანის.

– უფრო მეტიც, – ერთბაშად ბრაზი ერევა ნანის. – იცით, ამას წინათ შემთხვევით წავაწყდი ტელეგადაცემას თედო სახოკიას შესახებ. მისი შთამომავალი (გვარს არ დავასახელებ!) ამაყად

ყვებოდა, თუ რა სახელოვან ადამიანებთან მეგობრობდა ეს ცნობილი მეცნიერი. კვირის ყველა დღე განანილებული ჰქონია. ერთ დღეს კალისტრატე ცინცაძეს სტუმრობდა თურმე, მეორე დღეს – შიო არაგვისპირელს, შემდეგ დღეს – ვასილ ბარნოვს – და რა ვიცი კიდევ ვიღას არა. ყავრიშვილი კი ასე მოიხსენია, სასხვათაშორისოდ: – ერთი აგრონომი იყო, კოლა ყავრიშვილი და შაბათობით მის ოჯახში დადიოდაო, წარმოგიდგენიათ?

– ბაბო, რად გავჩერდით? წავიდეთ რა! – წუნუნებს ლამზირა.

– მართლაც ძალიან შეგაყოვნეთ, მაგრამ....

– ჰოდა, გვესტუმრეთ. ლალიანთ უბანსაც დაგათვალეერებინებთ და ყავრიანთ წყაროს წყალსაც გაგასინჯებთ. – მილიმის ნანი.

– სიამოვნებით გენვეოდით, მაგრამ ხვალ უკვე თბილისში მივდივარ. სხვა დროს კი, აქეთ თუ მოვხვდი, აუცილებლად გესტუმრებით. – თავაზიანად ვეთხოვები ჩემს ან უკვე კარგ ნაცნობებს და ჩაფიქრებული, გულდამძიმებული ვბრუნდები უკან. ღმერთო, როგორ დამავიწყდა! ახალგაზრდობაში რომ მეტეხზე ლექსი დავწერე, იმით მაინც მომეწონებინა თავი ახალი ნაცნობების წინაშე. ლექსი დიდი არაფერია, მაგრამ თავის დროზე მთელი ჩემი წრფელი განცდები ჩავაქსოვე შიგ. მერე ლიტერატურულ ჟურნალ „პარალელშიც“ დამიბეჭდეს სხვა ლექსებთან ერთად და ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, კომპეტენტურმა ჟიურიმ ჟურნალის პირველი პრემია მომანიჭა. ამიტომაც ახლა, ვიდრე სახლამდე მივალწევ, გაკვადნიერდები და ერთ ნაწყვეტს თქვენც წაგიკითხავთ. (უბრალოდ, დაგზოგავთ, რადგან ლექსი საკმაოდ გრძელია!) მოკლედ, ვინყებ:

ისევ ედება ვარსკვლავთა მტვერი
მოთენთილ ზეცას
და მე სახლის წინ,
რა თქმა უნდა, დედამინაზე,
ხარბად ვისუნთქავ, პეშვში ვიყრი
ამ საოცარ მტვერს.
მიმასპინძლდება გულუხვად ზეცა,
ისე გულუხვად,
ისე ბეჯითად დასციმციმებს
ჩემს სოფელს თავზე,
რომ მე მგონია,
აღარასოდეს წავალ აქედან
და ინტელექტით შეზავებულ
ქალაქის მტვერსაც
ჩემი სახლის წინ ჩამობერტყილ
ციურ მტვერს ვარჩევ....

აი, ჩემი სახლიც! უკვე მოვედი.....

დალი კახიანი

Отар Чиладзе

(1933-2009)

Слушать тебя и служить готов.
Декабрьский снег на ветру порошит,
Одурманенная в неге декабрьским снегом,
серёжка твоя поёт и манит.

(Долго наверное у меня будет долг,
Но вечно весельчаком слить охота.
Пусть здравствуют лукавые твои глаза
И в зеркалах наученная походка).

В окошке снежок вновь кружиться,
Незамысловатую весть нам вещает,
И на скамье как навестанная дичь,
Твоё нарядное платье свисает.

Шалва Кармели (Гогишвили) _ (1899-1923)

Вавилон (Сонэт)

Я под ударом солнечной армады древнейших стран,
В Каир из Вавилона караваны мечутся.
Распутный город, народов изживших пирамиды стан,
Асаргадон, Вальтасар _ железняком трепещут.

Озарить камнями благородными желаю вас, на диву,
О, Цари, О, страны: Тирос, Мидия.
Апокалипса блудные суки богу тело продают смердев.,
Их плотоядных шорохов в презрении, я чую муки.

Стойкими законами Гамураба здесь зажигались колонны
и королевою слыла Ниневия _ любовь моя.
Бечёвкой вели сюда рабов склонённых.

Народов здесь несметное число свелось,
Во мне бывшее обернулось вроде,
Род следует стереть с лица земли, как Вавилон!

Шота Чантладзе (1928 _ 1968)

Горе тому, кто всегда говорил «горе»,
Горе тому, кто родился царём, а влачил существование раба.
Горе тому, кто обошёл свет, а в последствии вскоре
пядь земли и то, для него пожалели,
Горе тому, кто в сердце любовь лелеет,
а не желает, чтоб расправила крылья на земле любовь.
Горе тому, кто не желает бытовать на белом свете,
Считает лишним а всёжь он есть.
Кто знает, не знает, что ждёт, зачем явился на белый свет,
Ведомо зато ему, на что идёт.



Горе тому, кто останется непонятым близкими в чаяниях.
Горе тому, кого всю жизнь преследовал злой дух
внушающий,
обделил кого несметными печальями.
Горе тому, к коему челу прикоснулась рука его
разрушающая.

Губы твои младенческие могу
огнём лобзании выдавить,
Так как душу мою вы повредили,
Нежнейшая девица среди девиц.

.....

Врисовать могу тебя в стихотворенье,
Ну а после обожествить подвластно мне стихом,
Возвеличить тебя могу,
Тому причина глаз твоих обличье.
Вот что, ведь тоже
могу тебя я уничтожить.

გიორგი კეკელიძე

Песнь Саула

Спозаранку, когда солнце внизу, лучами рыщет,
и свет переступает поступью полторагодовалого ребёнка,
Когда в постели крохи сна жадно клюём и ищем И
Поклон вам господа! это ты явился,
Дитё бесплодно переведшись сих князей луны,
И на горлышке колыбели, стянул жёлтый ремень,
Взгляд изливал уныло _ кровь отчизною расхворалась.
Пополудни, когда солнышко слегка повыше сместилось,
Хочется мне, чтоб душу свою ты скаредному богу обратно
швырнула,
Так как, малюсенькую отпустил и в тебе не поместилась.
В земле жарко.

Кости шныряют _ плоть навлекут как пот,
 Потом засыпают кости
 И вот забывают старую площадь кости,
 Так как, вместе с потом тяготу и горе навлекут,
 Так как, вместе с горечью сны навлекут
 И
 Вечером, когда солнце вниз, вновь сместилось,
 Я ложусь чтоб глаза закутать одеялом,
 Раз я убийца, я мишень и свору злых собак травишь на
 меня...
 Авель! Авель,
 соблазнитель снизошедший с неба, господь всевышний!...

2007 г.

Нази Киласония (1927-1993)

Мой берег реки, твердокаменный, наполняют белые свечи.
 Какое же ты чудо поднебесная.
 Человек которого боготворю,
 Обыкновенно стоит и беседует.
 Обыкновенно озаряет улыбка,
 Обыкновенно выглядит профиль,
 Обыкновенно садится зыбко,
 На гладкий стол, опираясь с наклоном,
 Обыкновенно хранит ручку,
 Обыкновенно зажигает папиросу,
 Обыкновенно возвращает поклон.
 Ну и конечно-же, встречает с другой апрель чудесную.
 ...Какое же ты чудо поднебесная!

Наира Гелашвили

Иногда дыхание твоё я чувствую,
 как чувствует струну смычок витая,
 тогда свежее жизнь огрубевшая,
 Словно закуска, мгновения пешие,
 Хлеба с вином не хватает мне очень,
 Лицом уткнуться в руки вновь хочется.

Мирза Геловани (1917-1944)

Не пиши

Не пиши, что сад расцвёл миндалям,
 Что на Мтацминду слегло небо сивое,
 Что Грузия, в эти дали весенние,
 как и всегда, соблазнительно красива.

Что в белое облачилась Ортачала,
 Да и ты оделась в платьице цветочное,
 Что вздыхает Мтквари, также, у причала,
 Вблизи Метехи что влечёт потоки.

... Вечером боролся с огнём, с бурей,
 И в туманах ужасных боёв, окаянных,

Позади призрачным сбором свились,
 Горел весь в молниях Тбилиси.

В Ортачала миндаль распустился,
 На плечи Мтацминды лучи рассеяв солнце спустилось,
 И ты, дорогая, в эти дали весенние,
 Как и всегда, соблазнительно красива.

Не пиши... и так ведь знаю, каким
 расцветьем расцвёл Тбилиси,
 Что кто-то бродит ночью по полям
 И пахоту к рассвету, зелёным цветом опалает.

Я знаю ведь и то, пригожие погоды
 сопутствуют биению благих сердец,
 И промахнуться если угодно пуле,
 Встретим вновь грядущие весны мы сказкою

Скажу, что воротился с бойцовскою закваской,
 До гробовой доски с тобой останусь,
 Что весеннее солнце всех краше,
 Солнце победы после отважных боёв застану.

1943 г.

Причистие.

Резо Амашукели

Одиночество

В ту ночь снежило, порошило, снег спадал,
 Изнемождённая хладом, ты мёртвым сном спала,
 Мерцал вокруг холодный отблеск,
 И безглагольность в доме том обитала,
 Свою же тень склонённую у изголовья видел,
 И тень дрожала на косо́й стене,
 Изнемождённая от галиматъи ты спала,
 А за окном снежило то и дело, снег спадал.
 И твоё тело длинное и тонкое, резко
 Вырисовывалось в мрачной тени,
 И рука, истощённая твоя рука
 в руке моей покоилась, как мёртвый птенец.
 А за стеной всё порошило то и дело.

1962 г.

Дикая роза обвила брус.
 Колени лестниц скрипят времён рубцами,
 Сбыл спрос, всё отбывает поколение бывшее,
 степенностью своей
 да скромностью,
 воспитанностью слова...

Голубые взгорья
 с ночью мглою слились, хоть и
 с окрестностей июль снисходит...
 берёт за душу голоса Ишхнели,
 мне жаль...

И в сумраке виднеется Тбилиси...

1971 г.


ბადრი პატაშური

**შენვადრები ლისაბონის კოლიჯაუმსა და
„ბენფიკას“ სპორტულ დარბაზში.**

თუ არ ვცდები ეს ამბავი 2005 წელს მოხდა, რადგანაც ჯერ არ იყო ჩავლილი 2004 წლის ათენის ოლიმპიადის ციებ-ცხელებანი. ჩვენს ქალაქ-მუზეუმ სანტარებში, რომელიც ლისაბონიდან 70 კმ-ში მდებარეობდა, ხმა დაირხა, რომ დედაქალაქში მსოფლიო თასის გათამაშება უნდა გამართულიყო ძიუდოში და ლისაბონს საქართველოს ძიუდოისტთა პირველი ნაკრები უნდა სწვეოდა შოთა ხაბარელის მეთაურობით.

ამ ახალმა ინფორმაციამ ყველა აღგვაფრთოვანა. დატრიალდნენ ბიჭები. მე და ნახალოვკელმა ზურა ჭიჭოშვილმა (ყაჩაღ გოგია ჭიჭოშვილის შვილიშვილმა) ჩვენი ნაცნობი გავლენიანი პორტუგალიელები შევანუხეთ ქალაქის პროფკავშირულ გაერთიანებაში ანუ „სინდიკატში“, როგორც იქ უნოდებენ და არა მარტო ქართველთათვის, არამედ მსურველი უკრაინელებისა და მოლდაველებისთვისაც „გავზანსეთ“ და დავჯავშნეთ ტურნირის სამივე დღის ბილეთები, ხოლო შეჯიბრის გახსნაზე მთელი ეს „დელეგაცია“ ქართულ – პორტიგალიური ტრანსპარანტებითა და ქართული დროშით (რომელიც ჩემი აივნიდან მოვხსენი ქალაქის ცენტრში) ვენვიეთ. დავპატიჟე ჩემი ფირმის მეპატრონე სენიორ ჯოზე ანტონიო, რომელსაც რუსი ცოლი ჰყავდა და რომელიც ისე დაინტერესდა ტურნირით და ისე აღფრთოვანდა ჩემს მიერ მიტანილი ბილეთებით თავად მისთვის და მისი მეუღლისათვის, რომ სამ დღიანი სიტყვიერი „შეგბულება“ გამიფორმა, რაც მის ფირმაში ჯანმრთელი ადამიანისათვის თითქმის შეუძლებელი და წარმოუდგენელი რამ იყო. მეც მეტი რა მინდოდა და სამი დღე ლისაბონის „ბენფიკას“ დარბაზსა (რომელიც „ბენფიკას“ სტადიონის სიახლოვეს მდებარეობს) ჩვენი ნაკრების ბიჭებს არ მოვშორებივარ. ახლოს გავიცანი ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონი, ზურა ზვიადაური, ნესტორ ხერგიანი, აღმავლობის გარიჟრაჟზე მყოფი ირაკლი ცირეკიძე და ილიას ილიადისად გარდაქმნილი ჯარჯი ზვიადაური, რომელიც საბერძნეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჯონდო მუზაშვილმა (ილიადისმა) იშვილა და არც ჯარჯიმ გაუმტყუნა იმედი, 2004 წლის ოლიმპიადა საბერძნეთის სახელით მოიგო.

აქვე ვიტყვი, რომ ლისაბონშიც 90 კგ წონით კატეგორიის ფინალში ერთმანეთს ირაკლი ცირეკიძე და ჯარჯი ზვიადაური, იგივე ილიას ილიადისი დაუპირისპირდნენ. ეს იყო ირაკლი ცირე-



კიდის ტრიუმფალური სვლის დასაწყისი და მან ფინალი მოუგო ჯარჯის, რომელმაც გაბრაზებულმა კიმონო გაიხადა და მოისროლა. პირველ რიგში მჯდომმა დავანყნარე, ყოველთვის გგულშემატიკვრობ-მეთქი, მარა ახლა ირაკლის ვუჭერდი მხარს, რომ საქართველოს ჰიმნი აჟღერებულიყო. მართლაც ამ ტურნირზე მხოლოდ ირაკლი ცირეკიძემ შეძლო უმაღლეს საფეხურზე ასვლა. ნესტორ ხერგიანმა თავის წონაში ვრცელი აიღო. ზურა ზვიადაურმა ტრავმირებული ფეხით იჭიდავა და ერთი მოგების შემდეგ რუსეთის წარმომადგენელ დალესტანელთან, მეორე გამოსვლა ვეღარ შეძლო.

თუმცა ტრამვისაგან გატანჯული სახე ჰქონდა, მაინც გულთბილად ჩამომართვა ხელი შეხვედრიდან გამოსულმა ზურა ზვიადაურმა, რითიც ჩემს გვერდით მჯდომი ფირმის ხელმძღვანელის პატივისცემა დავიმსახურეთ. ამ დროს ზედა რიგებიდან ზურას ვილაცამ დაუძახა და უცებ მის წინ გაჩნდა მიგელ დელგადო. გადაეხვია ზურას. ჩემი ფირმის ხელმძღვანელი მეუბნება, ეტყობა ეგ თქვენი „ქომპატრიოტო“ (თანამემამულე) ძიუდოისტი მაგარი ვილაცა არის, დელგადომ ასე რომ მიიღო. თქვენი დელგადო ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორია, ზურა კი ჩემპიონია მეთქი. თანაც

შარშან რომ ოლიმპიადის რეკლამისას ლურჯ კი-
მონოიანი სპორტსმენის მაგარ საფინალო გდებას
აჩვენებდნენ მალლა აპყრობილი მარჯვენა ხელით,
აი ის ძიუდოისტი არის მეთქი ეს ჩემი თანამემამუ-
ლე, თავი მოვიწონე.

იყო სხვა კარგი გამოსვლებიც. მამრიკიშვილ-
მა სულ „ჩერეზებია“ აბურთავა პორტუგალიელ-
თა ლიდერი დიასი, რითაც ჩემს ამხანაგ მოლდ-
ოველებს ამოჰყარა მკვეხარე პორტუგალიელების
ჯავრი, მაგრამ ოქრო მაინც ერთი იყო, ირაკლი
ცირეკიძისა. საქართველოს ჰიმნის აჟღერების
შემდეგ ყველა ქართველმა ერთხმად შემოვძახეთ
„საქართველო“, „საქართველო“. ჟოზე ანტონიო და
მისი რუსი მეუღლე შეგვეკითხნენ, თუ რას ვყვი-
როდით და როდესაც მე ავუხსენი, რომ ვყვირით
ანუ ვსკანდირებთ „ჯორჯიას“, „გრუზიას“ ჩვენს
ენაზე, მათი უაღრესი გაკვირვება გამოვიწვიე. მე-
კითხებოდნენ, თუ რატომ არ ჰქვია ეს „საქართვე-
ლო“ ყველა ენაზე, როგორც მაგალითად პორტუ-
გალიას, რომელიც უცხოპლანეტელთათვისაც არის
– „პორტოგალ“. თან რუსი ცოლი სენიორ ჯოზეს
მთელი მონდომებით უხსნიდა ქართველი ხალხ-
ისა და ქართული მიწა – წყლის განსაკუთრებუ-
ლობას და მხოლოდ დროებით ბედუკუღმართობის
მიზეზით ჩვენს ემიგრანტობას პორტუგალიაში.

ვუსმენდი მათ და უცებ ჩემს მეხსიერებაში
ამოტივტივდა ორი წლის წინანდელი ამბავი ლის-
აბონის ცენტრალურ საკონცერტო დარბაზ „კო-
ლიზეუმში“ გადახდენილი, მაშინ ლისაბონს სუხიშ-
ვილების ანსამბლი ანუ ქართული ნაციონალური
ბალეტი სტუმრობდა. მაშინაც ჩემი პორტუგალიე-
ლი თანამშრომელი მყავდა დაპატიჟებული თავის
„ნამორდასთან“ (შეყვარებულთან) ერთად. ისინიც
დიდად აღფრთოვანებულები დარჩნენ ჩვენი ანსამ-
ბლის გამოსვლით, ეს რა ქვეყანა გქონიათ, ეს რა
კარგი ცეკვა გცოდნიათო. ასეთი ჩაცმულობის ქა-
მარ – ხანჯლიანი ხალხი კი მინახავს ტელევიზიაში,
მაგრამ ასეთი ცეკვა არაო – კოლეგამ...

მხოლოდ ორჯერ შეცბნენ ისინი კითხვის
ნიშნის გამომეტყველებით სახეზე. პირველად მა-
შინ, როცა ერთ – ერთი ახალი ნომერი ანსამბლი-
სა შოტლანდიურ „რივერ – დანსს“ მიამსგავსეს
მუსიკითა და შესრულებით და მეორედ მაშინ,
როცა ჩვენს მიერ ერთხმად შესრულებული „სა-
ქარ-თვე-ლო“ ჯორჯიად გადავუთარგმნე.

მართლაც, რა გვაქვს ქართველებს, უძვე-
ლეს სახელმწიფოს შვილებს სხვათა ნასაბაძი და
მართლაც რა განსაკუთრებულობა გვჭირს ასეთი,
რომ ჩვენს საამაყო „საქართველოს“ სხვადასხვა
ხალხები სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ.

უფალმა დალოცოს, გაახაროს და გაამრავლოს
ჩემი ქართველი ერი...

**ფოთელი „არამეგრელი“ ანუ ემიგრანტობის
„მოკრძალებული“ ხიზლი**

(ედღენება ფოთელი ჯონი გოგიას ხსოვნას)

ის გრძნობა, რაც მე ხანდახან დამეუფლება
ხოლომე მგონი უცხო არ იქნება არც ერთი ადა-
მიანისათვის, ვისაც ათეულ წელზე მეტი სამშობ-
ლოს გარეთ აქვს გატარებული. უყურებ ხანდისხ-
ან ადამიანს და გიჩნდება გრძნობა, რომ სწორედ
ასეთი ტიპი სადღაც შორს, უცხოეთშიც გინახავს
და ზუსტად ასეთი ადამიანი საქართველოს გარდა
კიდევ სადღაც შორს ბინადრობს.

ზუსტად ასეთი გრძნობა დამეუფლა როდე-
საც ჩემი ცხონებული გურული ბიცოლას ქელეხის
სუფრიდან გამოვედი, რესტორნის პირველ სარ-
თულზე დავეშვი, სადაც სხვა სუფრა იყო გაშლი-
ლი და იქ, იმ ხალხმრავლობაში ვიღაც წვეროსანი
შავგვრემანი კაცისა და ჩემი მზერა ერთმანეთს
შეეჯახა.

ჩემი ალალი ბიძაშვილები დღეს, ნახევარ
საუკუნეს მიახლოებულნი საკმაოდ დასერიო-
ზულებულნი, ხოლო სიჭაბუკე-ახალგაზრდობა-
ში საკმაოდ „ცელქი“ პიროვნებები იყვნენ, თითო
ათეული წელი საქართველოსა თუ რუსეთის ციხ-
ებშიც გაატარეს და რა გასაკვირია, რომ მათი დე-
დის დაკრძალვაზე, სადაც მე თამადის მოადგილე-
ობა მერგო, საკმაოდ იყვნენ ასეთივე ხიფათიანი
წარსულის მქონე პიროვნებანი გამჭოლი მზერითა
და პირდაპირი, ოღონდ თავისებურად მოკრძალე-
ბულ-გაზომილი საუბრით. ცოცხლების სადღეგრ-
ძელოებზე გადმოსვლისას, სამშობლო ვადღეგრ-
ძელე, რა თქმა უნდა, და მოვიშველიე ტარიელ
ხარხელაურისა თუ შოთა ნიშნიანიძის სტროფები.
„შენი გვითხარი რამე შენი, ეგენი ჩვენც ზეპირად
ვიციტო“ – მომცეს შენიშვნა ჩემი ბიძაშვილების
„ცელქმა“ ძმაკაცებმა და მეც სერიოზული ხმით
ერთი ჩემი პატრიოტული ლექსი წავიკითხე, რა-
მაც ჩემი ნათესავნიც გაამხნევა, ხოლო „ცელქმა“
ბიჭებმა ჩუმი კმაყოფილებით დამიკრეს თავი და
უკვე მერამდენედ აღმიძრეს ფიქრი, რომ ხშირად
„ქუჩის ბიჭები“, ციხეებში მიღებული განათლებით
უფრო ნაკითხნი და პატრიოტულად განწყობილნიც
არიან, ვიდრე კომპიუტერული ცოდნით აღჭურვილი
თანამდებობის პირები...

ჰოდა იმას ვყვებოდი, დავემშვიდობე ხალხს და
დავეშვი კიბეზე, რომ ნაცნობ მზერას გადავანყ-
დი. ახლოს რომ მივედი და ერთმანეთს ხელი ჩამ-
ოვართვით, მერელა ვიცანი, ეს რუსთაველი ნიკო

იყო, ძველი პოლიციელი, ხოლო პორტუგალიაში საკმაო ხანს „ჩემს“ სანატორიუმში მცხოვრები. ჩემგან განსხვავებით, მას პირველი დანახვისთანავე ვუცვნივარ და სევდიანი ღიმილით მომეხვია. გამოვკითხეთ ერთმანეთს აქეთურ-იქითური და ჩემს შეკითხვაზე, თუ რატომ იყო წვერმოშვებული, მან თვალზე ცრემლმომდგარმა წარმოთქვა, რომ ფოთელი ჯონი გოგია აღარ გვყავსო. ორი კვირის წინ დავეკრძალეთ და ორმოცამდე ვაპირებ აქ დარჩენასო.

გულმა რეჩხი მიყო. თვალწინ წარმომიდგა საშუალო სიმაღლის, ჭაღარა კულულებიანი, ჩასხმული პიროვნება, მონოდებით მომღერალი (დაიტრახებდა ხოლმე, რომ თბილისის ფილარმონიაშიც ხშირად ემღერა), რომ ვერ გაიგებდი, როდის რა ხასიათზე იყო, რადგან სულ „ოვ დელა, ოვ დელას“ სიმღერით დაიარებოდა. ერთხელ ჩემს შენიშვნაზე, რა გამღერებს შენ კაი კაცო, ვალებით ხარ გავსებული და ამხელა სანტარუმში შენთვის სამსახური არ მოიძებნა-მეთქი. აბა რა ვქნა, ბადრიას ვენაცვალე, თავს ხომ არ მოვიკლავ, ნუხელ სახლში რომ ვსაუბრობდი, ჩემი ცოლი იქით ტიროდა და მე აქეთ ვტიროდიო... -ოხ, შე მართლა მეგრელო, -მეთქი შენა. -მეგრელი კი არა ფოთელი ვარ მე, იყო პასუხი... რაზეც ბიჭები საკმაოდ გამხიარულდნენ და ხუმრობაც გაგრძელდა.

გამახსენდა პირველი დღე, როდესაც ჩემმა მოცეკვავე, უფროსმა ძმაკაცებმა გურამმა და აფხაზმა ვახომ ჯონი გოგია ჩემთან მოიყვანეს და ჩვენ ქალაქში სამსახური ვერ ვუშოვეთ და ახლა შენი იმედილა გვაქვს, ძალიან ჯიგარი ბიჭიაო. თმა უნდა გაიკრიჭოს მეთქი. მაგ ჭაღარა, სიმპატიური კულულებით ვინ მიიღებს მშენებლობაზე ან ფაბრიკაში. მაგ კულულებს ვერ გავიკრეჭავო მე, იყო პასუხი, - ეგ ჩემი „სამარკო ნიშანიაო“ და მთელი ცხოვრება ასე თმებმოშვებული დავდივარო. მაინც მოუნია თმის შეჭრა და მხოლოდ ამის შემდეგ ვუშოვეთ სამსახური „გაჯიელებულს“.

უმუშევარი რომ იყო და სახლში იჯდა, სულ ცდილობდა, რომ კარგი საჭმელები მოემზადებინა და ამით გადაეხადა ჩვენთვის, რაზეც ჩვენ უხერხულ მდგომარეობაში ვვარდებოდით და სულ ვეჩხუბებოდით, ნუ გრძნობ თავს უხერხულად, რომ ბნის ქირის ფულში ვერ შემოდიხარ, ჩვენ აქ ყველანი ძმები ვართო.

გამახსენდა ბოლო პერიოდი ჩემი ემიგრაცია, როდესაც საქართველოდან ძმაკაცმა დამირეკა და გამიმხილა მამაშენი საკმაოდ მძიმედ არის, სახლიდან არ გაგებინებენ და მაინდამაინც მის პანაშვიდზე უნდა ჩამოხვიდეო. ჯონი გოგია სულ ჩემ

გვერდით იდგა და თანამიგრძნობდა. მე თვითმფრინავის ბილეთსაც აღარ დაველოდე და მეგობარს ნაყიდი მანქანით გამოვყევი პორტუგალიიდან მთელი ევროპის გამოვლით საქართველომდე. ჯონი გოგია იყო ის პიროვნება, რომელმაც სამშობლოსაკენ მომავალს კარგი ბოტასები და „Lotto“-ს სპორტული ფორმა მიყიდა და სხვა ბიჭებსაც გააგებინა, ბადრი მგონი საერთოდ მიდის სახლში და აბა გავიხსენოთ ვინ იყო ის კაცი, ვინც სანატრებში ჩამოსულებს ბინით და სამსახურის შოვნით დაგვეხმარაო და წამოვიდა ბიჭებისაგან საჩუქრები. იქ ქუთაისელებმა, რუსთაველებმა თუ ლამისკანელებმა ძვირადღირებული ტანსაცმელ-ფეხსაცმელებით დამასაჩუქრეს სახლში მიმავალი.

- მაინც რა მოხდა-მეთქი, როგორ გარდაიცვალა ჩვენი მხიარული ჯონი?-ვკითხე ნიკოს.

საერთო მანქანა ვიყიდეთო, ძვირადღირებული, ნოემბერში. ჯონის გადანყვეტილი ჰქონდა ახალ წელს ოჯახებში შევხვედროდით, მაგრამ პორტუგალიელმა ექიმებმა აუკრძალეს გაზაფხულამდე შორეული მგზავრობა, მაგრამ ჯონიმ არ დაიშალაო. გახსოვს ბადრიმ როგორ უცებ გადანყვიტა ნასვლა და ხუთ დღეში თბილისიდან დაგვირეკაო. ჩვენც უცებ ჩავალთ სახლში, ხან შენ დაჯდები რულთან, ხან მეო და გზაც გაიღვევო. მართლაც წამოვედითო, ნიკომ. გზაში ორიოდეჯერ ცუდად გამიხდაო, მარა ფოთამდე მაინც მივალწითო, მაგრამ ფოთში რომ შევედით მანქანა გამაჩერებინა, ბიჭო გული მაქვს ძალიან აჩქარებულიო. რაღა ბევრი გავაგრძელო, ჯონის სახლის ჭიშკარს რომ მივადექით ჯონი ძალიან ცუდად შეიქმნაო. დავუყვურე ხალხს, შევყარე ქვეყანა და ისე წავიდა ამ ქვეყნიდან ცხონებული, რომ ოჯახის ყველა წევრის ნახვაც კი ვერ მოასწრო, მათ შორის თავისი ახალი რალისაც, რომლის გაცნობილ უფრო ეჩქარებოდაო.

ნასვამს თვალზე ცრემლი მომადგა, ტელეფონის ნომრები გავცვალეთ ნიკოს და სწრაფად გავშორდი. დიდხანს ვფიქრობდი ემიგრანტის ბედზე. მეც ხომ ძალიან ხშირად მქონდა ისეთი მომენტები, როდესაც მიფიქრია, ჩემს მიწამდე მიმალწევინე - მეთქი, ღმერთო!

ვისურვებდი, რომ ღვთით კურთხეული მიწიდან უცხოეთში უფლებო მუშა-მოსამსახურეებად კი არა, ტურისტებად, კონსულებად და ელჩებად მიდიოდნენ მხოლოდ ქართველნი და ამ მიზნის მისაღწევად უნდა ვიბრძოლოთ ჩვენც და უფალიც აუცილებლად შეგვეწევა.

ბადრი პატაშური
30.01.2019 6